

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

### ალექსანდრე ბოშიშვილი

**ქვემო ქართლის მცირე სათავადოები**  
(მელიქიშვილები, სოლადაშვილები, დოლენჯიშვილები)

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ  
**მიხეილ ბახტაძე**



თბილისი  
2012

## შინაარსი

<b>შესავალი</b>	2
<b>წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა</b>	6
<b>თავი I. თავადი და სათავადო (ზოგადი მიმოხილვა)</b>	14
<b>თავი II. მელიქიშვილების სათავადო</b>	26
§ 1. მელიქის სახელო	26
§ 2. ყარაბაღის სამელიქოები	28
§ 3. საქართველოში არსებული მელიქები (თბილისის მელიქი, მელიქ-მამასახლისი გორის მელიქი; ლორის მელიქი)	33
§ 4. ქვემო ქართლის მელიქის საგვარეულოს წარმომავლობა	45
§ 5. მელიქიშვილების სათავადოს ისტორია	47
§ 6. მელიქიშვილების სამფლობელოები („სომხითის მელიქის მამული“)	61
§ 7. მელიქიშვილების საძვალე (ახტალის მონასტერი)	69
§ 8. გენეალოგია (საგვარეულოს სხვადასხვა შტოები)	71
§ 9. თავად მელიქიშვილების გერბი	74
<b>თავი III. სოლადაშვილების სათავადო</b>	75
§ 1. გვარის წარმომავლობა	75
§ 2. სოლადაშვილების სათავადოს ისტორია	83
§ 3. სოლადაშვილების სამფლობელოები („სასოლადაშვილო“)	123
§ 4. სოლადაშვილების საძვალე (კაბენის მონასტერი)	139
§ 5. გენეალოგია	144
§ 6. თავად სოლადაშვილების გერბი	147
<b>თავი IV. დოლენჯიშვილების სათავადო</b>	148
§ 1. გვარის წარმომავლობა	148
§ 2. დოლენჯიშვილების სათავადოს ისტორია	152
<b>დასკვნა</b>	159
<b>გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა</b>	169
<b>დანართები</b>	191

## შესავალი

ფეოდალური ურთიერთობების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გაშუქების საქმეში ერთ-ერთი საკითხია, რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო უურადღება ექცევა.

ფეოდალიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი წეობის ფორმა, საქართველოს ისტორიის სანგრძლივ მონაკვეთზეა გამდილი და მის უმნიშვნელოვანეს ეპოქებს მოიცავს. ამიტომაც აღნიშნული ფორმაციის სტრუქტურული აღნაგობის, მისი არსის პერიოდის გარეშე ჩვენი ქვეყნის ისტორიის სიღრმისეული შესწავლა წარმოუდგენელია.

ქვეყანაში მიმდინარე ფეოდალური პროცესები დიდ გავლენას ახდენდა და ხშირად მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ კულტურას განსაზღვრავდა.

საქართველოში სათავადოთა სისტემამ XV საუკუნიდან დაიწყო ჩამოყალიბება. ქვეყანაში სათავადოების გაჩენა უპირველესად ქვეყნის პოლიტიკურმა დაშლილობამ განაპირობა. პოლიტიკურად დანაწევრებულ სახელმწიფოში სათავადოს არსებობისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. თავადები, რომლებიც სამოხელეო თანამდებობებთან ერთად ტერიტორიას და ყმა-გლეხებს ფლობდნენ, თავიანთ სამფლობელოში სრული შეუვალობის მოპოვებას ცდილობდნენ.

ქვემო ქართლში წამყვან როლს დიდი ფეოდალური საგვარეულოს – ბარათაშვილების – წარმომადგენლები ასრულებდნენ. საგვარეულოს გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ წყაროები რეგიონს ხშირად საბარათიანოდ მოიხსენიებენ. ქვემო ქართლის მცირე სათავადოები XV-XVIII საუკუნეებში ბარათაშვილების სათავადოს დაშლისა და მათ განშტოებებს შორის პირველობისათვის ბრძოლის პირობებში ჩამოყალიბდა. ამ ბრძოლაში უპირატესობა ყაფლანიშვილებმა მოიპოვეს, დანარჩენი საგვარეულოები, ბარათაშვილთა გვერდითი შტოები (გერმანზიშვილები, ორბელისშვილები, გოსტაშვილები, იოთამიშვილები, აბაშიშვილები... ) და სხვა საგვარეულო სახლები (სოლადაშვილები, დოლენჯიშვილები, გურჯი-რევაზიშვილები...), მცირე სათავადოებად ჩამოყალიბდნენ. ცოტა განსხვავებულია სომხითის მელიქების, ანუ თავად მელიქიშვილების ისტორია. ისინი 1604 წლამდე ადგილობრივი აზ-

ნაურები იყვნენ. მათ მამული და მელიქის სახელო შაჰ აბას I-მა (1587-1629 წწ.) უბოძა. ბარათაშვილთა სათავადოს ისტორიაზე რამდენიმე სოლიდური გამოკვლევა არსებობს<sup>1</sup> (მათ შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი პროფ. გივი ჯამბურიას მონოგრაფიას – ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სომხით-საბარათიანოს სათავადოები, თბ., 1955). უნდა აღინიშნოს, რომ მცირე სათავადოების პვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში დაწყებულია.<sup>2</sup> თუმცა ქვემო ქართლის, იმ სათავადოების ისტორია, რომლებიც ბარათაშვილთა საგვარეულოდან არ მომდინარეობენ, ჯერჯერობით ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო კვლევის საგანი არასდროს გამხდარა.

გვიან ფეოდალურ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ქვეყანაში სამი ხარისხის თავადი არსებობდა: დიდებული, საშუალო და მცირე, სამივე მათგანს განსხვავებული სისხლის ფასი ჰქონდა (სამართლის ძეგლები, I, 1963: 489).

ვახუშტი ბატონიშვილი ქართლის დიდ თავადებს ცალკე გამოყოფს და აღნიშნავს, რომ „უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველი მუხრანის ბატონი, არაგვს ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციციშვილი, ოდეს გაუყოფელი იყო, და სომხითის მელიქი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 35).

ვახტანგ VI-ის სამართალის მიხედვით, „დიდებული თავადი ეს არის: გაუყრელი ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ამილახორი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ორბელიშვილი, როცა გაუყრელი ყოფილა ციციშვილიც: ამათთან კი არა და სომხითის მელიქიც ითქმის (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 520).

ამ ცნობებზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლში ხუთი დიდი სათავადო არსებობდა, მეცნიერთა ნაწილი ექვს დიდებულ თავადს აღნიშნავს. ვახტანგ VI-ის სამართალში და ვახუშტისთანაც სომ-

<sup>1</sup> იხ. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სომხით-საბარათიანოს სათავადოები, თბ., 1955; დ. გვრიგიშვილი, ფეოდალური საქართველოს ხოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლის სათავადოები, თბ., 1955; გ. მჭედლიძე, ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან (გუდარეხი, ფიტარეთი), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2004.

<sup>2</sup> შიდა ქართლის მცირე სათავადოები მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს პროფ. გ. ოთხმეზურს, იხ. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მცირე სათავადოები, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

ხითის მელიქი აშკარად დიდ თავადებთან არის გათანაბრებული. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ მელიქი საკმაოდ დიდ ტერიტორიებს და უმა-გლეხებს ფლობდა. ასევე, მას ირანის შაჰის პირდაპირი მხარდაჭერა, და ამის გამო სხვა ქართველი თავადებისგან განსხვავებული და ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესი იმუნიტეტიც ჰქონდა. რეალურად კი, მელიქის დიდ თავადებთან გათანაბრება არ იქნება მართებული, თუნდაც მისი წარმომავლობიდან გამომდინარე.

სხვა თავადური საგვარეულოები, მცირე, ანუ მეორე ხარისხის თავადები იყვნენ, მცირე თავადებად ითვლებოდნენ ხუთი დიდი თავადის სახლიკაცებიც. ხოლო, მცირე ანუ, მეორე ხარისხის თავადის სახლიკაცები მესამე ხარისხის თავადები იყვნენ.

სოლადაშვილები, მათი მამულების ოდენობისა და ქართლის სამეფო კარზე დაკავებული სახელოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საგარაუდოდ, საშუალო, მეორე ხარისხის თავადები იყვნენ. 1797 წლის განჩინებაში ზაზა იორამის ძე სოლადაშვილის და იქსე მსაჯულის შვილების სასისხლო საქმეზე (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 32-41), „ზაზა სოლადაშვილი მესამე ხარისხის თავადად აღირაცხა“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 37). მეორე ხარისხის თავადი მათი სახლის უფროსი იქნებოდა. 1742 წლის შეურილობის წიგნის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ სახლის უფროსი სოლადაშვილების სხვა შტოს წარმომადგენელი ზაზას მამის, იორამის, ბიძაშვილი, ზაზა ქაიხოსროს ძე, ყოფილა (ხევ. Hd 2091). ზაზა იორამის ძე სწორედ ამიტომ აღირაცხა მესამე ხარისხის თავადად.

მცირე, თავადია, ასევე, თავადი დოლენჯიშვილი. დოლენჯიშვილებს მთელი ისტორიის მანძილზე მცირე მამულები და სამეფო კარზე უმნიშვნელო სახელოები ეკავათ.

ქვემო ქართლის სათავადოების შესახებ სამეცნიერო კვლევები, მხოლოდ ბარათაშვილების და მისი შტოგვარების შესწავლით შემოიფარგლებოდა, თუმცა ბარათაშვილების გარდა ქვემო ქართლში სხვა საგვარეულოებიც იყო, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში დაწინაურდნენ.

ნაშრომი, „ქვემო ქართლის მცირე სათავადოები (სოლოდაშვილი, მელიქიშვილი, დოლენჯიშვილი)“ სწორედ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ცდას წარმოადგენს. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად გამოკვლეულია აღნიშნული საგვარეულოების ისტორია, ჩამოყალიბებიდან XVIII საუკუნის ბოლომდე.

ჩვენი კვლევის მიზანი, სწორედ ზემოთ ნახსენები სამი, მცირე სათავადოს (მე-ლიქიშვილების; სოლალაშვილების და დოლენჯიშვილების) შესწავლაა. თუმცა სა-მივე მცირე სათავადოა, მაგრამ, მათ შორის არსებობდა გარკვეული განსხვავება სოციალური მდგომარეობის და ყმა-მამულის რაოდენობის მხრივ.

სამივე სათავადო სხვადასხვა პერიოდში და პირობებში ჩამოყალიბდა და მა-თი, როგორც სათავადოების ისტორია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დღემდე შეუსწავლელია.

ნაშრომის მიზანია ისტორიული დოკუმენტებისა და სამეცნიერო ლიტერატუ-რის საფუძველზე, წარმოვაჩინოთ აღნიშნული სათავადოების სოციალურ-ეკონომიკ-ური და პოლიტიკური ისტორიის საერთო სურათი. ასევე შესწავლილი სათავადოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა სათავადოების ტერიტორიაზე არსებული ხუ-როთმოძღვრული და ეპიგრაფიკული ძეგლები.

ნაშრომი კომპლექსური კვლევის მეთოდს ეფუძნება, რომელიც ზემოთ დასა-ხელებული სათავადოების თითქმის ყველა ნიუანსის დეტალურ განხილვას ითვა-ლისწინებს. კვლევის აუცილებელ პირობას ისტორიულ-კომპარატივისტული მეთოდი წარმოადგენს, რის შედეგადაც მიღებული შედეგი, მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნუ-ლი სენიორიების შესწავლისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი სპეციალისტთა თუ საკითხით დაინტერე-სებული მკითხველისაგან მიღებულ ყოველ საქმიან შენიშვნას მიიღებს და აუცი-ლებლად გაითვალისწინებს შემდგომ საქმიანობაში.

## წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა

სათავადოების შესახებ ცნობები ძირითადად ქართულ ისტორიულ დოკუმენტებშია თავმოყრილი. დოკუმენტები, დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებში. სწორედ ამ დოკუმენტების დახმარებით ხერხდება სათავადოების ტერიტორიის, მისი საზღვრების, შინაგანი ორგანიზაციის, მუურნეობის სახეების, მოსახლეობის, გენეალოგიების და ა.შ. დადგენა.

ქართული ისტორიული საბუთები ძირითადად გამოცემული აქვთ თედო ქორდანიას (ქრონიკები, I, 1892; ქრონიკები, ტ. II, 1897; ქრონიკები, III, 1967), აკად. უქთიმე თაყაიშვილს (სიძველენი, I, 1899; სიძველენი, I, 1920; სიძველენი, II, 1909; სიძველენი, III, 1910), აკად. ნიკო ბერძენიშვილს (დოკუმენტები, 1962; დოკუმენტები, 1940), პროფ. ისიდორე დოლიძეს (სამართლის ძეგლები, I, 1963; სამართლის ძეგლები, II, 1965; სამართლის ძეგლები, III, 1970; სამართლის ძეგლები, IV, 1972; სამართლის ძეგლები, V, 1974; სამართლის ძეგლები, ტ. VI, 1977; სამართლის ძეგლები, ტ. VII, 1981; სამართლის ძეგლები, VIII, 1985). უცხოური, აღმოსავლური საბუთები გამოცემული აქვთ პროფ ვლადიმერ ფუთურიძეს (ქართულ-სპარსული..., 1955), პროფ. მაკარ ხუბუას (ხუბუა, 1949). მეტად საინტერესო და საყურადღებო გამოცემაა „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“ (გამოსულია ოთხი ტომი), რომელშიც შესულია XI-XVII საუკუნეების ქართული დოკუმენტური წყაროებიდან ამოკრეფილი პირთა სახელები, დალაგებული ანბანის რიგზე, შესაბამისი ანოტაციით, ლექსიკონში შესულია ინფორმაცია ამა თუ იმ პირის მოღვაწეობის დროის, წარმომავლობის, საზოგადოებრივი მდგომარეობის და საქმიანობის შესახებ (პირთა ლექსიკონი, I, 1991; პირთა ლექსიკონი, II, 1993; პირთა ლექსიკონი, ტ. III, 2004; პირთა ლექსიკონი, IV, 2007). ასევე მნიშვნელოვანია გეორგიევსკის ტრაქტატზე დართული ქართლისა და კახეთის თავადთა და აზნაურთა სია, რომელიც ტრაქტატის მსგავსად, ორენოვანი იყო. ქართველ თავად-აზნაურთა სიის დართვას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ტრაქტატის გვ-9 გველით ისინი რუს თავად-აზნაურობას («дворянство») უთანაბრდებოდნენ და რუს მოხელეებს ზუსტად უნდა სცოდნოდათ მათი ვინაობა, რათა შესაბამისი პატივი მიეგოთ მათთვის (გეორგიევსკის ტრაქტატი, 1983: გვ. 7, შენიშვნა).

მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი წყაროა „ოსმალობის“ პერიოდში (1723-1735 წწ.) შედგენილი ფისკალური ხასიათის დოკუმენტი „1728 წლის ობილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ორ ტომად, „რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს – ქვემო ქართლს. იგი უნიკალური ძეგლია საქართველოს წარსულის მრავალი საკითხის შესასწავლად. დავთარში აღწერილია ქართლის ყველა დასახლებული სოფელი, დაბეგრილია ყველა ფეოდალი, აზნაური, გლეხი, აზატი, ბოგანო და სხვ. დავთარის მიხედვით შეიძლება გაირკვეს წარმოდგენილი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრული სურათი (1728 წლის დავთარი, I, 2009; 1728 წლის დავთარი, II, 2010). სათავადოების და მათი მეურნეობის, ტერიტორიების და საგვარეულოების წარმომავლობის შესახებ, მეტად მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრონიშვილის ნაშრომები: აღწერა სამეფოსა საქართველოსა; აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, ამ უკანასკნელში მოცემულია ქვემო ქართლის თითოეული მემამულის და მისი ყმების შესახებ ინფორმაცია; საინტერესოა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ატლასი (აღწერა..., 1907; ვახუშტი ბაგრატიონი, 1973; ვახუშტი ბაგრატიონი, 1997). ქართველი დიდებულების შესახებ, ამომწურავი ცნობები აქვს მოტანილი იოანე ბაგრატიონს, თავის ნაშრომში – „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ (იოანე ბაგრატიონი, 1997). სათავადოების კვლევისას მნიშვნელოვანი წყაროებია ახალი ქართლის ცხოვრების (ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959; ბერი ეგნატაშვილი, 1959), პაპუნა ორბელიანის (პაპუნა ორბელიანი, 1981), ომან ხერხეულიძის (ომან ხერხეულიძე, 1981), ისქანდერ მუნშის (ისქანდერ მუნში, 1969) და სხვ. თხზულებებში დაცული ცნობები.

სათავადოების საკითხს, მკვლევართაგან პირველად, სარგის კაკაბაძე შეეხო. მან სათავადოს გაჩენა ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესს დაუკავშირა, იგი აღნიშნავს, რომ სათავადოს სათავეში დგას თავადი, რომელსაც თავის სამფლობელოში სიუზერებული უფლებები აქვს (კაკაბაძე, 1912). საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების ცალკეული საკითხები განხილულია აკად. ივანე ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიის III და IV ტომებში (ჯავახიშვილი, 1966; ჯავახიშვილი, IV, 1967). საყურადღებოა აკად. სიმონ ჯანაშიას ნაშრომები „ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ“ (ჯანაშია, 1952<sup>o</sup>) და „ბარათაშვილების გენეალოგიისათვის“ (ჯანაშია, 1952<sup>b</sup>).

სათავადოთა პრობლემის მეცნიერულ შესწავლას, ქართულ ისტორიოგრაფიაზი, საფუძველი აკად. ნიკო ბერძენიშვილმა ჩაუყარა, თავისი ნაშრომებით: «Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (в XIII-XVI вв.)»; „ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში“ და „საქართველოს ისტორია XIII-XIV სს-ში“ (ბერძენიშვილი, 1965<sup>ა</sup>; ბერძენიშვილი, 1965<sup>ბ</sup>; ნ. ბერძენიშვილი, 1965<sup>გ</sup>). აღნიშნულ ნაშრომებში სათავადოების წარმოშობის წინაპირობები, მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის დაწვრილებითი ანალიზია მოცემული.

ქართული ფეოდალიზმის განვითარებისა და სათავადოების ფორმების განვითარების შესახებ საყურადღებოა: პროფ. გალერიან გაბაშვილის („ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა)“ (გაბაშვილი, 1958) და პროფ. ილია ანთელაგას („XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ პოლიტიკური ისტორიის საკითხები“) ნაშრომები (ანთელაგა, 1980).

XX საუკუნის 50-იან წლებში ქართული ფეოდალიზმის ისტორიის კვლევის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო, რაც ცალკეული საფეოდალოს თუ სენიორიის შესწავლაში გამოიხატა.

პროფ. დავით გვრიტიშვილმა თავის გამოკვლევაში, „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლის სათავადოები“ (გვრიტიშვილი, 1955), ქართლის დიდი სათავადოების (ქსნის და არაგვის საერისთავოები, სამუხრანბატონო, სამილახვრო, საციციანო, საბარათიანო) და სათავადოს პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები შეისწავლა. ნაშრომში დადგენილია ქართლის სათავადოების საზღვრები, ტერიტორია, მოსახლეობა, დახასიათებულია მეურნეობის სახეები, სათავადოს შინაგანი ორგანიზაცია, დამოკიდებულება მეზობელ სათავადოებთან, განსაზღვრულია ამ სათავადოების ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში (გვრიტიშვილი, 1955) სამილახვროს ისტორია მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს პროფ. მანანა ქიქოძეს ნაშრომში – „ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV-XVIII საუკუნეებში (სამილახვრო)“.<sup>1</sup> სადაც განხილულია – სამილახვროს წარმოშობის ისტორია, თავადის უფლებები, როგორც სათავადოში, ისე მეფესთან მიმართებაში, დადგენილია მათი სამფლობელოები, ყმები, აზნაურები (ქიქოძე, 1963). შიდა ქართლის მცირე სათავადოები: გაბეჭიმებამირეჯიბთა, ჯავახიშვილთა, მაჩა-

<sup>1</sup> დისერტაციის შემოკლებული ვარიანტი – იხ. ქიქოძე, 1963.

ბელთა, ფალაგანდიშვილთა, სააკაძეთა, და სხვა, კიდევ უფრო მცირე (ფავლენიშვილთა, ჩიჯავაძეთა, ავალიშვილთა, აბაშიძეთა, ხერხეულიძეთა, დიასამიძეთა, შალიკაშვილთა, როჭიკაშვილთა, ხიდირბეგიშვილთა, სიამარდიშვილთა, თაქთაქიძეთაქიშვილთა), საგვარეულოები, მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს პროფ. გიორგი ოთხმეზურს სადოქტორო დისერტაციაში – „„შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII სს.)“ (ოთხმეზური, 1999).

მაჩაბლების სათავადოს ისტორია შესწავლილი აქვს გიორგი სოსიაშვილს საკანდიდატო დისერტაციაში „ქართლის სათავადოების ისტორიიდან, სამაჩაბლო, (XV-XIX სს.)“ (სოსიაშვილი, 2005), სადაც განხილულია სათავადოს ჩამოყალიბება, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური თავგადასავალი და სხვა საკითხები. გიორგი სააკაძეს და მისი შთამომავლებს – თარხან-მოურავებს შეეხება დოც. რიმა ფირცხალაიშვილის ნაშრომი „იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“ (ფირცხალაიშვილი, 1978).

ქვემო ქართლის სათავადოების, კერძოდ, ქაჩიბაძე-ბარათაშვილ-ყაფლანიშვილების და ამ სათავადოს განშტოებების ისტორიას, სოციალურ ურთიერთობებს და გენეალოგიებს გვაწვდის პროფ. გივი ჯამბურია. მონოგრაფიაში ავტორი ვრცლად მიმოიხილავს საბარათიანოს სათავადოს XV-XVII საუკუნეებში, განიხილავს საგვარეულოს გაყრის და სათავადოს დაშლის ყველა ეტაპს. ბარათაშვილებისგან წარმოშობილ (ქავთარიშვილები, გერმანიზიშვილები, ზურაბიშვილები, აბაშიშვილები, ფალაგანხოსროშვილები, იოთამიშვილები და იარალიშვილები) სათავადოებს (ჯამბურია, 1955).

ქვემო ქართლის წარჩინებული საგვარეულოების და საერთოდ მიწისმფლობელების შესახებ საინტერესო ნაშრომი აქვს პროფ. იასე ლორთქიფანიძეს. სადაც ძირითადად XVIII საუკუნის I ნახევარში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების დაკრების მასალებზე დაყრდნობით, შესწავლილია ყველა ადგილობრივი მფლობელი და მათი სამფლობელო. დადგენილია სტატისტიკური ცნობები მემამულეთა ქონების და ყმების შესახებ (ლორთქიფანიძე, 1935; ლორთქიფანიძე, 1938).

დასავლეთ საქართველოს სათავადოების შესახებ გამოკვლევები აქვს პროფ. ოლდა სოსელიას. მონოგრაფიაში – „ფეოდალური საქართველოს დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოთა სისტემა)“ (სოსელია, 1966), სადაც განხილულია დასავლეთ საქართველოს სათავადოების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტუ-

რა, მათი ჩამოყალიბების და დაშლის ისტორია. ნაშრომში „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან“ (რომელიც წარმოდგენილია სამ ტომად) (სოსელია, 1970; სოსელია, 1981; სოსელია, 1990), შესწავლილია იმერეთის სამეფოს, ოდიშის სამთავროს, გურიის სამთავროს სათავადოები. კერძოდ: პირველ ტომში – აბაშიძეების, იაშვილების, მიქელაძეების, ჩხეიძეების, ჭილაძეების, ლორთქიფანიძეების, ჩიქოვანების, მეორე ტომში – ასათიანების, აფაქიძეების, მესამე ტომში – ჩიჯავაძეების, ლოდობერიძეების, წულუკიძეების, წერეთლების, ნიუარაძეების, თავდგირიძეების და ფალავების სათავადოები, საღაც განსაზღვრულია დასავლეთ საქართველოს სათავადოების სოციალური სტრუქტურა და მათი როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კახეთის სათავადოების შესახებ მეცნიერებაში დღემდე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. პროფ. ნოდარ ასათიანი, ნაშრომში – „საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში“, მიიჩნევს, რომ კახეთში თავადის წოდება კი არსებობდა, მაგრამ სათავადოები XVI-XVII საუკუნეებში არ ჩამოყალიბებულა და „XVIII საუკუნეში არ აღმოცენებულა“ (ასათიანი, 1959: 54), ხოლო პროფ. გიგი ჯამბურიას აზრით, კახეთშიც, XVIII საუკუნეში ისეთივე სათავადოები არსებობდა, როგორიც სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებში (ჯამბურია, 1970: 3-32; ჯამბურია, 2007: 121-161).

ბაგრატიონთა საგვარეულოდან გამოსული სათავადოები და საგვარეულო განშტოებების ისტორია შესწავლილი აქვს პროფ. დავით ნინიძეს. მის ნაშრომებში განხილულია ქართული და დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმის ურთიერთმიმართების საკითხები. ბაგრატიონთა სახლის გვერდითი შტოების (მუხრანბატონების, დავითიშვილების, გოჩაშვილების და სხვების) წარმოშობის საფუძვლები, მათი ისტორია და გენეალოგიები (ნინიძე, 2004).

ფეოდალიზმის და სათავადო მეურნეობებთან დაკავშირებით საინტერესო გამოკვლევები აქვს დოც. ზაზა ხიდურელს. მის ნაშრომში – „ფეოდალური მიწათმფლობელობა XV-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში (სამეფო დომენი)“ (ხიდურელი, 1989), შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს მიწისმფლობელობის საკითხები, მეფის მამულები და ვასალები, დედოფლის მამულები და ვასალები, უფლისწულთა მამულები და ვასალები. ავტორის აზრით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიწისმფლობელობა სწორედ ამით განსხვავდებოდა. ავტორის

აზრით სოლადაშვილები სადედოფლო თავადები ყოფილან.

საეკლესიო სენიორიები შესწავლილი აქვს დოც. ბაბილინა ლომინაძეს, მის ნაშრომებში წარმოდგენილია გარეჯის და ბიჭვინთის სენიორიები, ნაჩვენებია ამ საეკლესიო სენიორიების პოლიტიკური ცხოვრების მთავარი ეტაპები, მიწათმფლობელობის ფორმები, მათი დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან, დადგენილია მათ მფლობელობაში არსებული მამულები, ახსნილია აფხაზეთის საკათალიკოსო რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადატანის გარემოებები (ლომინაძე, 1966). საეკლესიო სენიორიებს ეძღვნება აგრეთვე დოც. გულნარა მჭედლიძის საკანდიდატო დისერტაცია – „ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან (გუდარეხი, ფიტარეთი)“, რომელშიც გუდარეხისა და ფიტარეთის მონასტრები, ასევე გერმანოზიშვილთა და ყაფლანიშვილთა საგვარეულოების ისტორიაა შესწავლილი (მჭედლიძე, 2004).

ქართულ თავადურ საგვარეულოებთან და ბატონიშვილისთან დაკავშირებული საკითხებია განხილული პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილის ნაშრომებში – „ბატონიშვილისა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა“ (ხახანაშვილი, 1910) და «Грузинские дворянские акты и родословные росписи (материалы для истории Грузии)» (ხახანოვი, 1893).

საყურადღებოა პროფ. მიხეილ ბახტაძის ნაშრომი – „ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში“, სადაც განხილული და შესწავლილია, ერისთავების, როგორც ადგილობრივი მმართველების მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, დაწვრილებითაა განხილული უკეთა ერისთავი და საერისთავო. თანმიმდევრობითაა შესწავლილი, თუ როგორ ხდებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მოხელე ერისთავები ფეოდალური მეურნეობების და იმუნიტეტის მფლობელები (ბახტაძე, 2003).

ასევე ქართული ფეოდალური საგვარეულოების შესწავლას ეთმობა მისი ცალკეული ნაშრომებიც, სადაც განხილულია – ფეოდალური საქართველოს დიდებულთა საგვარეულოების წარმომავლობის საკითხები, მათი დამოკიდებულება სხვა ფეოდალურ საგვარეულოებთან და სამეფო ხელისუფლებასთან, მათი სამოხელეო თანამდებობები და სხვ. მათ შორის არიან – სურამელები (ბახტაძე, 2006); ჯაყელები (ბახტაძე, 2008); არაგვის ერისთავები ბახტაძე, 2005; ქვემო ქართლის პიტიახშები (ბახტაძე, 2001); მან ასევე, ცალკე ნაშრომები მიუძღვნა, დასავლეთ საქართვე-

ლოს (ბახტაძე, 2008<sup>o</sup>) და კახეთ ჰერეთის (ბახტაძე, 2008<sup>o</sup>) ფეოდალურ საგვარეულოებს. ფეოდალურ საგვარეულოების შესწავლას მიეძღვნა ასევე პროფ. მზია სურგულაძის (სურგულაძე, 1999), პროფ. ქეთევან ქუთათელაძის (ქუთათელაძე, 2001), პროფ. გიორგი ოთხმეზურის (ოთხმეზური, 2006; ოთხმეზური, 2009) პროფ. როლანდ თოფჩიშვილის (თოფჩიშვილი, 2011), პროფ. ბეჭან ხორავას (ხორავა, 2001), პროფ. რამაზ სურმანიძის (სურმანიძე, 2003) პროფ. ნიკო ჯავახიშვილის (ჯავახიშვილი, 1997) და სხვათა ნაშრომები.

სათავადო მეურნეობების მოშლა და სათავადოს, როგორც ერთიანი სამეურნეო ეკონომიკური სისტემის, რდვევის პროცესები და მიზეზები მონოგრაფიულად შეისწავლა პროფ. აპოლონ თაბუაშვილმა (თაბუაშვილი, 2010).

ქართული საგვარეულოები შესწავლილი აქვთ, აგრეთვე, უცხოელ მეცნიერებს: ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორს კირილ თუმანოვი ნაშრომში “Studies in Christian Caucasian History, Washington, Georgetown University” (თუმანოვი, 1963). საკმაოდ ტენდენციურად განიხილავს ქართული საგვარეულოების წარმოშობის ისტორიას. იგი უმეტესად ცდილობს ქართველ წარჩინებული საგვარეულოების სომხური წარმოშობა დაასაბუთოს. საკითხთა ნაწილი ქართული საბუთებით არ დასტურდება; ამას გარდა, ავტორი ხშირად არ უთითებს წყაროს, რომლითაც ისარგებლა ამა თუ იმ მოსაზრების გამოთქმისას. ფრანგი მეცნიერი უაკ ფერანი ნაშრომში “Familles Princières de Géorgie” – ძირითადად თუმანოვის მოსაზრებებს ეყრდნობა (ფერანი, 1983). ასევე რობერტ პიუსენი, რომელიც თავის მონოგრაფიაში “The Meliks of Eastern Armenia” სომებ მელიქებს განიხილავს, იქვე საქართველოს რამდენიმე წარჩინებულ საგვარეულოსაც ეხება და მათ არაქართულ წარმომავლობას აღნიშნავს (პიუსენი, 1975-1976). საინტერესოა რომან ერმერინის ნაშრომი, რუსეთის წარჩინებული საგვარეულოების შესახებ, სადაც ავტორი, მოკლედ, ქართულ წარჩინებულ გვარებსაც მიმოიხილავს (ერმერინი, 1899).

ბოლო პერიოდში, რუსი ავტორების, სტანისლავ დუმინის და პეტრე გრებელსკის ინიციატივით დაიწყო „რუსეთის იმპერიის წარჩინებული საგვარეულოების“ («Дворянские роды Российской империи») მრავალტომეულის გამოცემა. IV ტომი „საქართველოს სამეფოს თავადებს“ («Князья Царства Грузинского») დაეთმო. ტომი წარმოადგენს სტანისლავ დუმინის და იური ჩიქოვანის სტატიების კრებულს ცალ-

პეული თავადური საგვარეულოს შესახებ. სტატიებში საუბარია საგვარეულოს წარმომავლობაზე და მოღვაწეობაზე, იქვე მოცემულია გენეალოგიური ტაბულებიც (დუმინი, გრებელსკი, 1998). სამწუხაროდ ტაბულებში ბევრი უზუსტობაა გაპარული, რის გამოც, იგი შემდგომი კვლვისათვის დასაყრდენად არ გამოდგება. არგუმენტი.

ჩვენთვის საინტერესო საგვარეულოების გერბების, და საერთოდ ქართულ ჰერალდიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, უმთავრეს ნაშრომს თორნიკე ასათიანის მონოგრაფია – „ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა)“ წარმოადგენს (ასათიანი, 2002; ასათიანი, 2010), როგორც ავტორი აღნიშნავს, წარჩინებულთა გერბების შესწავლისას, უმეტესად ვ. ციხინსკის ხელნაწერი წიგნიდან უსარგებლია. გერბების განახლებულ, თანამედროვე ვარიანტებს გვთავაზობენ გიორგი ზაგაშვილი და მალხაზ ციბაძე წიგნში – „ჰერალდიკის საფუძვლები“ (ზაგაშვილი, ციბაძე, 2006).

## თავი I

### თავადი და სათავადო

#### ზოგადი მიმოხილვა

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ისტორიაში რთული პერიოდი დგება. ოსმალების მიერ ბიზანტიის იმპერიის განადგურებისა (1453 წ. 29 მაისი) და ტრაპიზონის იმპერიის დაცემის (1461 წ.) შემდეგ, საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ცენტრებს და უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზებს მოწყდა. ამის პარალელურად, კავკასიის მთის ხალხებში ისლამი ფეხს მყარად იკიდებს. ამან საქართველოს ჩრდილოეთიდან მთაც დაუპირისპირა და ჩვენი ქვეყნის გარშემო მაჰმადიანური რკალის შემოვლება დასრულდა. გამუდმებულმა ომებმა გამოიწვია „სოციალური და ეკონომიკური სფეროების რეგრესი – ბატონებმობა გახანგრძლივდა: მეურნეობის კარჩაკეტილობის შედეგად ერთიანი ეკონომიკური კავშირები დაირღვა, ნატურალური მეურნეობის პირობებში ფულად სასაქონლო ურთიერთობები არ ჩანს. სამეფო ცენტრი წინააღმდეგობას ვეღარ უწევს სახელმწიფოებად დაშლის ტენდენციას – უოველივეს, საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაში სტაგნაცია მოჰყვა, ქვეყნის წინსვლა ჩიხში მოექცა. „ჩიხი“ ე. წ. „ბატონებმობის მეორე გამოცემის“ მსგავსი მოვლენაა“ (ნინიძე, 2004: 101; ნინიძე, 2002: 56-76).

როგორც პროფ. დავით ნინიძე აღნიშნავს – მაშინ, როდესაც ევროპაში ფეოდალური სამყაროს კრიზისი თანდათან ანგრევს ევროპის ძველ ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სტრუქტურებს, იწვევს აღორძინებას და „ახალ ხანას“. აღმავალი ციკლები, რომლებიც ამ პერიოდში არსებობენ, არა ფეოდალიზმის განვითარებას, არამედ მის „შემოდგომას“ აახლოებენ – მიმდინარეობს კანონზომიერი პროგრესული პროცესი და ამიტომ, მალე „გაპიტალიზმიც ყალიბდება“ (ნინიძე, 2004: 105-106), იგი „საფუძველია პროგრესისა – „ახალი ხანისა“. „ჩიხი“ აღნიშნულის საპირისპირო მოვლენაა, ამიტომ საქართველო ასცდა განვითარების იმ გზას, რასაც დასავლეთი დაადგა (ნინიძე, 2004: 106).

„ჩიხიდან“ საქართველოს გამოსავალი მხოლოდ ხანგრძლივ მშვიდობიანობაში არსებობდა, რისი საშუალებაც ქვეყანას, მუდმივად მტრის შემოსევებისა და აღმოსავლეთის იმპერიების მოწოდის შედეგად არ მიეცა. ამან ქართული სახელმწიფო კანონზომიერი განვითარების გზას ააცდინა. აღმავალი ხაზი დაღმავალმა შეცვალა, მოხდა რეაქციული პერსპექტივების გამოვლენა, რამაც XV საუკუნის ბოლოს, ერთიანი სამეფოს დაშლა გამოიწვია (ნინიძე, 2004: 106).

საბოლოოდ საქართველო სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი და იმერეთი) და სამ სამთავროდ (სამცხე, ოდიში, გურია) დაიშალა. ამ სამეფო-სამთავროებში ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სტაგნაციამ და „დაჩიხულობამ“ ფეოდალური მიწისმფლობელობის და ფეოდალთა იერარქიულ-პოლიტიკურ თრგანიზაციის გარეშეულ ფორმის, „სათავადოს“ წარმოქმნა გამოიწვია.<sup>1</sup>

სათავადოს დამახასიათებელ აუცილებელ ატრიბუტიკას, ქონებრივი თვალსაზრისით გარეშეული რაოდენობის ყმა-მამულის (გლეხები, აზნაურები), ციხესიმაგრის და საგვარეულო ეკლესია-მონასტრის მემკვიდრეობით ფლობა წარმოადგენდა.

მკვლევართა უმეტესობა იზიარებს თვალსაზრისს, რომ „სათავადო ეს არის ქართული საზოგადოების განვითარების დაჩიხულობის პროდუქტი“ (ნიკო ბერძენიშვილი).<sup>2</sup> განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული პროფ. ილია ანთელავას, მისი აზრით სათავადო, როგორც ფეოდალური სახლის საკუთრება, წარმოადგენდა წინამავალი ფორმების განვითარებას, ამ ფორმების მაღალ სტადიურ სახეობას და არა ანომალიას. მკვლევარი იზიარებს პროფ. ვალერიან გაბაშვილის თვალსაზრისს, რომ „ქართული ფეოდალური საზოგადოება, თავადურ-ბატონიშვილი სახელმწიფო, ქართულმა მიწისმფლობელობამ გადაარჩინა“ და მიუთითებს, რომ ქართული მიწისმფლობელობა და „სათავადო“ რეალურად ერთი და იგივეა. პროფ. ილია ანთელავას მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენა გვიან შუა საუკუნეებში კი არ იყო დაკავშირებული „სათავადოთა“ სისტემასთან, არამედ პირიქით, სწორედ ამან განაპირობა სენიორალური სისტემის კონსერვაცია XVI-XVIII საუკუნეებში (ანთელავა, 1980: 16-49).

ქართლის სამეფოში ხუთი დიდი სათავადო ჩაყალიბდა – საამილახვრო, სა-

<sup>1</sup> თუმცა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ამ საკითხეზე დღემდე არ არის საერთო აზრი. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სათავადოები უფრო ადრე, ერთიან საქართველოშიც არსებობდა.

<sup>2</sup> შდრ. გვრიტიშვილი 1955; ოთხმეზური, 1999; სოსელია, 1970; სოსელია, 1981; სოსელია, 1990; გ. ჯამბურია, 1955.

მუხრანბატონო, საბარათიანო, ქსნის საერისთავო, არაგვის საერისთავო.<sup>3</sup> დიდი სა-თავადოების გვერდით არსებობდა მცირე სათავადოებიც – ჯავახიშვილი, მაჩაბელი, ამირეჯიბი, თუმანიშვილი, სოლოდაშვილი და სხვ. საინტერესოა ბარათაშვილების სათავადო, რომელიც თანდათან დაიშალა და მივიღეთ ერთი დიდი (ყაფლანიშვილ-ორბელიანი) და რამდენიმე მცირე (გერმანოზიშვილები, იოთამიშვილები, ფალავან-ხოსროშვილები, აბაშიშვილი და სხვ.) სათავადო.

XVI საუკუნის მიწურულიდან დოკუმენტური წყაროების მონაცემებით დგინდება, რომ ქართლის სამეფოში განსხვავებით კახეთისა და იმერეთისაგან, სადაც უკულა თავადი მეფის უშუალო ვასალად ითვლებოდა, თავადებსა და თავადიშვილებზე სუზერენული უფლებები სამეფო სახლის წევრებს შორის ნაწილდებოდა. ქართლის სამეფოში სწორედ ამ დროიდან დასტურდება სამეფო, სადედოფლო და საუფლის-წულო სათავადო სახლების არსებობა (ხიდურელი, 1989: 117).

დასავლეთ საქართველოში დაახლოებით იგივე პროცესები მიმდინარეობს, რაც აღმოსავლეთ საქართველოში. „თავადს დასავლეთ საქართველოში, საერთოდ, ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი მდგომარეობა ჰქონდა. მის პოლიტიკურ ძალაუფლებას, დამოკიდებულებას მეფესთან თუ მთავართან, მის ურთიერთობას სხვა თავადებთან, მისი მატერიალური შესაძლებლობა და მასზე დამყარებული ძალა განსაზღვრავდა, თავადს იმდენად მეტი ძალაუფლება გააჩნდა, რამდენადაც მსხვილი იყო მისი ყმა-მამული“ (სოსელია, 1970: 5).

იმერეთის სამეფოში ჩნდება – ჩხეიძეების, წერეთლების, რაჭის ერისთავების, ლორთქიფანიძეების, აბაშიძეების, ჩიჯავაძეების სათავადოები, ოდიშში – ჭილაძეების, ჩიჩუების, ჩიქვანების, აფაქიძეების სათავადოები, გურიაში – მაჭუტაძეების, ნაკაშიძეების, თავდგირიძეების და სხვ. სათავადოები. იყო სათავადოები, რომელთა მფლობელობა ორი სამეფოს ტერიტორიაზე კრცელდებოდა, დროთა განმავლობაში ამგარ სათავადოთა ტერიტორიაც გაიყო და მათი მფლობელობა ცალკეულ სამეფო-სამთავროთა შიგნით შემოისაზღვრა. ფეოდალურ საქართველოში სულ სამი ასეთი სათავადო იყო, გახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ „აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი ამათ ერთობისა ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშონენ, ვი-

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით – დიდი თავადი ყოფილა ციციშვილიც სანამ გაიყოფოდნენ. „ოდეს გაუყოფელი იყო“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 35); ვახტანგის სამართალიც იგივე იმეორებს. „ციციშვილი როცა გაუყრელი ყოფილა“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 520).

თარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“ (ოთხმეზური, 1999: 4).

სამცხე-საათაბაგოში უფრო რთული ვითარება იყო. მაშინ, როცა საქართველოს სამეფო-სამთავროებში სათავადოთა სენიორალური სისტემა ყალიბდებოდა, სამცხის სამთავრო შინაომებით იყო მოცული – მესხეთში ერთმანეთს იქაური თავადები და მთავრები ებრძოდნენ. ქაიხოსრო II-ის (1545-1574 წწ.) გარდაცვალების შემდეგ ათაბაგი მისი შვილი ყვარყვარე IV (1574-1581 წწ.) გახდა, მაგრამ სამთავროს ფაქტობრივად, დედამისი, ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე და ძალაუფლების მოყვარე დედისიმედი განაგებდა. მესხეთში ჯაყელების შემდეგ, პირველები შალიკაშვილები იყვნენ. დედისიმედი ვერ ურიგდებოდა შალიკაშვილების ძლიერებას, ამიტომ ვარაზა ოთარის ძე შალიკაშვილი მოაკვლევინა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ათაბაგსა და შალიკაშვილებს შორის. მალე შეთქმულებამ იჩინა თავი, რომელმაც 1576 წლის ივნისში აჯანყების ხასიათი მიიღო (გუჩია, 1973: 125-126). აჯანყებულებსა და ათაბაგებს შორის ატეხილმა, თითქმის ოცოვიანმა, ომმა ადგილობრივი მეურნეობა გაანადგურა, დაინგრა მნიშვნელოვანი ციხეები. ამას დაემატა ისიც, რომ მესხეთი ოსმალეთმა დაიპყრო და 1579 წელს ახალციხის (ახისხის, ჩილდირის) საფაშო დაარსდა (სვანიძე, 1971: 133). ოსმალების და ჯაყელების წინააღმდეგ მებრძოლი ადგილობრივი ფეოდალური სახლების ნაწილი იძულებულნი გახდა სამცხე-საათაბაგო დაეტოვებინა და თავი საქართველოს სხვა კუთხეებისთვის შეეფარებინა. სადაც ახალი საგვარეულოები და სათავადოები დააარსეს, თუმცა ყველა მესხი თავადი (შალიკაშვილები, დიასამიძეები, დოლენჯიშვილები და სხვ.) სხვა ადგილობრივ ფეოდალებთან შედარებით, ერთი რანგით დაბლა აღმოჩნდა. უფრო ადრე, XV საუკუნეში, ათაბაგ ყვარყვარე II-სთან (1451-1498 წწ.) დაპირისპირების გამო ქართლში ზაზა ფანასკერტელი გადავიდა, რომელმაც ფანასკერტელ-ციციშვილების საგვარეულოს ჩაუყარა საფუძველი.

კახეთში სათავადოების შესახებ განსხვავებული მოსაზრება არსებობს. პროფ. ნოდარ ასათიანის თვალსაზრისით, „საქართველოს სხვა ნაწილებისაგან განსხვავდით, სადაც XV საუკუნისა და შემდეგ საუკუნეებში შეუფერხებლად განვითარდა სათავადოთა სისტემა, კახეთის სამეფო XV-XVI სს-ში სათავადოები არ აღმოცენებულა. მეფის ხელისუფლება აქ შედარებით ძლიერი იყო. კახეთის თავადებს არ ჰყავდათ ყმა აზნაურები და გარდა ამისა, კახეთში მოხელეობას მასთან დაკავშირებული სათანადო სარჩოთი ადგილობრივი თავადისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა

პქონდა. ამიტომ კახეთის თავადები მეფის მიმართ უფრო თვინიერი იყვნენ და მეფის ხელისუფლებაც კახეთში განსხვავებით ქართლისა და იმერეთისაგან, უფრო მტკიცე ჩანს“ (ასათიანი, 1959: 27-55).

პროფ. გიგი ჯამბურია არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ კახეთშიც ისეთივე სათავადოები იყო, როგორიც საქართველოს სხვა მხარეებში (ჯამბურია, 1970: 3-31; ჯამბურია, 2007: 121-161).

კახეთის სამეფოს თავადური საგვარეულოებია: ჩოლოყაშვილი, მაყაშვილი, ანდრონიკაშვილი, ჯორჯაძე, ვაჩნაძე და სხვ.

სათავადოში საკუთრების ძირითადი ფორმა საერთო, ანუ „სახასო“ მამული იყო. მამულში იყო ეკლესია, სასახლე, მოხელეები და ყმა-გლეხები. ყოველივეს სახლის უფროსი განაგებდა. სახლის უფროსი სათავადოში უზენაესი გამგებელი იყო. სათავადო სახლის ყველა საქმეს ის განაგებდა (ჯამბურია, 1973გ: 210). სახლის უფროსი შემოსავლიდან საუფროსოს იდებდა. შემოსავლის შედარებით მცირე ნაწილი თავადიშვილებს გადაეცემოდათ. „საერთო“ მფლობელობა სათავადოს არსებობის გარანტი იყო. „საერთო“ ქონების გარეშე მას არ შეეძლო არსებობა, რადგან მისი ეკონომიკური, სასამართლო და ადმინისტრაციული შეუვალობა ამ ერთიან მამულზე იყო დამოკიდებული. სათავადოში მფლობელობის მეორე ფორმა „საუფლისწულო“ ქონება იყო. თავადიშვილებს დროებით გადაეცემოდათ მიწისა და ყმა-გლეხთა გარევული ნაწილი „სარჩოთ და საცხოვრებლად“. სახლის უფროსის დაუკითხავად თავადიშვილი მას ვერც გააჩუქებდა და ვერც გაყიდიდა. ის იყო „სახლის ქონება, ნაწილი საერთო ქონებისა, რომელიც დროებით მფლობელობაში აქვს გადაცემული თავადიშვილს“ (ჯამბურია, 1973გ: 204-205). „საუფლისწულო“ ქონებას ორმაგი ბუნება გააჩნდა – სათავადოს ძლიერების დროს ის საერთო მამულად იქცეოდა, მისი დეგრადაციის პერიოდში დამახასიათებელი იყო „სათავისთაოდ“ გადაქცევის ტენდენცია.

სათავადოში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა საკუთრების მესამე ფორმა. ეს იყო „სათავისთაო“ ქონება. „სათავისთაო“ ქონება ფეოდალური სახლის წევრების, თავადიშვილების მიერ პირადად შეძენილი (ნაყიდი, ნამზითევი, მეფის ნაწყალობევი და სხვ.) ქონება იყო. მფლობელს ამ მიწაზე საკუთრების ხელშეუხებლობა გააჩნდა. ის არ შედიოდა საერთო მამულის დაქვემდებარებაში (ჯამბურია, 1955: 144).

ყველა სახის ყმა-მამული სათავადოზე გადაცემულია „სამკვიდროდ, სამამულედ უცილობლად და ხელშეუვლად ერთგულად სამსახურის პირობით. მკვიდრი მამულის ჩამორთმევა მეფეს მხოლოდ ღალატის შემთხვევაში შეეძლო, რადგან „ნაწყალობევის დაუშავებად წართმა აროდეს ყოფილიყო“. სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში მეფე თავადს სამფლობელოს მხოლოდ იმ ნაწილს ჩამოართმევდა რომელიც პირადად მას ეკუთვნოდა. ჩამორთმეული მამული ზოგჯერ იმავე სათავადოს მეორე წევრს გადაეცემოდა; მეფე ცალკეულ შემთხვევებში თუ ახერხებდა სხვა გვარისათვის გადაეცა ჩამორთმეული მამული, ან თავისთვის დაეჭირა იგი (ჯამბურია, 1973გ: 203).

„სათავადო“ უფრო მტკიცე საკუთრებაა, ვიდრე ერთიანობის ხანის სენიორალური სისტემა. თავადს დიდი უფლებები ჰქონდა, მას მამულის თავისუფლად გასხვისება შეეძლო. ცენტრალური ხელისუფლება ურიგდება ამ ფაქტს, თუმცა თვლის, რომ თავადის მიერ მამულის გასხვისების შემთხვევაში „ხელმწიფესაც უნდა დაკითხვა, მაგრამ უკითხავადაც სყიდულა და არც ხელმწიფე გამოჰკიდებია“ (სამართლის ძეგლები, I, 1963).

სათავადოს მხოლოდ სამხედრო სამსახური ევალება, თავადის სამფლობელოს ედო აგრეთვე ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადი – კოდის პური, საური და სხვ., რაც იმუნიტეტის გაფართოება გაღრმავების შედეგად თანდათან მცირდება (ჯამბურია, 1973გ: 204).

იმუნიტეტი თავადს ხელისუფლების ზეწოლისგან იცავდა. როგორც პროფ. გიო ჯამბურია აღნიშნავს – „ქართული საბუთების ფორმულა „მკვიდრად და სამამულედ“ ან კიდევ „შეუვალად“ ბოძება გულისხმობდა იმუნიტეტს“ (ჯამბურია, 2002: 92). სათავადოების იმუნიტეტთან დაკავშირებით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის არსებითი განსხვავება არ ყოფილა (სოსელია, 1970: 10-12).

ვეოდალის უფლებები მუდმივად იზრდებოდა, ხშირად გლეხის ერთადერთი მოსამართლე მისივე ბატონი იყო, რომელიც გლეხის დასახიჩრებას და სიცოცხლის ხელყოფასაც არ ერიდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა დასავლეთ საქართველო, ამ უკანასკნელში კი – სამეგრელოს სამთავრო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი წერს: „აქაურ ბატონს შეუძლია გაასამართლოს თავისი ყმა და ყმას ნება არ აქვს მის განაჩენზე იჩივლოს თვით მთავრის წინაშეც. ბატონს შეუძლია არამც თუ

დაატუსალოს თავისი ყმა, არამედ აწამოს და სასტიკად დასაჯოს, მაგალითად მოსჭრას ხელი, ფეხი, ამოსთხაროს თვალები, წაართვას ყოველივე ქონება და მოუსპოს თვით სიცოცხლეც. გარდა ამისა, თუ რომელიმე ყმა უშვილოდ გადავარდა, მისი ყოველივე ქონება რჩება ბატონს. ზოგჯერ, როცა ყმას მარტო ერთი მცირეწლოვანი შვილი რჩება, ბატონი ამ შვილს ჰყიდის ხოლმე თურქეთში და მისს მემკვიდრეობას თვითონ დაიჩემებს“ (ლამბერტი, 1991: 521).

სათავადო თავადური გვარის წევრთა გაერთიანებულ, ერთ ფეოდალურ ერთეულად ორგანიზებულ, სამფლობელოს ერქვა.

სათავადოს უფროსი „თავადად“ იწოდებოდა, სხვები კი „სახლიკაცებად“ ან „თავადიშვილებად“. მაგ. თავადი ამილახვარი იყო ოჯახის უფროსი, მისი შვილები, ძმები, და ბიძაშვილები კი ამილახვრის შვილები, ანუ თავადიშვილები იყვნენ.

სათავადოს და თავადის უფლებრივი მდგომარეობა კანონმდებლობით იყო დარეგულირებული. თავადის და სათავადოს უფლებების, მოვალეობების და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საუბარია ვახტანგ VI-ის სამართალში. სამართალში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ქართლში სამი ხარისხის თავადი არსებოდა, რომელთა სისხლიც სხვადასხვა ფასით განისაზღვრებოდა, ანუ „ესე არის გარიგებული, დიდ აზნაურზე ერთიორად დაბალის თავადისა, დაბალის თავადზე ერთიორად შუას თავადისა, შუას თავადზე ერთიორად დიდებულისა“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 489).

– დიდებული თავადი, რომლის „მთელი სიკუდილის სისხლი ათას ხუთას ოცდათექუმეტი თუმანი“ დირს.

– დიდებულის ქუემოთი, ანუ შუა თავადი, რომლის სისხლიც დიდებული თავადის სისხლის ნახევარი შვიდას სამოცდარვა თუმანია. ამდენივე დირს დიდებული თავადის სახლიკაცის სისხლი.

– ამის ქუემოთის, ანუ მესამე ხარისხის თავადი სისხლი „სამას სამოცდარვა თუმანი“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 489).

როგორც პროფ. გივი ჯამბურია აღნიშნავს, თავადთა დაყოფა სამ ხარისხად ვახტანგის სამართლამდე ასე მკაფიოდ არსად ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დაყოფა ვახტანგის შემოქმედების ნაყოფია – რეალური განსხვავება თავადთა წოდებაში იმდენად მომწიფებული იყო ვახტანგის დროს, რომ ამის გაფორმება იურიდიულად აუცილებელი გახდა (ჯამბურია, 1955: 111).

ვახტანგის სამართალში ვკითხულობთ, რომ „დიდებული თავადი ეს არის: გაუყრელი ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ამილახორი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ორბელიშვილი, როცა გაუყრელი ყოფილა ციციშვილიც: ამათთან კი არა და სომხითის მელიქიც ითქმის, ამათსა გარდაისად ამათსავ სისხლის კაცებს ამათთან სისხლი არა ჰქონის. სხვა უფროსი თავადი რომ დაგვიწერია დიდებულის ქვეითი იმათ ოდენი სისხლი ედინების“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 520). ამ სახლის თავადები – დიდებულები, რომელთაც „თავი კაციც“ ჰქვია, უფლებითა და მდგომარეობით განსხვავდებოდნენ არა მარტო სხვა გვარის თავადებისაგან, არამედ, როგორც დავინახეთ, თვით თავიანთი სახლიკაცებისაგანაც კი. სახლის უფროსის, დიდებული თავადის სისხლი დირდა 1536 თუმანი, მისივე სახლიკაცისა კი – 769 თუმანი. თავის სახლიკაცებთან შედარებით დიდებულის ასეთი დიდი პატივი იმით უნდა აიხსნას, რომ იგი, გარდა იმისა, რომ დიდგვაროვანი და „სახლის უფროსი“ იყო, მეფის მოხელეც გახლდათ. მაგ: ყაფლანიშვილები მეწინავე, სომხით-საბარათიანოს, სადროშოს სარდლები იყვნენ, ამილახვრები – შიდა ქართლის სადროშოს სარდლები და ა. შ.

აქედან დასკვნა, „დიდებული თავადი“, ანუ პირველი ხარისხის თავადი „სახლის უფროსია“, სახლიკაცები კი მეორე ხარისხის თავადები არიან.

საინტერესოა 1797 წლის 10 ივლისის განჩინება ზაზა სოლადაშვილის და იქსე მსაჯულის, ბარათაშვილის შვილების სასისხლო საქმეზე (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 32-41). იქსე მსაჯულის შვილები ზაზას მიუხერნენ და დაარბიეს. დამნაშავეები ვახტანგის სამართლის მიხედვით დაავალდებულეს, „ზაზა სოლადაშვილი მესამე ხარისხის თავადად აღირაცხა“. საბუთში მესამე ხარისხის თავადის სრული სისხლის ფასი სამასოთხმოცდაოთხი თუმნით განისაზღვრა (ვახტანგ VI-ის მიხედვით სამას სამოცდარვა თუმანია), და მიხდომისათვის ამის ნახევარი 192 თუმანი გაუჩინეს (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 37), ამას დაემატა მოხელეობის პატივის სისხლი (ზაზა კათალიკოსის მოლარეთუხეცესი იყო) 96 თუმანი, ჯამში 288. კიდევ პატარ-პატარა დაზიანებებისთვის, სულ იასე მსაჯულის შვილებს ვახტანგის სამართლის მიხედვით 224 თუმანით განესაზღვრათ დანაშაული და ეს „ორასოცდაოთხი თუმანი ზაზა სოლადაშვილს უნდა დაუყრვონ და მისცენ“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 68).

და კიდევ: თუ ზაზა ამ ჩხუბის გამო მომავალში შეუძლოდ გახდება, „იმისას რასაც სამართალი მისცემს, უგდენი სისხლი გაუჩნდება“, ან „თუ ზაზას ცოლს მუცელი წაუხდა, როგორც მეფის ვახტანგის სამართალი უჩენს, მთელი სისხლი უნდა მისცენ“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 38).

მიუხედავად იმისა, რომ თავადთა წოდებაში არსებობს კატეგორიები, თავადს თავადი ყმად მაინც არ ჰყოლია, თავადს ყმად ჰყავდა აზნაური. ამის შესახებ ვახტანგის სამართალში ვკითხულობთ: „თუ დიდებულის სისხლი დიდებულს ეწამების და მათი მთხობელი შუა თავადი არის, დიდებული დიდებულის საქმეზე შუა თავადს ხომ არ გაჰყვების და შუა თავადის ტოლი ყმა ხომ არ ეყოლების, რომ გაატანოს ამაში ხმალი არ მოხდების და ისრევ ან ფიცით ან მოწმობით გაიმართლებდენ თავსა“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 481).

სისხლის ფასის განსაზღვრის სხვა მუხლებში ვახტანგი საუბრობს სასისხლო სიგელებზე, და გარკვეულწილად ეჭვი შეაქვს მის სიზუსტეში, თუმცა ამას ღიად არ ამბობს, „მე ასრე მგონია, იმ ძველს განაჩენებზე სამართალი მნელი იყოს, იმიტომ რომე, მაშინ ქართველი ბატონიც დიდი ხელმწიფე ყოფილა, დიდი ალაგი სჭრია, და მის თავადსაც მამული და მორჭმა ბევრი პქონებიათ, ამიტომ ის განაჩენები უბრძანებიათ“. და იქვე კიდევ ერთხელ აზუსტებს, რითაც ფაქტიურად აუქმებს სასისხლო სიგელებს, „რაც ახლა სისხლი გაგვიჩნია, ვეჯვობ, ესეც კმარ იყოს“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 487).

სათავადოებში ხშირად ხდებოდა გაყრა. ვახტანგის სამართალში გაყრის შემთხვევაში განსაზღვრული იყო უფროს-უმცროსის უფლება-მოვალეობები და გაყრის წესები, ვის რა ქონება ერგებოდა.

„გაყრაში ეს ოთხი არის: საუფროსო, გასამყრელო, საუმცროსო და საშუალო“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 508).

„**საუფროსო** ასრე არის და ასრე უნდა“, რისი პატრონებიც არიან: აზნაურის, გლეხის თუ სხვა ბოგანოს გარდა, მდივანმა უნდა აღწეროს და რამდენიც იქნება „ოცს კომლზე ერთს უაეთესს, რომელიც უნდა უფროსი გამოირჩევს და ერთს უარესს სხვა ძმები, რომელიც უნდა იმას მისცემენ“. რამდენი ოცი კომლი იქნება ესე უნდა გაიყონ, „დარჩების ბოგანო და იმაზედაც ასრე უნდა იქნას“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 508).

„**გასამყრელო** ხელმწიფისა არის“ უფროსი, რომ საუფროსოს აიდებს „მერმე

ოცისთავს, როგორიც ხელმწიფეს ეპრიანების იმისთანას გლეხს აიღებს, თუ უნდა ერთს ალაგს, თუ უნდა დაფანტვით, იქნების, დიდს თავადზე სოფელიც აიღოს“. ამას სამართლის მიხედვით მეფე თვითონ იკავებს „როგორც თავისი სახასო“, „ეპრიანების, თვითან დაიჭერს, იქნების სხვას უბოძოს“, შეიძლება იმავე საგვარეულოს წევრსაც უბოძოს (სამართლის ძეგლები, I, 1963: 508).

„**საშუალო** ასრე არის, აქამდე შვას მმას არას მისცემდენ, თუ არ დიდად მოჭირნახულესა, მაგრამ ახლა მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა (იგულისხმება გიორგი XI – 1676-1709 წწ. ა.ბ.), რომე შუათანას მმებსაც ერთს რასმე მისცემენ“. თუ რამოდენიმე არიან „ამ გლეხების ოცისთავი იანგარიშონ“, რამდენი კომლიც გამოვიდეს ის გაუყონ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 508).

**საუმცროსო.** უმცროსი მმისაა „სასახლე, რომელიც მამასა გინა მმათა სასახლეთ შემოუფარგლავთ ანუ ფუძედ დაუჭირავთ, იმაში რაც შენობა უქნიათ, ყველა უმცროსისა არის“; „შიგ რაც ბალი იყოს“ და „გარეთ კალო საბძელიცა“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 508).

უკანონო შვილს მამულიდან არაფერი ერგებოდა, „ნაბიჭურის წილი არ არის მამულში“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 511).

ვახტანგი იქვე აღნიშნავს, „სასაფლაო, ხატი, ჯვარი, საყდრის მამული ერთია, თუ არ გაჰყოფენ, ისი სჯობს“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 509).

მომდევნო მუხლებში საუბარია გაყრის ძველ წესზე, ამ წესის მიხედვით, „სანამდინ მმანი ერთად არიან, ჭირი და ლხინი, საშოვარი, უშოვრობა, წანართმევი თუ ნაბოძები, ნაპოვნი თუ დაკარგული, რაც რამ ფერი, ყველა ერთი არის“, და ცხოვრობდნენ მმურად, „უფროსმან საუფროსო, უმცროსმან – საუმცროსო“ იცოდა (სამართლის ძეგლები, I, 1963: 510-511).

უმაღლესი ხელისუფლების წყაროს სათავადოებში თვით სათავადო წარმოადგენდა. სათავადოს უფროსს თვითონ მისი გვარის წევრები ნიშნავდნენ, „ამ მხრივ სათავადოს დასავლეთ საქართველოში მეტი დამოუკიდებლობა ჰქონდა“ (სოსელია, 1970: 10), აღმოსავლეთ საქართველოში სახლის უფროსს მეფე ნიშნავდა, მაგრამ აქაც ფორმალობას ჰქონდა აღგილი, მეფე მხოლოდ თუ დაამტკიცებდა სახლიკაცების მიერ წარმოდგენილ კანდიდატურას, მირითადად თავადის უფროს ქანს ან მომდევნო მმას. სათავადო მხოლოდ მაიორატით არ ჰგავდა სამეფოს, მისი სტრუქტურაც იმ სამეფოს თუ სამთავროს მსგავსი იყო, რომელშიც იგი იყო. თავადს თავისი

სამოხელეო აპარატი ჰქონდა, მართვა-გამგეობა სათავადოს უფროსის ხელში იყო, სათავადოში მოხელეთა დანიშვნა-გადაყენება მისი კომპეტენცია იყო, ხოლო სახლიკაცები სათავადოს სხვადასხვა მხარეში ისხდნენ და განაგებდნენ თავის საგამგეოს.

სათავადოს ჰქონდა თავისი „სახლის რიგი“. იგი სათავადოს ერთგვარ „კონსტიტუციას“ წარმოადგენდა, სადაც აღნიშნული იყო სათავადოს უფროსისა და სახლიკაცების უფლება-მოვალეობანი, მოცემული იყო ის ძირითადი საფუძვლები, რასაც სათავადოს ერთობა, უფროს-უმცროსობა ემყარებოდა. დასავლეთ საქართველოში „სახლის რიგს“ უფროსი ადგენდა და სახლიკაცებს უთანხმებდა. აღმოსავლეთ საქართველოში კი მევე ამტკიცებდა.

სათავადოების უფლებების შეზღუდვა ერეკლე II-მ (1744-1798 წწ.) დაიწყო. მის მიერ გატარებულმა აღწერის რეფორმამ, თავადებს ჩაკეტილი სივრცე დაურღვია. რეფორმის შემდეგ სათავადოს მოსახლეობის აღწერას ცენტრალური ხელისუფლება აწარმოებდა, ამან თავადებს ის ბერკეტი წაართვა, რომლის საშუალებითაც ისინი მოსახლეობასა და სამეფო ხელისუფლებას შორის ბარიერად იყვნენ აღმართულნი. ერეკლე II-მ საგადასახადო სისტემის სრული გარდაქმნა მოახერხა, რომლის მიხედვით თავადებს ჩამოერთვათ ე.წ. საგადასახადო იმუნიტეტი – მათი ყმები, ისევე როგორც სახასო ყმები, სრულიად იბეგრებოდნენ და ამ გადასახადის განაწილება-შეგროვების ერთპიროვნული უფლებაც დაკარგეს. ერთი სიტყვით, საგადასახადო სისტემა ცენტრალიზებული გახდა. ხოლო სამხედრო რეფორმების შედეგად შეიქმნა მცირე, მაგრამ სტაბილური სამხედრო ძალები. ამით ერთი მხრივ გაიზარდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი და მეორე მხრივ სათავადოებს ის ტრადიციული ფუნქცია ჩამოერთვა, რაც ჯარის გამოყვანაში გამოიხატებოდა.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში სათავადოებმა საპოლიციო-ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტი დაკარგეს. ცენტრალური ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბდა „შინაგან საქმეთა უწყება“ მდივანბეგებისა და ემიკალასბაშების მეთაურობით. ქვეყნის მთელი ტერიტორიის ადმინისტრირებას ეს უწყება ახდენდა (თაბუაშვილი, 2010).

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ კი რუსეთის იმპერიაც ყველა დონეს ხმარობდა, რათა მოესპონ სათავადო ვასალურ-სენიორალური სისტემა.

ამ პერიოდში ყველა სათავადოში სახლის წევრები იყოფდნენ საერთო-საგვა-

რეულო ყმა-მამულს: ციციშვილები, ამილახვრები, ორბელიანები (ყაფლანიშვილები), ქსნის ერისთავები, წერეთლები, აბაშიძეები, ჯორჯაძეები, მაყაშვილები და ა.შ. მაგ., ციციშვილთა სათავადო 1800-1859 წლებში 14-ჯერ გაყოფის შედეგად 50-მდე და-მოუკიდებელ ერთეულად დაქუცმაცდა, 1805-1812 წლებში, 7 წელიწადში სათავადო საამილახორო გაყოფის შედეგად 10 საბატონო ერთეულად დაქუცმაცდა, ხოლო ქსნის ერისთავთა სათავადო 1807-1842 წლებში 7-ჯერ გაყოფის შედეგად 22 დამოუ-კიდებელ საბატონო ერთეულად დაიშალა (გოგოლაძე, 1980: 135).

1803 წელს აღმოსავლეთ საქართველოში და 1851 წელს დასავლეთ საქართვე-ლოში თავადი და აზნაური უფლებრივად გაუთანაბრდა ერთმანეთს.

1827 წლის კანონით საქართველოს თავადაზნაურობა რუსეთის თავადაზნაუ-რობას («дворянство») გაუთანაბრდა (გოგოლაძე, 1980: 137). 1807 წელს საგადასახა-დო იმუნიტეტი გააუქმეს ქართლ-კახეთში, 1845 წელს – იმერეთში, 1860 წელს – გუ-რიაში (გოგოლაძე, 1980: 136). XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ გატარებული დონისძიებების შედეგად საქართველოში საბოლოოდ მოიშალა სათავადოთა სისტე-მა.

## თავი II

### მელიქიშვილების სათავადო

ქართლის სათავადოების უმეტესობა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ერთიანი საქართველოს დაშლის პერიოდში ჩამოყალიბდა. მათგან განსხვავებით, მელიქიშვილების სათავადო, უფრო მოგვიანებით, XVII საუკუნეში გარედან, ირანიდან, ინიცირებული ძალებით გაჩნდა. მელიქიშვილები, დაწინაურებამდე, საგარაუდოდ ადგილობრივი აზნაურული სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ.

#### § 1. მელიქის სახელო

როგორც ცნობილია, „მელიქი“ ძველი აღმოსავლეთის ხალხებში გაჩნდა და თავიდანვე მმართველს და მეფეს აღნიშნავდა. მოგვიანებით, არაბული ენიდან – მფლობელის, გამგებელის, მეფის მნიშვნელობითვე გავრცელდა. ისლამამდე, მელიქი, ჰასანიდების და ლაპამიდების არაბული სახელმწიფოს გამგებელი, სამხრეთ-აღმოსავლეთ არაბეთის ზოგიერთი ტომის და ცენტრალური არაბეთის ტომთა მეთაური იყო. ისლამის გავრცელების შემდეგ, ტერმინ „მალიქს“ არაბები უპირატესად არამუსლიმი გამგებლების მიმართ (მონარქის მნიშვნელობით) იყენებდნენ. XIII-XVIII საუკუნეებში კავკასიაში ტერმინი „მელიქი“ ფეოდალთა ტიტულს და თანამდებობას აღნიშნავდა. აზერბაიჯანსა და სომხეთში მელიქები ნახევრად დამოუკიდებელი მფლობელები იყვნენ. მონღოლების დროს, მელიქებად ადგილობრივი ქრისტიანი ფეოდალები იწოდებოდნენ, შაჰ აბას I-ის (1587-1629 წწ.) დროს კი – შაჰზე დამოკიდებული ფეოდალები (სურგულაძე, 1983: 558).

მელიქის თანამდებობამ, კავკასიაში, განსაკუთრებით, გვიან ფეოდალურ ხანაში მოიკიდა ფეხი. იმ დროს, დღევანდელი აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე, რამდენიმე სამელიქო არსებობდა, რომელთაც შაჰის ხელისუფლებისგან გარ-

პერიოდი უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. საქართველოს ტერიტორიაზე მელიქები ქვემო ქართლში, თბილისში და გორში გვხვდებიან. მელიქებს ყველგან განსხვავებული უფლებები ჰქონდათ. საქართველოში ეს სახელო ასევე ირანის ხელშეწყობით გაჩნდა, თუმცა, შემდეგ დამკვიდრდა და საგმაოდ დიდხანსაც არსებობდა (ბოჭიშვილი, 2011გ, გვ. 45). ნაშრომში ძირითადად ყურადღებას გავამახვილებთ, კავკასიაში გვიან შუა საუკუნეებში არსებულ მელიქებზე, როგორც აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე მყოფ სამელიქოებზე (ყარაბაღის მელიქები), ასევე საქართველოში არსებულ მელიქებზე (თბილისის მელიქი; მელიქ-მამასახლისი; გორის მელიქი; ლორის მელიქი; სომხეთის მელიქი – თავადი **მელიქიშვილი**).

## § 2. ყარაბაღის სამელიქოები

XVII-XVIII საუკუნეებში ყარაბაღის ტერიტორია ირანის შემადგენლობაში იყო მოქცეული. ყარაბაღის ანუ შუშის ხანი ცენტრალური მთავრობის უზენაესობას აღიარებდნენ, მაგრამ მაინც ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ხახანო დამოუკიდებლად ემართათ (გეგუჩაძე, 1996: 33).

სწორედ ამ ამ პერიოდს ემთხვევა ყარაბაღში სამელიქოების არსებობა. ყარაბაღის სამელიქოებს გააჩნდათ გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი „ხამსა“. „ხამსე“ არაბული სიტყვაა და ხუთეულს ნიშნავს. ხამსა ყარაბაღის ხუთი სამელიქოს გაერთიანება იყო, რომელთაც XVI-XVIII სს. შექმნეს: ჯარი, სამართალწარმოება და ა. შ. მელიქობა შაჰისაგან ადგილობრივი ფეოდალებისათვის მიცემული ტიტული და გარკვეული სახის ავტომომიურობა იყო. აღნიშნული სამელიქოები ყარაბაღის სახანოში მდებარეობდა და ადგილობრივი, ყარაბაღის, ხანის ნების ამსრულებელი იყო (გეგუჩაძე, 1996: 32-34; რაფი, 1991: 15-17).

ხამსას სამელიქოებს შორის, ტრადიციულად, ყველაზე ძველ და გავლენიან საგვარეულოდ მელიქ ჰასან-ჯალალიანთა სახლი ითვლებოდა, ამ საგვარეულოდან ინიშნებოდნენ ალბანეთის კათალიკოსები, მოგვიანებით განდასარის მიტროპოლიტები და ასევე მათ სამელიქოში ხაჩენში იკრიბებოდა მელიქების საბჭო („ხამსა“). ჰასან-ჯალალიანები ყარაბაღის სხვა წარჩინებულ საგვარეულოებს შორის უხუცესებად იყვნენ აღიარებულნი (რაფი, 1991: 19-25).

სომეხი მწერალი რაფი (აკოფ მელიქ-აკოფიანი) აღნიშნავს, რომ ხამსას მელიქის ყველა საგვარეულო მოსული ყოფილა, ჰასან-ჯალალიანი კი ადგილობრივი ძირძველი წარმოშობის საგვარეულოა (რაფი, 1991: 17). სომეხი მეცნიერი ბაგრატ ულუბაბიანი აღნიშნავს, რომ სხვა სამელიქოებიც არწახის სამი წარჩინებული სამთავროს განშტოებები არიან: ჰასან-ჯალალიანის – ქვემო ხაჩენიდან, ვახტანგიანის – ცენტრალური ხაჩენიდან (ან ატერკიდან) და დოპიანის – ზემო ხაჩენიდან (ან წარიდან), ხოლო ესენი, სამივე, სათავეს იღებენ სომეხი ნახარარების, არანშაჰების სახლიდან (ულუბაბიანი, 1975: 50-88).

ჰასან-ჯალალიანების გარდა, მელიქების პირველ თაობას მიეკუთვნებიან მელიქ ბეგლარიანები (გულისტანის მელიქები), მელიქ ისრაელიანები (ჯრაბერდის

მელიქები), მელიქ ავანიანები (დიძაკის მელიქები) და მელიქ შაპნაზარიანები (ვარანდის მელიქები), ასევე ზემოთ ნახსენები დოპიანი (წარი-კარგაჩარის მელიქები) (ათაბეგიანი...). ყველა ამ საგვარეულოს საერთო წარმოშობა ჰქონდა. გარდა ამისა, არწახის მელიქების სახლებს შორის ხშირი იყო დინასტიური ქორწინებები. რაფი მიუთითებს, რომ „მელიქები ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ როგორც პოლიკური ინტერესებით, ისე ნათესაური კავშირებით, ხამსას ხუთმა სამელიქომ სწორედ ამიტომ ერთად შექმნა ერთიანი კავშირი“ (რაფი, 1991: 15-17).

XVIII საუკუნეში მელიქების ძველი საგვარეულოების ახლებით ჩანაცვლების პროცესი დაიწყო. მელიქების პირველი თაობის არსებობა სხვადასხვა მიზეზით შეწყდა; ზოგი საგვარეულოს სხვა მხარეში გადასახლდა; ზოგან ყარაბაღის ხანმა ახლი სამელიქოები შექმნა სპეციალურად იმისთვის, რომ უკვე არსებული შეერყია (ხანი ამას წარმატებით ახერხებდა): მელიქთა მეორე თაობა სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვა მიზეზით მოხვდა „ხამსას“ სამელიქოების სათავეში (ათაბეგიანი...). მელიქების დასუსტების მიზნით ამ ახლის დაწინაურებას, ირანის შაჰის გარდა შუშის ხანიც უწყობდა ხელს. ამის მაგალითად რაფის მოჰყავს ფაქტი, რომ მირზახანიანის სამელიქო იმიტომ შეიქმნა, რომ დაესუსტებინათ ჰასანჯალალიანები; მელიქ ალაჰერდიანები, რომლებიც ჯრაბერდის მელიქ ისრაელიანების დასასუსტებლად შეიქმნა. არწახის მელიქთა მეორე თაობასვე მიეკუთვნება მელიქ ათაბეგიანი, რომელმაც ჯრაბერდის სამელიქოს დაცარიელებული ტერიტორია დაიკავა (ათაბეგიანი...).

მელიქობა მემკვიდრეობით მამის სიკვდილის შემდეგ უფროს ვაჟზე გადადიოდა. მომდევნო ძმებს „ბეგები“ ეწოდებოდათ. მელიქს სასამართლოს წარმოების უფლებაც ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ ტიტული „მელიქი“ იწერებოდა სახელის წინ (მელიქ ჰასანჯალალიანი, მელიქ აბო და სხვ.), ხოლო „ბეგი“ იწერებოდა სახელის შემდეგ (სარგის ბეგი, ათა ბეგი და სხვ.). „მელიქისა“ და „ბეგის“ შემდეგ იყო „იუზბაშის“ ტიტული, რომლის მფლობელები სამხედრო საქმეს განაგებდნენ (რაფი, 1991: 19). ხანდახან მელიქებს განსაკუთრებულ ტიტულს ანიჭებდნენ. 1736 წელს ნადირ შაჰმა (1736-1747 წწ.) დიძაკის მელიქ ავანს ხანის ტიტული უბოძა (რაფი, 1991: 39), რის შემდეგაც იგი მელიქ ავან-ხანად იწოდებოდა. მოგვიანებით დიძაკის მელიქი ხამსას

ჩაუდგა სათავეში.

არასრულწლოვანი მემკვიდრის შემთხვევაში ძალაუფლება გარდაცვლილის, მამაკაცის ხაზით, უახლოეს ასაკით უფროს ნათესავზე გადადიოდა. როდესაც 1728 წელს გულისტანის მელიქი აბო II (ბეგლარიანი) გარდაიცვალა, წესის თანახმად მისი მემკვიდრე მისი ძე ოვსენი იყო, მაგრამ არასრულწლოვნების გამო, ოვსენის მეურვედ და მელიქად დაინიშნა განსვენებული მელიქის ძმა, თამრაზი. ოვსენი სრულწლოვანებამდე მეურვეობაში იმყოფებოდა.

რაფის ცნობა იმის შესახებ, რომ მელიქები დამოუკიდებლად მმართველობდნენ და მხოლოდ წელიწადში ერთხელ უხდიდნენ ხარჯს შაჰს, ალბათ, გადაჭარბებული უნდა იყოს. მაგრამ თვითმმართველობის უფლებით შეეძლოთ ეცხოვრათ მშვიდობიანად, უსაფრთხოდ და გაეძლიერებინათ თავიანთი ძალები (ათაბეგიანი...).

მელიქების სამფლობელოების შესახებ შედარებით სრულ სურათს რაფი გვაძლევს:

1. **გულისტანი** (ანუ თალიში) – გავრცელებული იყო მდ. მტკვრიდან (განძა-სართან) მდ. ტარტარამდე;
2. **ჯრაპერდი** (ან ჩარაბერდი) – გავრცელებული იყო მდ. ტარტარიდან მდ. ხაჩენაგეტამდე;
3. **ხაჩენი** – გავრცელებული იყო მდ. ხაჩენაგეტიდან მდ. კარკარამდე (მდ. ბალლუ);
4. **გარანდი** – გავრცელებული იყო მდ. კარკარიდან ქალაქ დიზაპაიტამდე;
5. **დიძაკი** (ან დუზახი) – გავრცელებული იყო დიდი კირსის მთების სამხრეთ კალთებიდან მდ. ერახსამდე (არაქსი) (პეტრუშევსკი, 1949: 19).

ყველა მელიქს თავის ტერიტორიაზე ჰქონდა რეზიდენციები, საგვარეულო საძვალე, ციხესიმაგრე და სხვა საკუთრება. რეზიდენცია შედგებოდა რიგი შენობებისაგან. მათგან გამოირჩეოდა მელიქის სასახლე, სახელწოდებით – „დარპასნერი“ (*darpasner*). დარპასნერი სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც ბჭყ, კარი. მელიქის ციხე-სიმაგრეს სხნახი ერქვა. ამ ციხეებმა ნანგრევების სახით ჩვენს დრომდე მოაღწია (ათაბეგიანი...).

ქვემოთ, რაფის მიხედვით, მელიქების საგვარეულოები და მათი სამფლობელო ტერიტორიები, ციხეები და სასაფლაო ეკლესიებია წარმოდგენილი:

1. **მელიქ ბეგლარიანი**, გულისტანის პატრონები, ფლობდნენ გულისტანისა,

და თალიშის ციხეებს. საძვალე – ორეპის მონასტრის გვერდით.

**2. მელიქ ისრაელიანი**, ჯრაბერდის პატრონები, ფლობდნენ ჯრაბერდის (წყალციხე) ციხეს. საძვალე – გულატანი.

**3. მელიქ ჰასან-ჯალალიანი**, ხაჩენის პატრონები, ფლობდნენ ხოხანაბერდისა (თარხანაბერდი) და კაჩახაკაბერდის ციხეებს. საძვალე – განძასარის მონასტერი (აქ მდებარეობდა ალბანეთის კათალიკოსების რეზიდენცია, რომლებიც ამ საგვარეულოდან ინიშნებოდნენ).

**4. მელიქ შაჰნაზარიანი**, ვარანდის პატრონები, ფლობდნენ ავეტარანოცისა (ჩანახი) და ყარაგლუხის (შუშა) ციხეებს. საძვალე – ავეტარანოცი.

**5. მელიქ ავანიანი** (ან მელიქ ეგანიანი), დიძაკის პატრონები, ფლობდნენ გტიჩის ციხეს. საძვალე – თოხის ციხის კარის ეკლესია (ათაბეგიანი... ).

XVII-XIX საუკუნეებში ყარაბაღის ტერიტორიაზე არსებობდა მელიქების რამდენიმე დიდი სახლი, მათ შორის:

1. ჰასან-ჯალალიანი (ხაჩენის მელიქები 1755 წლამდე);
2. მირზახანიანი (ხაჩენ–ხნძისტანის მელიქები 1755 წლიდან);
3. მეჯლუმიანი (ჯრაბერდის მელიქები);
4. ისრაელიანი (ჯრაბერდის მელიქები 1783 წლამდე);
5. ალავერდიანი (ჯრაბერდის მელიქები 1783-1814 წწ.);
6. ათაბეგიანი (ჯრაბერდის მელიქები 1814-1850 წწ.);
7. ავანიანი (დიძაკის მელიქები);
8. მელიქ ბეგლარიანი (გულებეკიანი მელიქები);
9. შაჰნაზარი ან ულუბეკიანი (გედამის მელიქები);
10. შაჰნაზარი (წარის მელიქები);
11. შაჰნაზარიანი (ვარანდის მელიქები);
12. შაჰნაზარიანი (გარდმანის მელიქები).

აზერბაიჯანელი მეცნიერი გ. მამედოვა ხამსას მელიქებს ალბანურ მოვლენად მიიჩნევს (მამედოვა, 2005: 68-84). მისი აზრით, სომხების მხრიდან საკითხის გაყალბებას აქვს ადგილი, როდესაც „მელიქს“ სომხურ ტიტულად აღიარებენ (მამედოვა, 2005: 68-84).

XVIII საუკუნის ბოლოს ყარაბაღის მელიქების ნაწილი ქართლ-კახოის მეფის

მფარგელობის ქვეშ შესვლას ცდილობდა. სწორედ XVIII საუკუნის ბოლოს ყარაბაღიდან ქართლ-კახეთში თავისი ხალხით გადმოსახლდნენ მელიქი აბოვი, მელიქი ჯემშიძი, მელიქი ფრიდონი და სხვ.

გიორგი XII-მ (1798-1800 წწ.) მელიქ ჯემშიძს მამულები და ყმები 1800 წელს უბოძა (სცსა. 1450, 13/102),

ასევე ყარაბაღიდან დევნილ მელიქ ფრიდონ ბეგლარაშვილს ყმა, მამული და მელიქობა გიორგი მეფემ 1798 წ. 22 მარტს უბოძა (ხევ. Hd 3978).

1800 წლის 24 იანვარს მელიქი ფრიდონი გიორგი XII-ს (1798-1800 წწ.) სოხოვდა, რომ მისი ყმებისთვის გადასახადი არ გამოერთმიათ, რადგან ეშინოდა, არ გაქცეულიყვნენ. „ვშიშოვ არ დამეფანტონ და თქვენთან პირშავი არ დავრჩე“ (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 601).

გიორგი XII-მ სარდალ სახლთუხუცეს, იოანე მუხრანბატონს, დაავალა, რომ „ბორჩალოში რაც ფრიდონ მელიქისშვილის კაცები არიან, იმათ ნურას შეაწერთ. და ახლა რომ ორმოცი საპალნე შეშა აწერიათ, იმაზეც ხელი [ა]აღებინეთ და დღეის იქითაც არა შეაწეროთ (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 601). ყარაბაღიდან ლტოლვილი ფრიდონი მელიქი, საბუთიდან ჩანს, ქართველი მეფის მოხელეების მორჩილია, ამას გარდა, თავს მელიქად მოიხსენიებს მიმართვაში, მაგრამ როდესაც მეფე ახსენებს, მას მელიქიშვილს ეძახის, ანუ მისთვის ფრიდონი რიგითი მემამულე იყო. ფრიდონს არანაირი განსაკუთრებული სტატუსი არ ჰქონდა. ამდენად, ყარაბაღიდან ლტოლვილი მელიქი, ზოგიერთი თავადიც კი გახდა, მაგრამ მათ საქართველოში სათავადოები არ შეუქმნიათ.

### § 3. საქართველოში არსებული მელიქები

#### თბილისის მელიქი, მელიქ-მამასახლისი

XVI ს. შუახანებში თბილისის მოხელეებს შორის გაჩნდა ახალი თანამდებობა, ქერძოდ, ქალაქის მელიქის სახელო. ამ საკითხს ყურადღება ჯერ კიდევ პროფ. შოთა მესხიამ მიაქცია თავის ნაშრომში „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეო-დალურ საქართველოში (XVII-XVIII სს.)“. მან აღნიშნული საუკუნეების თბილისის სამოხელეო სტრუქტურა შეისწავლა და ნაშრომში ქალაქის სხვადასხვა მოხელეებს, მათ შორის, თბილისის მელიქს და მამასახლისს სათანადო ქვეთავი დაუთმო. პრობლემის შესწავლისას ნაშრომმა დიდი დახმარება გაგვიწია. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი თითქოს გადაწყვეტილია, რიგი მომენტები დაზუსტებას მოითხოვს, მათ შორის, ქალაქში ერთდროულად რამდენიმე მელიქის არსებობა; თბილისის მელიქებისა და მელიქ-მამასახლისების ქრონოლოგია და სხვ.

მელიქის თანამდებობა საქართველოს სამოხელეო წყობაში მუსლიმური აღმოსავლეთის გავლენით რომ იყო დამკიდრებული, თვითონ თბილისის უკანასკნელ მელიქს, დარჩია ბებუთაშვილსაც, კარგად სცოდნია. იგი აღნიშნავს, რომ „მელიქობა აზიელთაგან არის დაწესებულიო“ (მასალები..., 1948: 95). მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც მელიქი მეფეს ან მადალ ხელისუფალს აღნიშნავდა, საქართველოში და განსაკუთრებით ქალაქის სამოხელეო წყობაში მანამდე არსებულ მოხელეს, მამასახლისს, შეესაბამებოდა. იგივე დარჩია ბებუთაშვილს თუ დავიმოწმებთ, „რაც სარგებლობა ტფილისის მელიქსა აქვს, აგრეთვე ეგოდენი სარგებლობა ტფილისის მამასახლისსა აქვს, და აგრეთვე, თანამდებობაცა. როდესაც უწინ მელიქი სხვა ყოფილა და მამასახლისი სხვა, შემოსავალი ცალ-ცალკე აუღიათ“ (მასალები..., 1948: 94). ასე რომ, თბილისში მანამდე არსებული მამასახლისის სახელოს გვერდით, რომელიც მოურავის მომდევნო ადგილზე იყო, გაჩნდა მელიქის სახელოც.

თბილისის მოხელეებს შორის მელიქი პირველად 1552 წელს გამოჩნდა. ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) 1546 წლის სიგელში ჩამოთვლილია თბილისის ყველა მოხელე: ამირთამირა, მამასახლისი, ნაცვალი, მუშრიბი (მასალები..., 1948: 61). მაგრამ არ ჩანს მელიქი. ხოლო იმავე მეფის 1552 წლის სიგელში კი უკვე მელიქიც

ჩნდება: „ქალაქის მოურავო, მამასახლისო, მელიქო და ნაცვალო და სხვანო მოსაქმენო თქუენცა... დაუმტკიცეთ“, – ბრძანებდა ლუარსაბ მეფე (კაკაბაძე, 1913: 41). ამ საბუთებზე დაყრდნობით პროფ. შოთა მესხია მართებულად მიიჩნევს, რომ თბილისის მელიქის სახელო ლუარსაბ მეფის დროს, კერძოდ, 1545-1552 წწ. შორის უნდა იყოს დაწესებული (მესხია, 1983: 426).<sup>1</sup>

პროფ. შოთა მესხიას არასწორად მიიჩნია მოსაზრება, თითქოს „XVII-XVIII სს. ტფილისის მოქალაქე სომხებს ჰქონდათ ცალკე თავანთი მმართველობა და მათ საქმეებს მართავდა მელიქი“. იგი აღნიშნავს, რომ მელიქის ხელისუფლება არ შეიძლება გავიგოთ ისე, როგორც სომებს მოქალაქეთა ცალკე ხელისუფლება. XVII-XVIII საუკუნეებში მელიქი მხოლოდ სომებს მოქალაქეთა ხელისუფლი კი არ იყო, არამედ ქალაქში მეფის მიერ დანიშნული მოხელე, რომელიც XVIII საუკუნიდან მაინც თანაბრად განაგებდა ქალაქის მოსახლეობის ყველა ეროვნების წარმომადგენელთა საქმეებს (მესხია, 1983: 431).

ამ აზრის გასამყარებლად ჩვენ შეიძლება ისიც დავამატოთ, რომ მელიქები ხშირად ჯერ ქალაქის სხვა სახელოებს ფლობდნენ (მამასახლისი, ნაცვალი) და შემდეგ ხდებოდნენ მელიქები. მაგალითად, მელიქი გიორგი და მელიქი აშხარბეგი მელიქობამდე მამასახლისები იყვნენ, ხოლო მელიქი შერმაზან ივანგულაშვილი დაწინაურებამდე ქალაქის ნაცვალი იყო (დოკუმენტები, 1962: 19-24, 38-53, 95-96). ჩვენამდე მოღწეულ არცერთ საბუთში არ ჩანს, რომ მეფე თანამდებობაზე დასანიშნად ვინმეს ეროვნების მიხედვით არჩევდეს (ბოჭიშვილი, 2011: 57).

ამ ლოგიკით თავისი მოხელე უნდა ჰყოლოდათ თბილისში მცხოვრებ მუსლიმებსა და სავაჭრო ურთიერთობებში ასევე აქტიურად ჩართულ ებრაელებს.

მელიქსა და მამასახლისს მეფე ქალაქის მოსახლეობის ზედაუნებიდან ან მსხვილი ვაჭრების წრიდან ირჩევდა და ისე ნიშნავდა თანამდებობაზე. მამასახლისებისა და მელიქების მოვალეობაში შედიოდა: ქალაქში – დუქნის, სახლის თუ სხვა „მამულის“ ყიდვა-გაყიდვის დამოწმება. ქალაქში რაც გაიყიდებოდა „ნასყიდობის წიგნზე“ მელიქის, მამასახლისის, მელიქ-მამასახლისის დამოწმება აუცილებელი იყო. მათ მოვალეობაში იყო აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგება,

<sup>1</sup> ოუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის უუნქცია რაც ქალაქის ცხოვრებაში მელიქს ეკისრებოდა (ვაჭრობაში, საქონელზე ნიხირის დაწესებაში მონაწილეობა; ნასყიდობის საბუთების დამოწმება; ვაჭრის მსუბუქი სამართალი), შეიძლება მანამდე სხვა მოხელეს ჰქონოდა, და ეს უბრალოდ ტერმინ „მელიქის“ დამკვიდრების თარიღად ჩაითვალოს.

ქალაქში საქონელზე ნიხრის დაწესება, „გაჭრის მსუბუქი სამართალი“ და სხვ.

თბილისის მელიქი და შემდგომში მელიქ-მამასახლისი ქალაქის მოურავს ექვემდებარებოდა. მელიქი გაჭრების წრიდან ირჩეოდა, ხოლო ქალაქის მოურავი რომელიმე ფეოდალური საგვარულოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

ისტორიულ წყაროებში თბილისის მელიქების შესახებ ცნობები XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება.

1573 წლის, ერთი ნახევიდობის წიგნის მოწმეა ქალაქის მელიქი მირიმანი (სცსა. 1450, 18/78; პირთა ლექსიკონი, III, 2004: 180). შეიძლება იგივე მირიმანი იყოს სომხითის პირველი მელიქი, რომელსაც შაჰ აბასმა XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში მელიქის სახელო და ქვემო ქართლში მემკვიდრეობით მამული უბობა. სწორედ ამ მირიმანისგან უნდა მოდიოდნენ სომხითის მელიქების, იგივე მირიმანიძეების, საგვარულო. მირიმანს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა, მათგან ერთ-ერთს, ყორემაზს, თავის მხრივ ექვსი ვაჟი ჰყავდა.<sup>2</sup> მათმა ერთმა შტომ მემკვიდრეობით სომხითის მელიქობა მიიღო, მეორემ ირანში მაღალ სამოხელეო თანამდებობებს მიაღწია, მესამემ ქვემო ქართლში სათავე დაუდო ახალ საგვარულოს (ზაქუმიშვილებს), ხოლო თბილისში დარჩენილმა შტომ ქალაქის მელიქის თანამდებობა შეინარჩუნა. როგორც ჩანს, თბილისის მელიქი ასლანი მელიქ მირიმანის შვილიშვილი იყო. ასლანი მელიქ-მამასახლისადაც მოიხსენიება. პროფ. შ. მესხია ვარაუდობს, რომ მელიქისა და მამასახლისის სახელოები 1725 წლამდე არ გაერთიანებულა, მაგრამ რამდენიმე, უფრო ადრეული დოკუმენტით დასტურდება სახელოს ერთი კაცის ხელში თავმოყრა, მაგ., 1592 წელს მევე სვიმონ I-მა ქალაქის მელიქსა და მამასახლისს, ასლანს, შეუთვალა, რომ მევის მოხელეებს თვეზის, ხილის, პურისა და დვინის საკათალიკოსო ბაჟზე ხელი აედოთ (სცსა. 1448, 3371; პირთა ლექსიკონი, I, 1991: 189).


შემდეგ, XVII საუკუნის დასაწყისის წყაროებში, ქალაქის მელიქად (პირველად 1634 წ.) ენალა მირიმანაშვილი მოიხსენიება (მესხია, 1983: 429; პირთა ლექსიკონი, III, 2004: 181). ერთხანს ქალაქის მელიქი იყო ასევე მისი ძმა მირიმანიც.<sup>3</sup> ორივე ძმა, საბუთების მიხედვით, მირიმანაშვილია. თუ XVI ს. II ნახევარში მოხსენიებულ მე-

<sup>2</sup> ყორემაზის და მისი შვილების შესახებ ვრცლად იხ. ბოჭიშვილი, 2011: 176-184.

<sup>3</sup> ენალას ძმები: მამუგა, მირიმანა, ბაინდურა, სოლადა, ბაღუმა, ამირჯანა, მირაქა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 181-183).

ლიქ მირიმანს ენალას წინაპრად ჩაუთვლით, გამოდის, რომ ენალამ სწორედ მისგან მიიღო გვარი მირიმანაშვილი და ქალაქის მელიქის სახელო. იმ ვარაუდის გასამყარებლად, რომ თბილისის მელიქი ენალა და სომხითის მელიქები, ერთი საგვარეულოს წარმომადგენლები არიან, ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ენალას ერთერთ ძმას, მირიმანს, სავარაუდოდ, სახელოვანი ბიძისა<sup>4</sup> და დიდი პაპის სახელი ერქვა.

საისტორიო დოკუმენტების მიხედვით, სომხითის მელიქების და ტფილისის მელიქების გენეალოგიის ძირითადი ხაზი ასე გამოიყურება.



XVII საუგუნის საბუთების მიხედვით, მელიქები (ენალა – 1634-1673 წწ.; მირიმანა – 1634 წ.; ბებუთა – 1661 წ.; შერმაზან ივანგულაშვილი 1667-1672 წწ.; ავთანდილი 1678-1696 წწ.; ქაიხოსრო – 1683-1693 წწ.) ერთმანეთს ხშირად ენაცვლებიან.

XVII საუგუნეში პოლიტიკური სიტუაცია სწრაფად იცვლებოდა. შესაძლოა, რომელიმე პიროვნებას ესარგებლა და ირანის მოხელეების დახმარებით თბილისის

<sup>4</sup> მირიმანის, იგივე სეფიული ხანის შესახებ ვრცლად იხ. მაედა, 2008: 42-44.

<sup>5</sup> გენალოგიაში წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ხაზი. ვრცლად იხ დანართში.

სამოხელეო წეობაში ხელმეორედ დაწინაურებულიყო. მაგრამ ესეც საუკვთ ჩანს, რადგან პარალელურად სხვადასხვა მელიქის ერთი და იმავე პერიოდის დოკუმენტებში მოხსენიება თითქმის მთელი XVII საუკუნის განმავლობაში გრძელდება. როგორც ჩანს, ერთდროულად და ერთმანეთის პარალელურად ქალაქში რამდენიმე მელიქი იყო. სხვა შემთხვევაში მელიქის ასეთი ხშირი ცვლა ვერაფრით აიხსნება. ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე საბუთმა, რომლებსაც ერთდროულად ორი მელიქი ამოწმებს. მაგ., 1672 წლის ნასყიდობის წიგნს ამოწმებენ მელიქი ენალა და მელიქი შერმაზანა (დოკუმენტები, 1962: 29). 1696 წ. 26 სექტემბრის ნასყიდობის წიგნს მელიქი ავთანდილი და მელიქი ყაზანთ ავთანდილი ამოწმებენ (დოკუმენტები, 1962: 56).

XVII საუკუნის 60-70-იან წლებში ავთანდილის, ყაზანთ ავთანდილისა და ენალას პარალელურად ქალაქის მელიქი და მამასახლისი ბეჭუდაც ჩანს. იგი ბიძინა სოლადაშვილის მიერ ელიზბარ სოლადაშვილისთვის მიცემული მამულისა და გლეხების ნასყიდობის საბუთში მოწმედ არის დასახელებული. დოკუმენტი 1661 წლის 16 აპრილს არის გაცემული (პირთა ლექსიკონი, I, 1991: 541; ხეც. Sd 751). ბეჭუდა, იგივე ბებუთა, მესამე მელიქია იმავე ხანებში. იგი მხოლოდ ამ ერთი საბუთით ჩანს მელიქის თანამდებობაზე.

ბებუთას მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვს. როგორც წყაროებიდან იკვეთება, თავდაპირველად იგი ხოჯა იყო და მისი დაწინაურება როსტომ ხანის (1633-1658 წწ.) დროს მოხდა. თბილისის გარეუბანში მამულები სამემკვიდრეოდ მიიღო.<sup>6</sup> სხვადასხვა დროს ეკავა ზარაფის, შემდეგ ზარაფთუხუცესის, 1646-1661 წლებში – მამასახლისის სახელოები (ხეც. Hd 14911; Sd. 751; პირთა ლექსიკონი, I, 1991: 541). მან ბებუთაშვილების საგვარეულოს დაუდო სათავე. მოგვიანებით ბებუთაშვილებმა მელიქისა და მამასახლისის სახელოს გაერთიანება საბოლოოდ მოახერხეს და მელიქ-მამასახლისობა თავისთვის სამემკვიდრეო თანამდებობადაც აქციეს. ამასთან, თავისი გვარის – ბებუთაშვილის – თავადის ხარისხში აყვანასაც მიაღწიეს.<sup>7</sup>

<sup>6</sup> ბებუთას როსტომმა დდევანდელი ავლაბარიც უბოძა და ტოპონიმი „ხოჯევანქიც“ სწორედ მის სახელს უკავშირდება. ბებუთას მამულები ჰქონდა ქალაქის სხვა მხარესაც – დდევანდელი გმირთა მოედნის ტერიტორია. პირველი ხიდი, მდინარე ვერუხე, ზოოპარკის მიდამოებში, სწორედ მან გადადი.

<sup>7</sup> ბებუთაშვილებს თავადობა ერეკლე II-მ 1783 წელს უბოძა (იოანე ბაგრატიონი, 1997: 38).

ბებუთას შემდეგ ქალაქის მელიქად შერმაზან ივანგულაშვილი მოიხსენიება. 1667 წელს ქართლის მეფე ვახტანგ V შავნავაზმა (1658-1675 წწ.) შერმაზან ივანგულაშვილს ქალაქის მელიქობისა და სარგოს წყალობა განუახლა და „მტკიცე სიგვლით“ დაუმტკიცა (პირთა ლექსიკონი, II, 1993: 392). მაგრამ მალევე, 1672 წელს, თბილისის მელიქი ისევ ენალაა (დოკუმენტები, 1962).

1679-1686 წლების საბუთებით მელიქად ავთანდილი ჩანს (პირთა ლექსიკონი, I, 1991: 81). 1689 წლის საბუთის მიხედვით, ისევ ენალაა მელიქი, ხოლო 1696 წლის საბუთით – კვლავ ავთანდილი. იმავე პერიოდში (1683-1693 წწ.) ნასყიდობის რამდენიმე დოკუმენტს მელიქი ქაიხოსრო ამოწმებს (დოკუმენტები, 1962: 36, 39, 46-48, 50. Hd 13043). 1699 წელს ჩანს მელიქი შერმაზანიც (დოკუმენტები, 1962: 58). იმავე წელს ჩნდება მელიქი მანუჩარი. 1699 წლიდან 1711 წლამდე მელიქ გიორგის დამოწმებები გვხვდება საბუთებზე.<sup>8</sup>

1712 წელს თბილისის მელიქად ბებუთაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელი აშხარბეგი დაინიშნა. მანამდე იგი ქალაქის მამასახლისი იყო (დოკუმენტები, 1962: 95, 96). აშხარბეგთან ერთად 1712-1713 წლებში მელიქის თანამდებობა ვინმე ზურაბს ეკავა. 1715-1718 წლებში აშხარბეგი მარტო ჩანს ამ თანამდებობაზე. შემდეგ, 1719-1721 წლებში მელიქი – ასლამაზია.

1725 წელს მელიქი ოსევაა (მესხია, 1983: 429), თუმცა იმავე წელს აშხარბეგ ბებუთაშვილი იღებს ამ სახელოს და იგი ერთადერთი მელიქი იყო ქალაქში. ამასთან, მალევე გააერთიანა მელიქისა და მამასახლისის თანამდებობა (მესხია, 1983: 429). აშხარბეგი 1735 წელს „ურუმებმა მოჰკლეს“ (პაპუნა ორბელიანი, 1981). თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აშხარბეგის პარალელურად ქალაქის მელიქ-მამასახლისად ზურაბი ისევ გამოჩნდა 1734 წლის ერთ ნასყიდობის წიგნში (დოკუმენტები, 1940: 239). აშხარბეგის შემდეგ ქალაქის მელიქ-მამასახლისი მისი ძე, ადა, გახდა, რომელსაც პაპუნა ორბელიანის სიტყვებით, „შესწამეს დალატი“. ადა ერეკლე II-მ (1745-1798 წწ.) შეიპყრო და დააპატიმრა (პაპუნა ორბელიანი, 1981: 142). ამ დროს თანამდებობა ორად გაიყო. ანტონი მელიქად, ხოლო საჭაკი მამასახლისად დაინიშნა. ანტონის შემდეგ 1751 წლიდან მელიქი საჭაკი გახდა (პაპუნა ორბელიანი, 1981: 142).

<sup>8</sup> ჟყავს შვილი ქაიხოსრო, მმა ბეჭანი (პირთა ლექსიკონი, I, 1991: 657).

1760 წელს აღა ბებუთაშვილმა ერეკლე მეფესთან შერიგება მოახერხა და ძველი მდგომარეობაც დაიბრუნა. მისი გარდაცვლების შემდეგ (1770 წ.) მელიქ-მამასახლისი ავეტიქ აღას ძეა, ხოლო 1795 წლიდან რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე (1801 წ.) მელიქ-მამასახლისის თანამდებობა დარჩია ავეტიქას ძე ბებუთაშვილს უკავია (მესხია, 1983: 429-430), რომელიც გაზრდილი მამულების გამოდიდ მემამულედ იყო გადაქცეული და მისი სამფლობელოც უკვე სათავადოს წააგავდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თბილისის მელიქები ამ სახელოს არსებობის მანძილზე მთლიანად მეფის ბრძანებებისა და სურვილების შემსრულებლები იყვნენ. ექვემდებარებოდნენ ქალაქის მოურავს. ამ სახელოს ხან მემკვიდრეობით და ხანაც დამსახურების მიხედვით იღებდნენ ქალაქის მოსახლეობის ზედაფენების წარმომადგენლები განურჩევლად მათი ეროვნული წარმომავლობისა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება მამასახლისის ქართულ, ხოლო მელიქის სომხურ თანამდებობებად გამიჯვნა, რადგან, როგორც ერთ, ისე მეორე თანამდებობას უმეტესად დამსახურების მიხედვით ორივე ეროვნების წარმომადგენლები იკავებდნენ.

ქართული საისტორიო საბუთებში დაცული მონაცემების მიხედვით თბილისის მელიქების და მელიქ-მამასახლისების ქრონოლოგია ასეთი ჩანს.

### **თბილისის მელიქები და მელიქ-მამასახლისები:**

**მირიმანი – მელიქი – 1573 წ.<sup>9</sup>**

**ასლანი [მირიმანაშვილი] – ქალაქის მელიქი და მამასახლისი – 1592 წ.**

**ენალა მირიმანაშვილი – ქალაქის მელიქი 1634-1673 წწ.**

**მირიმანა მირიმანაშვილი – მელიქი 1634 წ.**

**ბებუთა – ქალაქის მელიქი და მამასახლისი 1661 წ.**

**შერმაზან ივანგულაშვილი – მელიქი 1667-1672 წწ.**

**ავთანდილი – მელიქი 1679-1696 წწ.**

**ქაიხოსრო – მელიქი 1683-1693 წწ.**

**მანუჩარი – მელიქი 1699 წ.**

**გიორგი – მელიქი 1699-1711 წწ.**

<sup>9</sup> მოცემულია მხოლოდ მელიქებად მოხსენიების თარიღები.

**აშხარბეგ ბებუთაშვილი** – მელიქი 1712-1725 წწ.; მელიქ-მამასახლისი 1725-1735 წწ.

**ზურაბი** – მელიქი 1712-1713 წწ.

**ასლამაზი** – მელიქი 1719-1721 წწ.

**ოსეფა** – მელიქი 1725 წ.

**ადა აშხარბეგის ძე ბებუთაშვილი** – მელიქ-მამასახლისი 1735-1747 წწ. მელიქ-მამასახლისი და ქალაქის ნაცვალი 1760-1768 წწ.

**ანტონი** – მელიქი 1747-1751 წწ.

**საპაკა** – მელიქი 1751-1760 წწ.

**ავეტიქა ადას ძე ბებუთაშვილი** – მელიქ-მამასახლისი 1770-1795 წწ.

**დარჩია ავეტიქას ძე ბებუთაშვილი** – მელიქ-მამასახლისი 1795-1801 წწ.

### გორის მელიქი

მელიქის თანამდებობა ფიქსირდება გორშიც. ისტორიულ საბუთებში გორის მელიქი პირველად 1734 წელს იხსენიება. ამ დროს გორის მელიქი ფარსადანი ყოფილა. იგი 1736 წლის ერთი ნასყიდობის წიგნსაც ამოწმებს (დოკუმენტები, 1940: 256). ფარსადანის გვარი თაყინაშვილი, მამის სახელი კი ზაალი უნდა იყოს. 1744 წლის ნასყიდობის წიგნში მოწმედ მოიხსენიება „გორის მელიქი თაყინაანთ ზალუას შვილი ფარსადან“ (დოკუმენტები, 1940: 319). იგი მოიხსენიება ასევე 1746 და 1747 წლების საბუთებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ფარსადანს მოადგილეც ჰყოლია. 1738 წლის ერთ საბუთს ხელს აწერს „გორის მელიქის, ფარსადანის, ნაიბი გიორგი“. გორის მელიქი მოიხსენიება, აგრეთვე, 1775-1776 წლებში. ამის შემდეგ გორში მელიქები აღარ არიან. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან გორის მელიქის თანამდებობა საბოლოოდ გაუქმდა. ასე რომ, ამ თანამდებობამ გორში ფეხი ვერ მოიკიდა (მესხია, 1983, 427). მელიქის სახელო გორში „ყიზილბაშობის“ (1735-1749 წწ.) დროს ჩნდება და შემდეგ ირანელთა ბატონობის თანდათან გაქრობასთან ერთად ქრება.

### ლორის მელიქი

ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, ლორის მელიქები ქართლში, ლორეში XVI საუკუნეში მოვიდნენ და ლუარსაბ I-ის სამსახურში ჩადგნენ.

ისინი ქართლში აზნაურის ტიტულით სარგებლობდნენ და ბოლომდე აზნაურებად დარჩნენ. თუმცა ლორის მელიქებს სხვა ქართულ საგვარეულოებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ. ეს უპირატესობა შაჲ აბასის სახელს უკავშირდება. სწორედ მან მელიქ ნაზარს და მელიქ დაის XVII საუკუნის დამდეგს ფირმანი უბოძა, რომლის ძალითაც მათ ლორე სამკვიდროდ და შეუვალად მიიღეს (კუზმინოვი, 2005: 109). შაჲებისგან ნაბოძები აქ ნახსენები და სხვა ფირმანები ლორის მელიქისშვილებმა 1795 წელს აღა მაჲმად ხანის შემოსევის დროს დაკარგეს (სცსა. 1450, 18/60). ლორის მელიქები სომხითის მელიქების მსგავსად მუსლიმები იყვნენ და შაჲმაც სწორედ მუსლიმობის გამო მიანიჭა მათ ასეთი პრივილეგიები. მოგვიანებით, ლორის მელიქებმა მონოფიზიტური ქრისტიანობა მიიღეს და სამსახური ქართლის სამეფოში, ლორეს მხარის ბოქაულის თანამდებობაზე განაგრძეს. ამ დროს გაჩნდა ორმაგი გვარიც, რომელშიც გაერთიანებული იყო თანამდებობა და მოდვაწეობის ადგილი (კუზმინოვი, 2005: 110). გვარი ლორის მელიქიშვილი XIX საუკუნეში რუსული ადმინისტრაციის დამყარების დროს რუსული ვარიანტით, ლორის-მელიქოვით, შეიცვალა.

1768 წელს გიორგი ბატონიშვილმა „ლორის ქალანთარს<sup>10</sup> პაპას და მელიქს მელიქჯანას“ წყალობის წიგნი უბოძა, „ოქვენ მამაპაპით ლორის და ბანბაკის მოკელენი ყოფილხართ და რუსუბიც გქონიათ და გელმწიფეებისგანაც ნაბოძები რაყამები გაქვსთო.“ მაგრამ რადგან გლეხები ლორედან აყრილები და აღჯაყალაში შეხიზნულები ყოფილან, ამიტომ ბატონიშვილი ქალანთარს და მელიქს უბრძანებს, რომ კომლზე ცხრა შაურზე მეტი არ აიღონ და როდესაც ლორე და ბანბაკი მოშენდება, შემდეგ ყველა სარგო მიეცემათ. ამასთან ქევხებსა და ქეთხუდებს მელიქის და ქალანთარის სასარგებლოდ გადასახადის დროულად გადახდა უბრძანა (სცსა. 1450, 18/57).

1780-იან წლებში მელიქიშვილებს ზაალიშვილებმა დაუწყეს დავა. გაბრიელა ზაალიშვილი ჩიოდა, რომ ჩვენც მელიქების სახლის წევრები ვართ და წილს არ

<sup>10</sup> ქალანთარი სპარსული სიტყვაა და პოლიციის უფროსი და სამოქალაქო საქმეების გამგეა. სავარაუდოდ ლორის მელიქისშვილის განშტოება უნდა იყოს ქალანთრისშვილიც. ქალანთრისშვილები გეორგიეგსკის ტრაქტატში, სამეფო აზნაურების სიაში, ლორის მელიქისშვილების მომდევნო აღგილზე არიან ჩატერილი. ქალანთრობა სწორედ ლორის მელიქისშვილებს ეკავათ მემკვიდრეობით. იოანე ბატონიშვილის მიხედვით – ქალანთრისშვილი (სამეფო აზნაური ქართლისანი), „ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი განჯიდგან ყაზახსა შინა, რომელნიცა იყვნენ მოხელენი“ (იოანე ბატონიშვილი, 1997)


გვაძლევენო. ლორის მელიქიშვილები კი პასუხობდნენ, რომ ეგენი არც ჩვენი სახლიკაცები არიან და არც წილი ერგებათო. 1789 წელს სასამართლოს წარუდგინეს რამდენიმე სიგელი. არცერთ მათგანში არც ეს ზაალიშვილები და არც მათი წინაპრები არ აღმოჩნდნენ ჩაწერილები (სცსა. 1450, 18/59).

ამ საკითხმა, როგორც ჩანს, ლორის მელიქიშვილების გვარში დააყენა საკითხი, რომ თავისი საგვარეულოს წარმომავლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი მოეპოვებინათ. ამიტომ 1798 წელს შეადგინეს საბუთი, რომელშიც ლორისა და ფანძაკის მელიქიშვილი ავთანდილი და მისი ძე, სტეფანე, წერენ, რომ „ჩვენ საქართველოს მეფეთაგან, ერანის მეპატრონეთ სეფებიელთ<sup>11</sup> ჯელმწიფეთაგან, იმათგან ქართლში წარმოგზავნილის სარდლებისაგან და ქართლში მყოფს ოსმალო სარასკერებისაგან ბოძებული ჩვენის სამკვიდროს მამულებისა სახელოთ მელიქობისა, ნასყიდობისა და საჩივრის განაჩენები ბევრი გვქოდა და ადა მაჭმად ხანმა, რომ ტფილისი ქალაქი წაახდინა ეს მოხსენებული წიგნები ზოგი დაგვეპარგა და ზოგი დაგვეწვა, რომელიც როდესმე ეს ჩვენი წიგნები გენახოსთ და ან ჩვენი გვარტომობისა იცოდეთ რამე წინაშე დთისა ამაზე ქ. ნებით მოწმობის გელი მომიწეროეთ, მარტის იგ (13) ქას უპვ (1798 წ.)“ (სცსა. 1450, 18/60).

საბუთზე ბატონიშვილების, სამეფოს სხვადასხვა მოხელისა და უბრალოდ მოწმეების ხელმოწერები 1801 წლამდე გრძელდებოდა. დოკუმენტის ხელის მომწერებს შორის არიან: მდივანი ერასტი, გიორგი მეფის მოლარე გიორგი შანშიაშვილი, იოანე თურქისტანიშვილი, ზაალ იაგულაშვილი, გიორგი ყორლანაშვილი, ფარსადანი, თომა ისპასშვილი, დავით ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი, მინბაში სოლომონ არლუთაშვილი, მდივანი სულხანი. მოწმეები ადასტურებენ და თვითონაც აღნიშნავენ, თუ რა იციან ამ საკითხის შესახებ, ან სად და როგორ ნახეს ეს ძველი, დაკარგული, საბუთები (სცსა. 1450, 18/60).

ავთანდილის მამა ბარხუდარა იყო, რომელსაც ასევე ლორეს მელიქისა და ქალანთარის თანამდებობა ეკავა. ხოლო შვილები – ენალა, სტეფანე, დავითი და ალა.


<sup>11</sup> გულისხმობენ სეფიანთა დინასტიას.



1801 წელს თავლიდარანთ პეტრეშვილების ნახყიდობის წიგნში „ლორელი და ფანძაკისა ბორჩალოს მელიქი ბარეუდარას შვილი, ავთანდილას შვილებს სტეფანეს, ენალას, დავითს და ალას“ პეტრეს შვილებმა ქალაქში სახლის ადგილი მიჰყოდეს (სცსა. 1450, 18/58).

მოგვიანებით, 1877-1878 წლებში ოსმალეთთან ომში თავის გამოჩენისთვის 1878 წლის 16 აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქი შვილს გრაფობა და ახალი გერბი უბოძა (კუზმინოვი, 2005: 126).

საბუთებში ასევე ჩანან ტაინა შვილები, გოგია, ავთანდილი, თამაზა და სტეფანე. ამირხანას შვილები პაპა, მელიქჯან და ავთანდილი (სცსა. 1450, 18/59). ესენი ყველანი ლორის მელიქის შვილები არიან. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მელიქ დაის სახელის ვარიანტთან, მელიქი დაის სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარი ტაინა. მელიქი შვილ-ტაინა შვილებიც ამით აიხსნება. ამირხანა კი ლორის მელიქი იყო, რომელსაც შვილები პაპა, მელიქჯანა და ავთანდილი ჰყავდა. ამიტომ საბუთებში ამირხანას შვილი მამის სახელს გულისხმობს და აქაც იგივე საგვარეულოსთან (ლორის მელიქი შვილი) გვაქვს საქმე. ამირხანაც დაის/ტაინას შთამომავალი უნდა იყოს. 1768 წლის ერთი საბუთის მიხედვით ცნობილია, რომ ამირხანას უფროსი ძე, პაპა, ლორის ქალანთარი, ხოლო მისი ძმა, მელიქჯანა, ლორის მელიქი იყო (სცსა. 1450, 18/57).



#### § 4. ქვემო ქართლის მელიქის საგვარეულოს წარმომავლობა

სომხითის მელიქის შვილების, ანუ თავადი მელიქიშვილების წარმოშობის შესახებ წყაროები აღნიშნავენ, რომ ისინი სომხური წარმომავლობის, მუსლიმი აღმსარებლობის ადგილობრივი აზნაურული საგვარეულოდან მომდინარეობენ.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს, რომ მელიქიშვილი „არა არს გუარი, არამედ სომქესა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოჰმადიანებისთვის“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 34-35). მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვა ქართველ დიდებულ თავადებთან შედარებით დაბალი სოციალური წარმომავლობის იყვნენ – ვახუშტისავე ცნობით – მელიქები მალე „უწარჩინებულების და შემძლებელის“ გახდნენ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 35). აქვე შეიძლება გავიხსენოთ ვახტანგ VI-ის სამართალი და ვახუშტისავე ცნობა რომ ქართლის დიდ თავადებთან ერთად „სომხითის მელიქიც ითქმის“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 35; სამართლის ძეგლები, I, 1963: 520).


მელიქიშვილების შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული იოანე ბაგრატიონთან. იგი ამბობს, რომ „ესენი პირველ იყვნენ სომქენი ლორის მელიქთა ნათესავთაგანი აზნაურნი“. როდესაც შაჳ აბასმა ერევანთან ომში ოსმალები დაამარცხა, ქართველებს ლორე ჩამოართვა და იქ თავისი ჯარი დააყენა. „და მაშინ მუნებური მელიქი მივიდა წინაშე შააბაზისა და მიიღო მამადიანობა, რომლისათვის ჯილდოდ შააბაზმან გაათავადა და მისცა გვარად მელიქობად და მამული ლორის ხეობასა შინა სახასოთაგან მეფისა, წელს ქრისტეს აქეთ 1601 წელს<sup>12</sup> და მუნიდგან იწოდებიან თავადად მელიქის შვილებად. აწ არიან მოსახლედ: 1) ავთანდილის შვილები, 2) თეიმურაზის შვილები და სხვანი“ (იოანე ბაგრატიონი, 1997: 34).

იოანე ბატონიშვილის აღნიშნული ცნობა მელიქიშვილების წარმოშობაზე სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს, რადგან, როგორც ცნობილია, ერევნის ომში გამარჯვების შემდეგ შაჳმა ქართლის მეფეს, გიორგი X-ს (1600-1606 წწ.), ლორე და მდ. დებედას ხეობა გამოსთხოვა (ჯამბურია 1973: 247). „და შეუძნდა ფრიად და რამეთუ არა ეძლო უარი შააბაზისა და დაანება ლორე და დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ“

<sup>12</sup> ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ერევანთან ბრძოლა 1604 წელს მოხდა (ერევნის ბრძოლის შესახებ ვრცლად იხ. ჯამბურია, 1973: 246-248).

(ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959: 537). ლორეში ლორის სახანო შეიქმნა, მდ. დებედის ხეობაში კი თურქმანული ტომი, ბორჩალუ, ჩამოასახლეს.

მეცნიერებაში მიღებულია მოსაზრება, რომ სომხითის მელიქი და ლორის მელიქი ერთი საგვარეულოს ორი შტოა. რუსი მეცნიერის, რომან ერმერინის, ცნობით, სომხითის მელიქი და ლორის მელიქი ერთი წარმომავლობის არიან (ერმერინი, 1899: 215). უაკ ფერანის მიხედვით კი, ლორის მელიქი დაი და სომხითის პირველი მელიქი მირიმანი (იგივე სეფიფული-ბეგი) ძმები იყვნენ, მათი მამა კი ნაზარ სარუხანი იყო (ფერანი, 1983: 128).



როგორც აღვნიშნეთ, პირველი მელიქი მირიმანი იყო, რომლის სახელის გამო მისი შთამომავლობა XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში მირიმანიძეებად ან მირიმანიშვილებად მოიხსენიება (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 180-189). პროფ. რობერტ ჰიუსენის აზრით, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად პროფ. კირილ თუმანოვის მოსაზრებას ეყრდნობა და აღნიშნავს, რომ სომხითის მელიქები ბებუთაშვილების გვარის (თბილისის მელიქ-მამასახლისები XVIII ს.) ავანიანთა შტოს წარმომადგენლები იყვნენ (ჰიუსენი, 1975-1976). როგორც აღინიშნა, ამავე აზრისაა უაკ ფერანიც, რომელსაც ხაჩენის და გარდმანის ფეოდალის, ვასაკის (XIII ს.), მთელი გენეალოგია მოჰყავს. ვასაკის მეცამეტე შთამომავალი ყოფილა ნაზარ-სარუხანი, იგივე მირიმან I, ხოლო მისი ძე სეფი-ყულიბეგი, იგივე მირიმან II (ფერანი, 1983: 127-128). მელიქიშვილთა წარმოშობის შესახებ კირილ თუმანოვის მოსაზრებას იზიარებენ ასევე სტანისლავ დუმინი და იური ჩიქოვანიც. მათ ნაშრომში მოყვანილია მელიქიშვილების გვარის გენეალოგიური ტაბულა, რომელშიც საკმაო უზუსტობებია გაპარული. ამის გამო იგი ჩვენი შემდგომი კვლვისათვის დასაყრდენი ვერ იქნება (დუმინი, გრებელსკი, 1998: 174-177).

## § 5. მელიქიშვილების სათავადოს ისტორია

როგორც ცნობილია, ირანში გატარებული სამხედრო რეფორმებისა და დიდი მზადების შედეგად 1603 წელს შაჰ აბას I-მა (1587-1629 წწ.) ოსმალეთის წინააღმდეგ დაიწყო ომი. შაჰის მიზანი ირანის დაკარგული პოზიციების დაბრუნება და აღმოსავლეთ კავკასიიდან ოსმალების საბოლოო განდევნა იყო. ირან-ოსმალეთის ახალ ომში ქართლის მეფე გიორგი X (1600-1606 წწ.) და კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605 წწ.) იძულებულები იყვნენ შაჰ აბასის მხარეს ებრძოლათ. მანამდე, 1601 წელს, გიორგი X-მ ოსმალთაგან ლორე გაათავისუფლა. ომის დასაწყისში, პირველ ეტაპზე, შაჰ აბასმა ერევნის ციხის გათავისუფლება გადაწყვიტა, უზარმაზარი არმიით მივიდა და ერევნის ოსმალურ გარნიზონს ალყა შემოარტყა.

1604 წელს შაჰ აბასმა ერევანთან ომში ოსმალები სასტიკად დაამარცხა, ამ ომში შაჰს ქართლის მეფე გიორგი X და კახეთის მეფე ალექსანდრე II პყავდა მიწვევული. როგორც ზემოთ ითქვა, ერევანთან გამარჯვების შემდეგ შაჰმა გიორგი მეფეს ირანში მისცა სოფლები და 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა. სამაგიეროდ, ლორე და მდინარე დებედას ხეობა გამოსთხოვა (ჯამბურია, 1973: 247). „და შეუძნდა ფრიად და რამეთუ არა ეძლო უარი შააბაზისა და დაანება ლორე და დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ“ (ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959: 537). ლორეში ლორის სახანო შეიქმნა, ხოლო მდ. დებედის ხეობაში თურქმანული ტომი ბორჩალუ ჩამოასახლეს. იოანე ბატონიშვილის ცნობის მიხედვით, როდესაც შაჰმა ლორეში თავისი ჯარი დააყენა „მუნებური მელიქი მივიდა წინაშე შააბაზისა და მიიღო მამადიანობა, რომლისათვის ჯილდოდ შააბაზმან გაათავადა და მისცა გვარად მელიქობად და მამული ლორის ხეობასა შინა სახასოთაგან მეფისა“ (იოანე ბატონიშვილი, 1997: 34). ვახუშტიც ხასს უსვამს მელიქიშვილთა შაჰ აბასის პერიოდიდან დაწინაურებას და მათ სომხურ წარმომავლობასაც და აღნიშნავს, მელიქიშვილი „არა არის გუარი, არამედ სომებსა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოპმადიანებისთვის“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 34-35.).

ლორეს ციხესა და მდ. დებედის მთელი ხეობის დაპატრონებით ირანის მბრძანებელმა საქართველოს სამხედრო კარის გასაღები ჩაიგდო ხელში. ვახუშტი

ამ მომენტს გულისხმობს, როცა ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, თუ როგორ აიძულა შაჲ აბასმა ქართლის მეფეს, დაეთმო ლორე. „შეუძნდა ესე ფრიად მეფესა და მიუგო: „ველოდი ჯილდოდ შენგან სხვასაცა ქალაქსა სამსახურისათვის მამისა ჩუენისა და არა მიხუმასა საზღვართა დამტარება ქართლისა... ამისთვის უფროს აიძულებდა, რათა მისცეს ლორე და გამოსვლისათვის ბერდუჯის მდინარისა“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 156).

ამით შაჲმა ქართლს სამხრეთის კედელი მოარდვია და მის თავდაცვისუნარიანობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ქართველები საუკუნეთა მანძილზე თავგამოდებით იცავდნენ ამ მნიშვნელოვან ზღუდეს. შაჲ აბასმა კი „მშვიდობიანად“ ჩაიგდო ხელში სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობის მხარე, ამის შემდეგ ქართლის დაცვის კედელი მის საწინააღმდეგო პლაცდარმად იქცა (ბოჭიშვილი, 2012: 98).

ქვემო ქართლის მელიქის სახლის წარმატება თავიდანვე ირანის შაჲის ერთგულ სამსახურზე იყო დამოკიდებული. ყველა მელიქი ცდილობდა შაჲისთვის ერთგული დასაყრდენი ყოფილიყო, რათა მეტი წარმატებისთვის მიეღწია. ირანში მათი საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელი სხვადასხვა მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იყო დანიშნული. მირიმანიძეები, როგორც ქვემო ქართლის მელიქები, საუკუნეთა განმავლობაში წარმატებით მოდგაწეობდნენ ამ ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის ხელმწიფის განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ქართლის სამეფო კარზე, ქართველ თავადთა რიცხვში ითვლებოდნენ.

სპარსული ნარატიული წყაროებიდან მნიშვნელოვანი დეტალები ირკვევა სომხითის მელიქების შესახებ. სომხითის მელიქმა მირიმანმა პირველმა უარყო ქრისტიანობა და გამაპმადიანდა. მისი ძე ყორხმაზი, აგრეთვე სომხითის მელიქი, შაჲ აბასს ერთგულად „ემსახურებოდა“. მირიმანის მეორე, ვაჟი თამაზყული ხანი, ერთ-ერთი უპირველესი დიდკაცი (ყულარადასი, უფლისწულის აღმზრდელი) იყო შაჲის კარზე, ხოლო მისი ძმისწული სეფი-ყული ხანი (ყორხმაზის ძე), ჯერ ყოლმარის და ალაშქერის ბეგლარებები იყო, შემდეგ – ჰამადანის, ბოლოს, როგორც ბალდადის დამპყრობელი (1623 წ.), ერაყის მმართველად იჯდა 1633 წლამდე (გაბაშვილი, 1958: 294).

პირველი მელიქის, მირიმანის, სახელის გამო მელიქის სახლის წარმომადგენლები წყაროებში ხშირად მირიმანიძეებად მოხსენიებიან, ხოლო ნაწილი, ძირითა-

დად თბილისში დარჩენილი ასლან ყორხმაზის ძე მირიმანიძის შთამომავლები, მირიმანაშვილებად.

შაპისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა მელიქ ყორხმაზ I-ის ძე, მელიქი ათაბეგი, იგივე ათაბეგ მირიმანიძე. იგი სომხითის მელიქად – 1619-1659 წლების საისტორიო საბუთებში მოიხსენიება (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 186).

ათაბეგს 1616 წელს ბაგრატ ხანმა (ბაგრატ VII 1616-1619 წწ.) მეფე ლუარსაბ II-ის (1606-1614 წწ.) მიერ ნაწყალობევი სოფლები, ქარატაკი და გელაქთაგი, ჩამოართვა და სანაცვლოდ ქვემო წერაქვი უწყალობა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 186; სცსა. 1448, 1024).

მელიქ ათაბეგი შაპ აბასის საქართველოზე ლაშქრობების აქტიური მონაწილე იყო. შაპ აბასის ისტორიკოსის, ისქანდერ მუნშის, მიხედვით, 1616 წელს შაპი აღმოსავლეთ საქართველოში მოწყობილი ექსპედიციის შემდეგ, თბილისში შემოვიდა, სადაც ბაგრატ ხანი (1616-1619 წწ.) დიდის ამბით დახვდა. თბილისიდან შაპ აბასი „გაემართა სომხითისაკენ და რამდენიმე დღე ილხენდა მელიქ მირმან სომხითარის შვილიშვილის, ათაბეგის, სამყოფელს, რომელიც [ირანის შაპის] წმინდა გვარეულობის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა“ (ისქანდერ მუნში, 1969: 111). მელიქები სწორედ ასეთი ერთგულების სანაცვლოდ შაპისგან დამატებით უფლებებსა და იმუნიტეტს იღებდნენ. თუმცა ფეოდალს, ასეთ საქციელს, ალბათ, ცალსახად დალატად ვერ ჩაგუთვლით, რადგან ფეოდალური საზოგადოების პირობებში მელიქებიც, ისევე როგორც სხვა თავადები, პირველ რიგში, თავიანთი მამულის კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ და შემდეგ მთლიან ქვეყანაზე.

1956-1958 წლების ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დროს ქვემო ქართლში აკად. დავით მუსხელიშვილმა მარნეულის რაიონში, გორულის ნასოფლართან,<sup>13</sup> 1615 წელს სომხურ ენაზე შესრულებულ წარწერას მიაკვლია. მან პირველმა წაიკითხა ეს წარწერა და ივარაუდა, რომ იგი სომხითის მელიქ ათაბეგს ეკუთვნოდა. წარწერა დაზუსტდა და 2009 წელს ხელმეორედ გამოიცა გიორგი გაგოშიძისა და ნათია ჩანტლაძის მიერ. ახალ გამოცემაში ავტორები რამდენიმე ადგილს აზუსტებენ, მათ შორის, ექვსი ძმის მამის სახელს (მავქოსი) და ერთ-ერთი ძმის, მირიმანის, სახელოს (ბალტატ ხანი), თუმცა არც ამჯერად არის დადგენილი

<sup>13</sup> გორული მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოფრეთთან მდ. შულავერის ზემო წელზე მდგბარეობს.

წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობა. გამომცემლები აღნიშნავენ, რომ „ასეთი ოჯახის კვალი არათუ წარწერის დღევანდელი მდებარეობის ადგილას, არამედ საერთოდ, სომხეთის ტერიტორიაზეც, არც ამ და არც სხვა პერიოდში არ დასტურდება“. შესაბამისად, ავტორებს ეს წარწერა ნაყალბევად მიაჩნიათ (გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009: 97).

დავით მუსხელიშვილის მიხედვით	გიორგი გაგოშიძის და ნათია ჩანტლაძის მიხედვით
<ol style="list-style-type: none"> <li>წელსა 1615. მე ბატონმა – ? –</li> <li>აღვაშენე წმინდა ეკლესია</li> <li>ხსნისათვის სულისა ჩემისა</li> <li>მყავდა 6 შვილი: დიდი ბატონი ათ</li> <li>აბეკი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო, მირი</li> <li>მანი, ?, ?, ასლანი</li> <li>ელიაშმი ? ბატონი მანთაში – ? –</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>წელსა 1064 (1615) მე ბატონმა მავჭოსმა</li> <li>ავაშენე ეს წმინდა ეკლესია</li> <li>ჩემი სულის ხსნისათვის</li> <li>მყავდა ეკვსი შვილი დიდი ბატონი</li> <li>ათაბეკი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო, მირიმანი</li> <li>ბაღგატატ ხანი იყო, ასლანი</li> <li>[...ელიაშმი, ბატონი მანთაში, ქანა[...]]</li> <li>[...]</li> </ol>


ჩვენი ვარაუდით, წარწერაში მოხსენიებული პირები ადგილობრივი მფლობელები, მირიმანიძეები, ანუ სომხეთის მელიქის შვილები (თავადი მელიქიშვილები) უნდა იყვნენ (ბოშიშვილი, I, 2011<sup>o</sup>: 176-183).

„ათაბეკი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო“ – ზემოთ ნახსენები სომხეთის მელიქი ათაბეგია; „მირიმანი ბაღდატ ხანი“ – მელიქ ათაბეგის ძმა, იგივე სევიყული ხანია, რომელიც ჯერ ყოლმაარის და ალაშქერის ბეგლარბეგი იყო, შემდეგ ჰამადანის, ბოლოს, როგორც ბაღდადის დამპყრობელი (1623 წ.), 1633 წლამდე ერაყის მმართველი იყო (გაბაშვილი, 1958: 194; მაედა, 2008: 43). „ასლანი“ – თბილისის მელიქის ენალას (1634-1672 წწ.) მამაა, რომელსაც ასევე თბილისის მელიქის სახელო ეპავა (სცსა. 1450, 18/78).<sup>14</sup> „[...ელიაშმი/ელიაუშმი“ – ქართულ საისტორიო საბუთებში ნახსენები ათაბეგის კიდევ ერთი ძმა ზაქუმი უნდა იყოს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა XVII-XVIII საუკუნეების ზაქუმიშვილების საგვარეულოს (პირთა ლექსიკონი, II, 1993: 218-219; სიძველები, III, 1910: 410). „ბატონი მანთაში“ და კიდევ ერთი ძმის (რომლის სახელიც არ იკითხება) შესახებ ცნობები

<sup>14</sup> ქალაქის მელიქ ასლანის და გორულის წარწერაში მოხსენიებულ ასლანის იდენტურობის შესახებ ვრცლად იხ. ალ. ბოშიშვილი, 2011<sup>o</sup>: 180.

საისტორიო საბუთებში არ ჩანს.

გორულის წარწერაში მოხსენიებული პირები:



1625 წელს მარტყოფის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ გიორგი სააკაძემ ქართლში დარჩენილ ირანის შაპის მომხრეებს შეუტია. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, სწორედ შაპის ერთგულების გამო მელიქ ათაბეგს და მის ძმას, ზაქუმს, 1625 წელს „მიუტდა ამათ მოურავი, ხოლო იგინი ივლტოდნენ და წაგუარნა დედაწულნი და ქონებანი“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 434). ათაბეგი ძმებთან ერთად ირანში გაიქცა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ირანში გახიზნულმა მელიქ ათაბეგმა და მისმა ძმებმა მხოლოდ XVII საუკუნის 30-იან წლებში როსტომ ხანის (1633-1658 წწ.) დახმარებით მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 32; პარიზის ქრონიკა, 1980: 92). უკან დაბრუნებულმა მელიქ ათაბეგმა მდგომარეობა და სამფლობელოებზე გავლენა მაშინვე აღიდგინა. 1659 წელს ქალაქის მოურავს, მანუჩარს, მტკვრის პირას ლუარსაბ ბატონიშვილის ალაყაფთან ახლოს მდგარი სასახლე მიწა მიჰყიდა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 186; სცსა. 1450, 8/145).

ათაბეგის გარდაცვალების შემდეგ, 1637-1656 წლებში, მელიქი მისი შვილი, ყორხმაზი მირიმანიძე, იგივე ყორხმაზი II გახდა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 187). ქართლში იმ დროს როსტომ ხანი (1633-1658 წწ.) მეფობდა, როსტომს კი თეიმურაზი მეფობას ეცილებოდა.

1642 წელს ქართლში როსტომის წინააღმდეგ ქართლის და კახეთის თავადების ერთი ჯგუფის მონაწილეობით და თეიმურაზის მეთაურობით დიდი შეთქმულება დაიგება. შეთქმულების მიზანი იმ დროს „ცოტას კაცით ცხირეთს“ მდგომი როსტომის მოკვლა და თეიმურაზ I-ის გამეფება იყო (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 421; ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 250). სპარსელი ისტორიკოსის მოპამედ თაჟერის

ცნობით, ქართველმა თავადებმა „საქმეში მოკავშირედ გაიჩინეს მელიქი ყორხამასი, სომხითის მელიქ ათაბეგის შვილი. რადგანაც ხსენებული მელიქი სახალიფო სასახლის (შაჰის) ერთგულთა რიცხვს ეკუთვნის, ამიტომ მან შეატყობინა როსტომ ხანს იმ ურწმუნოთა ბოროტების შესახებ“ (მოპამედ თაჲერი, 1954: 381). როსტომი გორის ციხეში გამაგრდა, თეიმურაზმა კი, რომელიც უკვე მეტეხთან იყო მისული, შეთქმულების გაცემა შეიტყო და უკან, კახეთში, დაბრუნდა. როსტომმა შეთქმულებაში მონაწილეები სასტიკად დასაჯა (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 250; ბერი ეგნატაშვილი, 1959: 422; მოპამედ თაჲერი, 1954: გვ. 381).

ყორხმაზ II, როგორც მელიქი, აქტიურად იყო ჩართული სამამულე დავების გარჩევაში. მან როსტომ ხანის მეუღლის, მარიამ დედოფლის, ბრძანებით ვინმე ალიხანასა და ოფრეთელებს შორის წარმოქმნილი დავა გაარჩია (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 187; სცსა. 1450, 9/108). ყორხმაზმა სუფრაჯ ჰამზაბეგისა და მდივან ბირთველ თუმანიშვილის მამულების და ლალის საკითხებზე წარმოქმნილი დავა გაარიგა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 187; სეც. Sd 484). ყორხმაზ II-მ 1640-იან წლებში გორულელებს და ხოხმელელებს, შორის მდებარე, სადაცო მიწა ალიხანა იაგულაშვილს უწყალობა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 187; სცსა. 1450, 9/109).

ყორხმაზი მოწერა სამების მამასახლისის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემული ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 187; სცსა. 1450, 5/35) და პაატა ბარათაშვილის მიერ შაჰულა იაგულაშვილისათვის მოცემული ყმა-მამულის გაცვლის წიგნისა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 187; სცსა. 1450, 9/150).

ყორხმაზი, სავარაუდოდ, XVII ს. 50-იანი წლების ბოლოს გარდაიცვალა, მის შემდეგ მელიქი მისი შვილი, ქამარბეგი, გახდა. იგი მელიქი ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675 წწ.) და გიორგი XI-ის (1675-1688; 1703-1709 წწ.) მეფობის დროს იყო.

ქამარბეგმა 1660 წელს როჭიკა შალიკაშვილს სომხითის სოფელი ვანქი სამელიქო გადასახადისაგან გაათავისუფლა. ვანქის სამელიქო გამოსაღები თავის დროზე მელიქიშვილებს შაჰ აბასისგან ჰქონიათ ნაბოძები (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 187; სცსა. 1450, 37/205).

გიორგი XI შაჰისადმი დიდ ერთგულებას არ იჩენდა. ამავე დროს შაჰ სულეიმანი (1666-1694 წწ.) ქართველების ურთიერთდაპირისპირებას ცდილობდა, მან ამისთვის 1679 წელს ქართლში ირანელი სარდალი აჯი-ალი ხანი გამოგზავნა,

„რათა გარდააბირნოს ქართველნი გიორგი მეფისაგან“. ხოლო „მელიქი სომხითისა ქამარბეგ ამხილებდა ქმნულსა მეფისასა აჯი-ალიხანს“. მეფის მოწინააღმდეგები იყვნენ ასევე ერეკლე მუხრანბატონი, იქსე და ელიზბარ მაჩაბლები (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 460). მეფის ბრძანებით 1687 წელს „პკრეს თოფი ქამარბეგს ფარულად კოჟორსა ზედა და მოკუდა იგი“, ხოლო სხვები დაპატიმრა და მკაცრად გაუსწორდა (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 460). პარიზის ქრონიკის მიხედვით, „სომხითის მელიქი ყენმან კარზედ ითხოვა“, რათა გაერკვია, თუ რა ხდებოდა ქართლში, სადაც თავადები ურჩობდნენ, „ყენი გურგენ ხანსაც“ უწყრებოდა, ამიტომ „გარავში მჯდომს თოფი აკვრევინეს და ქამარ-ბეგ მელიქი მოაკვდინეს“ (პარიზის ქრონიკა, 1980: 121). ეს ამბავი შაჰს დიდად სწყენია (პარიზის ქრონიკა, 1980: 121). როგორც ჩანს, ქამარბეგი გიორგისთვის სერიოზული მოწინააღმდეგე იყო, ამიტომ მეფეს ხელს არ აძლევდა მისი ირანში გამგზავრება და სასწრაფო ზომები მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ მელიქი ქამარბეგი მეფის ხელისუფლებას ეწინააღმდებოდა და ამის გამო სიკვდილითაც დასაჯეს, მის შემდეგ მელიქი მაინც მისი შვილი ავთანდილი გახდა.

მელიქი ავთანდილი სხვადასხვა საბუთში მოიხსენიება. 1688 წელს მელიქ ავთანდილმა ბაინდურ გოგიბასშვილს ბოლნისში, თურმანისში, „საფარაანთ თელნარის ქვემოთ“ საფარაშვილის, აკოფაშვილის და ყადინაშვილის მიწებამდე, თორმეტი დღის მიწა მიჰყიდა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 185; სცსა. 1450, 10/18). 1689 წელს ალავერდა ალიხნასშვილს მიჰყიდა მიწები (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 185; სცსა. 1450, 9/120). 1689 წელს, იოანე დიასამიძის კათალიკოსობის დროს, როსტომ მეფის მიერ სვეტიცხოვლისთვის 1645 წელს შეწირული, სოფელი დარბაზი სამელიქო გადასახადისაგან გაათავისუფლა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 185; სცსა. 1449, 2365).

მელიქები თანდათან ტოვებენ ისლამს და მართლმადიდებლობას იღებენ. ეს ჩანს როგორც საქუთარი სახელებიდან, ასევე მათ მიერ გაცემული იურიდიული დოკუმენტებიდან.

1697 წელს მელიქ ავთანდილმა გივი თუმანიშვილს შამირზას ნასოფლარი მიჰყიდა. აღნიშნული საბუთიდან ჩანს, რომ მელიქი ავთანდილი იმ დროს უკვე მართლმადიდებელი ყოფილა, რადგან სიგელს წინ უძღვის ვრცელი მართლმადიდებლური ლოცვა წმინდანთა რიგის ჩამოთვლით (სიძველენი, II, 1909: 115-118; ქართულ-

სპარსული...., 1955: 381-383).

მელიქი ავთანდილი პირველი მელიქი იყო, რომელმაც მუსლიმობა დატოვა და მართლმადიდებელი გახდა. ავთანდილის შემდეგ მელიქიშვილები საბოლოოდ ქრისტიანები ხდებიან და ქართველ თავადთა რიცხვში ითვლებიან.

ავთანდილს წერაქვის სამელიქო გამოსაღების გამო ციციშვილებთან ჰქონდა დავა. ერეკლე I ნაზარალი ხანის დროს (1688-1703 წწ.) მელიქ ავთანდილმა უთრუთ ციციშვილს წერაქვის სამელიქო გადასახადზე და მელიქის ყმის მიერ ნაყიდ ზვარზე დავა დაუწყო. ეს დავა რამდენიმე ხნის წინ ნაზარალი ხანის დავალებით ბაგრატ თურქისტანიშვილს გაურჩევია. მაგრამ მალე ისევ განახლებული დავა. პაატა შალიკაშვილმა გაარჩია, მელიქის ყმებმა ზვრის ნასყიდობის წიგნი ვერ წარმოადგინეს; წერაქველებმაც დაიფიცეს, რომ სამელიქო გადასახადი მანამდე არ ჰქონდათ. საბოლოოდ დავა უთრუთ ციციშვილის სასარგებლოდ გადაწყდა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 185; სცხა. 1450, 51/81).

მელიქ ავთანდილს, როგორც ჩანს, ეკონომიკური პრობლემები ჰქონდა. 1710 წელს მან ლუარსაბ სარდლისგან „სამოცდაათხუთმეტი ნაღდი თეთრი აიღო“ და სანაცვლოდ თავისი „სახასო სამკვიდრო სოფელი დიელცნუტი... თავისის მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, ჭალითა და სათიბითა, შესაგლითა და ყოვლის ნივთით, მათის გამოსაღებითა და ყოვლის მათის სამართლიანის სამძღვრითა“ დაუდო (ხეც. Sd 13173).

ქართლში კვლავ რთული პოლიტიკური სიტუაცია იყო. გიორგი XI-ის, შემდეგ მეფობა ირანში მყოფმა ქაიხოსრომ (1709-1711 წწ.) მიიღო. იგი ქართლში ჩამოსვლას ვერც მოესწრო, ისე დაიღუპა ავდანელებთან ბრძოლაში. შემდეგი მეფე იესე (1711-1716 წწ.) გამეფდა. ხოლო 1716 წლიდან ქართლის მეფე ირანში მყოფი, ადრე ჯანიშინად (1703-1712 წწ.) ნამყოფი ვახტანგ VI გახდა. იგი ირანიდან ქართლში 1719 წელს დაბრუნდა. ვახტანგი ირანიდან იმიტომ გამოუშვეს, რომ ქართლის სამეფოს შიდა საქმეები მოეწესრიგებინა და დადესტნელების თავდასხმები შეეჩერებინა (ტუხაშვილი, 1973: 408). ვახტანგ VI-ის სამშობლოში დაბრუნებას ქართლის საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა. ზოგისთვის მეფის დაბრუნება მათი უფლებების შეზღუდვასთან იგივდებოდა. ამის გამო მას მოწინააღმდეგებიც მრავლად ჰყავდა. ვახტანგმა ენერგიულად დაიწყო ქვეყნის მართვა-გამგეობა. პირველ რიგში, ირანულ ყაიდაზე შეცვლილი ქართული წესებისა და კანონების აღდგენა დაიწყო.

ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, მოწინააღმდეგები შეიძყრო და სხვადასხვა სასჯელით დასაჯა. სწორედ „მაშინ შეიძყრა მე ქამარ-ბეგისა სომხითის მელიქი (ავთანდილი – ა.ბ.) და დახურიტა თოვით“; ამის გარდა, შეიძყრო ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალაგანდიშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, რევაზიშვილი პაპუნა და სხვები, მაგრამ „ესენი იჯსნა კათალიკოსმან სიკუდილისაგან და განყიდეს ოსეთს თხებთა ზედა (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 497).

ავთანდილის შემდეგ მელიქი მისი ბიძაშვილი, ლევანი, გახდა. ავთანდილმა, როგორც ჩანს, იცოდა, რომ მის შემდეგ მისი შვილი კი არა, შეიძლება მისი სახლიკაცი გამხდარიყო მელიქი, ამიტომ 1710 წელს საბუთის გაცემისას აღნიშნავს, რომ „თუ მე ვარ მელიქი ან დღეის იქით ჩემი ნათესავი ვინმე მელიქად იყოს“, მაინც ვერ მოგიშალოს ეს პირობაო (ხევ. სd 13173). მსგავსი შემთხვევა სხვა საბუთებში არ ფიქსირდება და მელიქობა სტაბილურად მამიდან შვილზე გადადიოდა.

ლევანის დროს ქართლის მეფეებსა და მელიქს შორის ურთიერთობა შედარებით დასტაბილურდა. მათ ირანიდან მხარდაჭერა საბოლოოდ დაკარგეს, ამიტომ მელიქისთვისაც ისლამი პრიორიტეტს აღარ წარმოადგენდა. მირიმანიძეთათვის უფრო ხელსაყრელი ქართველი მეფის სამსახური გახდა.

მელიქი ლევანი 1681 წელს შალვა შალიკაშვილსა და მის განაყოფებს კუნეთის მიწებს ედავებოდა. საქმე ბერუკა თურქისტანიშვილმა გაარჩია და ლევანს ბეჟანბეგ შალიკაშვილისგან შეძენილი მამულები არგუნა, ხოლო ალიყულას მამული შალიკაშვილებს დარჩათ. ლევანმა შალიკაშვილებს ამ მიწებზე უდაობის პირობა მისცა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 186; სცსა. 1450, 48/139). 1688 წელს ლევან მელიქიშვილმა გივი თუმანიშვილს ადრე აღებული ვალი დაუბრუნა და ანგარიში გაუხმორა (სიძელენი, III, 1910: გვ. 568). 1698 წელს ნაზარალისანმა ლევანს სოფელი ყათლუ უწყალობა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 186; სცსა. 1450, 9/116).

1698 წელს ნაზარალი ხანმა მეპმანდარბაშ<sup>15</sup> ალავერდა იაგულაშვილს შეუთვალა, რომ მელიქის სოფლები: ახტალა, ჭოჭანი, შადიკნი, წოვი, ტევური, გორული, წერაქვი, დედარარას სოფელი, ბირშას სოფელი, ზემო გორული, მათიში,

<sup>15</sup> „მემანდარი“ და „მემანდარბაში“. გვიანდელ ფეოდალურ პერიოდში მესტუმრისა და მესტუმრეთუ-ხუცესის მნიშვნელობით შემოვიდა მემანდრები და მემანდარბაში ეშიკადასბაშს ექვემდებარებოდნენ (იხ. სურგულაძე, 1983<sup>ბ</sup>: 601).

დიდცნუტი, სააბი, შამირზას სოფელი, ქვემო ბოლნისში ოც ჰქონდათ მელიქებს თოხლუქილისა, ყველა ლეგან მირიმანიძესთვის გადაებარებინა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 186-187; სცსა. 1450, 17/73).

როგორც დაგინახეთ, ლევან მირიმანიძე ვიდრე მელიქის სახელოს მიიღებდა, საკმაო მამულებს ფლობდა და ქართლის მეფეთა პატივისცემითა და წყალობებითაც სარგებლობდა. ამ ფაქტმა საგარაუდოდ, დიდი გავლენა იქონია იმაზე, რომ ავთანდილის სიკვდილით დასჯის შემდეგ ქართლის მეფეთა არჩევანი სწორედ მასზე შეჩერებულიყო და სომხითის მელიქი ლევან ყევნისეული<sup>16</sup> ათაბეგის ძე გამხდარიყო. ლევანი 1721 წლის მეტინავე სადროოშოს აღწერაშიც მოიხსენიება (აღწერა..., 1907: 262-264).

როგორც ცნობილია, 1723 წლიდან ქართლში კავკასიის დიდ ნაწილზე ოსმალები გაბატონდნენ. ამავე დროს, რუსეთმა კასპიის ზღვისპირა პროვინციები დაიკავა. ოსმალეთმა რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაპყრობა ცნო, ხოლო პეტრე I-მა (1682-1725 წწ.) ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ სომხეთის დამორჩილება აღიარა. დასუსტებულმა ირანმა კავკასიაში ოსმალეთის გაბატონებას ვერანაირი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია, არც ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს შესწევდა ამის ძალა.

ქართლში კი ოსმალური აღმინისტრაცია შეიქმნა. დაიწყო ე.წ. „ოსმალობა“, რომელიც 1735 წლამდე გაგრძელდა. ოსმალებმა ქართლის სამეფოს, თბილისის ვილაიეთი უწოდეს, რომელიც უფრო მცირე ერთეულებად: ნაჰიებად, ლივებად და ყაზებად იყოფოდა (1728 წლის დავთარი, I, 2009). შექმნეს საკუთარი აღმინისტრაციული აპარატი. გამგებლად, ანუ თბილისის ვილაიეთის ვალიდ ისაყ ფაშა<sup>17</sup> დანიშნეს. ქვეყანა აღწერეს და თავისი გადასახადები შეაწერეს. სომხითის მელიქების მდგომარეობა „ოსმალობის“ დროს განსაკუთრებით გართულდა.

ოსმალებმა ქართლის სამეფო 1728 წელს აღწერეს და მოსახლეობა, მათი სოციალური კატეგორიებისა და წარმომავლობის მიუხედავად, თანაბრად ოსმალური გადასახადებით დაბეგრეს. ოსმალობის დროს „თბილისის ვილაიეთში“ ცალკე

<sup>16</sup> „ყევნისეული“ ათაბეგი დიდი ათაბეგის შვილიშვილი და უორხმაზ II-ის ძე იყო. „ყევნისეული“ – ირანის შაჰის ქარზე ყოფნის გამო ერქვა.

<sup>17</sup> ისაყ ფაშა (1701–1748) წარმოშობით ჯაფელთა უეოდალური საგვარეულოდან იყო. პირველი გამაჰმადიანებული ათაბაგის საფარ ფაშას შთამომავალი, ახალციხის ფაშა და თბილისის ვალი. „მპურობელი და განმგებელი ყოვლისა საქართველოსი.“ ოსმალეთის სამოუდიანი ვეზირი (აბულაძე ...).

ადმინისტრაციულ ერთეულად შევიდა „სომხითის ლიგის ნაჟიე“ (შენგელია, 2008: 194-208). სომხითის ლიგის უფროსი მირიმანიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი აღარ ჩანს. მისი მამული დაიყო და გივი ამილახორის, ადალლაპ ბეგ ამილახორ თდლისა და მეჭმედ ალის ძეს შორის განაწილდა. ნაწილი მამულებისა სახასოდ გამოცხადდა. მაგ. „მელიქაშენი სამეუფეო ხასია, ექვემდებარება სომხითს“ (1728 წლის დავთარი, II, 2010: 262-354). აღწერაში სოფელ ახტალას, სადაც სომხითის მელიქების საგვარეულო საძვალე და სასახლე იყო, მიწერილი აქვს „ზიამეთი მეჭმედ ალის ძისა“. მეჭმედ ალის ძის ზიამეთებია ასევე სოფლები: დვიბი, დიუდი და სხვ. (1728 წლის დავთარი, II, 2010: 306).

„ოსმალობა“ ქართლში 1735 წლამდე გაგრძელდა. 1735 წელს აჯანყებულმა ქართველებმა ყიზილბაშების დახმარებით ოსმალები დაამარცხეს და განდევნეს, მაგრამ ქვეუნისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. ყიზილბაშებმა თავის რიგზე მოინდომეს ქვეუნის მოწყობა. ოსმალო ფაშა ყიზილბაშმა ხანმა შეცვალა. „ყიზილბაშობა“ 1749 წლამდე გაგრძელდა.

ლევან მელიქის შემდეგ ქართულ საბუთებში სომხითის მელიქად ადარავინ არ მოიხსენიება. მელიქობა, ფაქტობრივად, გაუქმდა, მათი მამულის ნაწილი სახასოდ იყო გადაქცევული და ქართველი მეფის საკუთრებას წარმოადგენდა. თუმცა, როგორც ჩანს, ლევანის შთამომავლობა სომხითში და ქვემო ქართლში გარკვეულ მდგომარეობასა და ტერიტორიებს ინარჩუნებდა. ლევანის შვილი იყო იქსე, რომელსაც მოღვაწეობა ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს მოუწია. იქსეს შვილი იყო ავთანდილი. ეს ავთანდილი საბუთებში თავისთავს მელიქად მოიხსენიებს. თუმცა მას ოფიციალურად მინბაშის თანამდებობა ეკავა და ამიტომ სამეფო კანცელარიის საბუთებში კველგან ავთანდილ მინაბაშად ან ავთანდილ მელიქიშვილად მოიხსენიება.

როგორც ცნობილია, 1763 წელს ერეკლე II-მ მელიქიშვილის მამულში და მათ საძვალესთან ახლოს ახტალის ვერცხლსაღნობი ქარხანა დააარსა (ვრცლად იხ. ქვემოთ). მელიქიშვილებმა ცენტრალურ ხელისუფლებას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს. მათ საკუთარი მამულების საბოლოოდ დათმობა მოუწიათ. რის სანაცვლოდაც ერეკლემ მელიქიშვილებს ქარხების ზედამხედველობა და სომხითის მინბაშობა დაავალა და შესაბამისი ხელფასიც დაუნიშნა. პირველი მინბაში სწორედ ავთანდილ მელიქიშვილი იყო.

ავთანდილი, როგორც მემამულე, დაკარგული მდგომარეობისა და ყმების დასაბრუნებლად იბრძოდა. იგი 1776 წელს ვინმე გიორგი ავაქაშვილს ედავებოდა, ჩემი უმა ხარო. ამ უკანასკნელმა მეფეს მიმართა საჩივრით: გიორგი ჩვენებაში წერს, ადრე მისი გვარი მართლა მელიქიშვილების უმა ყოფილა, მაგრამ შემდეგ ავთანდილის ბიძამ გიორგის ოჯახი ახალციხეში გაყიდა. მოგვინებით გლეხებმა მოახერხეს გადმოსვლა და თავისი ნებით მზეჭაბუკ ყაფლანიშვილს უყმნენ და სოფ. დამბლუტში დაემკვიდრნენ. ახლა კახეთში გადასულ ხიზნად მდგომს ედავებოდა ავთანდილ მელიქი, რომ მაგედან მემსახურეო. საკითხი შესასწავლად ერეკლემ ყორიასაულბაშ ზაზას გადასცა და დაავალა, ავთანდილ მელიქიშვილიც და მზეჭაბუკ ყაფლანიშვილიც ორივე სასამართლოში მოივანე და ისე გაარკვიეთ (სამართლის ძეგლები, VII, 1981: 340).

1786 წელს ავთანდილი ბებურ ბებურიშვილს უმას ედავებოდა. ბებურმა ვახტანგ ბატონიშვილს თხოვნით მიმართა. ეს უკანასკნელი ეუბნება, რომ ავთანდილ მინბაშს ამ კაცზე ჩვენ აღარ ვედავებით და თუ შენ რამე სადავო გაქვს, მეფეს მიმართეო (სამართლის ძეგლები, VII, 1981: 681). მომდევნო წელს ბებურის ძემ, ნინია ბებურიშვილმა, მიმართა დედოფალ დარუჯანს, რომ მელიქიშვილი ავთანდილი „ოცდათხუთმეტის წლის ჩამოსულს“ მედავებაო. საბოლოოდ, საქმე სასამართლოს გადაეცა. დედოფალმა მელიქიშვილს განუცხადა, „აღდგომამდე დააცალე. თუ საადდგომოთ მოვიდეს და სამართალში გელაპარაკოს, ის არის; თუ არა, მასუკან შენს კაცს ხელი მოჰკიდე და წამოიყვანეო“ (სამართლის ძეგლები, VII, 1981: 447-448).

ეს საბუთი იმითაც არის საინტერესო, რომ მიმართვაში ავთანდილი თავს მოიხსენიებს, როგორც „მელიქი ავთანდილი“, ხოლო ვახტანგ ბატონიშვილი ოქმში „მინბაშ ავთანდილ მელიქიშვილად“ წერს.

ემებზე დავას ეხება 1775 წლის მამაჯან სულხანიშვილის არზაც, სადაც მამაჯანა ამბობდა, რომ მამამისი სულხანი მელიქიშვილების უმა ყოფილა, მაგრამ ოსმალობამდე „კახეთს ჩამოსულა, აქა-იქ სოფლებში ყოფილა... ეს ოცი წელიწადია, რაც გულგულაში ვდგვევარ, და ახლა მელიქიშვილები აყრას მიპირებენო“. ლევან ბატონიშვილმა საკითხი განიხილა და გლეხის სასარგებლოდ გადაწყვიტა (სამართლის ძეგლები, VII, 1981: 318).

ავთანდილი 1785 წელს სალალაკში „წყლის გზას თხოვდა. და მანდენაანთ

სტეფანე უპასუხებდა: ვერ მოგცემო, სახლებს დამიქცევსო“. საბოლოოდ, საქმე მედიატორებმა გადაწყვიტეს და დაადგინეს, რომ სტეფანე ავთანდილს გზას მისცემდა, ავთანდილი კი მის მამულებს არ დააზიანებდა (სამართლის ქადაგი, V, 1974: 301).

1793 წელს მელიქის შვილმა ავთანდილმა და მისმა შვილმა, იასემ, პარუნ შაქარასგან და სტეფანესგან ვალი აიღეს. მსესხებლები, როგორც ჩანს, ახტალის მიდამოებში ცხოვრობდნენ და მაღნის წარმოებაში იყვნენ დასაქმებული, რადგან მელიქის შვილები მათ სთავაზობენ, რომ კუთვნილი ჯამაგირიდან დაიბრუნონ ვალი. „რაც ჩვენი განწესება არის მაღნიდამ ჯამაგირი იქიდამ აიღე, ეს ხუთი თუმანიო“, თუ ბატონმა არ მოგცა ჩვენ მოგართმევთო (სცხა. 1450, 18/22). საბუთში ავთანდილი მინბაშად მოიხსენიება, ხოლო იქსე, იუზბაშად.

ავთანდილის შემდეგ ახტალის მაღნების ზედამხედველი და მინბაში მისი შვილი, იქსე მელიქის შვილი, გახდა. თუმცა იქსე მანამდე იყო ჩართული ამ საქმიანობაში. ეს ჩანს 1788 წლის 28 აპრილის ერეკლე II-ის მიერ იულონ ბატონის შვილთან გაგზავნილი წერილიდან. ერეკლემ წერილთან ერთად იასე უზბაში 100 კაცით გააგზავნა და მაღნების მიხედვა დაავალი (სიძველენი, III, 1910: 45).

ერეკლე II-ის დროს სამეფო კარზე პაპა მელიქის პერიოდი თანამდებობები. იგი თბილისის მელიქ ენალას შთამომავალი და მეფესთან საკმაოდ დაახლოვებული პირი იყო. როგორც გიორგი XII ერთ-ერთ თავის სიგელში აღნიშნავს, „პაპა... მეფეს ირაკლის სიყრმითგანვე თან შეზრდოდა უერთგულესის სამსახურების გამოჩენითა... და მიეღო წყალობა ესე: ლაშქარნივისობა კახეთისა და სალაროს მუშრიბობა მრჩობელ სამეფოსი“ (მასალები..., 1948: 20).

ლაშქარნივისი საკმაოდ დიდი საპასუხისმგებლო თანამდებობა იყო მაშინდელი ქართლ-კახეთის სამეფოში. ცნობილია, რომ XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქვეყნის აღწერა მთლიანად სამეფო კარის კომპეტენციად იქცა. აღწერას მდივნები და ლაშქარნივისები ატარებდნენ (თაბუაშვილი, 2010).

მუშრიბი არაბული სიტყვაა და ზედამხედველს, მეთვალყურეს, მწერალს აღნიშნავს. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მუშრიბი მეჭურჭლეთუხცესს ექვემდებარებოდა და ქალაქებში აკრეფილ ბაჟსა თუ სავაჭრო გადასახადს საჭურჭლის უხუცესებს აბარებდა. XVI-XVIII საუკუნეებში მუშრიბი სხვადასხვა უწყებაში საქმიანობდა, სადაც ძირითადად საანგარიშსწორებო დოკუმენტებს ადგენდა

(კეკელიძ, 1984: 226). სალაროს მუშრიბიც სანდო ადამიანი იყო სამეფო კარისთვის, რაღაც ის აწარმოებდა სამეფო სალაროში შემოსავლებისა და გასავლების აღწერას.

პაპა მუშრიბის გარდაცვალების შემდეგ, 1800 წელს, გიორგი XII-მ (1798–1800 წწ.) მის ძეს იოსებს „ქალაქისა და სომხით-საბარათაშვილოს ლაშქარნივისობა და კარზედ მწერლობა და მუშრიბობა უბოძა“ (მასალები, 1948: 19-20). იმავე წლის დეკემბერში, გიორგი XII-ის ძემ, დავით გამგებელმა (1800-1801 წწ.), იოსებ მელიქიშვილს „ქალაქისა და სომხით-საბარათაშვილოს ქართველთა და თათრის ლაშქარნივისობა თავის განწესებულის ჯამაგირით, ულუფით და სარგოებით“ უწყალობა (მასალები, 1948: გვ. 21).

ამრიგად, მირიმანიძეები, XVI საუკუნიდან დიდ მამულებს და მელიქის სახელოს მემკვიდრეობით ფლობდნენ. მათი განსაკუთრებული იმუნიტეტი, XVIII საუკუნის დასაწყისში, გარკვეულწილად ვახტანგ VI-ის ლონისმიებებმა შეარყია, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოახერხა გარკვეული ვალდებულებები დაეკისრებინა მელიქის მამულისთვის და მისი სოფლების ნაწილიც აღიწერა. სამელიქო „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, იმუნიტეტის და მამულების ნაწილის დათმობა მოუწიათ. საბოლოოდ მელიქების საკითხი ერეკლე II-მ გადაწყვიტა, როდესაც მათ მამულებში სპილენძის და ვერცხლის მომპოვებელი ქარხნები ააშენა, და მელიქიშვილები იძულებულნი გახდნენ საკუთარი მამულები დაეთმოთ, რის სანაცვლოდაც ერეკლემ მელიქიშვილებს ქარხნების ზედამხედველობა და სომხითის მინბაშობა დაავალა და შესაბამისი ხელფასით. მელიქიშვილების ნაწილი ცენტრალურ ხელისუფლებაშიც დააწინაურა და მაღალი სამოხელეო თანამდებობები (ლაშქარნივისი, მუშრიბი) უბოძა.

## § 6. მელიქიშვილების სამფლობელოები („სომხითის მელიქის მამული“)

სომხითის მელიქის მამული ძირითადად ისტორიულ ქვემო ქართლში სომხითს მოიცავდა. XVII-XVIII საუკუნეებში სომხითი სრულიად გარკვეულ ტერიტორიას ერქვა, ეს იყო ბოლნის-შულავერის ხეობები და მათ შორის მცირე ხევებიც. როგორც პროფ. დევი ბერძენიშვილი წყაროებზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ მელიქის მამული „უფრო დებედა-წოფის ხეობით სევანის ტბისაკენ მიმავალ გზაზე“ უნდა ყოფილიყო. მის მეზობლად კი ლორის ხანის მამულია“ (ბერძენიშვილი, 1998: 99; ბერძენიშვილი, 2006: 191-211).

მელიქიშვილების სათავადო – „სამელიქო“, „მელიქის საულდარი“, „მელიქის მამული“ – დაახლოებით იმავე პრინციპებით იყო მოწყობილი, როგორითაც სხვა ქართული სათავადოები. მისი შინაგანი სტრუქტურა არ განსხვავდებოდა სხვა სათავადოებისაგან. სათავადოს სახლის უფროსი იყო მელიქი, ხოლო სხვები მელიქიშვილები (შდრ. ამილახვარი – ამილახვრიშვილი; ერისთავი – ერისთვისშვილი).

მელიქები ცდილობდნენ, სათავადო ერთიანი შექნარჩუნებინათ. მათ საკმაოდ დიდი მამულები ჰქონდათ. მელიქებს ჰყავდათ საკუთარი აზნაურებიც. ესენი იყვნენ: აბაზაშვილი, არდაშელიშვილი, ყარახანაშვილი, ისუაშვილი, ოდიშელიძე, მაშათაშვილი და სხვ.

მელიქიშვილების აზნაურების ნაწილი გეორგიევსკის ტრაქტაზე დართულ ქართლისა და კახეთის თავადთა და აზნაურთა სიაში არიან შეყვანილნი:

274. აზნაური აბაზაშვილი
275. აზნაური არდაშელიშვილი
276. აზნაური ყარახანაშვილი
277. აზნაური ისუაშვილი (სამართლის ძეგლები, II, 1965: 483).

მელიქიშვილების აზნაურებად იგივე გვარები აქვს მითითებული იოანე ბაგრატიონს ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა გვარების აღწერილობაშიც (იოანე ბაგრატიონი, 1997: 149). თუმცა ამათ გარდა, 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერაში სხვა გვარებიც ფიქსირდება, მაგ. ოდიშელიძე ოტია, მაშათაშვილი აბაზეულა, გარდიშა; სოფელ საბაში – ლუარსაბი (აღწერა..., 1907: 262-264). 1697

წლის ნასყიდობის წიგნში, რომლის მიხედვითაც მელიქ ავთანდილიმა, მისმა შვილებმა და სახლიკაცებმა თუმანიშვილ ზურაბს მიჰყიდეს შამირზას ნასოფლარი, მოწმედ დასახელებულია „აზნაურშვილი აბაზაშვილი არაზა“ (სიძველენი, II, 1909: 117; ქართულ-სპარსული..., 1955: 385).

მელიქის მამულის სოფლების განსაზღვრისთვის საინტერესო საბუთს წარმოადგენს 1698 წელს ნაზარალი ხანის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია მელიქის სოფლები: ახტალა, ჭოჭკანი, შადიკნი, წოფი, ტევზური, გორული, წერაქვი, დედარარას სოფელი, ბირშას სოფელი, ზემო გორული, მათიში, დიდცნუტი, სააბი, შამირზას სოფელი, ქვემო ბოლნისი და ოოხლუქილისა (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 186-187; სცსა. 1450, 17/73). წოფი რომ მელიქის მამულია, კარგად ჩანს ვახტანგ VI-ის მიერ 1730 წელს რუსეთში გაცემულ წყალობის სიგელშიც. ამ სიგელის მიხედვითაც, „სოფელი სომხითის მელიქისა წოფა“ ორბელიანებს გირაოდ ეჭირათ და მათვე დაუმტკიცა (სიძველენი, II, 1909: 357-358). მელიქის მამული უნდა იყოს სოფელი მელიქაშენიც.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მირიმანიძეების საგვარეულოს სამფლობელო, ანუ სომხითის მელიქის მამული, მუსლიმი მელიქით სათავეში, სათავადოს სახით ქართლის სამეფოს შემადგენლობაში XVII საუკუნეში ჩამოყალიბდა. მელიქი ირანის შაპის მხარდაჭერით სარგებლობდა და სხვა ქართული სათავადოებისაგან განსხვავებულ და უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მელიქები შაპისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ და ცხადია, შაპიც აფასებდა მათ ერთგულებას, და ცდას არ აკლებდა, ეს მხარე ჩამოეშორებინა საქართველოსთვის და დამოუკიდებელ სახანოდ ექცია. „მელიქის საულდარი“ (სპარსულად სეიორლალი – მამული) „დაუწერელი“ იყო. ქართველი მეფე მის მამულს გადასახადებს ვერ აწერდა. ირანის შაპის მხარდაჭერის პირობებში, მელიქის ქართველი მეფისადმი მორჩილება ნომინალური იყო და დასტურლამალის მიხედვითაც მცირე ვალდებულებები ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ სომხითში არსებული სოფლები, სადაც მემამულებად სხვა ფეოდალური სახლები (შალიკაშვილი, ციციშვილი (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 187; სცსა. 1450, 37/191) და სხვ.) იყვნენ, მელიქის სასარგებლოდ სპარსულ „სამელიქო გამოსაღებს“ იხდიდნენ. სომხითის სოფლებში, სამელიქო გადასახადი თავის დროზე შაჺ აბასს დაუწესებია (პირთა ლექსიკონი, III, გვ. 187; სცსა. 1450, 37/205).

საინტერესოა „დასტურლამალში“ მოხსენიებული „მელიქის საულდარი“, რომელშიც ნაგულისხმევი უნდა იყოს ის ქვეყანა (სამელიქო მთლიანად თუ არა, მისი გარკვეული ნაწილი მაინც), რომლის სრული საგადასახადო ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით სარგებლობს. მელიქის ამგვარი შეუვალობა ისტორიულად ირანის შაჰის „წყალობა“ იყო. მხოლოდ ამ თვალსაზრისით გასაგები ხდება, თუ რატომ ეწოდება მელიქის მამულს „საულდარი“. შაჰი ქვემო ქართლში სამელიქოსა და სახანოების შექმნით არამარტო მიწების მიტაცებას, არამედ ქართული მიწისმფლობელობის დარღვევას და ირანული მიწისმფლობელობის შემოდებასაც შეეცადა.

როგორც პროფ. ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავს, შაჰისთვის „საუკეთესო ვარიანტი თიულის შემოდება იქნებოდა, მაგრამ ეს ქართულ საზოგადოებას ირანის წინააღმდეგ დარაზმავდა. სოიურდალად ქცეული ტერიტორია, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციისაგან მხოლოდ თანდათან გათიშვის შესაძლებლობას იძლეოდა, უფრო კომპრომისული ხასიათის მატარებელი იყო. ამ მხრივ სოიურდალს დაახლოებით ისეთივე როლი უნდა შეესრულებინა, როგორსაც მონღოლთა ბატონობის ხანაში „ხასინჯუს“ ინსტიტუტი ასრულებდა“ (გაბაშვილი, 1958: 295).

პროფ. ვალერიან გაბაშვილისავე განმარტებით, „სოიურდალი აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის წესია, მისი წინა ფორმა არის „იკტა“, რაც არაბულად ნიშნავს ჩამონაჭერს. იკტამ, სანამ სოიურდალად გადაიქცეოდა, განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა: „პირველ პერიოდში (IX-X სს.) იკტა გულისხმობდა მისი მფლობელის (არაბ. „მუკტა“, სპარს. „იკტადარი“) წილს მიწის შემოსავალში, მის უფლებას რენტა-ხარკის გადაკვეთილ წილზე; მეორე პერიოდში (XI-XIII სს.) სამხედრო სამსახურის პირობით გაცემულ მიწას, რამაც საჭირო საფუძველი შეუქმნა სამხედრო-ლენური სისტემის ჩამოყალიბებას; მესამე პერიოდში (XIV-XV სს.) იკტა აღწევს განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურს, რის გამოც სამხედრო ლენური სისტემა დასრულებულ სახეს იღებს და, ამასთან, კითარდება ფეოდალური იმუნიტეტი“ (გაბაშვილი, 1958: 164-165). „იკტას“ მფლობელობის დარღვევად ითვლებოდა მიწის დაუმუშავებლობა მიწაც და გლეხებიც იკტადარებს, როგორც წესი, მიწის დამუშავების პირობით ეძლეოდათ (გაბაშვილი, 1958: 172). XV საუკუნეში იკტას განვითარების შედეგი იყო „სოიურდალის“ ინსტიტუტი, რაც მიწის ფეოდალური გასაკუთრების საერთო

ტენდენციამ (მთელს წინა აზიაში) გამოიწვია. სოიურდალისთვის დამახასიათებელი ხდება ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტი (გაბაშვილი, 1958: 165).

„სოიურდალი“ მონდოლური წარმოშობის სიტყვაა, მონდოლურად „saurxal“ ყოველგვარ შეწყალებას ნიშნავს. იგი ქმნიდა მსხვილ ტერიტორიულ ერთეულს, რომლის მფლობელი (ჩვეულებრივ მომთაბარე ტომთა ამირა) აღჭურვილი იყო ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტით, მაგრამ მიწის ფეოდალური საკუთრების ამ ფორმის არსებობა არ მოასწავებდა ფეოდალური მეურნეობის წინსვლას, მის განვითარებას (გაბაშვილი, 1958: 173).

აკად. ილია პეტრუშევსკი, რომელმაც „სოიურდალი“ სომხეთისა და აზერბაიჯანის მიწისმფლობელობასთან კავშირში შეისწავლა, ასეთი განსაზღვრება მოგვცა: „სოიურდალისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშნებია – მფლობელობის მემკვიდრეობითი ხასიათი და საგადასახადო იმუნიტეტი (პეტრუშევსკი, 1949 ).

პროფ. ვალერიან გაბაშვილის აზრით, ქართული წყაროს ჩვენება, რომელიც „ქართველობის“ დროს სოიურდალის არსებობას აღნიშნავს, ერთადერთია და ამდენადვე მისი განზოგადების საკითხი საგსებით გამორიცხულია. ამასთან, ეტყობა, იგი ყალიბდება გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში და გეოგრაფიულადაც მისი წარმოშობა მოულოდნელი არ არის იქ, სადაც ეს ირანული ფეოდალური ინსტიტუტი წარმოიშვა (გაბაშვილი, 1958: 296).

სომხითის მელიქი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. იგი, ფაქტობრივად, გათავისუფლებული იყო ვალდებულებისგან. „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „როდესაც ქართლი აწერილა და ან აიწერების, ამ წესით უნდა აიწერებოდეს: ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მელიქის სულდარს გარდა, სომხითს, ტაშირს, ყაიყულს, თრიალეთს და საბარათაშვილოში ამაზედ საბარათაშვილოს სარდალი წავა. ერთი მდივანი წავა, ასწერს და დავთარს დაიჭერს, მეფის მდივანი წავიდოდეს“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 272).

ფეოდალურ საზოგადოებაში ქვექნის აღწერა სამხედრო და ფისკალური მიზნით წარმოებდა, რათა გაერკვიათ მოლაშქრეების და გადასახადების რაოდენობა. ჩნდება კითხვა, რატომ გამორიცხავს კანონი მელიქის მამულის აღწერას? პასუხი ისევ ისეთია: ირანის შაჰისგან მელიქისთვის მინიჭებული განსაკუთრებული პრივილეგიების გამო მისი მამული „დაუწერელია“.

რა თქმა უნდა, არ იქნება სიმართლე იმის თქმა, რომ მელიქი მთლიანად ჩამოშორებულია ქართლის ხელისუფლებას, აქ საუბარია მხოლოდ მის განსაკუთრებულ იმუნიტეტზე. მიუხედავად იმისა, რომ „მელიქის მამული დაუწერელი“ იყო, იმავე „დასტურლამალის“ მიხედვით, გარკვეული ვალდებულებები მელიქს მაინც აქვს. ყოველ წელს მელიქს „ჯოგისთვის ერთი აჯილდის შენახვა“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 280) და „საწნახელზე ტკბილი ჩაფი თთხი, გუთანზე პური კაპიტი ერთი, თავზე ნახევარშაური“ ევალებოდა (სამართლის ძეგლები, I, 1963: გვ. 323). აქედან ჩანს, რომ სომხითის მელიქი ქართველი მეფის მოხელეა და მევე მელიქის რამდენიმე სოფლიდან სარგოსაც ღებულობდა.

ვახტანგმა მოახერხა გარკვეული ცვლილებები შეეტანა მელიქებთან დამოკიდებულებაში. მანამდე სრულიად განცალკევების გზაზე მდგარი საფეოდალო, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიქვემდებარა და „დაუწერლობის“ მიუხედავად, სამელიქო სოფლების ნაწილი 1721 წლის ვახტანგ VI-ის ბრძანებით ჩატარებულ მეწინავე სადროშოს, ანუ ქვემო ქართლი, აღწერაში შეიტანეს. 1721 წლის აღწერაში მელიქი ლევანი, მელიქიშვილები რევაზი, პაპუნა და პაპუნას ძმები მოიხსენიებიან (აღწერა..., 1907: 262-264).

სომხითის მელიქ ლევანს ყმები შემდეგ სოფლებში ჰყავდა: პატარა გორუმი,<sup>18</sup> დელარარა-სოფელი და დიდ გორუმი – სულ თერთმეტი კომლი, ერთი ბოგანო და ერთი აზნაური (დიდ გორუმში) ლიმუა (აღწერა..., 1907: 262).

რევაზ მელიქიშვილს დიდ გორუმში ექვსი კომლი ყმა ჰყავდა (აღწერა..., 1907: 262).

პაპუნა მელიქიშვილსა და მის ძმებს ყმები ჰყავდათ სოფლებში: მირაშა, დიდი გორუმი, საბა, ფიშუასოფელი – სულ 28 კომლი, ერთი ბოგანო და ხუთი აზნაური: აბაზაშვილი ბაინდურა, ოდიშელიძე ოტია, მაშათაშვილი აბაზულა, გარდიშა (დიდ გორუმში), ლუარსაბი (საბაში) (აღწერა..., 1907: 263-264).

1721 წლის მეწინავე სადროშოს და საბარათაშვილოს აღწერაში მელიქისა და მელიქიშვილების 45 კომლი, 2 ბოგანო და 6 აზნაურია შეტანილი. აღწერის შესავალში აღნიშნულია, რომ აღწერაში ვერ მოხვდნენ სამხედრო სამსახურის და ბეგარის გამოდების ვერშემძლები კომლები (აღწერა..., 1907: 262-264). სომხითის

<sup>18</sup> გორუმი იგივე გორულია.

კეთილ სოფელი ვერშემძლე ვერ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ხოურნისა და ჭოჭკანის ხევის სოფლები ამ დროს დასახლებულია (ბერძენიშვილი, 1979: 100. 1728 წლის დავთარი, II, 2010). კარგად ჩანს, რომ მელიქის სხვა სოფლებს ქართლის მეფე ჯერ კიდევ ვერ ავალდებულებს. თუმცა არც მელიქს აქვს მოპოვებული, ბოლომდე „დაუწერელის“ უფლება. მელიქის მამულებზე საბოლოო და სრული კონტროლი XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის დონისძიებები, მისი მმართველობის პერიოდში ქართლ-კახეთში სომხითის მელიქის ინსტიტუტი, ფაქტობრივად აღარ არსებობს, იგი თავადი მელიქიშვილია.

1763 წელს მელიქიშვილის მამულში და მათ საძვალესთან ახლოს ერეკლე II-მ ახტალის ვერცხლსადნობი ქარხანა დააარსა. მელიქიშვილები ცენტრალურ ხელისუფლებას წინააღმდეგობას ვეღარ უწევენ. პირიქით, მათ საკუთარი მამულები მეფეს დაუთმეს, რის სანაცვლოდაც ერეკლემ მელიქიშვილებს ქარხნების ზედამხედველობა და სომხითის მინბაშობა დაავალა და შესაბამისი ხელფასიც დაუნიშნა. ავთანდილთან ერთად შეძლებული მემამულე იყო მისი სახლიკაცი თეიმურაზი. 1788 წ. 27 ივნისს თავლიდარმა ოპანეზამ მელიქიშვილ თეიმურაზს უჩივლა, ჩემგან ვალი აიღო და სარგებელს არ მაძლევსო. თეიმურაზი ვალს კი უბრუნებდა, მაგრამ სარგებლის მიცემაზე აცხადებდა უარს (სამართლის ძეგლები, V, 1974: 420-421).

ერეკლესა და შემდეგ გიორგი XII-ის დროს მინბაშებად იყვნენ ავთანდილი (სამართლის ძეგლები, VII, 1981: 681; სცხა. 1450, 18/22) და მისი შვილი იასე (სიძველენი, III, 1910: 45-48) მელიქიშვილები.

წარმოების მეპატრონედ მეფე ითვლებოდა, რომელიც მეთვალყურეობისათვის მინბაშს, ანუ ათასისთავს ნიშნავდა (აკოფაშვილი, 1973: 548). მინბაშს უნდა განეწესებინა მიწერილი გლეხები (100 კაცი) ნახშირის დაწვისათვის, 120-150 კაცი საბერველთა ბერვისა და სხვა საქარხო სამსახურისათვის, ასევე თვალი ედევნებინა წარმოებაში წესრიგისათვის, რათა ბერძნებს მუშებისათვის საზღაური დროულად ეძლიათ და წარმოებიდან ლითონი არ მიეტაცთ. გარდა ამისა, სურსათისა და წარმოებისათვის საჭირო ყველა მასალის მოტანაც მინბაშს ევალებოდა.

ერეკლე II-მ 60-იანი წლების დასაწყისში დიდი საჩუქრებისა და დაპირებების შედეგად მოახერხა გიუმიშხანეს პროვინციიდან (თურქეთშია) ბერძენ ოსტატთა 800

ოჯახის (2000 სულის რაოდენობით ორივე სქესისა) ჩამოყვანა საქართველოში (გოგოლაძე, 1966: 9).

ერეკლემ ბერძენ ოსტატებს დიდი პრივილეგიები მიანიჭა: ისინი არავითარ გადასახადებს არ იხდიდნენ, არ გადიოდნენ ჯარში, და მხოლოდ ზოგიერთ ვალდებულებას კისრულობდნენ (გოგოლაძე, 1966: 10).

პირველად 1763 წელს დაიწყო ახტალის ვერცხლის საბადოების დამუშავება. იმავე წელს მოეწყო დამბლუდის, ხოლო 1770 წელს – ალავერდისა და შამბლუშის სპილენძსადნობი ქარხნებიც აამუშავეს (გოგოლაძე, 1966: 10).

საქარხო სამუშაოებზე გლეხები გამოდიოდნენ: ყაზახიდან – 100 კაცი, შულავერიდან – 40 კაცი, უზუნლარიდან და დიზინიდან – 10 კაცი, შინიხიდან – 10 კაცი, ახტატიდან – 2 კაცი, მელიქ აბოვიდან – 20 კაცი. ამას გარდა, იყვნენ დაქირავებული მუშებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (გოგოლაძე, 1966: 12).

ახტალის საბადოებში მიღებული ოქრო მთლიანად მეფეს ეკუთვნოდა, წარმოებული ვერცხლიდან კი მეფეს 25% მიჰქონდა ნატურის სახით, დანარჩენ 65% ვერცხლს მეფე ბერძნებს უბრუნებდა ფულის – ვერცხლის აბაზების – სახით, რომელსაც თბილისის ზარაფხანაში ჭრიდნენ (გოგოლაძე, 1966: 10).

თავადი მელიქიშვილები წლიურად მიწისა და ტყისათვის იღებდნენ 300 მანეთს, ქარხნების ზედამხედველობისათვის ხელფასს – 300 მანეთს; 600 მანეთის გარდა, წლიურად ისინი ნატურის სახით ტყვისა და ვერცხლის ნაწილსაც იღებდნენ (გოგოლაძე, 1966: 11).

1785 წელს ქართლ-კახეთში ავარიის ბატონი ომარ ხანი შემოიჭრა. ერეკლემ იცოდა, რომ ომარ ხანი ჯარს აგროვებდა, ამიტომ ომისთვის ემზადებოდა. მაგრამ ომარ ხანს ერეკლე დაურწმუნებია, ფათ-ალი ხანის წინააღმდეგ ვემზადები საომრადო. „ფიციო მოგვატყუაო“, წერს ერეკლე II მოგვიანებით. 17 სექტემბერს ომარ ხანმა უკვე მდ. იორი გადმოლახა და სიღნაღმი მდგარ ქართულ ჯარს ზურგიდან მოუარა. ვინაიდან მოსავლის აღების დრო იყო, ჯარის შეკრება გამნელდა. ამასობაში დაღესტნელები უკვე ბორჩალო-ბაიდარში იყვნენ, 19-ში კი ახტალას შემოარტყეს ალყა. ერეკლეს ჯარი მათ მოსდევდა, თუმცა ვერ დაეწია, ახტალის მცველებმა ხელჩართულ ბრძოლაში 300-მდე თავდამსხმელი მოკლეს, მაგრამ მრავალრიცხოვანმა მტერმა გაიმარჯვა. ახტალისა და ალავერდის ქარხნები გაძარცვეს და ააოხრეს (დუმბაძე, 1973: 703-704). როგორც თავადი იოსებ

არდუთინსკი აღწერს, მწარმოებელი ბერძნების ნაწილი მთებში გაიქცა, ნაწილმა ახტალის მონასტერს შეაფარა თავი. მათთან ერთად იყვნენ მეზობელი სოფლების მცხოვრები. „სანამ ტყვია და წამალი ჰქონდათ, არ დამორჩილებულიყვნენ, ებრძოლად, და როდესაც შემოაკლდათ წამალი, მაშინ გასტეხეს გალავანის კარები, შევიდნენ, რაცა ჰქონდათ, სულ აიკლეს და 700 ტყვე დაიჭირეს“ (არდუთინსკი, 1877: 1). ომარ ხანი შეიქრა მონასტერში და ტყვეების გარდა, ბევრი ფული, ვერცხლი, სპილენძი და სხვა ნივთებიც გაიტაცა. შემდეგ მეზობელი სოფლებიც დაარბიეს (არდუთინსკი, 1877: 1). ვერცხლის მოპოვება შემცირებული წარმადობით 1786 წელს განახლდა (თაბუაშვილი, 2010). 1788 წელს ერეკლე მეფე იულონ ბატონიშვილს წერდა, რომ ახტალაში გაგზავნილი ასი კაცი უკან გამობრუნებულა და მადნები უპატრონოდ მიუტოვებიათ. „ახლა მელიქიშვილი იასე უზბაში გამოგვიგზავნია. ასი კაცი ახლა სხვა უნდა გაურიგო 20 დღის ნუზლით. ორი ზუბაში უთავე და ამ იასეს მიაბარე, წყალი გაიყვანოს, კაცი გაუმდლვაროს და გაისტუმროს.... შენ ხომ იცი, ჩემი ხელის გამმართავი ეგ მადნები არის და ბერძნების სარჩოც ეგ არის“ (სიძველენი, III, 1910: 45-46.).

1795 წელს ირანის შაპშა აღა მაპშად ხანმაც მოაოხრა ალაგერდისა და ახტალის ქარხნები, მოკლეს 700 ბერძენი მადნისმწარმოებელი, ხოლო 836 ტყვედ წაიყვანეს (გოგოლაძე, 1966: 16). სამეფო ხელისუფლებამ ქარხნის აღდგენა თვითონ ველარ მოახერხა, მაგრამ არც მელიქიშვილებს არ დაბრუნდათ მამული. მელიქიშვილები ახტალას არ ტოვებენ, ამაზე მეტყველებს XVIII-XIX სს. საფლავის ქვები.

მოგვიანებით გიორგი XII-მ, მელიქის ყოფილი მამული, ახტალა, და მისი მიდამოები თავად ბეგთაბეგიშვილს და ვაჭარ ქართველიშვილს იჯარით გადასცა, ყოველწლიურად 12 000 მანეთად. აქ მოპოვებული ოქრო კვლავ მეფის უნდა ყოფილიყო (გოგოლაძე, 1966: 20). საბოლოოდ, ქარხნების აღდგენა მკვეთრად შემცირებული მოცულობით, ამჯერადაც მოხერხდა (თაბუაშვილი, 2010).

## § 7. მელიქიშვილების საძვალე (ახტალის მონასტერი)

როგორც მოგვიანო ხანის ისტორიული საბუთებით დასტურდება, მელიქიშვილთა საძვალე ახტალა (დღევ. სომხეთის რესპუბლიკაში, ლორეს მარზი) იყო.

ახტალა ლორეს სიახლოვეს, მდ. დებედის ხეობაში მდებარეობს. ახტალის ძველი სახელი იყო სპილენძის მადანი (სომხურად – პლნძაპანქ) (ლიდოვი, 2000: 266-276). სახელწოდება „ახტალა“ მონღლობებმა შეარქვეს. „აღ-თალა“ „თეთრ ველს“ ნიშნავს, რაც, ალბათ, იქ არსებული მადნების გამო, ნიადაგის სიბაცეს უკავშირდება. ახტალის მიდამოები დღესაც გადათეთრებულია. ახტალის სამონასტრო კომპლექსში სამი ეკლესია. ორი მცირე, დარბაზული ტიპისაა წმ. გიორგისა და წმ. სამების სახელობისა, მესამე კი დვოისმშობლის სახელობის დიდი ჯვარგუმბათოვანი ტაძარია. სომეხი ისტორიკოსების (ვარდანი – XIII ს., კირაკოს განძაკეცი – XIII ს., სტეფანოს ორბელიანი – XIII-XIV სს.) ცნობებით, როცა ზაქარია მხარგრძელის ძმამ, ივანემ, მართლმადიდებლობა მიიღო, სომხებს პლნძაპანქი წაართვა, ქართული მონასტერი ააშენა და თვითონაც იქ დაიმარხა (ბერძენიშვილი, 1998: 113). ახტალის ტაძრის XIII საუკუნის მოხატულობაში, ქართველ მოღვაწეთა მთელი ჯგუფის გამოსახვის საინტერესო სიუჟეტები გვხვდება. დასავლეთ კედლის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილი არიან წმ. იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, ევაგრე, აგრეთვე, ილარიონ ქართველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები (ბერძენიშვილი, 1998: 117). ახტალის მონასტერი XVII საუკუნიდან სომხითის მელიქების მამული იყო. ომან ხერხეულიძის სიტყვებით: „...ახტალა, რომელ არს მამულობით თავადთა სომხითის მელიქისა“ (ომან ხერხეულიძე, 1981: 98-101). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მელიქები XVIII საუკუნის დასაწყისამდე მუსლიმები იყვნენ და, ალბათ, ამის გამო არ არის ძველი საფლავები და მხოლოდ XIX საუკუნის საფლავების ქვების წარწერებია შემორჩენილი, რომლებიც ძირითადად საგვარეულოს რძლებს ეკუთვნით. ერთ-ერთ მათგანზე აღნიშნულია:

„ქორონიკონსა უკ (1802 წ.), ა (1) სექტემბერს. ქ. ტომთა და ნათესავთა უოველთა მიერ ბუნებისა გარდავიხადე მეცა, რომელი ვიყავ ჯავახიშვილის მზეჭაბუკის ასული და მეუღლე ჩინებულთა თავადთა სომხითის მელიქის ძის

თეიმურაზისა, თამარ აღვესრულე წლისა ნე (55) და დაგუტევე ორნი სატრფონი ძენი ჩემნი სოლომონ და იოანე გოდებასა შინა და აქა დავიდევ ახტალის ეკლესიასა, სასაფლაოსა ჩვენსა. გვედრები მხედთა ოხანი მაგეთ“ (ბერძენიშვილი, 1998: 129). თეიმურაზი და სოლომონი იხსენიებიან ზემოთ აღნიშნული ახტალის 1777 წლის ტიპიკონის მინაწერზე, რომელიც გვამცნობს მათ მიერ გარეჯის მონასტრისათვის ჭოჭყანელი გლეხების შეწირულობას (ბერძენიშვილი, 1998: 129).

1812 წლის საფლავის წარწერა ასეთი შინაარსისაა: „...საქართველოს მეფის გიორგის მორდალი თავადი ზაალ დავითის ძე ზურაბიშვილი ბარათოვი, შობისაგან წლისა ლ-სა (30) და ჩემთანა მეცხედრე ჩემი, თავადის ამილახორის ასული ანა, წლისა კვ-სა (26). რომელნიცა უამსა შინა სიჭაბუკისასა, ... შუალამ მძინარენი, თთუესა აპრილსა იბ-სა (12), ჩყიბ-სა (1812) წელსა, შესაწყალ მოვიკალენით ხანჯლისა გმირვითა ორგულთა ყმათა ჩუენთაგან სოფელსა შინა ახპატს, ხოლო სხეული ჩვენი აქა მცირესა საფლავსა შინა დაიფარა და აღიხოცა ჩვენს ზედა მემკვიდრეობა სახლისა ჩვენისა“. ახპატის მონასტრის მატიანე ამ ფაქტს 1790 წლით ათარიდებს, პროფ. დევი ბერძენიშვილი კი საფლავის ქვის თარიღს უფრო სანდოდ მიიჩნევს (ბერძენიშვილი, 1998: 129).

მესამე წარწერა 1856 წლით თარიდდება და ასე იკითხება: „კნიაუნა ნატალია ალექსანდროვნა მელიქოვა, მხევალი ლუთისა განსვენებული ჰპასაკის გვართა სახელოვანი, სწავლა ზეობით წარმატებული, დასჭნა რა მსწრაფლად უვავილოვანი, და რტო ნაყოფად განმზადებული, რომ უქმნა დღენი განმწარებული საყვარლის ასულისგან მოკლებული. დედა სოფიო ერისთავის ასული მელიქოვისა, ცრემლით დასდებს ლოდსა ამას, რათა კოველთა თანა წარმავალთა სოქუათ: წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო, სულსა მხევლისა შენისასა. დაბადებულ არს ჩყლდ (1834), აგვისტოს კვ-სა (26), გარდაიცვალა ივლისის იზ-სა (17) ჩყნვ-სა (1856) წელსა“ (პ. მურადიანი, 1977).

ახტალაში მელიქიშვილების გვიან პერიოდის საფლავებია შემონახული, მათგან არცერთი არ ეკუთვნის მელიქებს, ყველანი მელიქების სახლიკაცი მელიქიშვილები და მათი მეუღლეები არიან.

## § 8. გენეალოგია

### საგვარეულოს შტოები

მელიქიშვილების საგვარეულო რამდენიმე შტოდ იყოფა, მათგან მთავარი ხაზი მოდის მირიმანიდან, რომელის ერთი განშტოება სომხითის მელიქი იყო, მეორე ქალაქის მელიქი, ერთი, შედარებით გვიან გამოყოფილი შტო, ზაქუმიშვილების ფეოდალური საგვარეულოა. ხოლო თვითონ მირიმანის ძმისგან მოდიან ლორის მელიქისშვილები.

ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით, მირინამიძეების და ლორის მელიქიშვილების და მათი შტოების გენეალოგია იხ დანართში:

\* \* \*

აღ. ხახანაშვილის ნაშრომში «Грузинские дворянские акты и Родословные росписи, (материалы для истории Грузии)», აღნიშნულია, რომ ენალა სომხითის მელიქიშვილია (Меликовъ Сомхитский). ამას ხელს აწერს „კოლექსი“ თავადი იოსებ მელიქოვი (ხახანოვი, 1893: ტაბულა VIII), რომელიც ენალას შთამომავალი იყო. სტანისლავ დუმინისა და იური ჩიქოვანის ნაშრომში, რომელშიც მელიქი ენალა მელიქ ყორხმაზის ძმად არის მოხსენიებული და მოცემულია მისი შთამომავლობის ნუსხა (დუმინი, გრებელსკი, 1998: 175), თუმცა სინამდვილეში ენალა ყორხმაზის შვილისშვილი იყო. ვრცლად იხ. ზემოთ თბილისის მელიქები.


1659 წლის ნასყიდობის წიგნში მელიქ ათაბეგთან ერთად ენალა მელიქიც მოიხსენიება (დოკუმენტები 1962: 23). საბუთიდან ჩანს, რომ ენალა მელიქ ათაბეგის (სომხითის) თანამედროვე იყო.

### ზაქუმიშვილები

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მელიქიშვილების განშტოებაა ზაქუმიშვილების საგვარეულო, რომელიც მელიქ ყორხმაზ I-ის შვილის ზაქუმისაგან მოდის. ზაქუმი ქართულ წყაროებში მოიხსენიება ზაქუმბეგად, ზაქუდ, ზაქარიად (პირთა ლექსიკონი, II, 1993: 218-219; სიძველები, III, 1910: 410), ხოლო გორულის ეკლესიის 1615 წლის სომხურ ენაზე შესრულებულ წარწერაში – ელიკუმის სახელითა

აღნიშნული (მუსხელიშვილი, 1960: 53).

მირიმანიძეებიდან მომდინარე ზაქუმიშვილების საგვარეულოს გენეალოგია ასე გამოიყურება:



### მელიქი ლევანი

მელიქი ლევანი მელიქების ძირითადი ხაზის წარმომადგენელი არ იყო, მან მელიქობა ბიძაშვილის შემდეგ დაიკავა. როგორც ჩანს ლევნის სპარსეთიდან გავლენიანი სახლიკაცი მფარველობდა. საგარაუდოდ ეს შეიძლება ყოფილიყო მისი მამა, „ყენისეული“ ათაბეგი, რომელიც სპარსეთში შაჰის კარზე იმყოფებოდა, და ადვილი შესაძლებელია იმ დროისთვის ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო. ლევანის ძმები იყვნენ, როსტომი და ათაბეგი. 1777 წლის 22 ივნისს მელიქ ლევანის ძმის, „ათაბეგ მელიქიშვილის ასულმა და დავით ჩხეიძის მეუდლემ, ელისაბედმა, თავისი და თავისი შვილების „სულისა და ხორცის საოხად და სამკურნალოდ“, იტრიის დვოისმშობელს ერთი კომლი კმა შესწირა (სიძველები, III, 1910: 132).

### მესხი მელიქიშვილები

აქე უნდა აღინიშნოს მესხი მელიქიშვილების შესახებ. აკად. ექვთიმე თაყაიშვილი პროფ. პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს, რომ „მელიქიშვილების გვარი ორი იყო საქართველოში.<sup>19</sup> ერთი საქართველოს სომხითის ხელისუფალთა მელიქისაგან იყო წარმომდგარი. ამ გვარის წევრნი თავადები იყვნენ; მეორე სამცხიდან იყო, ქართველი კათოლიკების გვარი“ (თაყაიშვილი, 1991: 7).

პროფ. რამაზ სურმანიძეს მიაჩნია, რომ მესხი მელიქიშვილები, მელიქაძეები, მელიქიძეები ერთი წარმოშობის გვარებია. მეცნიერი ვარაუდობს, რომ ყველა ეს გვარი წარმოშობით აჭარიდან, სოფელ მელიქაშინდიდან (გვიანდელი უანივრი, ჭვანის ხეობა) არიან. ხოლო ოსმალების აჭარაში შემოსვლის შემდეგ ისინი, იძულებული გახდნენ ახალციხეში გადასულიყვნენ, სადაც კათოლიკობა მიიღეს (სურმანიძე, 2003: 5; დუმბაძე, 2004: 12).

<sup>19</sup> ამ ორი მელიქიშვილების გარდა, მცხეთა-მთიანეთის, ასევე, შიდა და ქვემო ქართლის მხარეებში, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მელიქიშვილები მრავლად ცხოვრობენ, მათი გვარი საკუთარი სახელი – მელიქაძან – უნდა იყოს ნაწარმოები და წარმოშობით მთიულეობიდან არიან.

## § 9. თავად მელიქიშვილების გერბი

ქართველი წარჩინებულების გერბები XVIII საუკუნის II ნახევრიდან და XIX საუკუნეში ჩნდება. ქართულ გერბთმცოდნეობასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია XX საუკუნის დასაწყისში, 1922 წელს, ვ. ციხინსკის მიერ შექმნილი ნაშრომი „კავკასიური საგერბე“ («Кавказский Гербовник»), რომელშიც რუსეთის იმპერიაში დამტკიცებული და დაუმტკიცებული კავკასიური წარმოშობის წარჩინებული საგვარეულოების გერბებია წარმოდგენილი. მათ შორის, ბაგრატიონთა კველა შტოსა და ქართველი თავადებისა და აზნაურების გერბები. სულ ნაშრომში დაახლოებით 300-მდე გერბია, რომლებსაც თან საინფორმაციო ტექსტი ერთვის. აღსანიშნავია, რომ ვ. ციხინსკის ნაშრომი მხოლოდ ხელნაწერის სახით არის შემორჩენილი (ასათიანი, 2010: 8-9). ჩვენთვის საინტერესო თავად მელიქიშვილების საგვარეულო გერბი სწორედ ვ. ციხინსკის კავკასიურ საგერბებია დაფიქსირებული.

### გერბის აღწერილობა:

მთლიან ფარში ამობრუნებული (ისრისპირით ქვევით) ისარზე დადებული ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ხმალი ტარით ზევით და შუბი, ბუნიკით ზევით; ფარის გარშემო – სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მოსახსამი (ასათიანი, 2010: 114-115) ის დანართი. გერბის გადამუშავებული ვარიანტი მოცემულია გიორგი ზაგაშვილის და მალხაზ ციბაძის წიგნში – „ჰერალდიკის საფუძვლები“ (ზაგაშვილი, ციბაძე, 2006: 76). ის დანართი.

## თავი III

### სოლადაშვილების სათავადო

#### § 1. სოლადაშვილების საგვარეულოს წარმომავლობა

სოლადაშვილების საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ წყაროები სხვადასხვა-გვარ ინფორმაციას გვაწვდიან. ამ ცნობებიდან, ძირითადად რამდენიმე, ურთიერთგა-მომრიცხავი, ვერსია იგვეთება.

სოლადაშვილების წარმომავლობას პირველად ვახუშტი ბატონიშვილი შეეხო. იგი აღნიშნავს, რომ „სოლადაშვილს იტყვან არა ბარათაანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენებ მასვე ყოფასა“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 34). ანუ ავტორის სიტყვებიდან ასე ჩანს, რომ სოლადაშვილები ბარათაშვილები არ არიან, მაგრამ მათი მამული და სასაფლაო უკავიათო. ვახუშტის ამ ციტატას განსხვავებულად იმეორებს ნიკო დადიანი: „სოლადაშვილს იტყვიან ბარათაანობასაო“ (ნიკო დადიანი, 1962: 65), რაც აზრს შინაარსს მთლიანად უცვლის.

ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე და მწერალი, ერეკლე II-ის შვილიშვილი, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი (1802-1869 წწ.), თავის ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც ორბელიანების საგვარეულოს ეხება და თავისი წინაპრების ამ-ბებს აღწერს, იქვე სოლადაშვილების წარმომავლობის შესახებაც აქვს პატარა ცნობა. იგი შენიშნავს, რომ „თავადი სოლადაშვილიცა სწორეთ ჩვენი გვარეულობისა არის. თუმცა სოლადაშვილები ამბობენ. „ოსმალეთიდგან მოგსულვართო.“ დიახ, ოსმალეთიდან მოსულან, მაგრამ გარემოების გამო აქედგან გადასული ისევ აქეთკენ გადმოსულა იმისი მომავალი და თავის მამაპაპის მამულზევე დამდგარა“ (ხევ, H 2490) ალექსანდრე ორბელიანი ცდილობს, სოლადაშვილები ბარათაშვილე-

ბის განშტოებად წარმოაჩინოს. ცოტა უცნაურად ხსნის მათი ოსმალეთიდან მოსვლასაც „აქედან (ქართლიდან ოსმალეთში ა.ბ.) გადასული ისევ აქეთკენ გადმოსულაო“. ოსმალეთში, ალბათ, სამხრეთ საქართველო, ანუ ოსმალების მიერ დაკავებული ქართული ტერიტორიები, კონკრეტულად კი ახალციხის საფაშო უნდა იგულისხმებოდეს.

სოლადაშვილების საგვარეულოს წარმომავლობას ეხება ასევე საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1616 წელს გაცემული ერთი ოსმალური სიგელი. საბუთი, როგორც პროფ. ცისანა აბულაძემ გამოარკვია, ჩილდირის ბეგლარბეგის წარდგინებით შალვა სოლადაშვილისთვის საბარათიანოში სახასო მამულის ბოძებას ეხება. როგორც მეცნიერი ვარაუდობს, ოსმალური სიგელი რამდენადმე ადასტურებს მოსაზრებას, რომ სოლადაშვილები ბარათაშვილების განაყოფები არ არიან. საბუთიდან ჩანს ასევე, რომ შალვა სოლადაშვილი თეიმურაზ I-ის თანამზრახველი და სპარსელების წინააღმდეგ აქტიური მეტროლი ყოფილა (აბულაძე, 2010).

სოლადაშვილების წარმომავლობაზე უფრო ვრცელ განმარტებას იოანე ბაგრატიონი (1768-1830 წწ.) გვთავაზობს თავის ცნობილ ნაშრომში, „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“. იოანე ბაგრატიონი საგვარეულოების წარმომავლობას ისე აღწერს, თუ როგორ არის წარმომავლობის საკითხი ამა თუ იმ საგვარეულოში მიღებული. ხშირად საგვარეულოს წარმომავლობა ლეგენდებით და დაუჯერებელი ისტორიებით არის აღსავსე. სოლადაშვილებზე კი ამბობს, რომ ისინი „არიან ძველადვე ახალციხელნი კალმახის ადგილის ერისთავის გვარისანი“, იქვე ამბობს, რომ „ამათი წინაპარი ვინმე გათარღდა და უწოდეს სულადად, ხოლო ამის შთამომავლობისანი, რომელთაც მიიღეს მამადიანობა, მოვიდნენ საქართველოსა შინა მეფობასა ბაგრატისასა<sup>1</sup> წელს 1375-სა და მეფემან მიიღო თავადობისა ხარისხითა და უბობა გვარადცა სოლადაშვილობა და არიან მუნიდგან მცხოვრებნი სომხითსა“ (იოანე ბაგრატიონი, 1997: 35).

ზემოთ მოყვანილი მოგვიანო ხანის წყაროებით (იოანე ბატონიშვილი, ალექსანდრე ჯამბაკურ თრბელიანი) ნამდვილად დასტურდება, რომ სოლადაშვილები

<sup>1</sup> იგულისხმება ბაგრატ V (1360–1393 წწ.).

წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან არიან.

სოლადაშვილების შესახებ პროფ. კირილ თუმანოვი აღნიშნავს, რომ სოლადაშვილები ჯამბაკურიან-ორბელიანებთან, ბარათაშვილებთან, კახაბერიძე-ჩიჯავაძეებთან (შესაძლებლად მიაჩნია აბაშიძეებიც) ერთად ლიპარიტიდ ორბელიანების განშტოებები არიან. ხოლო ლიპარიტიდ ორბელიანები, მეცნიერის აზრით, მამიკონიანთა განშტოებას წარმოადგენენ და იბერიაში 876 წელს მოსულან (თუმანოვი, 1963: 211).

ქართველ წარჩინებულთა გვარების უმეტესი ნაწილი იმ წინაპრის სახელიდან არის ნაწარმოები, რომელმაც მოგვიანებით საგვარეულოს დაუდო სათავე (ბარათაშვილები – ბარათასაგან, ყაფლანიშვილები – ყაფლანისგან, ზურაბიშვილები – ზურაბისგან, ციციშვილები – ციცისგან და ა.შ.). შეიძლება სოლადაშვილებთან მიმართებაშიც სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. სოლადა უნდა ყოფილიყო საგვარეულოს ფუძემდებელი.

იოანე ბატონიშვილის მიხედვით, სოლადაშვილი ძველადვე ახალციხელნი კალმახის ადგილის ერისთავის გვარისანი იყვნენ. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ მესხეთის ფეოდალებში მსგავსი სახელი მხოლოდ კალმახელებში<sup>2</sup> შეიძლება ვეძიოთ, რადგან სწორედ ამ საგვარეულოში ფიქსირდება ყველაზე ხშირად სახელი სულა<sup>3</sup> (პირველად XI საუკუნის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება). სავარაუდოდ, საქუთარი სახელის სულას, ისლამიზირებული ვარიანტია სულა+ადა,

<sup>2</sup> არსებობს მერაბ კალმახელის ბრძანებით 1520 წელს გადაწერილი მოხატული ოთხთავი (იხ. შარაშიძე, 1961: 80).

<sup>3</sup> თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელი სულა სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციებშიც გვხვდება: 1899 წელს, ქალაქ არტაანიდან ჩრდილოეთი 40 ქმ-ზე სოფელ ხუნამისში აღმოჩენილი მოსახესხენებელი სულა ჯაფარის ძისა. წარწერა ჯვრის კვარცხლბეჭვებზე 895 წელს არის შესრულებული. „+ ეს ძელი ცხოვებისა ამგმართა ქრონიკონს რიგ უფლებასა სულასა ჯაფარის ძისა“ (იხ.: ლაპიდარული წარწერები, I, 1980: 109); ასევე სამსარის (მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში) X საუკუნის სამშენებლო წარწერაში, „აშნდა წმიდაო ეს განი დმრთისმრთდლის სამპლიკაცია, რდეს განი და კრებული შეგუიბრალა, მაშინ დიდისა ჭირისაგან გუგსნა. და, უფალო იჯენის იგიცა დღესა მას განკითხვისასა. სულამ მაშინ დავწერ, რდეს აგარიანტა უცხეთისა ეკლესია დაწეულება და ნინოს კველი ტყუუდაც წარიტანება“ (ლაპიდარული წარწერები, I, 1980: 275); ასევე ზარზმის სამშენებლო წარწერა ივანე სულასძისა, რომელიც სამონასტრო ანსამბლში, ჩრდილოეთის მხრიდან სამრეცლოზე მიღებულ კრონავიან სამლოცველოს შესასვლელის თავზეა ჩადგმული (ნ. შოშიაშვილის აზრით, იგი გადმოტანილია სხვა აღრიცხველი ნაგებობიდან და გამოყენებულია როგორც სამშენებლო მასალა. წარწერა X საუკუნის 80-იან წლებშია შესრულებული. „ხახულითა და წმიდისა დმრთისმრთდებულისა მეოხებითა მე, ივანე ძემან სულასმან აღვაშენე წმიდაო ეგუბერი. მას უამსახული საბერძენის დადგა სულიაროსი, დავით კურაპალატი აღიდენ დმერთმან: უშუელა წმიდათა მევეთა და ჩუქუ ყოველი დაშქარს წარგუავლინა, სელიაროსი გავაქციეთ, მე მას ქუეფანასა, რომელსა პქუიან ხორასანი, აღიღესა, რომელსა პქუიან სარვენისი. მუნ ეხუენა ტახტი“: (ლაპიდარული წარწერები, I, 1980: 280-281).

ანუ სულადა/სოლადა.<sup>4</sup> ითანე ბაგრატიონიც ხომ ამბობს, რომ სოლადაშვილების წინაპარს გათათრების გამო უწოდეს სოლადა: „ამათი (სოლადაშვილების) წინაპარი ვინმე გათათრდა და უწოდეს სულადად“ (ითანე ბაგრატიონი, 1997: 35). „ო“ და „უ“ ნიშანთა მონაცემების ქართულში სხვა შემთხვევებშიც გვხვდება (მაგ. რუისი-მროველი).<sup>5</sup>

როგორც პროფ. გივი ჯამბურია აღნიშნავს, XIV-XV საუკუნეებში სამცხის სამთავროს საქართველოსგან ცალკე გამოყოფის გამო, ის ფეოდალური საგვარეულოები, რომლებიც საქართველოს მეფის ვასალად ითვლებოდნენ, ჯაყელებს არ ემორჩილებოდნენ და თავად გადადიოდნენ შიდა ქართლში. ზოგიერთ შემთხვევაში კი ისინი მეფესთან ერთად იბრძოდნენ ჯაყელების წინააღმდეგ, ხოლო ეს უკანასკნელები აძევებდნენ სამცხე-საათაბაგოდან. სამცხე-საათაბაგოდან გადასული ფეოდალური გვარებია: თმოგველი (შემდეგ თმოგველ-უჯარმელები), ფანასკერტელციციშვილები, თორელ-ჯაგახიშვილები და სხვ. (ჯამბურია, 2007: 105). ფანასკერტის ციხის მფლობელი ზაზა ფანასკერტელი სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II-სთან (1451-1498 წწ.) დაპირისპირების გამო ქართლში გადმოდის, სამცხიდან არიან გადმოსულები ასევე თავადი დიასამიძე, თავადი შალიკაშვილი, თავადი დოლენჯიშვილი და სხვ.

XVI საუკუნის დასაწყისში სამცხის თავადთა<sup>6</sup> ნუსხის მიხედვით, კალმახელები სამცხეში აღარ არიან და მათი მამული უზნაძეს „აქუს“. „კალმახელი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა უზნასძეთა აქუს“. იმავე დოკუმენტის მეორე ნუსხის მიხედვით, „კალმახელი სასაფლაოთა [და] მონასტრითა უზუნისშვილსა აქუს“ (შარაშიძე, 1961: 35).

გამოდის, რომ სულა-ალას/სოლადას შვილები ქართლში, ალბათ, XV საუკუნეში გადმოდიან. XVI საუკუნის დასაწყისში, ქართლის მეფის დავით X-ის (1505-1525 წწ.) დროს, უკვე აქტიურად ჩნდებიან. 1523 წლის განჩინებაში,

<sup>4</sup> პროფ. მ. ჯიქია ფიქრობს, რომ სოლადაშვილების საგვარეულო შესაძლებელია მოდიოდეს თურქული სიტყვიდან „სოლადა/სოლაპ“, რომელიც ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მოხელე იყო და სულთნის ცხენის მარჯვნივ იდგა. სოლადი ჯარის მარცხენა ფლანგების უფროსად იგულისხმება, სულთნის კარზე 400-მდე სოლაპი ჰყავდათ (იხ.: ჯიქია, 2008: 68).

<sup>5</sup> „ო“ და „უ“ ხმოვანთა მონაცემების შესახებ იხ. სარჯველაძე, 1973: 5-9.

<sup>6</sup> სამცხის სამთავროს ფეოდალთა სახლებია – ჯაყელი, შალიკაშვილი, ოდადაშვილი, ხურსიძე, დიასამიძე, ამატაპიშვილი, რჩეულიშვილი, კავკასიძე, თუხარელი, უზნაძე, ფანასკერტელი, კობაძე, ანდაველი, ხახულარი, აბუსერიძე, გოგიბაშვილი და სხვ.

ბარათაშვილების გაყრის საქმეზე, ერთ-ერთ მომრიგებლად სხვა თავადებთან ერთად, შალვა სოლადაშვილიც მონაწილეობს (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 9). შალვას ძე ივანე დავით ხ-ის სახლთუხუცესი და მწიგნობართუხუცესი იყო<sup>7</sup> (პალატის უხუცესი და მწიგნობართა მთავარი).<sup>8</sup>

როგორც პროფ. მიხეილ ბახტაძე ვარაუდობს, კალმახელები და ჯაყელები ერთი სახლის ორი განშტოება უნდა ყოფილიყო. ჯაყელებმა სამცხის ათაბაგობა მოიპოვეს, ხოლო კალმახელთა საგვარეულო XVI საუკუნის დასაწყისისათვის მესხეთში აღარ ჩანს და მათი მამული „უზნასძესა აქუს“ (ბახტაძე, 2008: 15-17).

კალმახელების საგვარეულოს მესხეთიდან გაუჩინარება შეიძლება სწორედ რომ მათი ქართლში გადმოსვლით და ახალ საგვარეულოდ დამკვიდრებით აიხსნას.<sup>9</sup>

მაგრამ, არსებობს კიდევ ერთი, ალბათ, უფრო დასაბუთებული მოსაზრება. ცნობილია, რომ 1338 წელს გიორგი V ბრწყინვალემ (1299, 1318-1346 წწ.) ივანე თორელ-ჯავახიშვილს წყალობის წიგნი მისცა.

გიორგი ბრწყინვალე თავის სიგელში წერს, რომ „მოვიდეს წინაშე ჩვენისა, ჩვენი დიდად ერთგული თორელი ივანე, და გუეაჯა და მოგვახსენა, რათამცა კოურისა ძირისა მონასტერი ათენაგუენი მიგუებობა“.<sup>10</sup> როგორც იქვეა აღნიშნული, გიორგი მევემ თხოვნა შეისმინა და ივანე თორელ-ჯავახიშვილს „კოურისა ძირის მონასტერი ათენაგუენი“ უბობა (სამართლის ძეგლები, II, 1965: 97).

ქართული ფეოდალური წესების მიხედვით, სამეფოში ახლად მოსული ფეოდალური საგვარეულოები მამულებს მეფის სახასო ტერიტორიებიდან იღებდნენ. ხოლო კოჯორი და მისი მიდამოები ჯერ კიდევ გიორგი III-დან (1156-1184 წწ.) მოყოლებული მეფის სახასო იყო.

<sup>7</sup> იხ. 1519 წლის ქვათახევის სიგელი (კაგაბაძე, III, 1913: 46; ქრონიკები, II, 1897: 89; ფურცელაძე, 1881: 89).

<sup>8</sup> 1837 წელს შედგენილ ნაკლებად სანდო, „ტრაქტატის“ მიხედვით თავად სოლადაშვილს მონაწილეობა მიუღია 1480 წელს თბილისის ფაშა ვანქის ტაძრის მშენებლობაში. თუმცა საბუთის სანდო-ობა საქახო ჩანს. შესაძლოა თბილისის ვანქის ეკლესიის მშენებლობის თარიღის ხელოვნურად დადგელებასთან გვქონდეს საქმე. თბილისის ვანქის ტაძრის მაშენებლებად მოხსენიებული არიან „ტფოლები მოქალაქეები – ავსარქისოვი, ბასტამოვი, ოყაანი“ და „ქართველი თავადი სოლადაშვილი“ (იხ.: მელიქსეთ-ბეგი, 1924: 82).

<sup>9</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოლადაშვილების კალმახელების საგვარეულოდან მომდინარეობა აღრე უფრო სარწმუნოდ გვეჩვენებოდა (იხ. ბოშიშვილი, 2008: 176-179; ბოშიშვილი: 2010: 157-158).

<sup>10</sup> წყალობის წიგნი გიორგი ბრწყინვალისა ივანე თორელ-ჯავახიშვილისადმი, (სამართლის ძეგლები, II, 1965: 97).

ჯავახიშვილებისთვის ნაბოძები „კოურის ძირის მონასტერი ათენაგუენი“<sup>11</sup> შესაძლებელია გავაიგივოთ კაბენთან, რომელიც მოგვიანებით სწორედ, რომ სოლადაშვილების „სამკვიდრო სასაფლაო“ იყო (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183). 1637 წელს როსტომ ხანმა (1633-1658 წწ.) ელიზბარ სოლადაშვილს კაბენის მონასტრის წყალობა განუახლა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კაბენი „ძველთაგან სოლადაშვილების მკვიდრი სასაფლაო“ ყოფილა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183). ხოლო თვითონ კოჯრის ციხე – სოლადაშვილების სათავადოს მთავარი ციხე-სიმაგრე.

სახელი კაბენი კი იმ ტრადიციის მიხედვით დაერქვა, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის მიღების შემდეგ გავრცელდა. პალესტინის, საბერძნეთის თუ სხვაგან არსებული წმინდა ადგილების სახელებს ქართველები თავიანთ მონასტრებს არქმევდნენ (სიონი, ბეთლემი, გეთსიმანია და სხვ.).

სოლადაშვილების ჯავახიშვილებიდან მომდინარეობის დამატებით საბუთად შეიძლება ჩაითვალოს ასევე 1440 წლის 20 ნოემბერს ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) მიერ გაცემული მამულის წყალობის წიგნი, რომელიც ალექსანდრე მევემ გამრეკელ ჯავახიშვილს და მის შვილებს – ზაქარიას, კახას, ზაზას და სოლას, უბოძა. თუ ამ სოლა ჯავახიშვილს სოლადაშვილების წინაპარ სოლადასთან გავაიგივებთ, მაშინ ეს კიდევ დამატებით არგუმენტად ჩაითვლება სოლადაშვილების თორელებისგან მომდინარეობის შესახებ. 1440 წლის სიგელი ერთადერთია, რომელშიც სოლა/სოლადა(?) ჯავახიშვილი მოიხსენიება. მომდევნო წლებში გაცემულ დოკუმენტებში მხოლოდ ზაქარია, კახა და ზაზა გამრეკელ-ჯავახიშვილები ჩანან.<sup>12</sup> სოლას სახელის გაქრობა შეიძლება სოლადაშვილების გამოჩენას დაგუკავშიროთ.


<sup>11</sup> სახელი – ათენაგუენი – III-IV საუკუნეების მიჯნაზე წამებული ბერძენი მდგენლმოძღვრის ათენებე (ათინოგენ) სებასტიულიდან უნდა მოღიოდეს. აქედანვეა ათენებენობა, რომელიც საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. დღესასწაული მოძრავ დღესასწაულთა ციკლს განვითარებოდა და ივნის-ივლისში, ადგომიდან 98-ე დღეს იმართებოდა. ამჯამად შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. ხევსურეთში და ხევში მას ათენებენობას ეძახიან, თუშეთში – ათნიგენობას, ზოგან კი იმ ხატის სახელს, სადაც დღეობა იმართება (ლაშარობა, თამარობა, სერობა და ა. შ.). მთაში ქრისტიანობის გასალხურების შედეგად მთივლოთა ათენებენობას სახელწოდების გარდა თითქმის აღარაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ დღესასწაულთან. ეს არის ტიპობრივი სალხური დღესასწაული, რომელიც იმართება ივნისის მეორე ხახვარში სხვადასხვა დღეს (ოჩიაური, 1975: 226).

<sup>12</sup> წყალობის სიგელი გიორგი VIII-ისა გამრეკელ ჯავახიშვილისადმი (სიძველენი, II, 1909: 37-39); წყალობის წიგნი გიორგი VIII-ისა ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებისადმი (სიძველენი, II, 1909: 19); წყალობის სიგელი კონსტანტინე მეფისა ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებისადმი (სიძველენი, II, 1909: 20-21); წყალობის სიგელი ბაგრატ და კონსტანტინე მეფეებისა ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებისადმი (სიძველენი, II, 1909: 39-40).

ამ ამბებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, 1490 წელს, კოჯრის ციხიდან იყუბ ყაფნის სარდალს, ხალილ ბეგს, ებრძოდნენ სოლადაშვილები.

პროფ. ნოდარ შოშიაშვილმა თორელების საგვარეულო დაწვრილებით შეისწავლა, დაადგინა მათი გენეალოგიები და საგვარეულო შტოები, მაგრამ ნაშრომში სოდას შესახებ არაფერია აღნიშნული (შოშიაშვილი, 1966: 7-77).

თუ სოდა/სოლადა(?) ჯავახიშვილი სოლადაშვილების წინაპარია, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1490 წელს კოჯრის ციხეში გამაგრებული „სოლადაშვილები“ სწორედ მისი შვილები არიან. სო[ლო]დას ერთ-ერთი შვილია შალვა, შალვას შვილი იყო ივანე სოლადაშვილი, რომელსაც დავით X-ის (1505-1525 წწ.) კარზე სახლთუხუცესის და მწიგნობართამთვარის თანამდებობა ეკავა. თუ მივიღებთ სოლადაანთ ჯავახიშვილებიდან მომდინარეობას, მაშინ სავარაუდო გენეალოგია შეიძლება ასე გამოიყურებოდეს.



სოლადაშვილების წარმომავლობის რომელი ვერსიაც არ უნდა გავიზიაროთ, ერთი, რაც ცხადია, სოლადაშვილები წარმოშობით მესხეთიდან არიან. ისინი ქართლში XV საუკუნიდან დაწინაურდნენ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, თავის ნაშრომში მოგზაურობა საქართველოში, ქართლის თავადების სიაში თავად სოლოდაშვილს ოცდამეხუთე ადგილზე ასახელებს. გერმანულ ტექსტში გვარი გაყოფილია და შვილის ნაცვლად მითითებულია „შილი“ (Schili). „25. Sologa shili in Somchita“ (გიულდენშტედტი, I, 1962: 226). იქვე წერს, რომ „ქვეყნის გაბატონებული ფენები არიან თავადები, ქართულად

„შილი“, „შილლი“, აგრეთვე „შვილი“ და „ტაუატი“ (თავადი) და „აზნაური“ (გიულდენშტედტი, I, 1962: 225). გიულდენშტედტის ეს განმარტება პროფ. გია გელაშვილის აზრით დაკავშირებული უნდა იყოს იმ ფაქტთან, რომ მას გარშემო ხშირად ესმოდა თავადთა გვარები, რომელთა უმეტესობა „შვილზე“ თავდება (გიულდენშტედტი, I, 1962: 227). ამ აზრს ეთანხმება პროფ. გივი ჯამბურია და თავის მხრივ ამატებს, რომ „მასზე ალბათ გავლენა მოახდინა აგრეთვე სიტყვა „თავადიშვილმა“, რომელიც იმდროინდელ სასუბრო ენაში ხშირად ისმოდა (ჯამბურია, 1970: 17, შენ. 43).

ქართულ საბუთებში სოლალაშვილი და სოლოლაშვილი ერთმანეთის პარალელურად იხმარება, თუმცა უპირატესად პირველი ფორმით გვხვდება. უფრო გვიან, მკვიდრდება სოლოლაშვილის ფორმა. სოლალაშვილები ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში აქტიურად ჩნდებიან XVII საუკუნის საბუთებში, საიდანაც ჩანს, რომ საგვარეულო უფრო ადრე ჩამოყალიბდა და მამულებსაც უკვე მემკვიდრეობით და იმუნიტეტით ფლობენ.

## § 2. სოლადაშვილების სათავადოს ისტორია

სოლადაშვილები ისტორიის ასპარეზზე XV საუკუნეში გამოვიდნენ. ქვემო ქართლში ჩამოყალიბეს სათავადო – სასოლადაშვილო. ქვემო ქართლში მათ თავისი „მამული და სასაფლაონი“ პქონდათ.

XV საუკუნის 80-იან წლებში აღ-ყოინლუს<sup>13</sup> თურქმანული სახელმწიფოს მმრბანებელმა, იაფუბ ყაჯნმა, საქართველოს დამორჩილება გადაწყვიტა. პირველად სამცხეში შეიძრა და ახალციხე აიღო, ყვარევარე II (1451-1498 წწ.) ათაბაგმა თურქმანთა სასარგებლოდ ხარკი იკისრა. 1490 წელს საქართველოს იაფუბ ყაჯნის სარდალი, ხალილ ბეგი, ზარბაზნებით აღჭურვილი დიდი ლაშქრით შემოესია. „მოირთო ძალი და წარმოემართა სომხითსა და ორბეთის ძირზედ. მომართა ციხესა კოჟრისასა, მოადგა გარე და დაუწეულეს ომი და თოფის სროლა, აწყუდინეს შიგან სოლადაშვილნი... იყო ომი დიდხანს და შეაწუხნა მეტმან თოფის სროლამან და ცოტაცა ციხეცა დააქცივესა“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 344; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959: 484). როგორც ჩანს, სოლადაშვილებმა უთანასწორო ბრძოლაში წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად ჩათვალეს და ციხე დამით მიატოვეს, დილით კი მტერი ცარიელ ციხეში შევიდა და დაანგრია. ირანელები თბილისისაკენ მიიწევდნენ. მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505 წწ.) ქართველთა მცირე ჯარით ხალილ ბეგი დამარცხა და უბუაქცია.

ირანელები ისევ კოჟრის ციხეში დაბანაკდნენ. ქაიხოსრო ციციშვილის, ქაიხოსრო თურმანიძის და სულხან ბარათაშვილის ხელმძღვანელობით ხალილ-ბეგი ქართველებმა ენაგეთთან კიდევ დაამარცხეს (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 389).

ქართლის თავადების ერთი ნაწილი ბრძოლაში გვიან ჩაერთო. „კუალად ქაიხოსრო ჯავახი, ქავთარ და სოლადაშვილი<sup>14</sup> მოესწრნენ უკანმსვლელთა სამასთა

<sup>13</sup> „აღ-ყოინლუ“, ანუ „თეთრბატკნიანთა“ თურქმანული სახელმწიფო XIV-XV საუკუნეებში არსებობდა და თანამედროვე ირანს, შუამდინარეთს, სამხრეთ კავკასიის და მცირე აზიის ნაწილს მოიცავდა. სახლი „თეთრბატკნიანები“ დროშაზე გამოსახული თეთრი ბატკნის გამო დაერქვათ. არსებობდა „ყარა-ყოინლუც“, ანუ „შავბატკნიანების“ სახლმწიფო. ორივე თემურ ლენგის სახელმწიფოს ნანგრევებზე იყო აღმოცენებული, მათ ადგილზე კი 1501 წლიდან სეფიანთა ირანი გამოჩნდა.

<sup>14</sup> ბერი ეგნატაშვილთან და ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში ქართველი დიდებულები შემდეგი სახით არის ჩამოთვლილი „ქაიხოსრო ჯავახი და ქავთარ სოლადაშვილი“ (იხ. ბერი ეგნატაშვილი, 1959: გვ. 345; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959: გვ. 485). აქ ისე ჩანს, თითქოს სოლადაშვილს ქავთარი ერქვა, რაც სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგან არ მოგვეპოვება, იმ პერიოდის, არცერთი ისტორიული საბუთი, სადაც ქავთარ სოლადაშვილი იქნება მოხ-

თათართა ოცნი ესე ქართველნი.“ ქართველებმა იმარჯვეს და მოწინააღმდეგე სასტიკად დამარცხეს (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 389). იგივე ცნობებია დაცული ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 345) და „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში (ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959: 484-485).

ამ ცნობაზე დაყრდნობით, აკად. ნიკო ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ მანამ-დე აგარათა ციხის სახელით ცნობილ ციხე-სიმაგრეს კოურის ციხე XV საუკუნეში ეწოდა და ამ დროიდან სოლადაშვილების ხელში იყო (ბერძენიშვილი, 1965: 326).

XVI საუკუნის დასაწყისში, ალბათ, XV საუკუნის ბოლოსაც, სოლადაშვილების სათავადოს სახლის უფროსი ივანე შალვას ძე სოლადაშვილი უნდა იყოს, იგი ქართლის მეფეების, დავით X-ის (1505-1525 წწ.), გიორგი X-ის (1525-1527 წწ.) და ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) სახლთუხუცესი იყო (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 185).

1505-1527 წლებში ლუარსაბ ბატონიშვილმა ივანეს მისივე სამკვიდრო სოფლის შინდისის წყალობა განუახლა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 185; ხელ. Sd 798).

1519 წლის ქვათახევის სიგელში მოიხსენიება „მეფის დავითის (დავით X ა.ბ.) პალატის უხუცესი და მწიგნობართა მთავარი სოლადაშვილი შალვას ძე ივანე“ (ქრონიკები, II, 1897: 344, 16; კაკაბაძე, 1913<sup>3</sup>, 46; მასალები..., 1944: 137; ფურცელაძე, 1882: 195; ფურცელაძე, 1881). პალატა – სულხან-საბას განმარტებით – „ბერძნულია, ქართულად დარბაზი ჰქვიან“ ან „ვრცელი და დიდი სახლი, სახლი სამეფო“ არის (სულხან-საბა თრბელიანი, I, 1991: 614). მეფის პალატის უხუცესი პირდაპირ აღნიშნავს სამეფო სახლთუხუცესის სახელოს.

ივანე სოლადაშვილი 1525 წლის შიომდვიმის გუჯარშიც მოიხსენიება იგივე სახელით და იგივე სახელოთი, ოდონდ სხვა გვარით. „მეფისა დავითის პალატის უხუცესი და მწიგნობართა მთავარი სონდულაშვილი შალვას ძე ივანე (ქრონიკები, ტ. II, გვ. 357). სწორედ ამის საფუძველზე თედო ჭორდანიამ თავის დროზე გამოთქვა ვარაუდი, რომ სონდულაშვილი შეიძლება სოლადაშვილის შტო-გვარი ყოფილიყო (ქრონიკები, II, 1897: 357). მაგრამ სოლადაშვილი ივანე რამდენიმე საბუთში მოიხსენიება (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 185-186) და ვფიქრობთ, ეს ერთი

სენიებული. ამასთან სოლადაშვილების გვარში XVIII საუკუნის ბოლომდე არ დაფიქსირებულა სა-გუთარი სახელი ქავთარი. ამიტომ ვახუშტის ვარიანტი უფრო სწორი უნდა იყოს, ეს ქავთარი ალბათ ბარათაშვილების საგვარეულოდან იყო.

შემთხვევა უბრალოდ გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. სონდულაშვილები მოგვიანებით სოლადაშვილების ნაყიდ ყმებად ჩანან. 1718 წლის 12 ოქტომბერს, ვახტანგ VI-ის მიერ ასლამაზ სოლადაშვილისადმი მიცემულ სიგელში აღნიშნულია: „გვიბოძებია ქუემო-ბოლნის შენი ნასყიდი გლეხი სონდულაშვილი თავისი მამულით“ (სიძველენი, II, 1909: 510-511).

XVI საუკუნის დასაწყისში ივანე სოლადაშვილს კავთისხევის მამულებიდან ყმები გაჰქცევიან და გიორგი ბატონიშვილს მისვლიან, შეუდგენიათ ყალბი დოკუ-მენტი, რის გამოც ივანეს ციხე და მამული დაუკარგავს. 1512 წელს მეფე დავით X- მ ივანეს ნასისხლად უწეალობა კავთისხეველი გაბრიელა ბეთიასშვილის შვილები, როსტია და განონა (პირთა ლექსიკონი, I, 1991: 268; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 185; სცსა. 1448, 61).

ივანე სოლადაშვილი დიდი შეძლების უნდა იყოს, რადგან თავისი სულის მოსახსენიებლად, ჯერ ქვათახევის და შემდეგ შიომდვიმის მონასტრებს უხვად სწირავს მამულებს. 1519 წელს ქვათახევის ვლაქერნის ღვთისმშობელს კავთისხევში ორი კომლი გლეხი შესწირა: სიჯიმა და კვირიკა ბარდაძეები მათი შვილებით, რომელთაც ორად გაუყო სააკაძისაგან ნასყიდი ტურიშვილის ვენახი და სასახლე, სამი დღის ნაფუძარი – სახნავი და ქვევრი; წმინდა თევდორეს დღესასწაულზე და დიდ ხუთშაბათს თავისთვის ორი აღაპის გადახდა დაავალა. ამას გარდა, კავთისხევში ყაყიაშვილისაგან ვენახი იყიდა და ქვათახევის მონასტერს შესწირა, ამ ვენახის გამოსავლად ყოველ წელიწადს ოთხი ლიტრა ცვილი და ერთი ლიტრა საკმეველი დააწესა, რომელიც „ტფილის ქალაქურითა ლიტრითა“ უნდა მიეტანათ (ქრონიკები, II, 1897: 344-345; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 185; სცსა. 1449, 1534). თუმცა სხვა საბუთიდან ჩანს, რომ ქვათახევს მალე „დაუჭირა თავისივე შეწირული ყაყიაური ვენახი“, რომლის სანაცვლოდაც კავთის მთავარმოწამის დეკანოზს ლონგინოზ მოსეშვილს მისცა ოთხი დღის მიწა – ქურციკაული და ქვათახევის მონასტრისათვის დააკისრა ბეგარა – ოთხი ლიტრა ცვილი და ერთი ლიტრა საკმეველი „ტფილის ქალაქურითა ლიტრითა“ (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 185; სცსა. 1449, 1534). 1525 წელს მღვიმევის უდაბნოს შესწირა ლომისშვილისაგან დიდომში ნასყიდი მამული და წმინდა ანგონის დღესასწაულზე, 17 იანვარს, აღაპი დაიწერა (ქრონიკები, II, 1897: 357; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 185; სცსა. 1449, 1538).

1527-1556 წლებში ლუარსაბ მეფემ „პატრონსა და სახლის უხუცესს ივანეს“ და

მის შვილებს, შალვას, ნურალის, შერმაზანს და გიორგის, მამულები უბოძა (სიძველენი, ტ. II, გვ. 440-441).

1527-1556 წლებში ლუარსაბ მეფის მიერ ბარზი ზევდგინიძისათვის მიცემული მფარველობის პირობის, მოხისის წყალობისა და დაზნელისძეთა ნაანდერძევი მამულის დამტკიცების შესახებ წიგნის მოწმეებს შორის მოიხსენიება სახლთუხუცესი ივანე სოლადაშვილი (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 185; ხევ. Hd 2120).

სვიმონ I-ის (1556-1600 წწ.) დროს ყაფარ სოლადაშვილს „ქალაქის პირისა და ვერის კევის ტარუდას“ სახელო ეჭირა. 1581 წელს სვიმონმა „სოლადაშვილის ყაფარის შვილთა იოვანეს, მერაბს და დავითს“ „ქალაქის პირში და ვერის ხევში“ სოფლები (ტაბახმელა, გუდელისი, დრე, შავნი) დაუმტკიცა (ქართულ-სპარსული, 1955: 9). ქართულად შედგენილი საბუთის პირი გადაულია და სპარსულ ენაზე შეუდგენია მოლა ბაბაჯან ჰაჯი ხოდავერდიზადეს (ქართულ-სპარსული, 1955: 10-11). ყაფარს მამულები კუმისშიც პქონია. ეს ჩანს მოგვიანო ხანის საბუთში, სადაც აღნიშნულია, რომ ელიზბარ სოლადაშვილმა კუმისში როსტომ მეფისგან მიიღო სოლადაანთ მამულები „ყაფარის და ბებურის [მამულების] გარდა“ და ყაფარის წილი აზნაურიშვილი იარალა გარსუაშვილი და მისი ყმები, თავისი მამულებით (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183).

XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში ჩანს ბეჟან ბებურის ბე სოლადაშვილი. იგი ყაფარის მმის შვილი უნდა იყოს. ბეჟანს ერთი მმა, გიორგი, ჰყავდა. 1600 წელს სვიმონ I-ის (1556-1569; 1578-1600 წწ.) მეუღლემ, ნესტან-დარეჯანმა, და მისმა რძალმა, გიორგი X-ის (1600-1605 წწ.) მეუღლემ, თამარმა, ბეჟანს მისი განაყოფის, „ზურაბ [სოლადაშვილის] კერძი მამული მამისდაბის გარდა, ის, რისაც მქონებელი ყოფილა, მთითა და ბარითა... ეგრევე ხიზანიშვილი საბია უმამულოდ“ უბოძა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 180; ხევ. Hd 2090).

1688 წელს მიქელაძის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისადმი მიცემული პირობის წიგნის მოწმეა ეშიკადასი ბეჟან სოლადაშვილი (სიძველენი, II, 1909: 73), ბეჟანი დედოფლის ეშიკადასი ყოფილა, იგი 1691 წლის ნიკოლოზ მაღალაძის საბუთშია მოწმედ დასახელებული. „ბატონის დედოფლის ეშიკადასი სოლადაშვილი ბეჟან“ (სცსა. 1448, 5042).

1619 წლიდან 1637 წლამდე სოლადაანთ სათავადო სახლის უფროსი შიოშ სოლადაშვილი ჩანს. შიოშს ქართლის სამეფოში მოლარეთუხუცესის საკმაოდ მაღალი და საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187; სიძველენი, II, 1909: 408). მისი მოღვაწეობაც სოლადაშვილების სათავადოს ტერიტორიის გაფართოებაში გამოიხატა.

1619 წელს შიო სოლადაშვილს ბაგრატ VII-ის (ბაგრატ ხანი 1616-1619 წწ.) მეუდღემ, ანა დედოფალმა, „ბედნიერი ბატონის“ მიერ ნასრიას და ბეჭანას ხელით ნაბოძები კუთვნილი მიწების წყალობა განუახლა ტაბახმელასა და ჯიგრაშენში (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187). იმავე წელს შიომ თავისი განაყოფისგან, ელიზბარ სოლადაშვილისგან, „ჯამშეგაურის მიწა“ იყიდა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187). 1619 წელს შიოშს ბაბუჩამ და მისმა შვილებმა „კალოთა ხევში საქუდაში“ ხუთი დღის მიწა მიჰყიდეს (სამართლის ძეგლები, VIII, 1965: 836). 1624 წელს შინდისის საზღვარზე წავკური გზის და მისი განაყოფის გზამდე ხუთი დღის მიწა იყიდა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187). შიოშმა საკმაო მამულებს მოუყარა თავი.

ამ პერიოდში ცნობილია, რომ ქართლში რთული პოლიტიკური სიტუაცია იყო. 1619 წელს ქართლის სამეფოს მმართველად შაჰ აბასმა ბაგრატ ხანის ვაჟი, სიმონ ხანი, იგივე სიმონ II (1619-1630 წწ.) დანიშნა. სიმონი ქართლს გიორგი სააკამის მეურვეობით განაგებდა.

შიო სოლადაშვილს სვიმონ მეფემ ბაგრატთან ერთად, 1619 წლის 10 ივლისს კუმისში სამკვიდრო მამული უწყალობა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187). 1624 წელს სიმონი მეფისთვის „ერთგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა, მოლარეთუხუცეს შიოშს“ უბრძანებს, რომ „გიბოძეთ კუმისს, რაც თქუენს განაყოფს ზურაბს და მის ძმას პქონებოდეს, ან გლეხი და ან სხუა მამული“ (სიძველენი, II, 1909: 408; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187). 1626 წელს შინდისის მფლობელობა განუახლა. „მოკითხული ვქენით და პირველადცა თქუენის მამა-პაპათ სამკუიდრო ყოფილიყო, ახლაც სიგლითა ამით გაგიახლეთ... და გიბოძეთ თქუენივ სამკუიდრო სოფელი შინდისი“. როგორც ჩანს, შინდისი სოლადაშვილებისთვის უკვე დიდი ხნის სამკვიდროა, რადგან სიგელში განახლებაზეა საუბარი და არა ახლად წყალობაზე (სიძველენი, II, 1909: 409; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187). 1630 წელს სვიმონ II-ის მეუდღემ, ჯაპანბანუ დედოფალმა, შიოშს განაყოფის მამული,

სოფელი საღორისი უბოძა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187).

გიორგი სააკაძის და თეიმურაზ I-ს (1606-1648 წწ.) შორის ადრე დაწყებული დაპირისპირება მალე რეალური გახდა. მათ შორის მომხდარი ბაზალეთის ომის (1626 წ.) შემდეგ ქართლი თრად გაიყო, შიდა ქართლი თეიმურაზ I-მა დაიკავა, თბილისი და ქვემო ქართლი კი სიმონ ხანს ემორჩილებოდა. შაჳ აბასმა თეიმურაზი ერთიანი ქართლ-კახეთის მეფედ ცნო, თუმცა სიმონიც არ გადაუყენებია. თეიმურაზმაც თავი ირანის შაჳის ვასალად აღიარა (ჯამბურია, 1973: 292).

1629 წლის იანვარში, ირანში შაჳ აბასის (1587-1629 წწ.) გარდაცვალებამ დიდი გავლენა იქონია ქართლის სამეფოზეც. იმავე წელს ქართველი ხოსრო მირზას დახმარებით ირანის შაჳი გახდა შაჳ სეფი I (1629-1642 წწ.). 1629 წელს ირანში დატრიალებული ამბები ხელსაყრელი აღმოჩნდა თეიმურაზისთვის. მას სურდა, რომ ქართლში თავისი პოზიციები გაემყარებინა. 1630 წლის ზაფხულში<sup>15</sup> ზურაბ არაგვის ერისთავმა სიმონ მეფე მოკლა. სიმონის მკვლელობის შემდეგ თეიმურაზი ქართლ-კახეთის ერთპიროვნული მეფე გახდა და სამეფოს ზურაბის დახმარებით მართავდა.

სწორედ ამ პერიოდში, 1630 წელს, შიო სოლადაშვილმა თეიმურაზისგან „სომხითის სოფელ ტალავერის“ მამულის „სამკვიდროდ და სამამულედ“ განახლების სიგელი მიიღო (სიძველენი, II, 1909: 410.).

თეიმურაზის მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი მალე ზურაბ ერისთავს დაუპირისპირდა და არაგვის ერისთავი მოაკვლევინა. ზურაბის მოკვეთილი თავი კი შაჳს გაუგზავნა და შეუთვალა, რომ ზური ვიძიეთ და თქვენი მტერი ზურაბ ერისთავი მოვსპეთო. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, ეს ფაქტი თითქოს შაჳს იამა და ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზს მისცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 30). მაგრამ, როგორც ჩანს, დროებით. ამ დროს ირანში შაჳს და ხოსრო-მირზას შიდა პრობლემები ჰქონდათ, ამიტომ მდგომარეობის გამწვავებას მოერიდნენ. ირანში მალე მოიცალეს თეიმურაზისთვის და 1632 წელს შაჳმა ქართლის ვალიდ ირანის ქულარადასი და დედაქალაქ ის-

<sup>15</sup> სიმონის მკვლელობის თარიღთან დაკავშირებით სხვადასხვა ვარიანტებია: 1629 (ვახუშტი ბატონშვილი), 1631 (ფარსადან გორგიჯანიძე); თეიმურაზის მიერ 1630 წელს გაცემული სიგელი, შეიძლება ოთარ ჟიჟიაშვილის მიერ განვითარებული მოსაზრების გასამყარებლად დამატებით დასაბუთებად ჩაითვალოს, იგი სიმონის მკვლელობის თარიღად 1630 წლის ზაფხულს ვარაუდობს (იხ. ჟიჟიაშვილი, 2009: 87).

ფაპანის ტარუდა, ხოსრო-მირზა, იგივე როსტომ ხანი, ცნო. იგი დიდი არმიით და საკუთარი, გამუსლიმებული ქართველებისგან შემდგარი არისტოკრატით 1633 წელს ქართლში ჩამოვიდა. როსტომი 67 წლის ასაკში ქართლის მეფე გახდა და 1658 წლამდე მეფობდა (ჯამბურია, 1973<sup>ბ</sup>, 312-329).

როსტომმა 1636 წელს შიომ სოლადაშვილს „მეფეთაგან და დედოფალთაგან ნაბოძები წიგნები“ და „სამკუიდრო კუმისი და ზურაბის წილი“ მამული განუახლა (სიძველენი, II, 1909: 411; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187). 1637 წელს, ასევე როსტომმა თბილისში „მკუიდრი და ნასყიდი ყმები“ დაუმტკიცა. „ესე თქუენის პაპის ნასყიდი ვართანაშვილები, მიხუაშვილები, დევუაშვილი... მათის მამულითა... გქონდეს... სამკუიდროთ და საბოლოვოთ“ (სიძველენი, II, 1909: 412; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187).

1646 წელს შიომსა და მის სახლიკაცს, ბიძინას, შორის დავა მომხდარა. როგორც დავის გადაწყვეტის წიგნშია მითითებული „შორს განაყოფი იყო ბიძინა შიომისა... ბიძინას თავის სამკვიდრო შიომთა შეჰყოლოდა... მისდა გარდაისად ამოვარდნილის, თავიანთი განაყოფის სუჯადინის წილს მამულზე სარჩლობდეს“. როსტომის ბრძანებით სადავო მამულების საკითხი ბიძინას სასარგებლოდ გადაწყდა. გასაყოფი სამკვიდრო მამულებთან „...შიომის შვილებს ჭელი არა ჰქონდეს... და ტაბახმელას მამია, ეჯუბა, ცრუმაშვილი, შვიაშვილები, თუხტუა და ათეზა, არაქელა, ცრუმას გერი წატურა ბიძინას დარჩა (სიძველენი, II, 1909: 413-414).

ბიძინას მფლობელობა ბოლნისის ხეობაში ვრცელდებოდა. 1654 წელს როსტომმა ბიძინას და მის შვილს ბეჭანს, „მასრუტის ორსავე ჭევს შუა, მისი ნასოფლარით, ზემო ბეჭის ძირს რომ გზა გავა, იმის დატანებით“ უბოძა, რომელიც ძველთაგან სოლადაშვილების მამა-პაპათ ჰქონებოდათ (სიძველენი, II, 1909: 416).

როსტომ ხანმა (1633-1658 წწ.) ქართლის სამეფო ირანის სახელმწიფოს ყაიდაზე მოაწყო. გაატარა ადმინისტრაციული რეფორმები, რაც, პირველ რიგში, იმაში გამოიხატა, რომ ქართლში დანერგა ირანული ადმინისტრაციული აპარატის თანამდებობები და სახელოები. ასევე, თითქმის ყველა სათავადოში ახალი სახლიკაცობის რიგი დააწესა და საგვარეულოებში სახლის უფროსები თითქმის ყველგან შეცვალა.

შიომ სოლადაშვილის სახლის უფროსობაც, სავარაუდოდ, როსტომის რეფორ-

მებს შეეწირა. როგორც ზემოთ მოგანილ საბუთში გამოჩნდა, შიომს როსტომი დიდად არ სწყალობდა. როსტომის გამეფებიდან რამდენიმე წელიწადში სოლადაშვილებში უპირატესობას შიომის ბიძაშვილმა და სახლიკაცმა, ელიზბარმა, მიაღწია.

შიომს ჰყავდა ორი ვაჟიშვილი თამაზი და დავით/დათუნა; ბიძაშვილები, ბიძინა, ასლანი; ძმისშვილები, ასლანი, ზაზუბა; განაყოფები, ელიზბარი და ზურაბი (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 187):

როგორც ზემოთაც აღინიშნა, სოლადაშვილების სათავადო სახლში უპირატესობა როსტომის მეფობის დროს ელიზბარმა აიღო. სასოლადაშვილომაც მნიშვნელოვან წარმატებებს სწორედ ელიზბარის დროს მიაღწია.

საისტორიო საბუთების მიხედვით ჩანს, რომ როგორც თანამდებობრივად, ისე მამულების ფლობით როსტომის მეფობისას ელიზბარი ქართლის დიდებულებს შორის ერთ-ერთი გავლენიანი პირი ყოფილა. მას 1637-1657 წლებში ოხიაყორჩის<sup>16</sup> თანამდებობა ეკავა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183). 1639 წელს ბოქაულთუხუცესად მოიხსენიება (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183), 1661 წელს ყევნის მუღარიბი და მუსაიბია (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183). ელიზბარის სახლის უფროსობის დროს გაერთიანდა სოლადაანთ საგვარეულოს სოფლები: კუმისი, ლვეუბანი/ლოუბანი, ასურეთი, ჭაპალა ციხითურთ, „რომელიც ადრე მისი წინაპრების ყოფილა“ და კოჟრის ციხე.

ელიზბარი საბუთებში პირველად 1637 წელს ჩნდება. როსტომ ხანმა (1633-1658 წწ.) მას კაბენის მონასტრის წყალობა განუახლა, რომელიც „ძველთაგან სოლადაშვილების მკვიდრი სასაფლაო“ ყოფილა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183). მონასტრის წყალობა 1648 წელს კიდევ ერთხელ განუახლა. 1651 წელს, 22 ივნისს როსტომ მეფე „სოლადაშვილს, ოხიაყორჩს ელიზბარს“, „სასაფლაოს მონასტრის წიგნს“ აძლევს, რადგან სოლადაშვილებს ძველი სიგელი დაჲკარგვიათ. იმავე სიგელით მონასტრის ყმები გაათავისუფლა გადასახადებისგან, ლაშქარ-ნადირობის და „სათათრო საურის“ გარდა (სიძველენი, II, 1909: 415; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183).

როსტომ ხანის ბრძანებით ელიზბარ სოლადაშვილმა ყაფიჩაშ პაპიასთან ერთად კათალიკოს ქრისტეფორესა და ბეჟან ამილახორს შორის წარმოქმნილი

<sup>16</sup> პროფ. ვ. გაბაშვილის მიხედვით – ოხიაყორჩი არის ცხენის მნე (გაბაშვილი, 1941: 170) „მნე“ სულ-ხან-ხაბას განმარტებით „მოწელეს“ აღნიშნავს. (სულხან-ხაბა ორბელიანი, I, 1991: 493).

სამამულო დავა გაარჩია (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183; ხევ. Qd 1387).

როსტომმა 1657 წელს ადრე შაპის მიერ გაცემული ოქმით ნაბოძები სოფლები, კუმისი, ლუეუბანი და ასურეთი, ელიზბარს დაუმტკიცა. ასევე, 1658 წელს კუმისის ნაწილი, ყაფარის და ბებურის სამკვიდროს გარდა, ყაფარის წილი აზნაურიშვილი, იარალა გარსუაშვილი, და მისი ყმები თავისი მამულებით უბობა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183).

როსტომ ხანს საკუთარი მემკვიდრე არ ჰყავდა, ამიტომ ტახტის მემკვიდრედ ბაგრატიონთა გვერდითი შტოს, მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი ბახუტა, იგივე ვახტანგი შეარჩია. ვახტანგ V, იგივე შაპნავაზი, ქართლში 1658 წელს როსტომის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა.

ელიზბარ სოლადაშვილმა შაპნავაზის დროს არათუ შეინარჩუნა მდგომარეობა და გავლენა, არამედ კიდევ უფრო განიმტკიცა კიდეც. 1660 წელს შპ აბას II-მ (1642-1666 წწ.) „ელიზბარ-ბეგის შესახებ“ სპეციალური ფირმანი გამოსცა. ელიზბარმა „...ითხოვა, რომელიც სამკვიდრო და მოგებულია მოხსენებულისა სოფელი კუმისი, სოფელი მონასტერი, სოფელი დოუბანი, სოფელი ტაგნაგეთი, სოფელი ასურეთი და სოფელი ჰალა<sup>17</sup> სიურდოლ აბადად<sup>18</sup> და ეჭსან სარმადად ვუწყალობეთ“. შაპი იქვე „საქართველოსა და ქართლის მეფეს შაპნავაზ-ხანს“ მიმართავს, რომ „მოხსენებულს (ელიზბარს – ა.ბ.) მიანებოს სახელმწიფო გადასახადები და მიანიჭოს დახმარება და კეთილმყოფელობა, რაც კი საჭირო იქნეს“ (ხუბუა, 1949: 14).

1661 წელს ელიზბარმა ბიძინა სოლადაშვილისგან იყიდა ტაგნაგეთში გაყოფის შედეგად წილში მიღებული ოთხი ქომლი: ვართანა ზურაბაშვილი, პაატა მიქელაშვილი, მელქუა მათი მამულებით, ბეჭიტა ვარსიმაშვილი, სახლიკაცით და დოლენჯაური მამულით და ვენახების ბოლოს ზვრის ნახევარი (სიძველენი, II, 1909: 420-421; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183).

1664 წელს, 25 ივლისს, ვახტანგ V შაპნავაზმა (1658-1676 წწ.) ელიზბარ სოლადაშვილს, მის შვილს, სამეფო სახლთუხუცესს ზურაბს, და შვილიშვილებს, იქსეს და ელიზბარს, სამკვიდრო მამულის ჭაპალას წყალობა განუახლა:

<sup>17</sup> ამ სახელის სოფელი უცნობია, ყოველ შემთხვევაში, სოლადაშვილებს არასდროს პქონიათ; სავარაუდოდ, თარგმანშია შეცდომა.

<sup>18</sup> სოიურდალის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ.

„შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჭაპალა, მისის ციხითა, სასახლითა, მისის მთითა, ბარითა, ...სამკუიდროდ და საბოლო[ო]დ გვიბოძებია“ (სიძველენი, II, 1909: 423-424).

ელიზბარ სოლადაშვილი 1660-იანი წლების ბოლოს უნდა გარდაცვლილიყო, მის შემდეგ სოლადაანთ სათავადოში უფროსი მისი შვილი ზურაბი იყო. ზურაბს 1637-1675 ბოქაულთუხეუცესის (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 184), ხოლო 1661-1675 წლებში სამეფო კარის სახლთუხეუცესის (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 184) თანამდებობები ეკავა.

ზურაბის შემდეგ კი უფროსი მისი სახლიკაცი ზაალი გახდა. ზაალს შაჰნავაზმა 1671 წელს განუახლა წყალობა სოფლებისა: სყალტუთანი, ტაგნაგეთი, ღვეუბანი, მონასტერი, ასურეთი, ჭაპალა, კავთისხევში ორი საკომლოსი და კუმისში, იმ ნაწილის გარდა, რომელიც მის განაყოფებსა და დანიელ წინამდღვარს ეკუთვნოდა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 184; ხეც. Sd 32).

ქართლის მეფე ერეკლე I-მა, ანუ ნაზარალი ხანმა (1688-1703 წწ.) გამეცების-თანავე, 1688 წელს, ზაალს საგვარეულო სახელო „მამა-პაპათ ნაქონი... სადედოფლო სახლთუხეუცესობა“ უბობა. როგორც ჩანს, ნაზარალი ხანი ან თავს იზღვევს, ან ეჭვი შეაქვს ზაალის ერთგულებაში, ამიტომ იქვე აფრთხილებს და ეუბნება, რომ თუ ისე ერთგულად მოიქცევა, როგორც მისი მამა და პაპა, მაშინ არ მოუშლის ამ სახელოს. „რარიგათცა მამა თქვენსა და პაპა თქვენსა ქონებოდა... და ყენზედა და ან ჩუენზედ არა სტყუოთ რა, არც ჩუენ მოგიშალოთო“ (სიძველენი, II, 1909: 428; პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 184; ხეც. Sd 757).

მაგრამ, როგორც ჩანს, ზაალმა დიდხანს ვერ შეინარჩუნა დედოფლის სახლთუხეუცესობა. მალე სახლთუხეუცესი ხდება ელიზბარის სახლის განაყოფი, შიომშ სოლადაშვილის ოჯახის ბიძაშვილი, ბეჟან I-ის შვილიშვილი, ასევე ბეჟანი.

1674 წელს დედოფლის ეშიკადასი, ვინმე მანთაშია, რომელიც მოწმეა ფინეზა [ყუმახაშვილის] მიერ გიორგი [ბარათაშვილისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (პირთა ლექსიკონი, 49; ხეც. Sd 623ა).

1691 წლის საბუთში ხუციას მიერ ნიკოლოზ მაღალაძისათვის მიცემული ან-დერძის წიგნში სხვა მოწმეებთან ერთად დედოფლის ეშიკადასი სოლადაშვილი ბეჟანიც მოიხსენიება (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 181; სცსა. 1448, 5072). მანამდე, 1654-1689 წლების საბუთებში, ბეჟან ბიძინას ქვე სოლადაშვილი ბოქაულთუხეუცესის

თანამდებობაზეა. იგი ცნობილი შიომ სოლადაშვილის ოჯახის ბიძაშვილი იყო (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 181; სცსა. 1448, 5072). ბეჭანმა ბოქაულთუხუცესობიდან სახლთუხუცესობამდე დაახლოებით იგივე გზა გაიარა, რომელიც სახლთუხუცესმა ზურაბ სოლადაშვილმა.

საინტერესოა 1693 წლის 20 ივნისის სიგელი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ელენე დედოფალმა (ერეკლე I ნაზარალი-ხანის დედა) დედოფლის კარის სახლთუხუცესობა ქაიხოსრო სოლადაშვილს უწყალობა. როგორც ელენე დედოფალი აღნიშნავს, „ჩუენის კარის სახლთუხუცობა თქუენთვის გვიბოძებია“, რომელიც თქვენს წინაპრებს დედოფალ მარიამისაგან ჰქონდათ ნაწყალობევით (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 186; სიძველენი, II, 1909: 429).

1697 წელს ერეკლე I ნაზარალი ხანმა ასლამაზ იორამის ძე სოლადაშვილს მამულები და უმები დაუბრუნა (სიძველენი, II, 1909: 438). ეს მამულები, როგორც იმავე სიგელიდან ჩანს, მანამდე ასლამაზისთვის ჩამოურთმევია და ერეკლე სოლადაშვილისათვის მიუცია. „ოდეს ცოტას გაგიწყერით და ტაბახმელას და საღორის თქვენი კერძი მამული გამოგართვით და თქვენს განაყოფს ერეკლეს უბოძეთ, ...შეგიწყალეთ და ისევ მამის თქუენის წილში გამონაყოლი ოთხი საკუამლო ტაბაგმელას – ეჯუბაშვილები, მამიაშვილები, აკოფაშვილები და ხუციშვილები თავეთის სამართლიანის სამდლურითა, და საღორისს ოთხი საკომლო ორბელიშვილები, ჯალუაშვილები, ბალიაშვილები და სეხნიაშვილები... თავის სამართლიანის სამზღვურითა თქუენთვის გუიბოძებია“ (სიძველენი, II, 1909: 438-439), ამავე სიგელით მევე აუქმებს ამ მამულების ფლობის ყველა სხვა საბუთს: „ოუ ვისმე ამ მამულის სიგელი ქონდეს, სიგლითა ამით გაგვიცუდებია“ (სიძველენი, II, 1909: 439).

\* \* \*

საინტერესოა ქაიხოსრო სოლადაშვილის ურთიერთობა ქსნის ერისთავების საგვარეულოს განშტოებასთან – რატიშვილებთან.

ლეკთა თარეშის დროს განსაკუთრებით გამოუჩენია თავი აზნაურ ზურაბ რატიშვილს, რისთვისაც სამეფო კარს მისთვის თავადობა უბოძებია (კახაძე, ჭყონია, 1990: 316). 1712 წელს ზურაბ რატიშვილს და მის მეუღლეს, ანა სოლადაშვილს, სოფელ ქსოვრისში დარბაზული ტიპის ეკლესია აუშენებიათ

(ზაქარაია, 1990, 318). ჩვენამდე მოაღწია 1721 წლის საბუთმა, რომლის მიხედვით, ზურაბისგან სიმამრს, ქაიხოსრო სოლადაშვილს, ოცდაათ თუმანი სესხი ადაუდია: – „ავიღე მე, სოლადაშვილმა ქაიხოსრომ და შვილმა ჩემმა ზურაბ და ზაზამ, თქვენ, რატიშვილი ჩემი სიძე ზურაბისაგან და შენი შვილი დავითისაგან ოცდაათი თუმანი ახალი თეთრი“. ამ ვალის გირაოდ ქაიხოსრომ ასურეთში თავისი წილი მამულები და გლეხები დაუდო. შეთანხმების მიხედვით, ზურაბ რატიშვილს ქაიხოსროსთვის სარგებელი არ უნდა მოეთხოვა, მას ასურეთის მამულიდან აღებული გამოსაღები უნდა აეკრიფა (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 877).

მოგვიანებით, 1760-იანი წლების დასაწყისში,<sup>19</sup> დავით ზურაბის ძე რატიშვილმა და მისმა ძმებმა თავის დას აჩუქეს თამასუქი. დის ქმარი სარიდან მდივანბეგი იყო, რომელიც თამასუქის სამაგიერო „თეთრს“ ითხოვდა. თუ ქაიხოსროს სოლადაშვილის შვილებმა „მანუჩარ და იორამ ენკენისთვემდის ეს თეთრი მისცენ სარიდან მდივანბეგსა, ეს მამული სოლადაშვილებს დარჩესთ... და თუ ვერა, სარიდან მდივანბეგს დანებდეს“ (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 878). საბოლოოდ, ასურეთის მამული „სოლადაშვილებმა ვერ დაიხსნეს, და რაც ამ წიგნში მამული უწერია, სარიდანს და ამის შვილს, ბეჟანს, დარჩა“ (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 879). 1792 წელს მამულის ნაწილის გამოსყიდვა მოუხერხებიათ სოლადაშვილებს (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 879).

XVIII საუკუნის I ნახევარში სასოლადაშვილო რამდენიმე მამულად იყო დაშლილი. მათგან ყველაზე წარმატებული ქაიხოსრო შიომის ძე და იქსე ქაიხოსროს ძის ოჯახები იყო.

1715 წელს 16 ივნისს იქსე მეფემ (1714-1716 წწ.) ქაიხოსრო სოლადაშვილს მამულის სითარხნის წიგნი უბოძა. „ქ. ნებითა და შეწევნითა მდთისათა ესე წყალობისა და სითარხნის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ, ჩვენ მდროვ აღმართებულმა, მდროვ დამყარებულმა, მდროვ [ზე]ციო ცხებით გვირგვინოსანმა, საქართველოს ტახტისა და საპატრონოს მფლობელმა იქსიან დავითიან, სოლომონიან პანკრატომანმა მეფეთ მეფემ, თვით ჭელმწიფემ, პატრონმა იქსემ თქვენ[ს] ჩუქნსა დიდათ ერთგულსა და წესისაებრ თავდადებით ნამსახურს

<sup>19</sup> ეს ცნობა იმავე საბუთის *verso-s* მინაწერია. მინაწერს თარიღი არ აქვს, და არ ჩანს როდის აჩუქეს რატიშვილებმა საბუთი თავის დას. მხოლოდ პირობითად ვათარიღებთ, რადგან სოლადაშვილს ვალის დაბრუნების ბოლო ვადა სწორედ ქორონიკონი უნდა, ანუ 1764 წელი დაუწესეს.

ემას სოლადაშვილს ქაოხოსროს, შვილს თქვენსა ზურაბს, ზაზას და მომავალთა სახლისა თქვენისასა და მამულის სითარხნეს დაგვეაჯენით, ძველადაც სულკურთხეულის ჩვენთა მამა პაპათაგან თარხანი გქონდათ, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ყოველი თქვენი მამული მთასა თუ ბარს ასე გითარხნეთ და გითავისუფლეთ, რომე ერთის საბალახისა და თავის მეტი არა ეთხოებოდეს რა..., გქონდეს და არა მოგეშალოს ესე ჩვენგან ნაწყალობევი სითარხნის წიგნი, არა ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენთა ჩამომავალთა მეფეთა და მეპატრონეთაგან“ (ხევ. Sd 124).

საბუთში არ ჩანს კონკრეტული მამულის თუ სოფლის დასახელება, ამიტომ სავარაუდოა, რომ იქვე მეფე ქაიხოსროს მთლიან მამულებს ათავისუფლებს.

\* \* \*

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ქართლის მეფე ვახტანგ VI (1716-1724 წწ.) გახდა. ვახტანგმა ჯერ კიდევ ჯანიშინობის დროს<sup>20</sup> (1703-1712 წწ.) ქართლში მანამდე ირანულ ყაიდაზე შეცვლილი ქართული წესების და კანონების აღდგენა დაიწყო.

ვახტანგმა სამეფო კარს თანდათანობით ჩამოაცილა მისთვის მიუღებელი ელემენტები, სცადა სახელმწიფოებრივი მმართველობის დარგობრივი დაყოფა, განდევნა შემთხვევითი პიროვნებები და თავის გარშემო განათლებული და პულტურის მოღვაწეები შემოიკრიბა.

ცვლილებები მოხდა სოლადაშვილების სათავადოშიც, 1718 წელს, 12 ნოემბერს, ვახტანგ VI-მ ასლამაზ სოლადაშვილს „სამკვიდრო სახელო სადედოფლო ეშიკადას-ბაშობა“, დაუმტკიცა. სახელოსთან ერთად სოფელ ურცევანისა და ძველი გომარეთის მოურავობა მისცა და, როგორც ეუბნება, „სამკვიდრო ჭაპალის ნახევარი... და კიდევ კუმისში რაც მამაშენს გლეხი სჭეროდეს, იქივ კუმისს ზვრის ნახევარი, და კიდევ სყალტუთანის მესამედის ნახევარი... ყველა ხელშეუალად გუიბოძებია... იქავ კუმის ზვრის ნახევარი და კიდევ

<sup>20</sup> ჯანიშინი – (სპარსულად ჯანეშენ – მოადგილე, ნაცვალი), შპის მიერ ირანში გაწვეული ქართლის მეფის ნაცვლად ქვეყნის გამგებლად დატოვებული პირი. ირანის სეფინი შპის ქართლის მეფეს ერთდროულად ირანის სპარსალარობასაც აძლევდნენ და იქვე ტოვებდნენ მოვალეობის შესასრულებლად, მის სამეფო საქმეებს კი მისივე მემკვიდრე – ჯანიშინი ასრულებდა. ჯანიშინი სახელმწიფოს სრულუფლებიანი გამგებელი იყო (კიკნაძე, 1987: 539).

საყალბუთნის მესამედის ნახევარი... კიდევ გვიბოძებია ქუემო-ბოლნის[ს] შენი ნასყიდი გლეხი სონდულაშვილი თავისი მამულით“ (სიძველენი, II, 1909: 510-511).

მალე ქართლში მდგომარეობა იცვლება, 1723 წლიდან ქართლში და კავკასიის დიდ ნაწილზე ოსმალების ბატონობა დამყარდა, ამავე დროს რუსეთმა დაიკავა კასპიის ზღვისპირა პროვინციები. 1724 წელს რუსეთმა და ოსმალეთმა სტამბოლში შეთანხმება გააფორმეს, რომლის ძალითაც ოსმალეთი რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაპყრობას ცნობდა, ხოლო პეტრე I-მა (1682-1725 წწ.) ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ სომხეთის დამორჩილება აღიარა. დასუსტებულმა ირანმა კავკასიაში თსმალეთის გაბატონებას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია, არც ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს შესწევდა ამის მალა. 1724 წელს პეტრე I-ს დახმარების იმედზე მყოფი ვახტანგი იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო.<sup>21</sup>

ოსმალების ქართლში შემოსვლისას მეფე ვახტანგ VI-მ მათი მოხიბებით მოინდომა და თავისი შვილის, ბაქარისა, და ძმის, იესეს, ხელით, საჩუქრებიც გაუგზავნა, მაგრამ ოსმალებმა თვითონ ვახტანგის გამოცხადება მოითხოვეს, მეფე ამაზე არ დათანხმდა. ვახტანგი 1724 წელს იძულებული გახდა, ახლობელთა 1200 კაციანი ამალით, რუსეთში წასულიყო.

სოლადაშვილებისგან ვახტანგ VI-ს რუსეთში გაჰყვნენ – თავადი პაპუნა სოლადაშვილი, რომელიც ბაქარ ბატონიშვილის ამალაში ირიცხებოდა და შერმადინ სოლადაშვილი, იგი ვახუშტი ბატონიშვილის ამალაში იყო (ყუბანეიშვილი, 1955: 167). მოგვიანებით, 1753 წელს, პაპუნა სოლადაშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში ჩაირიცხა (ყუბანეიშვილი, 1955: 219).

ვახტანგ VI-მ რუსეთში ყოფნისას დედოფლის სახლთუხუცესობა დიმიტრი ორბელიანს დაუმტკიცა. 1724 წლის ვახტანგ VI-ის ამალის ნუსხაში მოიხსენიება „ბატონის დედოფლის სახლთუხუცესი თავადი ორბელიშვილი დემეტრე“ (ყუბანეიშვილი, 1955: 219). დიმიტრი ვახტანგ VI-ის წყალობის სიგელშიც მოიხსენიება (სიძველენი, II, 1909: 358). 1730 წელს სახლთუხუცეს ელიზბარს სოფელ წოფს ჩუქნის და ჩამოთვლის მის და მისი ნათესავების, მათ შორის, სულხან-საბა ორბელიანის,

<sup>21</sup> ვახტანგს იმედი პქონდა რომ უკან რუსული ჯარით დაბრუნდებოდა და სამშობლოს საბოლოოდ გაანთავისუფლებდა ოსმალების და ყიზილბაშების ბატონობისგან. მაგრამ იმედგაცრუება ელოდა, რუსეთის იმედად მყოფი, 1737 წელს გარდაიცვალა.

თბილელი მიტროპოლიტის, ნიკოლოზის, დედოფლის სახლთუხუცეს დიმიტრის და სხვათა დამსახურებებს (სიძველენი, II, 1909: 357). ეს სიგელი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი რუსეთშია გაცემული, იმ მიზეზით, რომ, როგორც ვახტანგი აღნიშნავს, „აღარ დაგვინდვეს (ოსმალებმა) და საქართველოში ვეღარსად დავდეგით, წამოვედით რუსეთის ჭელმწიფესთანა“. ორბელიანებს მამულებს უკან დაბრუნების შემთხვევაში ჰპირდებოდა (სიძველენი, II, 1909: 357).

ოსმალებმა ქართლში ვახტანგის ძმა იესე გაამეფეს, რომელიც მუსტაფა ფაშას სახელით ქართლს 1724-1727 წლებში განაგებდა. შეიქმნა ოსმალური ადმინისტრაცია და დაიწყო ე.წ. „ოსმალობა“, რომელიც 1735 წლამდე გაგრძელდა. ოსმალებმა ქართლის სამეფოს თბილისის ვილაიეთი უწოდეს, რომელიც უფრო მცირე ერთეულებად: ნაკიებად, ლივებად და ყაზებად დაყვეს (1728 წლის დავთარი, I, 2009).

იესე მეფემ 1724 წლის ოქტომბერში თავისი „პარიო წარვლენილ მოსაქმეთად-მი“, იესე სოლადაშვილისათვის სითარხნის ბოძების შესახებ, ბრძანება გამოსცა.

„ქ. ჩვენი ბძანება არის კარიო ჩვენის წარვლენილნო მოსაქმენო, მერმე სოლადაშვილის იესეს მამული კურთხეულ არს. პაპისა და მამის ჩვენის და ჩვენის ძმის მეფისაგან თარხანი ყოფილან, რაგინრადაც იმითგან ნაბოძებს სიგელში ეწეროს, ახლა ჩვენც იესეს კერძი ესე გვითარხნებია, ჭელ ნურვისა გაქვსთ ქასა უიბ, დვინობისთვის, ლი (იესე)“ (ხევ. Hd 1949).

როგორც საბუთიდან ჩანს, მიუხედავად ქართლის სამეფოში შექმნილი რთული მდგომარეობისა, სოლადაშვილებმა მაინც მოახერხეს შეენარჩუნებინათ თავისი მამულები და გარკვეულ საგადასახადო იმუნიტეტის დამადასტურებელი განსაკუთრებული დოკუმენტიც მოიპოვეს.

თუმცა ეს სიტუაცია მალე შეიცვალა, 1727 წელს იესე მეფე გარდაიცვალა და ოსმალებმა თბილისის ვილაიეთის გამგებლად, ანუ თბილისის ვილაიეთის ვალიდ, ისაყ ფაშა<sup>22</sup> დანიშნეს. რომლის დროსაც ჩატარდა ქართლის მოსახლეობის აღწერა, დაწესდა ოსმალური გადასახადები.

აკად. ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით, „ოსმალობის“ დროს ქართველ გლეხს

<sup>22</sup> ისაყ ფაშა (1701–1748) წარმოშობით ჯაფელთა ფეოდალური საგვარეულოდან იყო. პირველი გამაპ-მადიანებული ათაბაგის საფარ ფაშას შთამომავალი, ახალციხის ფაშა და თბილისის ვალი. „მპურო-ბელი და განმგებელი ყოვლისა საქართველოსი.“ ოსმალეთის სამთუდიანი ვეზირი. <http://qim.ge/isak.fasha.html>

ბეგარა და სამსახური „საკუთარი“ მებატონისაგან უცვლელად დარჩა. ასე რომ, ამიერიდან მას ორმაგი ექსპლოატაცია აჩანაგებდა. ქართული ფეოდალური ურთიერთობების უჩვეულო გარემოება იყო აგრეთვე, ის, რომ ეს ოსმალური გადასახადები მწარმოებელი მოსახლეობის უკელა ფენას აწვა. „ოსმალობა“ არ სცნობდა თარხანს, აზარს, რომლებიც ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალი იყვნენ სხვადასხვა გადასახადისგან. არ არჩევდა ნასყიდს უსყიდისაგან, ყველა და ყველაფერი დაბეგრილი იყო მძიმე გადასახადებით. გლეხები ორმაგ ხარჯს (ოსმალურს და საბატონოს) ვეღარ უძლებდნენ და სამკვიდრო ადგილებიდან გარბოდნენ (ბერძენიშვილი, 1955: 155). „ოსმალობის“ დროს დამძიმებული ვალდებულებების გამო ხშირი იყო მიწების, ვენახების, საკუთარი ყმებისა და შვილების გაყიდვაც კი (ოთხმეზური, 1975: 121).

თუმცა სასოლადაშვილოს სათავადოს მოსახლეობაზე ძალადობა არ ჩანს. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს სასოლადაშვილო სოფლების მოსახლეობის დემოგრაფიის და სტატისტიკის შესწავლა. სტატისტიკური მონაცემების შედარებისას გამოირკვა, რომ „ოსმალობას“ არ შესწირვია მოსახლეობა და მათი საერთო რაოდენობა არათუ დაკლებული, არამედ ზოგიერთ სოფელში, რამდენადმე მომატებულიც კი არის (ბოჭიშვილი, 2011<sup>3</sup>: 276-284). ამიტომ აკად. ნიკო ბერძენიშვილისეული შეფასება „ოსმალობის“ სიმბიმის შესახებ ოდნავ გადაჭარბებული გვეჩვენება.

XVIII საუკუნის I ნახევრის ქვემო ქართლის დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ უმთავრეს წყაროებს წარმოადგენს ფისკალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ხასიათის ორი დოკუმენტი, რომელიც სწორედ აღნიშნულ პერიოდშია შედგენილი და ორივე სანდო და ზუსტ მონაცემებთან მიახლოვებული უნდა იყოს. ერთი 1721 წელს, ანუ „ოსმალობამდე“ არის შედგენილი, მეორე 1728 წელს, ანუ „ოსმალობის“ შემდეგ.

1721 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით მეწინავე სადროშოს, ანუ ქვემო ქართლის მოსახლეობის აღწერა ჩატარდა. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღწერა პირადად მეფის ძემ, მეწინავე სადროშოს სარდალმა, ვახუშტი ბატონიშვილმა, და ქართლის მდივანბეგმა, გივი თუმანიშვილმა, ჩატარების (აღწერა..., 1907). ვახუშტის, როგორც სადროშოს სარდლის, ინტერესებში მოსახლეობის მონაცემების დაფარვა ნამდვილად არ შედიოდა, მათი საერთო რიცხვის დაკლებით

ან რაიმე სახის გაყალბებით როგორც მოლაშქრეები, ისე გადასახადების გადამხდელები მოაკლდებოდა. აღწერის შესავალში აღნიშნულია, რომ „აღვეწერეთ ამა დავთართა შინა, რომელ ძალებით აბჯართა და ცხენთა ჭმარებანი, გინა სამეფოთა ხარჯთა და ბაგარათა გამოღებანი“ (აღწერა..., 1907: IX).

მეორე ფისკალურ-ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტი 1728 წელს, ანუ ქართლში ოსმალების გაბატონებიდან რამდენიმე წლის შემდეგ არის შედგენილი (1728 წლის დავთარი, II, 2010). დავთარში აღწერილია ქართლის ყველა დასახლებული სოფელი, დაბეგრილია ყველა ფეოდალი, აზნაური, გლეხი, აზატი, ბოგანო... დავთრის მიხედვით შეიძლება გაირკვეს წარმოდგენილი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრული სურათი. ოსმალეთში იმ დროს თცამდე სახის გადასახადი არსებობდა, ამიტომ ქართლის მოსახლეობა მრავალი გადასახადით და ვალდებულებით დაიბეგრა. ოსმალებისთვის არ არსებობდა საზოგადოების სხვადასხვა ფენა, მათთვის თავადიც და აზნაურიც გადასახადის გადამხდელ გლეხობასთან იყო გათანაბრებული. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში გაყალბებული მონაცემები იყოს.

რადგან ორივე დოკუმენტი მეტნაკლებად დაზუსტებულ მონაცემებს უნდა გვაძლევდეს, ამიტომ მათი შედარების შედეგად მიღებული დასკვნებიც რეალობასთან უველავე ახლოს უნდა იყოს.

1721 წლის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით, სოლადაშვილებიდან ქვემო ქართლში მებატონეები არიან: იესე, ზურაბი, გიორგი, ასლამაზი, შიოში, ყაფარი, ავთანდილი და იოთამი, რომლებიც ფლობენ სოფლებს: ასურეთი, გუდელისი, დრე, ვეძისი, კუმისი, მამისდაბა, მონასტერი, საღორისი, ტაბახმელა, ტაგნაგეთი, ლოუბანი, შინდისი, ჭაპალა (აღწერა..., 1907: 140-149, 156). საერთო ჯამში, სოლადაშვილები 13 სოფელში 191 კომლის და 55 ბოგანოს პატრონები იყვნენ. ამის გარდა, მათ ჰყავდათ აზნაურებიც (ქრისტესიაშვილი, ტურიაშვილი, დათუნაშვილი, იარალაშვილი, ამილრბოქაშვილი, ხარშილაძე, არღუთაშვილი, დივანიშვილი...) (აღწერა..., 1907: 140-149, 156).

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, სოლადაშვილების სოფლებში დაახლოებით იგივე რაოდენობა ცხოვრობს, რამდენიც 1721 წელს.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სოფლის

მოსახლეობის აღწერის მასალები. ორ პარალელურ სვეტში 1721 წლის და 1728 წლის აღწერებია წარმოდგენილი.

### 1721 წლის აღწერა

#### **ქ. სოლადაშვილის იუსტ უმა ღოუბანს**

მახუაშვილი ივანე კომლი ა თავი ა  
აბულაშვილი კაცია კომლი ა თავი ა  
აბულაშვილი ოქრუა კომლი ა თავი ა

აზარიაშვილი ივანე კომლი ა თავი ა  
ციუაშვილი იესე კომლი ა თავი ა  
ყელბერაშვილი იესე კომლი ა თავი ა  
ვარამაშვილი ლომიტა კომლი ა თავი ა  
ვარამაშვილი ებალა კომლი ა თავი ა  
უსეფაშვილი თამაზა კომლი ა თავი ა  
კენკებაშვილი იორდანე კომლი ა თავი ა  
პეტრიაშვილი ბერუა კომლი ა თავი ა  
პეტრიაშვილი თევდორე კომლი ა თავი პ  
ჯანგებაშვილი ზურაბა კომლი ა თავი ა  
გულუაშვილი იესე კომლი ა თავი ა  
დოდიაშვილი იორდანე კომლი ა თავი ა  
ბოგანო ბერუა მოლაშქრე  
ბოგანო ლაზარე მოლაშქრე  
ბოგანო იესე მოლაშქრე  
ბოგანო დათუნა მოლაშქრე

ქ. აქავ ამისი აზნაურშვილი ქრისტესიაშვილი ბეჭან  
ამისი ყმა ბოგანო შიაუა

#### **ქ. აზნაურშვილი იესე მღვდელი**

##### **ქ. სოლადაშვილის ქაიხოსროს ყმა**

ახალკაციშვილი გიუა კომლი ა თავი ა  
ბარამიშვილი ბერუა კომლი ა თავი ა  
გოგიაშვილი იესე კომლი ა თავი ა სულხანაშვილი  
რევაზა კომლი ა თავი ა  
პეტრიაშვილი იოსება კომლი ა თავი ა  
ვარამაშვილი იესე კომლი ა თავი ა  
ბეჭიაშვილი ლაზარე კომლი ა თავი ა

### 1728 წლის დავთარი

#### **ღოუბანი**

#### **სოფელი ღოუბანი ექვემდებარება საბარათიანოს ნაჟიეს**

იასე ძე გიგისა  
ლაზარე ძე მისი  
გიორგი ძე ბაბირასი

იასე ძმა მისი  
ზუზა ძე სულხანასი  
იასე ძე მისი  
იოსებ ძე ბირიასი  
ბერუა ძე მისი  
ივანე ძე გელიასი  
ბერუა ძე მისი  
იასე ძე ბაბუნასი  
ლაზარე ძე ბესიკასი  
ბერუა ძე მისი  
დუდანა ძე ქიტესასი  
იორდანე ძე მისი  
თამაზა ძე იოსებისა  
იოსება ძე ოსიკასი  
ბერუა ძე მისი  
საკუა ძე დოვლათასი  
დავით ძე მისი  
ნასურა ძე გაბუასი  
გივა ძე მისი  
ათალა ძე ივანესი  
ივანე ძე მისი  
ივანე ძე მარდანასი  
გივა ძე მისი  
გიორგი ძე აბაგასი  
ბერუა ძე მისი  
გიორგი ძე მანგიასი  
ბერუა ძე მისი

მირაქაშვილი ბეჭანა კომლი ა. თავი ა.  
 მანჩალაშვილი დათუნა კომლი ა. თავი ა.  
 დოდიაშვილი საქუა კომლი ა. თავი ა.  
 გულუაშვილი ბეჭა კომლი ა. თავი ა.  
 ქიტესაშვილი ქიტესა კომლი ა. თავი ა.  
 ახალკაციშვილი ბერაძე კომლი ა. თავი ა.  
 სვიმონაშვილი ბერი ბოგანო კომლი ა. თავი ა.  
     ბოგანო ბეჭა მოლაშქრე  
     ბოგანო კურდღელა მოლაშქრე  
     ბოგანო ივანე მოლაშქრე (გვ.43)  
**ქ. აქავ ამისი აზნაურშვილი ქრისტესიაშვილი გივი**  
     ამისი ბოგანო იესე მოლაშქრე  
**ქ. სოლადაშვილის ქაიხოსროს გმა**  
 აბულაშვილი გიორგი კომლი ა. თავი ა.  
     ბოგანო ბერუა  
     ბოგანო მამულა  
     ბოგანო შიუა

**ჯამი:** კომლი 30, ბოგანო 12.

ბერუა ბე კობიანისა  
 შიო ბე მისი  
 არუთინ ბე ჯანგილასი  
 მარტინა ბე მისი  
 დათუნა ბე მარტინასი  
ოთარა ბე კლიმერისა თავადია

**სახლი 20**  
**კაცი 36**  
**მიწის დღიური მფლობელობა 20**  
**მიწის თავისუფალი მფლობელობა 20**

**ქ. სოლადაშვილის გიორგის გმა მამისდაბას**

შალამბარაშვილი თევდორე კომლი ა. თავი ა  
ბოგანო ზურაბა

**ჯამი:** კომლი 1, ბოგანო 1.

**სოფელი მამირდაბა<sup>23</sup> ექვემდებარება**  
**საბარათიანოს ნაპიეს**

მამისიმედ ბე დათიასი  
 თევდორე ბე ელიზბარისა  
 იასე ბე მისი  
 გიორგი ბე ბათასი  
**კაცი 4**  
**მიწის დღიური მფლობელობა 20**

### ტაგნაგეთი

**ქ. სოლადაშვილის იესეს გმა ტაგნაგეთს**  
 მურადაშვილი ბეჭა კომლი ა. თავი ა  
 მიქელაშვილი იობ კომლი ა. თავი ა  
 გარსიმაშვილი პაპა კომლი ა. თავი ა  
 დემუაშვილი დემურა კომლი ა. თავი ა  
 ვარსიმაშვილი აბრამა კომლი ა. თავი ა

**სოფელი ტაგნაგეთი ახლოსაა სათესველ**  
**იურბალასთან ექვემდებარება**  
**საბარათიანოს ნაპიეს**

იასე ბე სულაკასი თავადია<sup>24</sup>  
 დათია ბე ქაიხოსროსი თავადია<sup>25</sup>

<sup>23</sup> უნდა იყოს მამისდაბა.

<sup>24</sup> იგულისხმება თავადი იესე სოლადაშვილი.

ჯანვერდაშვილი გოდერძა კომლი ა თავი ა  
ქ. ტურიაშვილი ასლამაზა აზნაურშვილი

ბოგანო ოანა  
ბოგანო ბერუა მოლაშქრე  
ბოგანო გიორგი მოლაშქრე  
ბოგანო საფარა მოლაშქრე

ქ. აქავ ამისი აზნაურშვილი ტურიაშვილი ბეჟან  
ამისი ბოგანო ხუგაზა

ქ. სოლადაშვილის ქაიხოსროს ყმა ტაგნაგვით  
ზურაბაშვილი დავითა კომლი ა თავი ა  
ალიხანაშვილი მელქუა კომლი ა თავი ა  
სუხიაშვილი შერმაზანა კომლი ა თავი ა  
მატიაშვილი ყაზუა კომლი ა თავი ა  
ფირუაშვილი საქუა კომლი ა თავი ა  
სუხიტაშვილი ბეჟუა კომლი ა თავი ა  
ბოგანო ბერუა მოლაშქრე  
ბოგანო ესტატე მოლაშქრე  
ბოგანო ხეჩუა მოლაშქრე  
ბოგანო გიორგი მოლაშქრე  
ბოგანო ბერუა მოლაშქრე

ქ. აქავ უყმო აზნაურშვილი ავთანდილი ამისივ ყმა

ჯამი: კომლი 12, ბოგანო 9.

მეპმედ ძე აბდალლაპისა ახლად  
გამუსლიმებულია  
თანდილა ძე ასლამაზისა  
ფარემუზ ძე მისი  
ბაბუნ ძმა მისი  
თარლა ძე ყულისა  
ფარემუზ ძე მისი  
კაზარ ძმა მისი  
ავთანდილ ძე ბერუასი  
ბაბა ძე მისი  
კაზარა ძე ბაბუნასი  
ბაბუნ ძე თადეოზისა  
მახარა ძე შერმაზანისა  
ბერუა ძე მისი  
აგრემალი ძე სარკიასი  
ზურაბ ძე მისი  
კარტუმ ძმა მისი  
იოსებ ძე რუკასი  
ბერუა ძე მისი  
ბერუა ძე ბერუკასი  
დიმიტრი ძმა მისი  
ბერუა ძე აბრამისა  
დიმიტრი ძე მისი  
მამუკა ძე დერიასი  
ოპან ძე აკუასი  
ოსითა ძე მისი  
ბერუა ძმა მისი  
ბირა ძე გიორგისა  
ქიმესია ძმა მისი  
მელქონ ძე ალიხანისა  
შერმაზან ძე მისი  
შაკო ძე ბერისა  
ბაბა ძე მისი  
ბერუა ძე შოშოტასი  
ბერო ძე მისი  
შერმაზან ძე მისი  
ზურაბ ძე ესტატესი  
იასე ძე მისი  
ბერუა ძე სუხიასი  
დადუა ძე კაზარასი  
იმორე ძე დაჯუასი  
არუთინ ძე მისი

<sup>25</sup> თავადი დავით ქაიხოსროს ძე სოლადაშვილი.

ბერუა ძე კუბადასი  
 ბაბა ძე მისი  
 სენია ძე დირიმისა  
 ყანდური ძე ჰარსეთისა  
 სენია ძე მისი  
 ბერო ძე ხვაჯისა  
 გიორგი ძე ბაბუნისა  
 გიორგი ძე მისი  
 ზურაბ ასატურის ძე  
 შუქურა ძე ბერუგასი  
**კაცი 53**  
**მიწის დღიური მფლობელობა 130**  
**ჯამი მარცვლეულისა**

მსგავსი სურათია სოლადაშვილების ყველა სოფლის სტატისტიკურ მონაცემებში, მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვან ცვლილებებს, მითუმეტეს კატასტროფულ დანაკლისს ნამდვილად არ განიცდის.

<b>№</b>	<b>სოფელი</b>	<b>1721 წელი</b> (ლორთქიფანიძე, 1938; 30, 34, 35, 37, 38, 39)	<b>1728 წელი</b> (1728 წლის დავთარი; 69, 70, 82, 83, 84, 85, 90, 100)
1.	<b>ასურეთი</b>	კაცი – 11 <sup>26</sup>	კაცი – 17
2.	<b>გუდელისი</b>	კაცი – 10	კაცი – 5
3.	<b>დრე</b>	კაცი – 7	კაცი – 3
4.	<b>ვეძისი</b>	კაცი – 25	კაცი – 35
5.	<b>კუმისი</b>	კაცი – 46	კაცი – 49
6.	<b>მამისდაბა</b>	კაცი – 2	კაცი – 4
7.	<b>მონასტერი</b>	კაცი – 37	კაცი – 29
8.	<b>საღორისი</b>	კაცი – 10	კაცი – 16
9.	<b>ტაბახმელა</b>	კაცი – 20	კაცი – 10
10.	<b>ტაგნაგეთი</b>	კაცი – 22	კაცი – 53
11.	<b>ლოუბანი</b>	კაცი – 42	კაცი – 36
12.	<b>შინდისი</b>	კაცი – 6	კაცი – 4
13.	<b>ჭაპალა</b> <sup>27</sup>	კაცი – 10	კაცი – 5

<sup>26</sup> რაოდენობა გამოთვლილია, კომლში გაერთიანებული შრომისუნარიანი მამაკაცების, ანუ „თავების“, „ბოგანოების, მოლაშქრე ბოგანოების და აზნაურების დაჯამებით (ლორთქიფანიძე. 1938: 28).

<sup>27</sup> ჭაპალა 1728 წლის დავთარში ჯაბარყელას სახელით არის შეტანილი (იხ. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II. გვ. 137)

ქართლში „ოსმალობის“ დამყარების შემდეგ, რა თქმა უნდა, ბეგარა მოქმატათ ქართველებს. მაგრამ აქ მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ფაქტია ისიც, რომ დამპყრობლებმა ფეოდალებიც დაბეგრეს. ოსმალური ადმინისტრაციით ყველაზე უკმაყოფილო სწორედ ფეოდალთა კლასი იყო, „ოსმალობის“ გამო სწორედ მათი შემოსავლები მცირდებოდა. ოსმალებმა ქართლში ის გადასახადები დააწესეს, რაც ოსმალეთში არსებობდა.

„ოსმალობის“ დასაწყისში, რუსეთში გამგზავრებამდე, ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ს წერდა, რომ ოსმალებმა „ქვეყანა ...გააოხრეს ხუთ აღაჯზედ<sup>28</sup> ქალაქის გარეშემოში სოფლები სულ სახლი გააოხრეს და შენობა მოშალეს, ტყვე მრავალი დაატყვევეს, ენით არ მოიხსენიება აქაური ჭირი“ (მიმოწერა, 1861: 163) რა თქმა უნდა, ოსმალების შემოსვლას მსხვერპლი და აოხრება მოჰყვებოდა. როგორც ჩანს, ვახტანგი ცდილობს უფრო მძიმედ აღწეროს მოვლენები, ვიდრე რეალურად იყო, რადგან ამით მეტ დახმარებას ელოდა რუსთისგან.

„ოსმალობის“ დროს ჩატარებული აღწერიდან კი კარგად ჩანს, რომ ქალაქიდან „ხუთ აღაჯზედ“ არსებული სოფლები, რომლებიც ძირითადად სოლადაშვილების სამფლობელოს სოფლები (შინდისი, ტაბახმელა, კოჯორი, გუდელისი....) იყო, „ოსმალობის“ პირობებშიც არსებობს და მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები არ განუცდია. აღწერის მასალებიდან გარკვევით ჩანს, რომ სალხი ისევ თავის ადგილზე ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ სოლადაშვილების სათავადოს მოსახლეობა არ შემცირებულა, საერთო მდგომარეობა მაინც გართულებული იყო, რამაც სოლადაშვილებზეც იქონია გარკვეული უარყოფითი გავლენა, სათავადო „ოსმალობის“ შემდეგ დაშლილია. აღარ ჩანს სახლის ერთი უფროსი, სოლადაშვილებს არ ნიშნავენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მამულებიც იყიდება.

როდესაც ოსმალოებმა 1728 წელს ქართლის, ანუ თბილისის ვილაიეთის ყველა დასახლებული სოფელი აღწერეს, დაბეგრეს როგორც გლეხები, აზატები და ბოგანოები, ასევე ყველა ფეოდალი, აზნაური და სასულიერო პირი. ოსმალებისთვის

<sup>28</sup> აღაჯი – მანძილის საზომი ერთეული ახლო აღმოსავლეთ ქვეყნებსა და გვიან შუასაუკუნეების საქართველოში. მისი ზომა სხვადასხვა დროს 5,7-6,7 კმ ფარგლებში მერყეობდა.

არ არსებობდა საზოგადოების სხვადასხვა ფენა, მათთვის თავადიც და აზნაურიც გადასახადის გადამხდელ გლეხობასთან იყო გათანაბრებული. მაგ., სოლადაშვილების სოფელ დოუბანის გლეხებს ბოლოში მიწერილი აქვს, „ოთარა ძე ედიშერისა – თავადია“ (1728 წლის დავთარი, II, 2010: 82). იგი სოლადაშვილი უნდა იყოს. ასევე სოფელ ტაგნაგეთში, სადაც სოლადაშვილებს სასახლე ჰქონდათ, 53 შრომისუნარიანი მამაკაცი ცხოვრობს, მათ შორის დასახელებულნი არიან „იასე ძე სულაკასი – თავადი“ და „დათია ძე ქაიხოსროსი – თავადი“ (1728 წლის დავთარი, II, 2010: 85-86). ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ორივე, იასე და დავით ქაიხოსროს ძე, თავადი სოლადაშვილები იყვნენ. იასეს/იესეს აღწერაში „სულაკას ძე“ სოლადაშვილს აღნიშნავს. შეიძლება ასევე სოლადაანთ საგვარეულოს ეპუთვნოდეს იმავე სოფელში მცხოვრები – „მეტმედ ძე აბდალლაპისა – ახლად გამუსლიმებული“ (1728 წლის დავთარი, II, 2010: 85-86).

სოფ. საღორისში „ქაიხოსრო ძე შიოშისა აზნაურია, იასე ძე მისი, ელიზბარ ძე მისი“. შემდეგ ჩამოთვლილია გლეხები (1728 წლის დავთარი, II, 2010: 82), სოფ. კუმისი – „ბეჟან ძე ბეჟანისა თავადია“ (1728 წლის დავთარი, II, 2010: 87).

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ქართლი ისაყ ფაშამ ეჭვს ნაწილად გაყო. „მაშინ ისაყ ფაშამ განპყო ქართლი, სომხით-საბარათიანო მისცა ერასტი ყაფლანისშვილს, მცხეთას ზეითი ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გიგს ამილახორს, მუხრანი და საერისთონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარჯსა და სხუათა რაი იგი უკმდათ“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 510).

ოსმალებისგან დაწინაურებულმა ეჭვსივე თავადმა მთელი ქართლის სამეფოში, თავისი სახლიკაცებისგან და მეზობელი სათავადოებისგან მამულების შეძენა დაიწყეს. მათ შორის ერთ-ერთი შანშე ქსნის ერისთავი იყო, რომელიც თავის მამულებს სხვა საგვარეულოების, მათ შორის, სოლადაშვილების ხარჯზე აფართოვებდა.

„ოსმალობის“ დროს შანშე ქსნის ერისთავს ისაყ ფაშამ დაუმტკიცა კუმისში მამულები. ეს მამულები შანშეს მანამდე ელიზბარ სოლადაშვილისაგან ჰქონია ნაყიდი (გვასალია, 1970: 181).

ქსნის ერისთავები 1736 წელს კიდევ აფართოვებენ მამულებს. ზაზა ქაიხოსროს ძე სოლადაშვილმა თავისი წილი და „ბარათში გამოტანილი ყმები თავიანთი მამულითა, მიწითა, ვენაჭითა, საწნახლითა, ქუმვრითა, მარნითა, სახლითა, კარითა,

შესავლითა, გასავლითა, წყლითა, სარწყავითა, ურწყავითა, მთითა, ბარითა, და ყოვლის თავის სამართლიანის გზითა და სამდღურითა, იაღლუჯითა და საყალტუთნითა“ სულ ორმოც კომლზე მეტი და საკმაოდ ვრცელი ტერიტორია შანშე ერისთავს მიჰყიდა (დოკუმენტები, 1940: 249).

\* \* \*

როგორც ზემოთაც აღინიშნა, XVIII საუკუნის I ნახევარში, „ოსმალობის“ პირობებში სოლადაშვილებში ყველაზე წარმატებული მემამულები ქაიხოსრო შიომის ძე და იესე ქაიხოსროს ძის ოჯახები იყვნენ.

ქაიხოსრო შიომის ძემ თავისი ბიძაშვილისგან, ასლამაზისგან, 1726 წლის 15 ოქტომბერს მამულები იყიდა.

ნასყიდობის წიგნში ასლამაზი ამბობს, რომ „ჩუენ სოლადას შვილმან ასლამაზ და მამავალმან სახლისა ჩემისამან, თქვენ ჩემს ბიძაშვილს შიომის შვილსა ქაიხოსროს და შვილსა თქუენსა იასესა და მანუჩარს და იორამს, შიომს და მამავალსა სახლისა თქუენისასა..., მოგყიდეთ საღორის[ს] ჩუენი სამკუიდრო მამული ჯალუას შვილის მამული..., მასთან კიდეც ჩემი ხოდაბუნი სომხის სათივის პირი და კლდის თავის კუმურში ბაბუჩურის გამოღმა შენთან რომე საზიარო, ნასყიდი მიწა, რომ გვაქვს ბაბუჩასაგან მოსყიდული მიწა, ჩემი წილი, ისიც მამიერია“ (ხევ. Hd 9651).

მომდევნო 1727 წელს ქაიხოსრო შიომის ძე სოლადაშვილმა ასევე თავისი განაყოფისგან, ზაზა ქაიხოსროს ძისგან, იყიდა მამული და ყმები.

„ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც, მე სოლადას შვილმა ქაიხოსროს შვილმა ზაზამ, შენ სოლადას შვილს შიომის შვილს ქაიხოსროს, შვილსა შენსა იასეს, მანუჩარს, იორამს და შიომს. მოგყიდე მონასტერს ჩემი წილი ზვარი, სამი არეკალი (?) და ამოვარდნილის მახარას ხუცის ვენახიც მოგყიდე თავისის შესავალ გასავალითა. ჩემის ზვარის ბოლოს, წყლის პირამდი ზეთ საწნახლით, ტყითა და თავისის გზითა, იქით ელისბარის ვენახამდი, აქათ ოქროას შვილის ვენახამდი. კიდევ ამასთან მოგყიდე ზემოუბანს ჩემი ბარათში გამოტანილი ჯიმშიტას შვილის სეხნიას წილი სახლკარი თავის ალაგითა, ქვევრითა, თავის შესავლითა და გასავლითა, აშენებულითა და ასაშენებლითა. ქვეით გიგოლას შვილის სახლამდი, ზეთ ათანასეს შვილის წილამდი, უკან ფლატის

პირამდი, წინ თავის გზითა“ (ხევ. Hd 14034).

ქაიხოსრომ იმავე 1727 წელს სოფ. მონასტერში მცხოვრებ მოსე დეკანოზიშვილისგან სახლი და მიწა შეიძინა.

როგორც მოსე წერს, „...ესე ნასყიდობის წიგნი დაგიწერეთ [და] მოგეცით, ჩვენ მონასტერელმან დეკანოზისშვილმა მოსემა და მახარამ იობამ... თქვენ სოლადასშვილს ქაიხოსროს... ასე, რომე დაგვეჭირა [და] მოგყიდეთ ჩემი სამკვიდრო სასახლის ალაგი, ქვევრით, მარნით, ხაროთი, ნიგ[ვ]ზით, შესავლითა, გასავლითა ერთი მიდგა წყლის გზამდი უკან წყლის პირამდინ მდე[ბა]რეთ მის სამძღვამდინა და ზებედეს სამძღვამდინ“ (ხევ. Hd 9426).

იესე სოლადაშვილმა 1736 წელს, „ოსმალობის“ დროს, თავის ყმებს „თავდახსნილობის და აზატულობის წიგნი მისცა“. იასემ სოფელ მონასტერში მცხოვრები ამილბარაშვილი ოქრუა და მისი ძმა, ოთარა, გაათავისუფლა.

იესე ამილბარაშვილებს ასეთ ბრძანებას აძლევს: „ჩემი მამულიდამ ხელი აგაღებინე ნასყიდიდამცა და უსყიდიდამცა, მამულს გარდა თავი დაგახსნევინე. მე შენთან ხელი ადარა მქონდეს, შენთან არც ჩემს შვილს პქონდეს ხელი, არც ჩემს ნათესავს, თავი დაგახსნევინე, საცა გინდა იქ წადი, საცა გერჩომილებოდეს იქ დარჩი, მე შენთან ხელი ადარა მაქ[ვ]ს ღმერთმა გიშველოს“ (დოკუმენტები, 1940: 248; სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 892).

ამ საბუთიდანაც გარკვევით ჩანს, რომ „ოსმალობის“ დროს თავადს მაინც პქონდა უფლება თავის ყმაზე და გაჭირვების მიუხედავად, მაინც ათარხნებს.

იესე ქაიხოსროს ძე თავისი სახლიკაცებისგან მამულების შეძენას აგრძელებს. 1739 წელს მას ელიზბარ სოლადაშვილმა სამკვიდრო სოფელი შინდისის მამულები ყმებიანად მიჰყიდა.

„ქ. ნებითა დოისათა, წმიდათა ღვთისათა მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომელობითა, ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე სოლადაშვილი შიოშის შვილმა ელიზბარ, შვილმა ჩემ[მ]ა თამაზამ, შენ ჩემს განაყოფს ქაიხოსროს შვილს იესეს, მანუჩარს, იორამს და მომავალთა სახლისა თქუენისათა. ასე რომე ავის დროისაგან საქმე მიჭირდა მოველ და ჩემის ნება მყოფობით მოგყიდე ჩემი წილი შინდისი საჭნავი, სათესი, მთა, ბარი, გლეხი, გასული. რაც ჩემი წილი არის, ყუელა შენთვის მომიყიდია“ (ხევ. Hd 2387).

„ოსმალობის“ შემდეგ ქართლში „ყიზილბაშობა“ დამყარდა. „ოსმალობა“- „ყიზილბაშობის“ პირობებში სოლადაშვილის სათავადო, ფაქტობრივად, არ არსებობდა. სოლადაშვილები მხოლოდ რიგით მემამულეებს წარმოადგენდნენ, თუმცა მათ შორის რამდენიმე მათგანი დაწინაურებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა (იქსე სოლადაშვილი, ქაიხოსრო სოლადაშვილი). არც სამოხელეო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ. 1740-იან წლებიდან სიტუაცია იცვლება, „ყიზილბაშობის“ შესუსტებასთან ერთად სოლადაშვილების საგვარეულოში გაერთიანების და ისევ ერთიან სათვადოდ ჩამოყალიბების საკითხი დადგა.

ამის დასტურია 1742 წელს სოლადაშვილებს შორის გაფორმებული „ქმობისა და გაუყრელობის წიგნი“.

საბუთის მიხედვით, ერთიანდებიან ელიზბარ სოლადაშვილის შვილის, ქაიხოსროს (რომლის უფროსიც მისი ძე, ზაზა, იყო), და შიო სოლადაშვილის შვილის, ქაიხოსროს, სახლები (ძეები – იასე, მანუჩარი და იორამი). ორი დიდი ოჯახი. სახლის უფროსი ელიზბარის შთამომავალი ზაზა სოლადაშვილია.

ზაზა ქაიხოსროს ძე ასე მიმართავს თავის სახლიკაცებს: „საძმო და სასახლისკაცო საერთო, სიკვდილამდის გაუყრელობისა წიგნი დაგიწერინე და მოგეცი ძე, ელიზბარ სოლადაშვილის, ქაიხოსროს შვილმა ზაზამ, შენ ჩემს განაყოფს და დღეს ძმას და ნათესავს, შიოშ სოლადაშვილის ქაიხოსროს შვილს, იესეს, მანუჩარს და იორამს, სამთავ ერთ ძმად, არა თუ სამთავ, თვისთვისად, ასე, რომე თქვენი დიდი სიყვარული მქონდა და მაქვს არა თუ განაყოფობით, ნათესაობით, უფროსად და დთის ნებით შევიყარენით, ერთ დედმამის ორთ ძმაშვილებად, კთამც ორივ ქაიხოსრო მამაჩემი და მამა შენი, ერთი დედისა და მამის შვილები ყოფილიყვნენ და ჩვენც ორნივე ერთის მამისა და დედის შვილები ვიყოთ, სამნი თქვენ და ერთ ძმად, და ერთი მე ერთმად, მე უფროსად და თქვენ უმცროსად“ (ხევ. Hd 2091).

გაერთიანდა ყველა მამული, რომელიც სოლადაშვილების ამ ორ ოჯახს ჰქონდა და რაც მათ მამებს შეუძენიათ თავანთი სახლიკაცებისგან თუ სხვა მემამულეებისგან.

„ასე ამ პირობითა, რომე დღეს რისაც ფერის მქონებელი ვიყოთ მამულისა, მთისა თუ ბარისა, შენისა თუ უშენისა, ტყისა, მინდვრისა, წყლისა, მიწისა, საჭნავისა, უჭნავისა, სარწყავისა, ურწყავისა, საწყლის პირისი, წისქვილისა, საწისქვი-

ლოსი, ვენაჭისა, სავენაჭისა, ბოსტნისა, საბოსტნისა, ნასყიდისა, უსყიდისა, ჯელმწიფის ნაწყალობევისა თუ ბარათით გამოტანილისა, ან ნასისხლისა, საძებრითა თუ უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი ვართ, სასახლისა თუ სასახლის ალაგისა, აგრევე ვალისა თუ გავალებულისა, ვეჯისა თუ ნაღდისა, ხითიქვამდის მიწით წყლამდის, პირუტყვთ პირმეტყველებამდის, ოთხვერხო ორფეხამდის, იარაღათ რკინა სპილენძამდის, ვერცხლით ოქრომდის, თვლით მარგალიტამდის, რისაც მქონებელი ვართ, ერთის ისრის დასობა მამულამდის, ჩემი და შენი გაგვიერთებია და ორისავე სამმოდ ორ წილად დაგვიცეს, ერთი ჩემთვის და ერთი თქვენ სამთათვისა, არა თუ სამაღმი ძმისა რა, სამნი ერთ ძმად, ძმანი ვიყოთ ორად, სანამ ჩვენ ცოცხალი ვიყოთ ერთმანეთის ნების მყოფელნი“ (ხეც. Hd 2091).

სოლადაშვილები ერეკლე II-ის (1744-1798 წწ.) ერთგული მხარდამჭერები ყოფილან. 1747 წელს, როდესაც ერეკლეს ვახტანგ VI-ის ძმისშვილი, გამაჟმადიანებული აბდულაბეგ იქსეს ძე აუჯანყდა. აბდულას თავისი ძმა პუსეინ-ბეგიც ემხრობოდა, თბილისში ომისთვის დაიწყო მზადება. მევე „ერეკლესთან იყვნენ ორბელიანნი სრულიად, სულხანს გარდა, ზურაბიშვილები, იარალიშვილები, სოლადაშვილები, გაბაანი და თურქისტანიშვილები. პაპუნა ორბელიანის თქმით, ამ ბრძოლაში დიდი „გამარჯვება მოუხდა მევეს“ (პაპუნა ორბელიანი, 1981: 136-137).

1755 წელს ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი დაღესტნელთა გაერთიანებული 20 ათასიანი ლაშქრით საქართველოს შემოესია და ყვარლის ციხეს ალყა შემოარტყა. ალყაში მოქცეულები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ ტყვია-წამალი და სურსათი შემოაკლდათ.

ერეკლე მეფემ ციხეში მაშველი რაზმის შეგზავნა გადაწყვიტა და მოხალისებს მოუწოდა. ვინც ამ საქმეს გააკეთებდა, პირდებოდა „თავადიშვილს თავის შესაფერის სახელოს, აგრეთვე აზნაურისშვილს და გლეხს კაცზე ოთხ თუმანს, ორ საკომლო მამულსა და სითარხეებს მივსცემთო“ (პაპუნა ორბელიანი, 1981: 137).

მოხალისებში სხვა თავადებთან ერთად სოლადაშვილი ტარიელიც გამოვიდა (პაპუნა ორბელიანი, 1981: 137; იოსელიანი, 1980: 105; სიძველენი, I, 1899: ). ჯარში 206 კაცი შეგროვდა: მათ შორის ცხრა თავადიშვილი, ორი აზნაური, ერთი ხუცესი და დანარჩენი გლეხი. მათ თავისი დავალება წარმატებით შეასრულეს, დამით გავიდნენ ქიზიყიდან, ყარაულებს თავს დაესხნენ და ციხეში საჭირო მარაგი შეიტანეს, რითაც მტრის ჯარში არეულობა გამოიწვიეს, ერეკლემ ციხე აიღო.

მეფემ სათანადოდ დაუფასა ყველას პირობისამებრ (პაპუნა ორბელიანი, 1981: 137).

ტარიელ სოლადაშვილი ერეკლეს კარზე მანამდეც ჩანს. 1753 წელს ზიარელი ზურაბიშვილის ყმა, აზნაური სვიმონი, ავად ყოფილა და თავის მაგიერად ჯარში სხვა გაუშვია თავისი ცხენით, რომელიც ცხენს აღარ უბრუნებდა. ერეკლემ ამ საქმის გარკვევა ტარიელ სოლადაშვილს მიანდო: „ტარიელა სოლადაშვილო!...“ ეს საქმე გაარიგე (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 32).

ერეკლე II-მ თავისი ეკონომიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეფორმებით, შეასუსტა სათავადოთა სისტემა, რამაც ჯერ შეამცირა მათი უფლებები, მდგომარეობა და გავლენა, შემდეგ კი გარდაუვალი გაუქმება დაემუქრათ. გამონაკლისი ვერც სასოლადაშვილო იქნებოდა.

სოლადაშვილების სათავადოს დაშლას, დამცრობას და მამულების დაკარგვას ყველაზე დიდად ხელი შეუწყო იმ მდგომარეობამ, რომელიც XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში იყო, კერძოდ, ახალი დაწინაურებული მეფის მოხელეების გამდიდრება, მათ შორის იყო მეფის მდივანი იესე ოსეს ძე.<sup>29</sup> სწორედ ის ყიდულობს სოლადანთ სოფლებს. ამის გამო იესესა და მის შვილებს და სოლადაშვილებს შორის ხშირად ხდებოდა ფიზიკური შეხლა-შემოხლა თუ სასამართლო პროცესები.

მათი დაპირისპირების ამსახველი სასამართლო ოქმები და განაჩენები მნიშვნელოვანი წყაროა, როგორც სოლადაშვილების სათავადოს დაშლის საკითხის შესასწავლად, ისე მთლიანად იმ ეპოქის სამართლებრივი თუ სოციალური ისტორიის სხვადასხვა კუთხის გასაცნობად. ყველაზე საინტერესო დოკუმენტია „გადაწყვეტილება ზაზა სოლადაშვილისა და იესე ოსეს ძის შვილებს შორის სასისხლო დავის შესახებ“.

1797 წელს „კათალიკოზ-პატრიარქის მოლარეთხუცესს, სოლადაშვილს ზაზას, მათის უმაღლესობა მეფისთვის არზა მიერთმია და იესე მსაჯულის შვილებისთვის ეჩივლა“.

ზაზა სოლადაშვილი სასამართლოში იესე ოსეს ძის შვილებს უჩიოდა და ამბობდა: „ასე უსამართლოდ მოპყრობისათვის, ჩემს სახლსა და ცოლს-შვილს ახლოს მოხდომისათვის, ჩემის სახლობის სისხლში შესვრისათვის და ელდით უგონო ქმნისათვის სამართალს ვითხოვო“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 32 (საბუთის დედანი

<sup>29</sup> იესე ოსეს ძე (1728-1786 წწ.), ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგი.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში. Hd 14638).

სასამართლომ ორივეს, მომჩივანისა და მოპასუხე მხარის, საჩივარი მოისმინა.

ზაზა სოლაფაშვილი სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში აცხადებდა: „ბორბალას ნახევარ-დღის მიწისა უთხარ ჩემს კაცს, მიდი, შენ გათიბე. სათიბავათ რომ მისულიყო და თიბვა დაეწყო, იქსე მსაჯულის კაცნი შეყრილიყვნენ, მიხდომოდნენ და ჩემი კაცი გამოეგდოთ. მოვიდა ეს გამოგდებული კაცი, შემომჩივლა. იმათს კაცებს დაუძახე. ჩემთან მოვიდნენ, უთხარ, რათ შფოთავთ, რა გაჩხუბებსთ, რად შეიყარენით ერთად, რად მიუხდით ჩემს კაცს, თიბვა გააშვებინეთ და გამოაგდევით. ჩემმა კაცებმა რომ შეიტყონ ეს ამბავი ერთმანეთს უქომაგონ, უფრო ავი საქმე მოხდება და სისხლი ჩამოვარდება შუაში. შფოთს ნუ აგდებთ, ჩვენი ჩვენ და თქვენი თქვენ, და ასე რიგიანად გავშველდით... ეს კაცნი თურმე ქალაქს ჩამოვიდნენ, იქსე მსაჯულის შვილებს შეატყობინეს, მაშინვე სამნივ ძმანი დაიარადებულიყვნენ, ზაზა, გიორგი და ივანე, შუალამისას ციხის კარის გასაღებათ ერთი აბაზი მიეცათ, კარი გაეღებინებინათ და ჩემს მოსახლომად და ამოსაწყვეტად წამოსულიყვნენ. პარასკევ დილა რომ გათენდა, ჩემს სახლის წინ, ჩემის კაცის სახლის ბაზედ ქერი მოვატანინე დასაბეგვავათ; ფარადათად დახრილი ვიყავ და ჩემის ჭელით ვაკეთებდი და ჩემი ცოლშვილიც იქავ, ჩემს სახლს წინ ფიცრის საყდარი მიდგას, იმის დერეფანს ქვეშ ისხდნენ და მიყურებდნენ. იმ დროს ზაზა დაჭიმულის თოვით მომიხდა და შემომაგინა. დახრილმა მაღლა ავიხედე და უთხარ: რას მემართლები, რად მაგინებ. ამის საპასუხოდ მეორედ კიდევ შემომაგინა და დაჭიმულის თოვით შემომიტია, თოვის ტუჩი ნეკნებში მკრა და ნეკნები ჩამიდრიკა...

მე და ზაზა (იქსეს ძე ა. ბ.) ერთმანეთს შევეჭიდენით. ზაზას ძმა გიორგი მოვიდა, სამჯერ, რაც შეეძლო ისე, გამეტებით თოვის ტუჩი გულის ფიცარში მკრა, მაშინვე უგონო ვიქმენ და დავნდი. ამასაც არ დამაჯერეს: მომებვივნენ სამნივ ძმანი, თავში, ცხვირსა და პირში მრავალი მცეს, თვალები ჩამისისხლიანდა, ცხვირის ძვალი დამეჩეჩა. გულის ფიცარი ჩამემტვრა და ფერდის ქარიც დამეძრა. ამ ყოფაში ჩემი ცოლშვილი ჩემის სახლიდამ ახლოს მიყურებდნენ. ცოლი ეხვეწებოდა: ქმარს ნუ მომიკლავთო. ხუთი თვის ორსულმა სიკვდილზედ მიწურვილი რომ მნახა, ელდა ეცა, დილიდან მოკიდებული სადამომდის უგონოთ იდვა. მრავალი წამლები მიაყარეს და ისე მოასულიერეს და ჯერაც ღმერთზედ ჰქიდია მისი მორჩენა და ასე ავად არის, იქნება მუცელიც წაუხდეს ...სიკვიდილის

პირამდის რომ მიმიყვანეს „წელი აიღეს და ასე დაიძახეს: მაგ შენის ცოლისთვის გვიპატიებია, თორემ შენთვის თავი უნდა მოგვეჭრაო. ცოტა ხანს უკან ამისი ძახილიც შექნეს: შენის ცოლის ლეჩაგი გეხუროს, თუ არ გამოხვიდეო“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 32-35).

**„იესე მსაჯულის შვილები ასე ჩიოდნენ:** თათრის მოედანზე ზაზა სოლადაშვილს და ჩვენ ლაპარაკი მოგვიხდა და დაგვექადა: თუ კაცნი ხართ, ბორბალას ამოხვალთ. ჩვენ უთხარით: ჩვენს ყმასა და მამულში რად ვერ ამოვალთ. ამგვარმა ლაპარაკებმა გაიარა და გაგვეშვალეს.

რამდენიმე დღეს უკან დაქადებული ბორბალას მივიდა. ჩვენი სამი კომლი მემკვიდრე კაცნი იქიდამ აგვიყარა და გამოლალა“. შემდგომ იესე ოსეს ძის ყმები ქალაქში ჩავიდნენ და თავისი შევიწროვების შესახებ ბატონს შესჩივლეს.

„რადგან ქვეითნი ვიყავით, სიცხის მიზეზით დამე დავიწყევით სიარული და წირვის დროს ბორბალას მივედით. ჩვენ რომ დაგვინახა, ზაზა სოლადაშვილი ახალუხით თავის სახლიდამ გამოვიდა და იქ მოვიდა, სადაც ქერს აბეგვინებდა. ჩვენ მივედით ჩვენის ყმის ლობესთან და იქიდამ დაუძახეთ: რას გვემართლებოდი, რომ სამი კომლი კაცნი გამოგვიყარე. ამის პასუხად ავის პირით შემოგვაგინა, ...ასე შემოგვახა: შე მეკურტნის შვილო, დაგახოქებ და თავს ისე გაგაგდებინებო. მასუკან ჩვენც ვაგინეთ და უთხარით: შენ მეფის ერეკლეს დროს თავს როგორ გაგვაგდებინებ. მოიწია ჩვენზედ და თავისმა მღვდელმა დაიჭირა; რომ ველარ შეიმაგრა, წამოუვიდა.

მე ჩემი თოვი ალაგზე დავდე. დასადებად დახრილი მანამ თავს ავიდებდი, თოხი-ხუთი მუშტი ბეჭებში და გვერდებში დამკრა, მეც წელი შეუბრუნე, ორჯერ მუშტი ცხვირსა და პირში დავპარ. ამ შემოკვრაზედ გამიშო, საცა ჩემი თოვი იდვა, მივიდა, აიღო და იდლიის ძირში გამომიმართა. ...ჩემმა ძმამ, გიორგიმ, ჩემზედ თოვი გამომართული რომ დაინახა, თოვის ტუჩი ჰქონა და მომაშორა. თბილელის კაცი მოვიდა და იმან გაგვაშველა.

ჩემი თოვი ზაზა სოლადაშვილს წელში ეჭირა, ჩემი კაცი გვერდს მიდგა, უთხარ: ხომ ნახე, ჩემის თოვით ეგ კაცი სიკვდილს მიპირებდა. მასუკან ის ცხენს შეჯდა, წამოვიდა. ჩვენც ქვეითები წამოვედით... (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 34-35).

ამას გარდა, ზაზა სოლადაშვილს წარსულს წელიწადებში ჩვენზედ ეს და-

ნაშაული აქვს: მსახური გაგვილახა და იმ გალახების მიზეზით მოკვდა, კიდევ გაგვილახა მოხუცებული მამასახლისი და თავი გაუტეხა; კიდევ გაგვილახა მამასახლისის სახლიკაცი, ნასყიდა; კიდევ გაგვილანძღვა დედა და უპატიურად გახადა; კიდევ გაგვილახა ამ გავლილს თებრევალში ძმა და იმის გალახულობით ოცი დღე იწვა“.

ორივე მხარის საჩივარის მოსმენის შემდეგ სასამართლომ „ამათის ჩხუბის საქმის გამოძიებაში“ იასაულად გაბაშვილი ტეტია და მოსამართლედ „სამსაჯულოს წევრი“, თურქისტანიშვილი ნინია, „კანონის მიცემით და დიდის სიფრთხილის დარიგებით და საშინელს ფიც ქვეშ შეგდებით“ ბორბალას გაგზავნეს.

ტეტია გაბაშვილმა და ნინია თურქისტანიშვილმა საქმის ვითარება აღგილზე შეისწავლეს და აღნიშნეს, რომ „სათიბი მიწა, რომელიც ახლა მიზეზ ქმნილა ჩხუბისა, ზაზა სოლალაშვილის მამას, იორამს, იქსე მსაჯულის შვილების ყმის ვარსიმაშვილებისათვის დაუნებებია. ამ მიწაში სოლალაშვილს თავისი კაცი სათიბათ გაუგზავნია და ვარსიმაშვილებს არ დაუნებებიათ. გამობრუნებული ის კაცი, ზაზა სოლალაშვილთან მისულა და შეუჩივლია. ზაზას ვარსიმაშვილები მოუყვანინებია და უთქვამს: ბატონს თქვენთან მიდით, ამოვიდეს და მამულები გავიყოთ, თქვენი წილი თქვენ და ჩვენი – ჩვენ; მუდამ ნუ შფოთავთო. მხოლოდ მშვიდობიანის სიტყვით ულაპარაკნია... ზაზა სოლალაშვილს არც აუყრია, არც გამოურებია, არც უგინებია და არც ავათ მოპეყრობია. მხოლოდ მშვიდობიანის სიტყვით ულაპარაკია.... იასაულთა ჩვენებით, იქსე მსაჯულის შვილები ზაზა და მისი ძმები ამ ამბავზედ ბორბალას მისულან და თავისი ყმის ბანზე მყოფი ზაზა სოლალაშვილი ცოლ-შვილის თვალწინ სასტიკად უცემიათ“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 35-36).

სამართლო მოსმენისა და საგამოძიებო საქმის წარმოების შემდეგ სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოიტანა:

„იქსე მსაჯულის შვილებთან ბორბალადამ რომ თავეთი კაცნი მოვიდნენ და შემოსჩივლეს, მაშინ ესენი საჩხუბრად არ უნდა წასულიყვნენ; თავეთი საჩივარი ან მეფისთვის უნდა მოეხსენებინათ და ან მართლმსაჯულთშეკრებილებასთან გამოეცხადებინათ. რადგანაც ეს რიგიანი და მართებული საქმე არა პქმნეს და წაგიდნენ, ბორბალას რომ მივიდნენ, სახლში უნდა დამდგარიყვნენ, იარაღი შემოეხსნათ, მოციქული მიეგზავნათ და ისე ლაპარაკი დაეწყოთ. იმავ მისვლაზე

არც სახლში დადგნენ, არც მინდორში დადგნენ, არც იარაღი შემოიხსნეს, არც მოციქული მიუგზავნეს... თავის ყმის ბანზე იარაღით შეჭურვილნი მიუხდნენ და ცოლ-შვილის თვალწინ გალახეს“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 37).

ზაზა სოლადაშვილის მიხდომისა და გალახვისთვის იესეს შვილები ვახტანგის სამართლის კოდექსის მიხედვით გაასამართლეს, სადაც, ცალკე თავი ეთმობა „მიჯდომას და დალატად დადგომას“. 51-ე მუხლში საუბარია „თუ სასახლესა და ცოლშვილში მიუკდეს კაცსა და დაესხას, რაც მოკლას და ან დაჭრას, ოროლი სისხლი მისცეს, რასაც გვარისა იყოს და წანაღებიცა“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 496). მაგრამ, რადგანაც შემთხვევის დროს ზაზა სოლადაშვილი თავისი ყმის ეზოში იმყოფებოდა („ზაზა სოლადაშვილი თავის ყმის სახლის ბანზე ფარადათად მდგარა“), საქმის ვითარება იცვლებოდა, ამიტომ დამნაშავეებს 51-ე მუხლი ადარ შეეხოთ.

იასაულისა და მსაჯულის კაცებს სოლადაშვილის სახლიდან მისი ყმის სახლამდე მანძილი გაუზომავთ და „ოცდათორმეტი ადლი<sup>30</sup> გამოსულიყო“. სასამართლომ 52-ე მუხლის თანახმად „მთელი სისხლის ნახევარი მიუსაჯა“. მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: „თუ ასეთს გლეხს დაესხას, რომე ახლოს იყოს მის ბატონის სასახლეზე, მის ბატონს ნახევარი სისხლი. და იმ გლეხისა რაც მოკუდეს და დაიჭრას, ორკეცი სისხლი და წანაღებიცა მისცეს. საქონლის წაღებაზე ფიცით შეიჯეროს. თუ გლეხის პატონი წამოუდგეს და მოკუდეს, მთელი სისხლი მისცეს; აგრევე ჭრილობისა“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 496).

ვახტანგის კოდექსი სისხლის ფასს სოციალური მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრავდა. ქონებრივი შესაძლებლობების მიხედვით ქართლის თავაღები სამ კატეგორიად იყოფოდნენ (დიდი, საშუალო და მცირე), ყველას განსხვავებული სისხლის ფასი ჰქონდა. განსხვავება იყო სათავადო სახლის უფროსის სისხლსა და მისი სახლიკაცის სისხლის ფასებს შორისაც, რადგან სახლიკაცი ერთი რაგით დაბლა მდგომი იყო. „ზაზა მესამე [ხარისხის] თავადად აღირაცხა“. ამიტომ „მესამე თავადის [მთელი] სისხლი – სამასოთხმოცდაოთხი თუმანი“ იყო (სამართლის ძეგლები, I, 1963: 489). იესე ოსეს ძის შვილებს ამისი ნახევრის, ასოთხმოცდათორმეტი თუმნის, გადახდა დაეკისრათ. ამასთან, ზაზა სოლადაშვილი

<sup>30</sup> ადლი დაახლოებით 101,15 სმ. უდრიდა (ქსე, 1975: 97).

იმავდროულად კათალიკოს ანტონ II-ის (1788-1811 წწ.) მოლარეთუხეუცესი იყო,<sup>31</sup> და 192 თუმანს „მოხელეობის პატივის სისხლი თოხმოცდათუქვსმეტი თუმანიც“ დაემატა (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 38).

გარდა ამისა, „თოფის პირით“ მიყენებული დაზიანებისთვის იქსე თხეს ძის შვილებს დამატებითი გადასახადი დაეკისრათ. ვახტანგის სამართლის, „სისხლის განაჩენის“, 49-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: ჭრილობა „ქერის მარცვლით გაზომონ, რამდენიც ქერის მარცვლის ზომა გამოვიდეს, მარცვალზე ერთი ძროხა გლეხისა არის, ძროხა ორ მინალთუნად ჩავარდების. მსახურის ქერის მარცვლის ჭრილობაზედ – ოთხი მინალთუნი, ცალმოგვს აზნაურზედ – რვა მინალთუმი, შუას აზნაურზედ – თექვსმეტი მინალთუნი, დიდს აზნაურშვილზედ – სამი თუმანი და ორი მინალთუნი, დაბალს თავადზედ – ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი, შუას თავადზედ – თორმეტი თუმანი და რვა მინალთუნი, დიდებულზედ – ოცდახუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი“ (სამართლის ძეგლები, I, 1963: 494).

მოსამართლეები აღნიშნავდნენ, რომ „წაყვლეფილი ადგილი გაუზომეთ. ათის ქერის მარცვლის ზომა გამოვიდა, რაღგან მახვილით არა ჰქონდა ჭრილობა, სამართლის წიგნის ძალით, მახვილით ჭრილობის ნახევარზედ ვიანგარიშეთ. მესამე თავადის ერთის ქერის მარცვლის ჭრილობის სისხლი ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი არის. ამისი ნახევარი გაუჩინეთ“. ამას ისევ დაემატა მოხელეობის 16 თუმანი, ორივე ერთად 48 თუმანი.

**საბოლოო ჯამში, სასამართლომ თხეს ძის შვილებს 336 თუმანი დააკისრა.** ეს განაჩენი კი იმ დროისთვის საკმაოდ დიდ გადასახადს წარმოადგენდა, მაგრამ მიუხედავად განჩენის სიმკაცრისა, საბუთის ბოლოს არის საინტერესო მინაწერები:

„ავის დროსა და შეუძლებლობის მიზეზით სამართალმა იპატივა მესამედი, რომ იქნება ასთორმეტი თუმანი. ამას რომ ზემო ჯამიდან გამოვიდეთ, დარჩება ძირს ორასოცდაოთხი თუმანი, რომ ეს ორასოცდაოთხი თუმანი იქსე მსაჯულის შვილებმა ზაზა სოლადაშვილს უნდა დაუურვონ და მისცენ ნახევარი ნაღდი და ნახევარი ჯინსი“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 38).

იქვე დამატებაა: „თუ ზაზა სოლადაშვილის ცოლს ამ ჩხუბის მიზეზით მუცელი წაუხდა, მუცლის წახდენისათვის, როგორც მეფის ვახტანგის სამართალი

<sup>31</sup> იხ. 1784 წ. 21. V. მოლარეთუხეუცესობის წყალობის წიგნი, მიცემული ანტონ ბატონიშვილის მიერ ზაზა სოლადაშვილისათვის (ხევ. Hd 2464)

უჩენს, მთელი სისხლი უნდა მისცენ იესე მსაჯულის შვილებმა“.

იესე ოსეს ძის შვილების გამამტყუნებელი განაჩენის მიუხედავად, სასამართლომ ზაზა სოლადაშვილსაც გარკვეული პასუხისმგებლობა დააკისრა, რადგან ეს განაჩენი მიწის გამო ატეხილი ჩხუბის გამო იყო გამოტანილი და თავის დროზე ზაზას მამამ, იორამ სოლადაშვილმა, ეს მიწა იესე ოსეს ძეს მიჰყიდა. ზაზას იმ მიწაში თივის მოსათიბად ხალხი არ უნდა გაეგზავნა და, შესაბამისად, ჩხუბის მიზეზიც არ გახდებოდა. ამიტომ იესე ოსეს ძის შვილებს ზაზასთვის ცხვირის დაზიანება და თვალების „ჩასისხლიანება“ აპატიეს (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 38).

იესე ოსეს ძის შვილები, თავის მხრივ, ზაზა სოლადაშვილის მიერ მათზე თოვის მომართვას, სამი კომლის აქრას და გამოყრას უჩიოდნენ. ასევე ჩიოდნენ მამასახლისისა და მისი „სახლიკაცის“ გალახვას, მათი დედის შეურაცყოფასა და მმის გალახვას. მაგრამ სასამართლომ ეს საჩივრები მტკიცებულებების არქონის გამო არ გაითვალისწინა. როდესაც სათანადო დოკუმეტაციას წარმოადგენენ, მაშინ განვიხილავთ, აღნიშნეს იასაულმა და მოსამართლემ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 38).

საბოლოო განაჩენით, „ზემორე გაჩენილი სისხლი უნდა დაუურვონ იესე მსაჯულის შვილებმა სოლადაშვილს ზაზას. „იასაულო ტეტიავ! ეს ასე აღასრულე ივლისის ი(10) ქბს უპე (1797 წ.)“.

შემდეგ მოდის ტრადიციული დამოწმებები, შვიდი ბეჭედი: 1. იოანე ორბელიანი; 2. ქაიხოსრო მსაჯული; 3. ზაალი; 4. ბეჭანი; 5. მდივანბეგი ვახუშტი ჯავახიშვილი; 6. მდივანი სულხან თუმანიშვილი; 7. მდივანბეგი დაგითი, თავში – ერეკლე მევისა და მევის ძის გიორგის, დამტკიცებები (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 38-39).

საბუთზევე მიწერილი ტექსტის მიხედვით, დარეჯან დედოფლის, ანტონ კათალიკოსისა და მირიან ბატონიშვილის ჩარევისა და შუამდგომლობის შედეგად მოდავე მხარებს შორის 1800 წელს შეთანხმება მომხდარა. სხვა დოკუმენტებში არ ჩანს, კონკრეტულად რა სახის გარიგებას პქონდა ადგილი მოდავეებს შორის. მაგრამ ფაქტია, რომ სოლადაშვილებმა იესე ოსეს ძის ძეებს დანაშაული აპატიეს და ზემოთ აღნიშნულ განაჩენსაც აბათილებენ.

„ქ. ჩვენ, სოლადაშვილები იესე, ზაზა, ნინია და იოსებ ამ განჩინებას ესრედ

ვაწერთ, რომ რაც ამ სამართლით თქვენ, მსაჯულის იქსეს შვილებს, ზაზას, გიორგისა და დავითს ჩვენი სისხლი დაგედვათ, ამ საქმეზედ მისი სიმაღლე დედოფალი დარეჯან, იმისი უწმინდესობა მეფის ძე, კათალიკოზი ანტონი, და მეფის ძე მირიან შუა შემოიყვანეთ და ჩვენ ამ უმაღლესთ მორჩილებისა და პატივისცემისათვის და **თქვენსა და ჩვენს შორის ნათესაობისათვის**,<sup>32</sup> რაც ამ განჩინებაზედ სამდივანბეგო გაგვსლოდა და ან აგანტყოფობაზედ და სხუა ხარჯი მოგვსლოდა, ის გამოგართვით; და სხვა გაპატიეთ და ჭელი ავიღევით, რომ ამ სისხლის საქმეზედ დღეს და დღეის იქით არც ჩვენ და არც ჩვენს შთამომავალთ არც თქვენთან და არც თქვენს შთამომავალთან სადაო და სალაპარაკო აღარა გვაქვს რა“.

„თქვენთან სადაო კი აღარა გვაქვს რა და დღეის იქით, ეს განაჩენი ბათილი არის.“ აღნიშნულს ამოწმებს ბეგთაბეგ მდივანბეგი „მე, მდივანბეგმა ბეგთაბეგმა სოლადაშვილების სიტყვითა და ყაბულობით მოვაწერე ეს გარდაწყვეტილობა და მოწამეცა ვარ. აღიწერა იანვრის ა (1) ქას ჟა (1800 წ.)“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 40).

მიუხედავად ამ შეთანხმებისა, მათი ურთიერთობა გამოსწორებული რომ არ იყო, მალევე გამოჩნდა კიდეც. თუმცა მანამდე ზაზა სოლადაშვილმა იორამის მიერ იქსე თხეს ძისთვის მიყიდული ერთი ყმა დაიბრუნა. ლეკების მიერ გატაცებული სოლადაანთ ყმა, თათულა მურადაშვილი, 1791 წელს სასოლადაშვილო სოფელ ტაგნაგეთში დაბრუნდა და სოლადაშვილ ზაზას, მის ძმებსა და სახლიკაცებს ყმობა სოხოვა („ჩემი თავი შენ მოგეც და შენი ჭელი დავდე, რაც ჩემგან შეიძლებოდეს ბატონყმურათ გემსახურო“).<sup>33</sup>

<sup>32</sup> ნათესაობის შესახებ – როდესაც მანუჩარ სოლადაშვილი იქსე თხეს ძეს თავისი მამულის ყიდვას ეხვეწებოდა, ეუბნებოდა, რომ „დმტრთმა ხომ იცის, მე გაუსყიდავი არ დავდგები, უნდა გავყიდოთ, სხვა იდაჯი რომ არა მაქვს, მაშ რასა ვიქო და ახეთი ვინმე რომ ჩავუზიარო შენს ქვისლასა, რომ შენც გწყველიდეს და მეცა, რაში გიჯობსო“ (იქსე ბარათაშვილი, 1950: 39): სავარაუდოდ, იქსე თხეს ძე და მანუჩარ სოლადაშვილის შვილი, ანუ ზაზა სოლადაშვილის ბიძაშვილი, ქვისლები იყვნენ.

<sup>33</sup> თუმცა „მანუჩარ[მა], აღნიშნავს თათულა მურადაშვილი, თხეს შვილს იქსეს მიმყიდა და იმას ვემსახურებოდი ბატონყმურადა... მაგრამ მერე ვაკენის არეულობისა და ლეკოთაგან აოხრებისაგან დავიკარგე და ტყვედ მივეცი ლეკოთა და რაოდენიმე ხანი დაღისტანში ტყვედ ვიმყოფებოდი. მასუბან ყიზლარს გამყიდეს და ყიზლარს ვიყავი. ზოგი ჩემი გარჯითა და მუშაობითა, ზოგი ქვეყნის მოწელებითა ჩემი თავი ტყვეობიდან გამოვისხენ“. თათულამ კარგად იცოდა, რომ ტყვეობიდან უკან დაბრუნებული ყმა თავისუფალი იყო და ამიტომაც ასე ამობს – „მისის სიმაღლის მეფის ბრძანებაც ასე იყო და წიგნიც არის დადებული რომ, რომელიც საქართველოს მიწის კაცი ტყვეობიდამ მოვა, იმ კაცთან თავის ბატონს კელი აღარა აქვს და ვერცარას ედავება, თავისუფალი არის, ვისიც ტყვეობიდამ მოსულის კაცის ხება არის მასთან მივა და იმას ექმობა... ამიტომ ...ჩემი თავი შენ მოგეც და შენი ჭელი დავდე, რაც ჩემგან შეიძლებოდეს ბატონყმურათ გემსახურო“. მურადაშვილმა იქსე თხეს ძეს ისევ ზაზა სოლადაშვილის ყმობა არჩია (ხეც. Hd 14285).

1801 წელს სადავო ყმების გამო სოლადაშვილებმა სასამართლოს არზით მიმართეს. ზაზა სოლადაშვილი მამამისის, იორამის, და ბიძამისის, მანუჩარის, მიერ იქსესთვის მიყიდულ სხვა ყმებთან დაკავშირებით დაობდა. ზაზა ჩიოდა: ვარსიმაშვილი ნასყიდა, ირემაშვილი დავითა და ვარსიმაშვილი გულიას შვილი ნინია ჩემი საწილო ყმები არიანო. ამჯერად სამართლი იქსე თსეს ძის შვილების მხარეზე იყო. იქსე მსაჯულის შვილმა, ზაზამ, ნასყიდობის წიგნი მოიტანა, რომლის მიხედვით ზაზას მამას, იორამს, და ბიძას, მანუჩარს, თავის დროზე ეს ყმები გაუყიდიათ. ზაზა იქსეს ძე ეუბნებოდა ზაზა სოლადაშვილს, რომ „მასუკან მამაშენმა შვიდი-რვა წელიწადი კიდევ იცოცხლა, რატომ ის არ გვედავა?“. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბორბალოელი ყმები იქსე მსაჯულის შვილს, ზაზას, დარჩა (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 289-292). სწორედ ეს სადავო ყმები იყვნენ 1797 წელს ქალაქში რომ ჩავიდნენ ბარათაშვილებთან, ზაზა სოლადაშვილმა გამოგვიარაო.

თუ თვალს გავადევნებთ, დაპირისპირების მიზეზები ბევრად უფრო ადრე იწყება. თავის დროზე ზაზას მამამ, იორამმა, და ბიძამ, მანუჩარმა, იქსე თსეს ძეს მამულები მიჰყიდეს, მაგრამ როგორც იქსე თსეს ძე თავის ანდერძში აღნიშნავს, სულაც არ აპირებდა მათი მამულების ყიდვას და რადგან ძალიან „შემოეხვეწნენ“, იძულებული გახდა, ეყიდა სოლადაანთ სამკვიდრო მამულები, რისთვისაც, სხვათა შორის, როგორც თვითონვე ამბობს, სარგებლით დასაბრუნებელი ვალი აუღია.

1763 წელს ერეკლე მეფე ტაბახმელაში ყოფილა, თავისი მდივანბეგი იქსე თსეს ძეც თან ახლდა. როგორც იქსე იხსენებს, „მანუჩარ სოლადასშვილი ამოვიდა, დიდი საქმის გაჭირვება მიამბო. ელიზბარის<sup>34</sup> წილი ტაგნაგეთი იყიდეო“, მანამადე მანუჩარს იქსესთვის მონასტრისა და ასურეთის მამულები უკვე მიყიდული პქონდა.

მანუჩარ სოლადაშვილი იქსე თსეს ძეს ეხვეწებოდა: „შინდისი და ტაბაჭმელა, რაც ჩემი წილი არის ჩემის საუფროსოთი, ესენი იყიდეო და მამის ჩემის ნასყიდობითაო, რომ ბიძის ჩემის ელიზბარისგან გვიყიდიაო და კიდევ განაყოფებისგან ჩვენის მამა პაპათ სამკვიდრო მამული ესენი არისო“ (იქსე ბარათაშვილი, 1950: 39). იქსემ, როგორც თვითონ ამბობს, დიდი შრომით, „ზოგი ვალით და ზოგი ნალით“ ეს მამულები შეისყიდა (იქსე ბარათაშვილი, 1950: 39-41). იქსე თსეს ძეს „შინდისი

<sup>34</sup> ელიზბარი მანუჩარ სოლადაშვილის ბიძა იყო.

და ტაბახმელა, რაც თავისი წილი იყო თავის საუფროსოთი, ბიძისგან, ელიზბარ სოლადაშვილისგან, მამამისის მიერ შეძენილი მამული და სახლიკაცის იორამის გვერდით“ მიჰყიდა (იქსე ბარათაშვილი, 1950: 39).

იქსე ოსეს ძეს, როგორც თვითონვე აღწერს, მალევე, 1764 წელს მეფე ერეკლემ „წყალობა მიყო, რაყამი მიბომა მტკიცე და კარგი, რომელთაც რომ საქართველოში დავემპავიდრე და ჩემის შვილების ვალი მოვხსენ, რომ სიტყვა აქვთ რა ჩემთან, დმერთს ვმადლობ ჭეშმარიტად და მეფეს ერეკლეს ამ წიგნის ბოძებისათვის და მისი ბძანება და რაყამი ასეა ბძანებული და აღმოჩენილი“ (იქსე ბარათაშვილი, 1950: 42).

ამის შემდეგ იქსემ დამცრობის გზაზე მდგარი სოლადაშვილების სათავადოს სხვა მამულები და ყმებიც შეიძინა და 1783 წელს მეფეს თხოვნით მიმართა, რომ ეს შეძენილი მამულები ერთიანად დაემტკიცებინა, რათა მომავალში მის შვილებს არავინ მოდაგებოდა. იქსემ სხვა სოფლებთან ერთად ადრე სოლადაშვილებისგან ნაყიდი სოფლები, ასურეთის ნახევარი, საღორისის ნახევარი, შინდისის ნახევარი, ტაბახმელის<sup>35</sup> მეოთხედი დაიმტკიცა. ამასთან ერთად სოლადაშვილების მიერ დაგირავებული სხვა სოფლების დამტკიცებაც ითხოვა. მეფემ მისი თხოვნა დააკმაყოფილა, ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ეს სოფლები, „იქსესა და ამის შვილებისათვის გვიბოძებიაო“ (ქართული სამართლის ძეგლები, VII, 1981: 582).

ამ, ერთი შეხედვით, მემამულეთა რიგითი სასამართლოს უკან სოციალური დაპირისპირების თავისებური ფორმა იმაღლება. საქმე ის გახლავთ, რომ განსხვავებით სოლადაშვილებისგან, იქსე ოსეს ძე მეფის სამსახურში დაწინაურებული ფეოდალია, მისი მამა – დეკანოზი ოსე მიქაძე – სიონის ეკლესიის მდგდელი იყო. იქსე 1750 წლიდან თეიმურაზ II-ის (1744-1762 წწ.) მეუღლის, ანახანუმის, მდივანი გახდა, შემდეგ – მოლარეთუხეუცესი. 1758 წელს თანამდებობიდან გადააყენეს და კალიგრაფ-მდივნად დატოვეს. 1762 წელს ერეკლე II-მ სამეფო მდივნის თანამდებობა უბოძა, ხოლო 1764 წლის 25 ივნისს – თავადობა და ბარათაშვილის გვარი (იქსე ბარათაშვილი, 1950: 42). შემდეგ იქსე ოსეს ძეს ერეკლეს მოღალატე თავადებთან კავშირი დასწამეს და 1776 წელს მდივნობიდან გადააყენეს. წაართვეს თავადობა, მამულები, ყმები და ტფილების ყმად აქციეს. 1777 წელს

<sup>35</sup> ტექსტში „დაბახმელა“.

დარეჯან დედოფლის მხარდაჭერით ისევ მდივანბეგად დანიშნეს. 1786 წელს ახალციხეში მიმავალი იქსე თსეს ძე გზაში ლეკებმა მოკლეს. იქსე თსეს ძე მეფის სამსახურში დაწინაურებული მემამულის ტიპური წარმომადგენელია, ამიტომაც მისთვის მთავარი დასაყრდენი მეფის ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლებაა (მჭედლიძე...).

სოლადაშვილების სათავადო ამ პერიოდში კრიზისს განიცდიდა, სათავადოს სხვადასხვა წარმომადგენლები ყიდიან და აგირავებენ მამულებს. ყიდულობენ ბარათაშვილ-ორბელიანები და უმეტესს კი სწორედ იქსე თსეს ძე, რომელიც უკვე ბარათაშვილიც გახდა. ფულთან ერთად მას უკვე შესაბამისი მდგომარეობაც ჰქონდა, რაც დამატებით უფლებას აძლევდა, რომ, როგორც ქვემო ქართლის მთავარი საგვარეულოს – ბარათაშვილების – წარმომადგენელს, სამკვიდროდ შეეძინა ქვემო ქართლში მამულები. იქსე თსეს ძემ მამულების ძირითადი ნაწილი სწორედ სასოლადაშვილოს ხარჯზე შეაგროვა.

ზაზა სოლადაშვილი კი მამის – იორამის – გარდაცვალების შემდეგ შეეცადა სოლადაშვილებისთვის დაებრუნებინა ძველი, პრივილეგირებული, მდგომარეობა და მნიშვნელოვან მამულებსა და ყმებს მოუყარა თავი, ბევრი შეიძინა, ზოგი სასამართლოთი დაიბრუნა, ააშენა ბორბალოში კოშკი და სასახლე,<sup>36</sup> ფლობდა კათალიკოსის მოლარეთუხეცესის სახელოს. ბუნებრივია, ექნებოდა პრეტენზია თავისი გვარისთვის „ავის დროის“ მიზეზით დაკარგული მდგომარეობის დაბრუნებაზე. პირველ რიგში, ვერ ურიგდება შედარებით დაბალი სოციალური წარმოშობის, მეფის სამსახურში ახლად დაწინაურებული იქსეს შვილების – „თავადი ბარათაშვილების“ – მათ მამულებზე უფლების მოპოვებას. ამის გამოა, რომ ჩხუბის დროს ზაზა სოლადაშვილმა „მექურტნის შვილები“ უწოდა იქსე მსაჯულის შვილებს („მექურტნის შვილო დაგამოქვებ და თავს ისე გაგაგდებინებო“), თითქოს ამით ხაზს უსვამს თავის უპირატესობას და კიდევ ერთხელ შეახსენებს და წამოაძახებს მათ წარმომავლობას.

მაგრამ იქსე თსეს ძე მეფის სამსახურში დაწინაურებული მემამულეა. რომლისთვისაც ძლიერი მეფის ხელისუფლება მნიშვნელოვანი და მთავარი დასაყრდენია. მისი შვილები დარწმუნებულნი არიან, ძველი თავადური წარ-

<sup>36</sup> ზაზა სოლადაშვილის შეძენილი ქონების შესახებ ვრცლად იხ. სოლადაშვილების 1801 წლის გაფრის განხინება (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 312).

მომავლობის ზაზა სოლალაშვილი ვერაფერს დააკლებს და სამართალს იპოვიან. „შენ მეფის ერეკლეს დროს თავს როგორ გაგვაგდებინებ“. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფის იმედი აქვთ და ხაზს უსვამენ, რომ უკვე ვედარ დაჩაგრავს სოციალური წარმომავლობით ერთ დროს მაღლა მდგომი თავადი ახლად შექმნილ ფეოდალებს. „ერეკლეს დრო“ ამ კონტექსტში უკვე სხვა დროს აღნიშნავს, რომელიც ტრადიციულ, დაწინაურებული საგვარეულოების გარდა, სხვებსაც აძლევს შანსს, მოიპოვოს მდგომარეობა.

იესე ოსეს ძესა და სოლალაშვილებს შორის გაჩენილი უთანხმოება საინტერესო მაგალითია XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიისა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ძველი სათავადო სამემკვიდრეო მფლობელობა თანდათან ირღვევა, ხოლო მათი მამულები სხვა, თუნდაც დაბალი სოციალური წარმომავლობის, ადამიანების ხელში გადადის, ამას ყველაფერს კანონმდებლობა ხელს არ უშლის და მევეც ამტკიცებს.

სოლალაშვილების მამულების დიდი ნაწილი, პირველ რიგში „ქალაქის პირის სოფლები“, ორბელიანების ხელში გადავიდა. 1793-1795 წლების ყაფლანიშვილ-ორბელიანების საბუთში ჩანს, რომ ორბელიანებს XVIII საუკუნის I ნახევარში სოლალაანთ მამულები, გუდელისის ნახევარი და ტაბახმელის მეოთხედი „ოსმალობის“ დროს შეუძენიათ (სიძველენი, II, 1909: 536).

1781 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებიდან კარგად ჩანს, რომ სოლალაანთ სამკვიდრო სოფლები (ტაბახმელა, შინდისი, გუდელისი...), დავით სარდლისა და სხვა ორბელიანების ხელში გადასულა (ჯავახიშვილი, 1967: 165-166). XIX საუკუნის I ნახევარში გრიგოლ ორბელიანი (1804-1883 წწ.), თავის წერილებში, აქაურობას უკვე თავის „მამა პაპის ეიალადს“ ეძახდა (ორბელიანი, 1937: 241).

მათ გარდა, სოლალაშვილების მამულები სხვადასხვა ფეოდალური თუ ახლად დაწინაურებული მოხელეების ხელში გადადიოდა. მათგან ერთ-ერთი არიან ყორლანაშვილებიც. 1796 წელს იოსებ ყორლანაშვილმა დაკარგული საბუთების აღდგენისთვის ერეკლე II-ს არზით მიმართა. მას ის საბუთიც დაუკარგავს, რომლის მიხედვითაც თავის დროზე იოსების მამას, ავთანდილ სოლალაშვილისგან ვერის ხევში სოფელი დრე, მთით, ბარით, გლეხით და სასახლით შეუძენია. ასევე კუმისში ყაფარბეგ სოლალაშვილისგან შეუძენია მამული (სამართლის ბეგლები, VIII, 1985: 390).

XVIII ს. ბოლოს სოლადაშვილების სამფლობელოები რამდენიმე ნაწილად იყო დაშლილი. იქსე, ზაზა, იოანე და იოსებ სოლადაშვილები ძმობაში ვეღარ მორიგებულან და 1801 წელს გაიყარნენ. გაყრის შუამავლები დავით აბაშიშვილი, ომან ხერხეულიძე და იოანე თუქისტანიშვილი იყვნენ. რადგან ყველაზე მეტი ნასყიდობა ზაზას ჰქონია და საბუთებზე ძმების სახელებიც დაეწერა, ამიტომ, იგი მედიატორებისგან ითხოვდა, რომ თავისი „ნაშოვნი“ მამული მისთვის დაემტკიცებინათ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 312-314).

ამრიგად XV-XVI საუკუნეებში ჩამოყალიბებული სოლადაშვილების სათავადო, XVIII საუკუნეში საბოლოოდ იშლება, და წვრილ წვრილ მემამულეთა, მათ შორის სოლადაშვილების სხვადასხვა შტოს, და სხვა საგვარეულოების ხელში ნაწილდება, ამ დროს სასოლადაშვილო, ფაქტობრივად, სათავადოს უკვე აღარც წარმოადგენდა. სოლადაშვილებს – მცირე თავადებს კიდევ უფრო შემცირებული მამულები ჰქონდათ, არც სამეფო კარზე ეკავათ სამოხელეო თანამდებობები.

### § 3. სოლადაშვილების სამფლობელოები („სასოლადაშვილო“)

სოლადაშვილების სათავადო XV საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ბოლომდე, ანუ იმ დრომდე, სანამ სათავადოთა სისტემა საბოლოოდ მოისპობოდა, მუდმივ ტერიტორიულ ცვლილებებს განიცდიდა ისევე, როგორც სხვა სათავადოები. ეს ცვლილებები სხვადასხვა მიზეზებით იყო გამოწვეული, უმეტესად ყიდვა გაყიდვის გამო; იყო მზითვად გატანების ან მიღების შემთხვევები; ასევე ძალით ჩამორთმევა, თუ მეფე გაუწყრებოდა; კიდევ დამპყრობელთან გართულებული ურთიერთობის გამო ისჯებოდნენ და სხვ.

სოლადაშვილების სათავადო – სასოლადაშვილო – ძირითადად ქვემო ქართლში ლოკალიზდება.

შეა საუკუნეებში ქვემო ქართლი რამდენიმე მხარისგან შედგებოდა (ვერე, ქალაქის პირი, ალგეთი, მტკვრის გადმა მხარე, ქცია, თრიალეთი, ზურტაკეტი, დმანისის ხევი, სომხითი). სასოლადაშვილო მამულები ძირითადად ალგეთში, ვერეს ხევში, ქალაქის პირის სოფლებში და სომხითში იყო. სოლადაშვილებს მცირე სათავადოს სათავადოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე მამულები შიდა ქართლშიც ჰქონდათ (კავთისხევი), ასევე ყმები ჰყავდათ და მამულები ჰქონდათ თბილისშიც. სათავადოს მთავარი ციხეები კოჯრის და ჭაპალას ციხეები იყო, მოგვიანებით ციხე ააშენეს ბორბალოშიც; სასახლეები გუდელისში და ტაგნაგეთში; მათი საგვარეულო საძვალე კი კაბენის მონასტერი იყო.

სოლადაშვილების მფლობელობის შესახებ ყველაზე სრული სურათი წარმოდგენილია 1721 წლის აღწერაში, რომელიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილმა და გივი თუმანიშვილმა ჩაატარეს. აღწერა მოიცავს იმ მოწინავე სადროშოს, ანუ იმდროინდელი ქვემო ქართლის ყველა დასახლებულ პუნქტს. 1721 წლის აღწერის მიხედვით, სოლადაშვილებისგან მებატონებად ჩანან იქსე, ზურაბი, გიორგი, ასლამაზი, შიოში, ყაფარი, ავთანდილი და იოთამი (აღწერა..., 1907: 140-149, 156). მათგან ყველაზე დიდი მფლობელი იქსე სოლადაშვილი ჩანს. მას 68 კომლი გლეხი და ოცდაოთხი ბოგანო ჰყავდა (სოფლებში: ღოუბანი, ასურეთი, ტაგნაგეთი, მონასტერი, კუმისი და ჭაპალა)<sup>37</sup> და

<sup>37</sup> ბოგანოებთან, იქვე აკად. ექვთიმე თაყაიშვილის შენიშვნაა: „ბოგანო ოცდაორი გამოდის“ (იხ აღწერა..., 1907: 140-143).

შვიდი აზნაური: ღოუბანში – ქრისტესიაშვილი ბეჟან, აზნაურშვილი იესე მღვდელი; ტაგნაგეთში – ტურიაშვილი ასლამაზა, ტურიაშვილი ბეჟან; კუმისში – დათუნაშვილი ბეჟან, იარალაშვილი გიორგი, ამილრბოქაშვილი სულხან (აღწერა..., 1907: 140-143).

ქაიხოსრო სოლადაშვილს ყმები ჰყავდა ღოუბანში, ასურეთში, ტაგნაგეთში, მონასტერში, ჭაპალაში, ვეძისში – სულ 56 კომლი, თექვსმეტი ბოგანო და ექვსი აზნაური: ღოუბანში – ქრისტესიაშვილი გივი; ტაგნაგეთში – ავთანდილი; ვეძისში – ზავრადა, ხარშილაძე ბეჟან, არდუთაშვილი ბერუა, მანუჩარა (აღწერა..., 1907: 143-146).

ზურაბ სოლადაშვილს ყმები ჰყავდა ტაბახმელაში, გუდელისში, საღორისში, კუმისში – სულ 17 კომლი და ორი ბოგანო (აღწერა..., 1907: 146-147).

გიორგი სოლადაშვილს ყმები ჰყავდა ტაბახმელაში, გუდელისში, საღორისში, მამისდაბაში, კუმისში – სულ 11 კომლი და ერთი ბოგანო (აღწერა..., 1907: 147).

ასლამაზ სოლადაშვილს ყმები ჰყავდა შინდისში, ტაბახმელაში, საღორისში, კუმისში – სულ 13 კომლი, ოთხი ბოგანო და ორი აზნაური კუმისში – დიგანაშვილი ბექუა და დიგანაშვილი ფასუა (აღწერა..., 1907: 147-148).

შიომ სოლადაშვილს ყმები ჰყავდა შინდისში, ტაბახმელაში, საღორისში, კუმისში – სულ 10 კომლი და ერთი ბოგანო (თუმცა იქვე აკად. ექ. თაყაიშვილის შენიშვნაა, რომ „კომლი გამოდის ცხრა, ხოლო ბოგანო სრულებით არ არის ნაჩვენები“) (აღწერა..., 1907: 148-149).

ყაფარ სოლადაშვილს ყმები ჰყავდა დრეში და კუმისში – სულ 6 კომლი (აღწერა..., 1907: 149).

ავთანდილ სოლადაშვილს ყმები ჰყავდა ტაბახმელაში, დრეში, კუმისში – სულ 9 ყმა და ერთი ბოგანო (აღწერა..., 1907: 149).

იოთამ სოლადაშვილს ყმები ჰყავდა ღოუბანში – სულ ერთი კომლი და სამი ბოგანო (აღწერა..., 1907: 156).

საერთო ჯამში, 1721 წელს სოლადაშვილები 13 სოფელში (ასურეთი, გუდელისი, დრე, ვეძისი, კუმისი, მამისდაბა, მონასტერი, საღორისი, ტაბახმელა, ტაგნაგეთი, ღოუბანი, შინდისი, ჭაპალა) (აღწერა..., 1907: 140-149, 156) 191 კომლი გლეხის და 55 ბოგანოს პატრონები იყვნენ. ამის გარდა, მათ ჰყავდათ აზნაურებიც (ქრისტესიაშვილი, ტურიაშვილი, დათუნაშვილი, იარალაშვილი, ამილრბოქაშვილი,

ხარშილაძე, არლუთაშვილი, დივანიშვილი...) (აღწერა..., 1907: 140-149, 156).

დროთა განმავლობაში სოლადაშვილების სამფლობელო სოფლები იცვლებოდა. „ავის დროის მიზეზით“ ჰყიდიდნენ, ზოგს ტოვებდნენ, ზოგს ახალს იძენდნენ, ხან მეფეებიც უბოძებდნენ ახალ სოფლებს. სხვადასხვა დროს მათ ყმები სხვა სოფლებშიც ჰყავდათ: ვერის ხევში – შავნი; სომხითში – ტალავერი; ალგეთში – ბორბალა, სყალტუთანი, მასრუტი; ზურტაპეტში – ურცევანი, ძველი გომარეთი, საქუდვ; კახეთში – ყანდიაური, პატარძეული (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 314); შიდა ქართლში – კავთისხევი; ყმები ჰყავდათ და მამულები ჰქონდათ თბილისშიც.

სოლადაშვილებს მამულები ჰქონიათ ბაიდარში, ანუ მდინარე მტკვარსა და ქციას შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, ამ ადგილს ხშირად „წყალთაშუასაც“ ეძახიან. „წყალთაშუა“ ადგილები ძირითადად თათარი ელებით იყო დასახლებული. ქართლ-კახეთში სხვა სახელოების გარდა, ბაიდარის ელების მოურავის სახელო მემკვიდრეობით კახეთის თავად ანდრონიკაშვილებს ეკავათ (ტუხაშვილი, 1975: 449). ამიტომ XVIII საუკუნეში სოლადაშვილებს და ანდრონიკაშვილებს შორის სასაზღვრო დავა მომხდარა.

1738 წელს თეიმურაზ II-ის მეუღლემ – თამარ დედოფალმა სპეციალური ბრძანება გამოსცა ანდრონიკაშვილისა და სოლადაშვილის მამულის საქმეზე. დაადგინა: „ნახევარი დავით ენდრონიკაშვილს დავანებეთ, ნახევარი სოლადაშვილს... და ერთმანეთთან კელი აღარა აქუთ თათარ წყალში“ (სამართლის ძეგლები, IV, 1972: 345).

მოგვიანებით, 1800 წელს, სოლადაშვილების მიერ მეფისთვის მიცემული მამულის არზაში, „წყალთაშუა“ მამულის დაზუსტებული საზღვრებია მოცემული. „სოლადანლუხიდამ რომ დიდი არხი არის აღებული და კიდევ პატარა არხი, მტკვრის პირზედ მოხვეული ჭალა, საყაზახოს გზის ქვემოთ, მტკვრის პირამდინ, თავის საწყლისპიროთი“.

კახეთში გადასული იქსე და იოსებ სოლადაშვილები 1800 წელს გიორგი XII-ს სთხოვენ, რომ მათი მტკვრის პირის მამულების მფლობელობა დაუბრუნოს მეფემ. სოლადაშვილები გიორგის ასე მიმართავენ: „მოგეხსენებათ მამის ჩვენის კახეთს გადავარდნა და ჩვენის ქვეყნის აოხრება ავის დროის მიზეზით“.<sup>38</sup> – გიორგი XII-მ მათ არზას დადებითად უპასუხა: „ჩვენც ასე ვიცით, რომ ის ადგილები ძველთაგან-

<sup>38</sup> აქ „ავ დროში“ ან ადა მაპმად ხანის შემოსევა იგულისხმება, ან უფრო საგარაუდებელია იმ დროს მეტად გახშირებული „ლეკიანობა“.

ეს ოქვენი სამკვიდრო ყოფილა. ახლა ჩვენც თქუენთვის გვიბოძებია“ იქ მცხოვრებ ელებს თავის ბატონები ჰყავთ, მაგრამ თუ რომელიმე თქვენს მამულში იდგეს, და-ლა თქვენ მოგცენ (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 677).

სოლადაშვილების მთავარი ციხეები იყო კოჭრის და ჭაპალას ციხეები

### ჭაპალა

ჭაპალას ციხე-სიმაგრე ქვემო ქართლის შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობაა, იგი მდებარეობს ბოლნისთან ახლოს, მდინარეების, მაშავერასა და ფოლადაურის, შესართავთან. მდ. მაშავერას მარჯვენა სანაპიროზე, მდინარის დონიდან ციხის უკელაზე მაღალი წერტილი დაახლოებით 150 მეტრზეა აზიდული.

ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, რომ „არს მანსრუტის ჭევი და ამის დასავლით ტალავერის ჭევი, ამ ჭევის ბოლოს ჭაპალა და ციხე მისი“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 310). როგორც პროფ. ჯუმბერ კოპალიანი აღნიშნავს, „ჭაპალას ციხეს ძალზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, საიდანაც კარგად კონტროლირდება ოთხივე მიმართულებით ვრცელი ტერიტორია. აქ გადიოდა აღმოსავლეთიდან დმანისისაკენ მიმავალი მთავარი ისტორიული, საგაჭრო-საქარავნო გზა, იგი კეტავდა ბოლნისისაკენ მიმავალ მთავარ გზას“ (კოპალიანი, 2002: 133). ციხე აშენებული უნდა იყოს განვითარებული შუა საუკუნეების დროს და ფუნქციონირებდა XVIII საუკუნის ბოლომდე (კოპალიანი, 2002: 134).

ჭაპალას ციხე-სიმაგრე აქტიურად მოიხსენიება XVII საუკუნის საბუთებში, ამ დროს ჭაპალა სოლადაშვილებს ეგუთვნით (სიძველენი, I, 1899: 423-424, 510). 1664 წელს ვახტანგ V შავნავაზი ელიზბარ სოლადაშვილისადმი მიცემულ წყალობის სიგელში აღნიშნავს, რომ „ოდეს მოგუიდექით კარსა და თქუენსა სამკვიდროს მამულის ჭაპალას წყალობას დაგუიაჯენით, მოკითხული ვქენით და თქუენი მამაპაპათ ძველთაგან სამკუიდრო ყოფილა... გქონდეს, და ყოვლისა კაცისგან მოუშლელი ყოფილიყოს“ (ხევ. Sd 752, პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183).

საბუთიდან კარგად ჩანს, რომ ჭაპალა თავიდანვე სოლადაშვილების სამკვიდრო ყოფილა, რადგან საბუთში განახლებაზეა საუბარი.

წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ, ციხეს ჭაპალა მხოლოდ XVII საუ-

კუნიდან ერქვა, მისი მანამდელი სახელი უცნობია. ოუმცა 1664 წლისავე ერთ-ერთ საბუთში მოიხსენიება, როგორც ჯაპალა (ქართულ-სპარსული..., 1955: 469).

1749 წელს ჭაპალა და მისი მიდამოები ზაზა სოლადაშვილმა დიმიტრი ორბელიანს მიჰყიდა. „...მოგყიდვე ჩემი სამკვიდრო და მამაპაპათაგან დაგდებული, ბარათში გამოყოლილი მამული ჭაპალა... მომიყიდია თავის სამართლიანის სამძღვრითა, ზეით ხატის სოფლისა და ბოლნისის სამძღვრამდე, ბოლოს აღაბაბალუს სამძღვრამდე, გვერდით მაშავერის სამძღვრამდე, მეორე გვერდი გორისძირამდე და ყოვლითურთ თავის სამართლიანის სამძღვრითა, ჭალითა, მთითა, ბარითა და ციხითა“ (სცსა. 1450, 28/24; 1448, 2230).

პროფ. დევი ბერძენიშვილმა მიმოიხილა ჭაპალას შესახებ არსებული ქართული და სომხურენოვანი წყაროები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჭაპალა უნდა იყოს შეა საუკუნეებში ქართულ წყაროებში ხშირად მოხსენიებული ქაოზინის ციხე (ბერძენიშვილი, 1964: 44).

ჭაპალას ციხე-სიმაგრე არქეოლოგიურად და ისტორიულად შესწავლილი აქვს, პროფ. ჯუმბერ კოპალიანის (კოპალიანი, 2002). მისი აღწერით ციხე-სიმაგრის ძირითადი ფართობი გაშლილი, ბრტყელი სივრცეა, რომელიც ოთხ ტერასადაა წარმოდგენილი. ციხის მთავარი შესასვლელიდან დასავლეთით სწრაფად წყდება ამაღლება. მანძილი მეორე ტერასამდე 32 მეტრია. აქედან იწყება შიდაციხე (ციტადელი) რამდენიმე ტერასით, რომელიც გამაგრებულია, საგანგებოდ აშენებული გალავნის კედლებითა და ბურჯებით. ყველა ტერასას საკუთარი შესასვლელი გააჩნია. ციხეს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, კარიბჭის ორივე მხარე დანგრეულია (კოპალიანი, 2002: 139).

### კოჯრის ციხე

სოლადაშვილების მთავარი ციხე – კოჯრის ციხე – თრიალეთის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე (1200 მ.) მდებარეობს. დღეს, ციხე ოდესაც ძლიერი სიმაგრის ნანგრევებს წარმოადგენს. იგი ნაგებია ნატეხი ქვით და აგურით, ყველაზე ძველი ფენა, სავარაუდოდ, XI საუკუნეს განეკუთვნება, ხოლო დღემდე შემონახული ნაშთები ძირითადად XVI-XVIII საუკუნეების უნდა იყოს. ჩვენამდე მოღწეულია გალავნისა და მის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთის ბოლოებში აღ-

მართული ორი მრგვალი კოშკის ნანგრევი. თვითონ ციხე რთულ ნაგებობათა ტიპს განეკუთვნება, დაშენებულია ბუნებრივად უკვე სიმაგრედ ქცეულ კლდეზე (ბოშიშვილი, 2010: 42-53).

XX საუკუნის 40-იან წლებში აკად. ნიკო ბერძენიშვილმა საგანგებო კვლევა ჩაატარა XI-XII საუკუნეების საისტორიო წყაროებში ხშირად მოხსენიებული „აგარანის“ აღმოსაჩენად. აგარანთან არის დაკავშირებული ამ საუკუნეების მნიშვნელოვანი ამბები. სწორედ ამიტომ მეცნიერმა მოინახულა კოჯრის ციხე და საბოლოოდ დაასკვნა, რომ თბილისის გარშემო მრავალი აგარა (საღგური საზაფხულო – სულხან-საბა თრბელიანი, I, 1991: 38) იყო. მათი ცენტრი კი, მთავარი ციხე, აგარათა, მოგვიანებით აზეულას ციხე, ყოფილა (ბერძენიშვილი, 1965: 325.).

ბარათაშვილების წინაპრის, ბირიან აბაშის, ქართლში დამკვიდრების შესახებ წყაროებში აღნიშნულია, რომ „გააკეთა ბირიან ციხე თრბეთისა და ციხე აწეულისა, ციხე ფარცხისისა“ (ბერძენიშვილი, 1979: 92). გადმოცემის მიხედვით, ამ საგვარეულოს ჯერ აბაშის შვილებს უწოდებდნენ, შემდეგ ქაჩიბაძეს, შემდეგ ბარათიანთ (ბერძენიშვილი, 1979: 92). პროფ. დევი ბერძენიშვილი აწეულის ციხეს კოჯრის ციხესთან აიგივებს (აწეულისა ე.ო. აზეულა-კოჯრის ციხე) და მას VIII საუკუნეზე ადრინდელ, ანუ ბარათაშვილების წინაპრის, ბირიან აბაშის, მოსვლამდე (768 წ.) აშენებულ ციხედ მიიჩნევს („გაუკეთებიაში“ დაარსება-აღშენება არ იგულისხმება) (ბერძენიშვილი, 1979: 92-93).

როგორც ჩანს, კოჯრის ციხის აღსანიშნავად პარალელურად გამოიყენებოდა აგარანის, ანუ აგარაკების ცენტრისა და აწეულის, ანუ აზეულას ციხე.

XI საუკუნეში თურქთა სულტანმა, ალფ-არსლანმა, საქართველოში ლაშქრობის შემდეგ თბილისის საამირო, რომელშიც აგარათა ციხეც შედიოდა განძის ამორა ფადლონს ჩააბარა. XI ს-ის 60-იან წლებში ბაგრატ IV-მ (1027-1072 წწ.) ფადლონის ჯარი დაამარცხა და „თავისად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლწმინდანი, ქავაზინნი“ (მატიანე ქართლისად, 1955: 312). სულტნის დახმარებით ფადლონმა აგარანი ისევ ხელთ იგდო. ბაგრატ მეფემ დიდი ბრძოლის შემდეგ კვლავ დაიბრუნა ეს ციხე (მატიანე ქართლისად, 1955: 307-312). ფადლონმა „მოიპარა ქავაზინნი, და შემდგომად მისსა მეფე აფხაზეთს იყო, მოვიდა ფადლონ და მოადგა აგარათა; და მისცნა ციხისთავმან აგარანი. და მსწრაფლ აღმოვიდა მეფე, მოვიდა და მოადგა აგარათა და წარიხუნა აგარანი“ (მატიანე ქართლისად,

1955: 315). აქ კარგად ჩანს, რომ საქართველოს მეფე აგარანის ციხეს სტრატეგიულ უპირატესობას ანიჭებს.

„დიდი თურქობის“ (1080 წ.) დროს აგარათა ციხე თურქებს უკავათ, 1118 წელს კი დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) ერთ დღეში აიღო (დავითის ისტორიკოსი, 1955: 335).

1123 წელს დავითმა ეს ციხე ორბელებს უბოძა. ხოლო 1177 წელს საქართველოში დიდი აჯანყება მოხდა. აჯანყებას სათავეში მეფე გიორგი III-ის (1156-1184 წწ.), ძმისშვილი, დემეტრე, იგივე დემნა, ჩაუდგა. დემნა მამის, დავით V-ის (1155 წ.) გარდაცვალების დროს მცირეწლოვანი იყო. როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა დავითის სიკვდილში გიორგი III-ის ხელიც ერია (სტეფნაძე, 1990: 16). დემნამ მცირეწლოვანების გამო გიორგის გამეფებას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. ხოლო როდესაც სრულწლოვანი გახდა, თავისი კუთვნილი სამეფო ტახტი მოითხოვა. დემნას მთავარი მხარდაჭერი და ძალა აგარანის ციხის მფლობელი მისი სიმამრი, ივანე ორბელი იყო. დემნას მხარეს იყო ფეოდალთა საკმაოდ დიდი და ძლიერი ნაწილიც. ორბელებმა დემნა აგარათა ციხეში მეფედ გამოაცხადეს. აჯანყებულებმა ტაბახმელაში მდგომი გიორგის შეპყრობაც განიზრახეს, მაგრამ გიორგის თბილისში ჩამოსვლა და თავისი ერთგული ქვეშევრდომების შეცრება მოუსწრია. მეფეს გვერდში მტკიცედ ედგა ყივჩაღთა ლაშქრის მეთაური ყუბასარი. გიორგიმ – პირველმა შეუტია აგარანში გამაგრებულებს და მოწინააღმდეგები დაფანტა. შემდგომ დაიკავა აჯანყებულთა სხვა ციხეებიც, მეფის ჯარმა მეამბოხეები თანდათან შეავიწროვა. საბოლოოდ, დემნა და მისი მხარდაჭერი ფეოდალები ივანე ორბელის მეთაურობით<sup>39</sup> გიორგი III-მ დაამარცხა და აჯანყებულები, მათ შორის საკუთარი ძმისშვილიც, სასტიკად დასაჯა (სტეფანოს ორბელიანი, 1958: 47).

ამის შემდეგ აგარათა ციხე საქართველოს მეფეების საკუთრებას წარმოადგენს. იგი გიორგი III-ის (1156-1184 წწ.), თამარ მეფის (1184-1210 წწ.), გიორგი IV ლაშას (1210-1223 წწ.) და სხვების ხელში იყო და სამეფო სააგარაკე მნიშვნელობა ჰქონდა. თამარის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვარის, თანახმად, თამარ მეფე ამ ციხეში გარდაიცვალა: „წამოიყვანეს აგარათა ციხესა და თამარ დაიძინა ძილი იგი

<sup>39</sup> 1177 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ორბელები სომხეთში გადადიან და იქ გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. ამ საგვარეულოს, გვარის მსგავსების გარდა არაფერი აქვს საერთო მოგვიანო ხანის ორბელიანების საგვარეულოსთან, რომდებიც ბარათაშვილების განშტოება არიან.

მართლითა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944: 44).

აგარათა ციხეს (აგარანი) მოგვიანებით „აზეულას“ ციხე ერქვა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „არს ციხე აზეულასი და აწ კოურისა, თხემსა ზედა კლდისასა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 327) (აზეულა – აწეულა, სახელი მაღლა მდებარეობის გამო უნდა იყოს (ბერძენიშვილი, 1965: 329). XV საუკუნიდან აგარათა ციხეს კოურის ციხე ეწოდება. როგორც აკად. ნიკო ბერძენიშვილი ვარაუდობს, სახელწოდება მომდინარეობს კოურის მსგავს მთაზე მდებარეობის გამო (ბერძენიშვილი, 1965: 329). ამავე საუკუნიდან იგი თავად სოლადაშვილთა ხელშია და სათავადოს მთავარი ციხეა.

ტოპონიმ „კოჯორის“ წარმომავლობის შესახებ მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. როგორც აღინიშნა, აკად. ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდით, სახელწოდება მოდის კოურის მსგავს მთებზე მდებარეობის გამო (ბერძენიშვილი, 1965: 329), მისი აზრი გაიზიარა პროფ. ზურაბ ჭუმბურიძემ, მისი თქმით, შეიძლება სწორედ კლდოვან და ქვა-ლორდიან, მთაგორიან ადგილთან იყოს კოურის წარმომობა დაკავშირებული (ჭუმბურიძე, 1982: 197). არის კიდევ ვერსია, თითქოს კოჯორი სვანურ „კოჯ“-ს უკავშირდებოდეს (გონიაშვილი, 1937: 129), რაც „კლდეს“ ნიშნავს. ტოპონიმის უმუალოდ სვანურთან დაკავშირება საუკვოდ არის მიჩნეული, მაგრამ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ამ სიტყვებს საერთო ძირი ჰქონდეთ (ჭუმბურიძე, 1982: 197-198). პროფ. ნიკო კაცხლეველი აღნიშნავს, რომ კოჯორზე ბევრს დავობენ, მაგრამ სადაც არაა, სვანურად ქვიან აღგილს, რომელზედაც თანამედროვე კოჯრის ციხეა აშენებული, კოჯო ეწოდება და კოჯორიც ამიტომ ეწოდა იმ არემარეს (კაცხლეველი, 1976: 112). თუმცა მეცნიერთა ნაწილი ტოპონიმის სხვაგვარ ახსნას ცდილობს. პროფ. მიხეილ გეგეშიძის აზრით, „კოჯორი“ კოურის თავდაპირველი ვარიანტი უნდა ყოფილიყო და „კრკოჯვარი“-დან (კრკო, ანუ რკო, იგივე მუხა, ჯორი, ანუ ჯვარი) უნდა მომდინარეობდეს (გეგეშიძე, 1966: 197). მას ეთანხმება პროფ. კობა ხარაძე (ხარაძე, 1972; ხარაძე, 1991: 93-94). ეს აზრი უნდა გამოირიცხოს იმის გამო, რომ კოჯორის უფრო ძველი ფორმა კოურია. არსებობს კიდევ ვერსია ტოპონიმის სომხური „Զուր“ (ჯურ – წყალი) სიტყვიდან წარმოების შესახებ. XIX საუკუნეში ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით, ერთხელ თურმე ვიდაც სომეხი კოჯრის გზაზე მიდიოდა და უთქვამს „կոչուრ“ („კოჯურ!“) – „არის წყალი“.

ეს ვერსია იმავე სახით 1900-იან წლებში კონსტანტინე ჰაუშერია. იგი ტოპონიმ „კოჯორის“ „ხოურ“ (խոշոր – სომხ. დიდი) და „ქოჩორ“ სიტყვებით ახსნასაც გვთავაზობს. მ. ნოდიამ ეს უკანასკნელი ვერსია სარწმუნოდაც კი მიიჩნია (ნოდია, 1976).

შეელა ეს მოსაზრება პროფ. გურამ ბედოშვილმა ერთმანეთს შეუჯერა და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კოჯორი მომდინარეობს არა სვანური „კოჯა“, ან „არკო-ჯვარისაგან“, მითუმეტეს სომხური „ჯურისგან“, არამედ ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული „კოურ“ სიტყვისგან, რაც საზოგადოდ ქვიან ადგილს, შემაღლებულ ბორცვს, გორაკს, ზურგს აღნიშნავს (ბედოშვილი, 2002: 206). იქვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადასტურებული „კოურ“ ტოპონიმებისა და მიკრო ტოპონიმების უამრავი მაგალითი მოჰყავს. მსგავსი სახელით სოფელი მდებარეობს ახმეტის რაიონშიც.

ტოპონიმი „კოჯორი“ ასეთი სახით XIX საუკუნეში, ძირითადად რუსული პრესის გავლენით დამკვიდრდა. ძველ საბუთებსა და ისტორიულ წყაროებში მხოლოდ „კოურის“ ფორმით გვხვდება (ბოშიშვილი, 2010: 37-39).

კოჯრის ციხე საუკუნეთა მანძილზე თბილისის დაცვის სისტემის ბოლო ფორმოსტებს წარმოადგენს. თუ ალგეთის ხეობაში განლაგებულ ციხეთა სისტემა თბილის გალავნის კედელს წარმოადგენდა, კოჯორი თბილისში შემოსასვლელი კარის დამცველი „ციხე-კოშკი“ იყო. ამ ციხის აღებით მტერი, ფაქტობრივად, თბილისში შემოდიოდა (კოპალიანი, 2002: 164).

თბილისის გარშემო არსებული სოფლები ქალაქის მაღალი საზოგადოების აგარაკები იყო. შემდეგ, უფრო გვიან, ამ დაბებმა დაკარგეს აგარათა ძველი მნიშვნელობა, ქალაქმაც დაკარგა უფლება ამ აგარაებზე, ამიტომ მათი საერთო სახელი „აგარანი“ გაქრა. XV-XVI საუკუნეებიდან მათ „ქალაქის პირის სოფლები“ და ამიერდან მხოლოდ თავიანთი სახელებით იხსენიებიან: ტაბახმელა, კოჯორი (ზემო ტაბახმელა), შინდისი, წაგკისი, კრწანისი, („აგარათა ჭალა“), ხატის თელეთი („სახატე“). მათ მთავარ აგარათა ციხეს კი კოურის ციხე ეწოდა.<sup>40</sup> XV საუკუნიდან „ქალაქის პირის სოფლების“ დიდი ნაწილი თავად სოლადაშვილების სამფლობელო

<sup>40</sup> მოგვიანებით, მუსლიმური აღმოსავლეთის დიდი გავლენის გამო, ამ ციხეს, XVI-XVII საუკუნეებში კავკასიაში და აღმოსავლეთში გავრცელებული ეპოსის, ნახევრად ზღაპრული გმირის ქოროლდის სახელი შეერქვა (ჩლაიძე, 1978: 46) და დღესაც ამ სახელით მოიხსენიებენ. ეპოსის ერთ-ერთი ქართული ვერსიის მიხედვით „ქოროდლი იმ ციხეში ცხოვრობდა, კოჯორთან როა“ (ჩლაიძე, 1978: 110).

მამულებად, ხოლო კოჯრის ციხე მათი სათავადოს მთავარ ციხე-სიმაგრედ იქცა.

კოჯრის ციხე თბილისისკენ მომავალი გზის მცველი და ბევრი მნიშვნელოვანი ბრძოლის თუ მოვლენის მოწმეა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლეპები როდესაც ქართლს დაარბევდნენ, ალგეთის ხეობაში გადასავლელად სწორედ კოურის ციხესა და მიმდებარე სოფლებზე არსებული გზით სარგებლობდნენ.

XV საუკუნიდან მოყოლებული კოჯრის ციხე, მის გარშემო არსებული სოფლებით, სოლადაშვილების სათავადო იყო. XVIII საუკუნემდე, მათ მთავარ სადგომს კოჯრის ციხესთან ახლოს მდებარე სოფელი გუდელისი წარმოადგენდა (ბოჭიშვილი, 2010: 37-39).

### გუდელისი

ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ატლასზე“ სოლადაშვილების სამკიდრო სოფელი გუდელისი აღნიშნულია, როგორც „მთავრის სახლი“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1997: 39). ამ შემთხვევაში მთავრად ამ ადგილების მფლობელი თავადი სოლადაშვილი უნდა ვივარაუდოთ, რომელსაც ადგილი შესაძლებელია სასახლე ჰქონდა გუდელისში, რადგან იქვე კოჯორში ჰქონდა მთავარი ციხე და კაბენში სასაფლაო (ბოჭიშვილი, 2003, 79-82; ბოჭიშვილი, 2010: 113-123).

გუდელისი ტაბახმელასა და კოჯორს შორის მდებარეობს. ამჟამად ტყით დაფარულ ნასოფლარში, მიწასთან გასწორებულ შენობათა შორის, შემორჩენილია ორი ეკლესიის, და ერთი შენობის ნაშთი. ერთი ეკლესია შედარებით მოზრდილია.

1948 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა წამოიწყო ძველი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაიონის, ისტორიული ქვემო ქართლის, ყოველმხრივი და თანმიმდევრობითი შესწავლა (ციციშვილი, 1979A). 1948-1950 წლების მანძილზე ჩატარდა ოთხი ექსპედიცია. სამი წლის მუშაობის შედეგად ექსპედიციამ მოიარა 170 სოფელი, აღრიცხა 296 ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა უმრავლესობა უცნობი იყო (ციციშვილი, 1979<sup>o</sup>). ექსპედიციის შედეგები შერჩად „ძეგლის მეგობარში“ (1979 წელს – №49, 50, 51, 52, 1980 წელს – №53, 54) გამოქვეყნდა. მიუხედავად სამუშაოს გრანდიოზულობისა და დიდი მნიშვნელობისა, გამოქვეყნებულ მასალებში გუდელისის ნასოფლარი მოხსენიებული არ არის.

ნასოფლარი და მათ შორის ეკლესიის ნაგრევები არქეოლოგიურად არ შეუსწავლიათ.

კარგად ჩანს, რომ ორივე ეკლესია ერთნავიანი დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა, რომელთა აზომვა გაუთხრებლადაც მოხერხდა.

პატარა ეკლესია დღეისათვის ცუდ მდგომარეობაშია, სრულად არც ერთი მხარე არ არის შენარჩუნებული. დასავლეთის კედელი საერთოდ აღარ არის. აღმოსავლეთის, ანუ საკურთხევლის კედლის შუა ნაწილი ჩამონგრეულია. აქ მხოლოდ აფსიდის ნაპირებია შენარჩუნებული.

ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთი მხარე სიმაღლეში თითქმის მთლიანად არის გადარჩენილი, დანარჩენი ნაწილობრივ.

ეკლესიის სამხრეთი კედელი დანგრეულია, ნაგრევები ორ ნაწილად არის გაყოფილი. ნანგრევებს შორის შესაძლებელია კარებიც იყოს მოყოლილი.

ზომები: სიგრძე გარედან 9 მ., სიგანე – 5,8 მ. სიგრძე შიგნიდან – 5,4 მ. სიგანე – 3,92 მ. შემორჩენილი სიმაღლე – 3,17 მ. კედლის სისქე – 0,8 მ.

ეკლესიის დასავლეთ კედელთან ხეზე მიყუდებულია სტელა. ქვიშაქვა საკმაოდ უხარისხოა. ზედ აქვს ჯვრის გამოსახულება, უკანა მხარე საერთოდ დაუმუშავებელია. სავარაუდოდ, ჯვრის გამოსახულებიანი ქვა ან ძირს იდო, ან ჩაშენებული იყო კედელში. სტელა სიმაღლით ერთი მეტრია, სიგანით კი – 0,57 მ.

ეკლესიიდან დაახლოებით 80 მეტრის დაშორებით არის 7X8 ნასახლარი ორმო, რომლის ოთხივე მხარეზე ქვებია მიმობნეული. ამ აღგილზე რომ შენობა იყო, ამას ადასტურებს ისიც, რომ აღმოსავლეთ მხარეზე რამდენიმე ქვა არის დაწყობილი. თუმცა დუღაბი არ ჩანს. მისგან ჩრდილოეთით 10 მეტრზე მეორე, შედარებით მცირე ზომის ნასახლარი ორმოა და ქვაყრილი.

პატარა ეკლესიიდან დაახლოებით 200 მ-ის დაშორებით, სამხრეთ-დასავლეთით, არის შედარებით დიდი ზომის და უკეთესადაც შემონახული ეკლესია. ესეც ნაგებია ფლეთილი ქვით და დუღაბით, ზოგან სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში გამოყენებულია თიხის ხსნარიც. ქვის გარდა წყობაში გამოყენებულია ქართული აგურიც. როგორც ჩანს, ეკლესია რამდენჯერმე შეუკეთებიათ. ამ ბოლო წლებში კი ნაგებობა თანამედროვე სამშენებლო მასალებით (ბლოკი, ცემენტი....) შეაკეთეს და გადახურეს, რაც ქველ ნაწილს იცავს დაზიანებისგან. ზომები: სიგრძე გარედან 10,35 მ; სიგანე – 6,6 მ; სიგრძე შიგნიდან

– 8,3 მ; სიგანე – 4,6 მ; შემორჩენილი სიმაღლე – 2,7 მ; კედლის სისქე – 1 მ; კარის სიმაღლე – 1 მ.

გუდელისი ისტორიულ საბუთებში პირველად მოხსენიებულია 1581 წელს. სვიმონ I-ის (1556-1569; 1578-1600 წწ.) მიერ ყაფარ სოლალაშვილის შვილებისათვის მიცემულ მამულისა და ყმების წყალობის საბუთში. ამ სიგელის მიხედვით, მეფემ „ქალაქის პირისა და ვერის ხევის ტარულას“ ყაფარ სოლალაშვილის შვილებს, იოანეს, მერაბს და დავითს, „ქალაქის პირის და ვერის ხევის“ სხვა სოფლებთან ერთად ორი კომლი და ორი ოხერი გუდელისშიც უბობა (ქართულ-სპარსული..., 1955: 9).

1662 წლის ერთ-ერთ სიგელში მოიხსენიება ვინძე, გუდელელი, რომლის ვენახიც ფიბუა მჭედლიშვილის მიერ პაპუა წამალაშვილისათვის მიყიდულ სავენახეს ესაზღვრებოდა (პირთა ლექსიკონი, I, 1991: 729). აქ გუდელელი გუდელისელს უნდა ნიშნავდეს (ქართული ენაში მსგავსი ვარიანტები მრავლად გვხვდება: თბილისი-თბილელი, ქუთათისი-ქუთათელი, კუმისი-კუმელი, შინდისი-შინდელი..., მითუმეტეს, რომ 1780 წლის აღწერაში გუდელისიდან ტაბახმელაში გადმოსული ოსეფა მოიხსენიება, როგორც „გუდალელი ოსეფა“<sup>41</sup> (ჯავახიშვილი, I, 1967: 165) სავარაუდოდ, იგი (გუდელელი) გუდელისიდან გადასახლდა და ამიტომაც შერჩა სახელი წარმოშობის ადგილის მიხედვით.

გუდელისის მებატონების, და იქ მოსახლე ძირითადი გვარების შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის „აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა“, შედგენილი ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გიგი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს (აღწერა..., 1907).

აღწერის მიხედვით:

**სოლალაშვილი ზურაბის ყმები:**

შაალაშვილი გასპარა

ჯანუარაშვილი პაპაჯანა

ბაინდურაშვილი ფარსადანა

ესტანჯაშვილი სენია

<sup>41</sup> ოსეფა გვარად ყურაშვილი იყო.

აყრილი ბერუაშვილი არუთინა  
პეტროზაშვილი არაქელა  
ამოვარდნილი ხუროშვილი  
სოლაძაშვილი გიორგის ყმები:

შაალაშვილი შერმაზანა  
შაალაშვილი ზალუა  
ბერიკაშვილი საქუა  
ბერიკაშვილი ნასყიდა აყრილი (აღწერა..., 1907: 147).

1728 წელს ოსმალების მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით, გუდელისში მოიხსენიება:

ფარსადან ბაინდურის ბე და მისი მმა შაქარა [ბაინდურაშვილები].

ასევე შერმაზან შანკარას ბე [შალაშვილი], მისი შვილი და მმა (1728 წლის დავთარი, 2010).

აღწერაში სულ ხუთი კაცია დასახელებული, როგორც ჩანს სხვები „ოსმალობის“ გამო სხვაგან, საგარაუდოდ, სოლაძაშვილებისავე სოფელ ტაგნაგეთში გადავიდნენ. 1721 წლის აღწერაში ტაგნაგეთში სულ 12 კომლი და 9 ბოგანოა დასახელებული, ხოლო 1728 წელს ოსმალებმა 53 კაცი დააფიქსირეს, მომატებულები სოლაძაშვილების სხვა სოფლებიდან გადასულები უნდა იყვნენ.

ორი აღწერიდან ჩანს, რომ მოსახლეობა ედვით, ჩანს, რომ გუდელის ვახუშტის მიხედვით, „...ამის ჩრდილო კერძ არს ტბა კუმისისა, მლაშე, შესდის წყარო კოდისა, კუალად ერთვის კოურისა და გუდელისის ხევის წყალი“, (მდინარე უკანხევი ჩაედინება კუმისის ტბაში, სიგრძე 15 კმ. სათავე ზ. დ. 1310 მ. შესართავი 469 მ. სიმაღლეზე) (ზარდალიშვილი, 1978: 67). ასევე სოფლების სიები, რომლებიც ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიას“ აქვს დართული. „ალგეთის ხეობა ტფილისამდე“ – ასეთი სათაურით გამოყოფილ სოფლებში 599-ე სოფლად დასახელებულია გუდელისი (ლორთქიფანიძე, 1935: 61).

ვახუშტისავე „საქართველოს ატლასზე“ გუდელისი აღნიშნულია, როგორც „მთავრის სახლი“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1997: 39). ამ შემთხვევაში მთავრად ამ ადგილების მფლობელი თავადი სოლაძაშვილი უნდა ვივარაუდოთ.

შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ზემოთ ნახსენები შენობის ნანგრევი იყოს თავად სოლაძაშვილის ნასახლარი, სავარაუდოდ, დიდი ეკლესიის მიდამოებში

ცხოვრობდნენ გლეხები, იქვე გამოდის წყაროც, ხოლო მცირე ეკლესიასთან (ალბათ, თავადის სასახლის კარის ეკლესია) შემორჩენილი ნანგრევების აღგილას სოლადაშვილის სახლი უნდა ყოფილიყო.

ნანგრევებს აშკარად ეტყობა ძალადობის კვალი.

გუდელისი მოხსენიებულია იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში. სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლებს შორის დასახელებულია „კუდელისი, ანუ გუდელისი“ (იოანე ბაგრატიონი, 1986: 46).

როგორც დავინახეთ, გუდელისის ისტორია ისტორიული წყაროების მიხედვით ძირითადად XVI-XVIII საუკუნეებს მოიცავს. ამ დროისათვის ის და მისი მიმდებარე აღგილები თავად სოლადაშვილთა მფლობელობაშია.

ქვემოთ ასურეთის ხეობაში კი კაბენია, სოლადაანთ საძვალე. აქეა სოლადაანთ მთავარი ციხე, კოჯრის ციხე.

გზა გუდელისზე უძველესი დროიდან გადიოდა, აკად. ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით, „თბილისიდან ქვემო ქართლისაკენ გზები კოურისა და კარის კარით გადიოდა, პირველი კოურის კარიდან ტაბახმელამდის თბილის-მანგლისის გზა მიჰყვებოდა. ტაბახმელას გაყრილი ის ვაშლოვნისკენ დაუხვევდა და ფარცხისისაკენ მიემართებოდა ასურეთ-ენაგეთზე“ (ბერძენიშვილი, 1966: 73), სწორედ ტაბახმელიდან ვაშლოვნისკენ მიმავალ გზაზე იყო გუდელისიც. სოფლის განვითარებისთვის გზას ხელი უნდა შეეწყო, მაგრამ ამ შემთხვევაში პირიქით მოხდა, გზის პირზე მდებარეობის გამო განადგურდა ეს სოფელი (სოლადაშვილთა ერთ-ერთი რეზიდენცია), ასევე კაბენის მონასტერი (სოლადაშვილთა საძვალე), კოურის ციხე (სოლადაშვილთა მთავარი ციხე) და მიმდებარე სოფლები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ლეპები ქართლს არბევდნენ, სწორედ ამ გზით სარგებლობდნენ ალგეთის ხეობაზე გადასავლელად.

ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, ლეპების რომ არ აეოხრებინათ, არ გაეძარცვათ. ერთმანეთის დასარბევად ლეპები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს. აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეპები მოჰყავდათ ოსმალებს. და ბოლოს, უპატრონოდ ქცეულ ქვეყანაში ლეპები დაუპატიჟებლადაც მოდიოდნენ. თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოიხელთებდნენ: ადამიანი, ოთხფეხი საქონელი, პური, იარაღი, ავეჯი და სხვ.

ლეკების განუწყვეტელი შემოსევების გამო თითქმის დაიცალა ქვემო ქართლი, წერილობით წყაროებში არ გვხვდება, თუ როდის განადგურდა სოფელი, მაგრამ ჩანს იგი იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებას შეეწირა, რომელიც საქართველოში XVIII საუკუნეში სუფევდა, კერძოდ, „ლეკიანობას“.

„ლეკიანობაში“ არა მხოლოდ სოფლები, არამედ გზაც გაანადგურა. რუსების შემოსვლის შემდეგ XIX საუკუნეში ეს გზა აღდგა და ოსმალეთთან ომების პირობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. იგი რამდენიმეჯერ შეაკეთეს. საბოლოოდ გზის ეს მონაკვეთი (ტაბახმელა-ვაშლოვანი) და ფოსტის ამ მიმართულებით მოპრაობა გაუქმდა 1899 წელს, როდესაც თეთრიწყაროსთან დამაკავშირებელი ახალი გზა თბილისი-კოდა-თეთრიწყარო გაიყვანეს (კვეზერელი-კოპაძე, 1978: 82). გაუქმებული გზით (ადგილობრივი მოსახლეობა, ტაბახმელები, ამ ადგილს „ფოსტის გზას“ ეძახის) დღეს მხოლოდ იშვიათათ თუ ისრგებლებს ვინმე.

გუდელისის ეკონომიკური სურათის აღდგენა საკმაოდ რთულია, სოფლის მეურნეობისათვის აქ არ იყო სათანადო პირობები. ამიტომ ისევე, როგორც სხვა სოფლებში, მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ამზადებდნენ ნახშირსაც. აღმოჩენილია ნახშირის დამზადების კერები.

სოფლის განადგურების შემდეგ აქაურობა გაუკაცრიელდა და ტყემ დაიკავა. მოსახლეობა მეზობელ სოფლებში გადასახლდა. სავარუდოდ, გუდელისიდან არიან გადასულები ტაბახმელაში კურაშვილები და ჯანყულაშვილები, შესაძლებელია, შინდისში – ბაინდურაშვილები. შინდისში XIX საუკუნეში ჩანს შალაშვილიც, რომელიც ასევე გუდელისელად შეიძლება ვივარაუდიოთ. ზოგიერთი უფრო შორს, ქსნის ხეობაში, ახლგორში, ქსნის ერისთავს შეხიზვნია (ჯავახიშვილი, 1967: 203, 223).

ამრიგად, გუდელისი სოლადაშვილების სადგომს წარმოადგენდა, სანამ იგი განადგურდებოდა. გუდელისის განადგურების შემდეგ სოლადაშვილები ტაგნაგეთში, მოგვიანებით კი თბილისში და ბორბალოში გადადიან.

## ბორბალო

სოლადაშვილები მოგვიანებით ბორბალოს ბატონებად მოიხსენიებიან. აქ პქონდათ სასახლე. სოლადაშვილების 1801 წლის გაყრის განჩინებაში ვკითხუ-

ლობთ, რომ „ოთხი ძმანი არიან – იესე, ზაზა, იოანე და იოსები, ...ზაზას ბევრი ნასყიდობა ექნა და სახლისთვისაც ბევრი შეემატებინა“, ჩამოთვლილია ზაზას შენაძენი ქონება, მათ შორის, „კოშკი“, რომელიც მას „აუშენებია ბორბალასა“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 312).

1797 წელს ზაზა თავის სახლში, სწორედ ბორბალოში, იყო, როდესაც იესე თსეს ძის შვილები თავს დაესხნენ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 32-35). ჩხუბის დროს „ზაზას სახლობა თავეთს კოშკის კარზედ მდგარა და იქიდამ უყურებია“ (სამართლის ძეგლები, VI, 1977: 32-35).

#### § 4. სოლადაშვილების სამგალე (კაბენის მონასტერი)

კოჯორთან მდ. ასურეთისწყლის ხეობაში მდებარეობს კაბენის მონასტერი (შმერლინგი, დოლიძე, ბარნაველი, 1960: 72-73). მის შესახებ წყაროები მწირია, გვაქვს მხოლოდ სამშენებლო წარწერები და რამდენიმე გვიანდელი დოკუმენტი. თამარის ზეობისას აგებული ძველი მონასტერი სრულიად განადგურებულია და გადაკვთებულია XIX საუკუნეში. საყურადღებოა აქ შემორჩენილი ვრცელი ასომ-თავრული წარწერები და ფერწერის კვალიც (ციციშვილი, 1979: 9).

სამშენებლო წარწერების მიხედვით, მონასტერი თამარის (1184-1210 წწ.) მეფობის დროს არის აშენებული „გ[იორგ]ის შვილთა“ მიერ. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „კიკეთს ქუეთ, ხევსა შინა, არს მონასტერი, კაბენისა ყოფილ არს დედათა, გუმბათიანი, შუენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ. სამხრით; ზემორ არს ციხე აზეულასი და აწ კოურისა, თხემსა ზედა კლდისასა“ (ვახუშტი ბაგრატიონიშვილი, 1973: 327).

თვითონ სახელი „კაბენი“, ალბათ, იმ ტრადიციის მიხედვით დაერქვა, ოომულიც საქართველოში ქრისტიანობის მიღების შემდეგ გავრცელდა. პალესტინის და საბერძნეთის წმინდა ადგილების სახელებს ხშირად ქართველები თავის მონასტრებს არქევდნენ: სიონი, ბეთლემი, გეთსიმანია, თაბორი..., სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქს საქმე კაბენის შემთხვევაშიც. ამავე სახელის მონასტერი არსებობდა სირიაში, ანტიოქიაში. აქედანვე არის აღებული მდინარის სახელიც, რომლის ხეობაშიც მდებარეობს მონასტერი, „ასურეთისწყალი“, ასურეთი სირიის ქართული შესატყვისია (ბოშიშვილი, 2008: 15-17; ბოშიშვილი, 2010: 42-53).

როგორც პლატონ იოსელიანი აღწერს, „ამ მონასტრის ვრცელს ადგილს უჭირავს თითქმის მრთელი მდინარის ხეობა, სრულებით ეს ადგილმდებარეობა დაფარულია ხშირი ტყით, ასე რომ, თვით ის მონასტერიც მართლად ტყეში არის...“ (იოსელიანი, 1873: 9).

კაბენის მონასტერი სამი ეპლესისგან შედგება, ერთ-ერთი უკელაზე დიდი – მარი ბროსეს აზრით – ფასადის ყველა მხარეს, თავისი შესანიშნავი ორნამენტებით, საქართველოს აყვავების ხანის დროინდელია. მეორე ეპლესია მის დასავლეთით ყოფილა, შედარებით მცირე ზომის, აღმოსავლეთ კედელზე ქართული, თა-

მარის დროის სამშენებლო წარწერებით (ბაქრაძე, 1875: 79). მესამე ეპლესია კიდევ უფრო მცირე ზომის არის. მის სიახლოვეს საფლავის ქვებია მიმობნეული. ყოველ შემთხვევაში, 1875 წლამდე ყოფილა, ქვებზე ადამიანის ფიგურებია გამოსახული ეპიტაფიების გარეშე (ბაქრაძე, 1875: 77). ალბათ, ეს არის სოლადაშვილების საძვალე. კაბენი თავიდან დედათა მონასტერი იყო, „ყოფილ არს დედათა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 327), მაგრამ მოგვიანებით, ვახუშტის დროს, უკვე „არს ხუცის სამარ“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 327).

პლატონ იოსელიანის აზრით, თამარს მხოლოდ პატარა ეპლესია აუშენებია, დიდი უფრო ადრინდებული უნდა იყოს (იოსელიანი, 1873: 9). დიდი ეპლესია ღვთის-მშობლის მიძინების სახელობისაა. მასზე შესრულებული ჩუქურთმები ყოველთვის აოცებდა მნახველს, XIX საუკუნის შუა ხანებში გუმბათი უკვე ჩამოქცეული ყოფილა, როგორც ჩანს, ეს ლეკების ერთ-ერთი შემოსევის დროს მოხდა. შიგნითა კედლები მოხატული ყოფილა „სადაც თითქმის ყველგან ზედწარწერა აქცის, როგორც ქართულს, ისე ბერმნულს ენებზედ“ (იოსელიანი, 1873: 10-11).

მეორე, შედარებით მცირე ზომის ტაძარზე, რომელიც წმინდა სვიმეონის სახელობისაა, არის თამარის მეფობის დროინდები წარწერა.

კაბენის მონასტრის წარწერებმა მკვლევართა ყურადღება თავიდანვე მიიქცია, საინტერესოა პლატონ იოსელიანის 1854 წელს ჟურნალ «Кавказский Календарь» გამოქვეყნებული გამოკვლევა, რომელიც კაბენის წარწერებს ეხება (იოსელიანი, 1854), მოგვიანებით ნაშრომი ქართულ ენაზეც გამოიცა (იოსელიანი, 1873: 7-12). მნიშვნელოვანი ნარკვევები გამოაქვეყნეს მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ (ბაქრაძე, 1875) და ლეონ მელიქსეთ-ბეგმა (მელიქსეთ-ბეგი, 1925), გიორგი ოთხმეზურმა (ოთხმეზური, 1981: 93-94), თუმცა კაბენზე, როგორც სოლადაშვილთა რეზიდენციაზე, არ გაუმახვილებიათ ყურადღება. მათი ნაშრომები კაბენის წარწერებსა და მოკლე ისტორიას ეხება. კაბენის სამშენებლო წარწერები შესრულებულია ასომთავრულით, ზოგიერთი სტრიქონი დაზიანებულია, მაგრამ მაინც იკითხება.

## კაბენის წარწერები:<sup>42</sup>

1. [სტატუს] თც [ჭ]ერებულება [უცს]
2. პარაფა . ცყრც . წ~ე . უ~ე . უ~ე
3. ჭავალა . დაქანა . სასახლე
4. ლ~ს . შარაც . კ~ე . თცნებ~ს . ყ~ცს~ე
5. გამოცხადა . თც ლ~ს . ი~ე . უ~ე . უ~ე
6. ცალკეულა . ცალკე . ლ~ც . ცა

1. [ს(ა)ხ(ელი)თა] ღ(მრთისავ)თა და [გ](ეო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა [ღ(მრ)თ(ი)ს]
2. მმობ(ე)ლ(ისაი)თა, ა(ე)მ(ე)ნა წ(მიდა)ი ესე ეპლ(ე)ს(ია)ი
3. მეფ(ო)ბ(ა)სა თ(ა)მ(ა)რ(ი)სასა. ავ(ა)შენეთ
4. გ(იორგ)ის შვილთა: ქ(ვირიპ)ე (ან კონსტანტინე) და ნ(ი)კ(ოლო)ზ, ბას(ი)ლი.
5. ოქროპ(ი)რი და გ(აბრიე)ლ (ან გრიგოლ). უ(ფალო) ღ(მერთ)ო, შ(ეუნდვ)ენ  
გ(ი)ნ
6. ც რაი მოიჭ(ი)რვა ამ(ა)სა ზ(ედ)ა, ა(მე)ნ.

1. [†. ცყრც]
2. [უ~ე] . უ~ე
3. რამს . რამ
4. უ~ე . უ~ე
5. ჩ~ეს . ჩ~ე

1. ქ. ა(ე)მ(ე)ნა
2. ეპლ(ე)ს(ი)ა ესე
3. დიდ(ი)სა დ(ე)დ(ო)ფ
4. ლისა პ(ა)ტ(ო)
5. ნობ(ა)სა შ(ინ)ა.

XV-XVIII საუკუნეებში კაბენი და მისი მიდამოები თავად სოლადაშვილების ხელში იყო.

<sup>42</sup> წარწერები მოცემულია პროფ. გიორგი ოთხმეზურის მიხედვით (ოთხმეზური, 1981: 93-95).

1637 წელს როსტომ მეფემ (1633-1658 წწ.) ელიზბარ სოლადაშვილის გამზრდელის, ზილტიჯანის, გარდაცვალების შემდეგ ელიზბარს „საბარათაშვილოში კაბერეთის მონასტერი“ უწყალობა. რომელიც მკელთაგანვე სოლადაანთ სამკვიდრო სასაფლაო ყოფილა (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183). 1651 წელს როსტომმა ელიზბარს „უწყალობა [სკანძერის] მონასტრის თარხნობა, ლაშქარ-ნასყიდობის და სათათრო საურის გარდა“ (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: გვ. 183).

1880 წლის 29 ივნისის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა გიორგი ზალიკანოვის წერილი. ავტორი სურვილს გამოთქვამს, რომ ყურადღება მიექცეს ამ მნიშვნელოვან ძეგლს, რომელმაც, როგორც XII-XIII საუკუნეების, ისე გვიან შეა საუკუნეების მრავალი ნაშთი ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი. გიორგი ზალიკანოვს კაბენის პატარა ეკლესიაში (დიდი მონასტრის გვერდით) საფლავის ქვები უნახავს და ერთ-ერთზე ამოკითხულ წარწერას აქვეყნებს:

„აქ განისვენებს გვამი ელიზბარ სოლადაშვილის მეუღლისა დარეჯანისა. მხილველნო შენდობა მიბანეთ ქრისტესით 1727“ (ზალიკანოვი, 1880: 2).<sup>43</sup>

XVIII საუკუნეში ლეკების განუწყვეტელი შემოსევების გამო ქვემო ქართლი თითქმის მთლიანად დაიცალა. ზუსტად ლეკების შემოსევებს შეეწირა კაბენი. წყაროებში არ ჩანს, თუ როდის მოხდა ეს. პლატონ იოსელიანი ვარაუდობს, რომ ეს ადგილები XVIII საუკუნის I ნახევარში აოხრებულა, რასაც 1724 წელს ოსმალების მთელ საქართველოში გაბატონებამაც შეუწყო ხელი (იოსელიანი, 1854: 492). მის აზრს იზიარებენ სხვებიც (ბაქრაძე, 1875; მელიქსეთ-ბეგი, 1925; რუსული მონასტერი..., 1903). მტრისგან შეწუხებულმა ქართველმა თავადებმა და ბერებმა დაახლოებით XVIII სის II ნახევარში მონასტერი საბოლოოდ მიატოვეს.

მიტოვებული კაბენის მონასტრის განახლება რუსებმა XX საუკუნის დასაწყისში სცადეს. კერძოდ, 1903 წელს ბერებისათვის სენაკები აშენდა. იმავე წლის ოქტომბერში დაარსდა მამათა რუსული მონასტერი (რუსული მონასტერი..., 1903: 62), თუმცა ახალი მონასტრის მშენებლობისას ძველი დიდად დააზიანეს. 1904 წელს გაზეთი „ივერია“ იტყობინება, რომ „ეკლესიას აშენებენ, მაგრამ სრულიად

<sup>43</sup> აქე, 1741 წლის ნოემბერში გაცემული ერთი საბუთის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომლის მიხედვითაც, ელიზბარის ქვრივმა დარეჯანმა, თავის მაზლს, ზაზა სოლადაშვილს რამდენიმე გლეხი მა-მულებით მიჰყიდა (იხ. ხევ. Hd 14275). საბუთის სიყალებეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, როგორც ჩანს საფლავის ქვის წარწერის თარიღია შეცდომით ამოკითხული.

უურადღებას არ აქცევენ ძველს პატარა ეკლესიებს, ერთი ძველი ეკლესია კიდეც დაუქცევიათ და მისი თლილი ქვები ახლის ასაშენებლად გამოუყენებიათ“. ავტორი სინანულს გამოთქვამს, რომ „მშენებლები იდებენ ძველ წარწერიან ქვებს და ხელახლა სთლიან“. წუხს იმის გამო, რომ „ასეთივე ბედი მოელის მეორე ძველს პატარა ეკლესიას“ (ივერია, 1904; 2-3). ეკლესია 1914 წელს უკვე განადგურებული ყოფილა, პრესაში გვხვდება წერილი, რომ „ქართული ხელოვნების ერთი საუკეთესო მაჩვენებელი, კაბენის ეკლესია შეუბრალებლად იქნა დანგრეული და მისი საუცხოო ფოთლოსან და წნულ ჩუქურთმოვანი კედლების მაგიერ აღმოცენდა სადა კედლები, თეთრი მონასტრისა. და ის ქვები, რომლებიც საუცხოვოდ გვიხა-ტავდნენ ქართულ ეროვნულ ხელოვნებას და მის ზე-მიწევნით განვითარებაზე დადადებდნენ, სამუდამოდ გაქრნენ მეცნიერებისათვის და დაიკარგნენ ჩამომავლობისათვის“ (ანთაძე, 1914: 41). რუსული მონასტერი, რომელსაც თვითონ რუსები თეთრ მონასტერს («Белый монастырь»), ხოლო ადგილობრივები უბრალოდ მონასტერს ეძახდნენ საქართველოს გასაბჭოებამდე მოქმედებდა და საბოლოოდ XX საუკუნის 30-იანი წლების იმ ანტირელიგიურ ისტერიას შეეწირა, რომელიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა.

ამრიგად, სოლადაშვილების საძვალე კაბენში დღეისათვის მთლიანად განადგურებულია. საფლავების არანაირი კვალი არ არის.

## § 5. გენეალოგია

### სიმონ იორამის ძე სოლადაშვილი

ზაზა სოლადაშვილის ერთი ძმა რუსეთში ყოფილა გაგზავნილი, ნაკლებად არის ცნობილი რუსეთის იმპერიაში მოღვაწე გენერლის, წარმოშობით ქართველის, თავად სიმონ სოლოდაშვილის (რუსულად: Семен Иванович Салагов) ბიოგრაფია (გოგიტიძე, 2006). სიმონი, საფლავის ქაზე გაგეთებული წარწერის მიხედვით, 1756 წელს დაბადებულა.

ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა სიმონ სოლადაშვილი რუსეთში, არ გვაქვს. საინტერესო ინფორმაციაა დაცული ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის (1798-1800 წწ.), ისტორიკოსის, პლატონ იოსელიანის, თხზულებაში. იგი თავად ზაზა იორამის ძე სოლადაშვილის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ მისი ერთი ძმა „რუსეთისა კარზე ცერემონიასტერია“ (პლატონ იოსელიანი, 1936), ანუ ქართლ-კახეთში იმ დროს ცნობილი იყო, რომ სიმონი რუსეთის საიმპერატორო კარზე, კერძოდ, სასახლეში იმყოფებოდა. საგარაუდოა, რომ სიმონი სწორედ ქართველ მეფეს გაეგზავნა პეტერბურგში. ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ოფიციალურად არ ყოფილა ამანათობის (პოლიტიკური მძევალი) ინსტიტუტი, მაგრამ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამანათობა გარკვეული ფორმებით არსებობდა (ჟუჟუნაშვილი, 2011: 220-232) და შესაძლოა, სიმონიც სწორედ პოლიტიკური მძევალი ყოფილიყო რუსეთის საიმპერატორო კარზე, სადაც საკმაოდ წარმატებული სამხედრო კარიერა გაიკეთა.

რაც შეეხება სიმონის მამის სახელს, რუსები ხშირად ქართულ სახელებსა და გვარებს თავის ყაიდაზე წერდნენ, ალბათ, სიმონის მამის სახელი იორამი მათოვის უფრო გასაგები ივანეთი, ხოლო გვარი რუსული დაბოლოებით ამიტომ შეცვალეს. ასე გახდა რუსეთში სიმონ იორამის ძე სოლადაშვილი სიმონ ივანეს ძე სალაგოვი (ბოჭიშვილი, 2012<sup>ბ</sup>: 26).

საქართველოში დარჩენილმა ზაზა სოლადაშვილმა სოფ. ბორბალოში კოშკი და სასახლე ააშენა, სადაც თავის ძმებთან, იასე, იოანე და იოსებთან, ერთად ცხოვრობდა, იგი კათალიკოსის მოლარეთუხუცესი იყო. რუსეთში წასული სიმონი კი 1771 წლიდან სევსკის ქვეითთა პოლკში მსახურობდა, შემდეგ ჩერნიგოვის

მსუბუქ ცხენოსანთა პოლკში გადაიყვანეს (გოგიტიძე, 2006).

სულხან თუმანიშვილის მიერ მანუჩარისადმი გაგზავნილი ერთი წერილიდან ჩანს, რომ ზაზა სოლადაშვილი თავის ძმასთან 1797 წელს ჩასულა პეტერბურგში (ბერძნიშვილი, 1965: 146).

სიმონ სალაგოვმა თავი გამოიჩინა 1787-1791 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში, პერძოდ, 1788 წელს ხოტინის ციხის გარემოცვის მონაწილე იყო. იგი ხოტინის ციხის ჩაბარების თაობაზე თხმალო ჰასან ფაშასთან გაგზავნეს, რასაც ბრწყინვალედ გაართვა თავი.

1789 წლიდან პოლკოვნიკი სიმონ სალაგოვი კავკასიის არმიაში იმყოფებოდა, შემდეგ კი სუმის მსუბუქ ცხენოსანთა პოლკში მსახურობდა. 1796 წლის 16 ივნისს მას გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა. 1797 წლის 16 ივნისიდან 1798 წლის 22 აპრილამდე სმოლენსკის დრაგუნთა პოლკს ხელმძღვანელობდა, 1798 წლის 9 სექტემბრიდან 1800 წლის 12 იანვრამდე ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის მეთაურია.

სიმონ სალაგოვმა დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის იმპერიის სამხედრო იუსტიციის საქმიანობაში. კერძოდ, მან თანამოაზრებთან ერთად ჩამოაყალიბა აუდიტორული უწყება, რომელიც რუსეთის იმპერიის სამხედრო პროკურატურის წინამორბედი იყო. სალაგოვის რჩევებს ითვალისწინებდა იმპერატორი პავლე I (1796-1801 წწ.). 1800 წლიდან იგი თადარიგში იმყოფებოდა, იმავე წლიდან გარდაცვალებამდე სენატორი იყო (გოგიტიძე, 2006).

სიმონ ივანეს ძე სალაგოვი დაჯილდოებული იყო წმინდა ალექსანდრე ნეველის, წმინდა ვლადიმერის მეოთხე და მეორე ხარისხის, წმინდა ანას პირველი ხარისხის (ალმასებით) ორდენებით და წმინდა იოანე იერუსალიმელის ორდენის (კომანდორთა) ჯვრით. სიმონ სალაგოვი 1820 წლის 4 თებერვალს გარდაიცვალა, დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრის ნეკროპოლში, მეუღლის, მართა თევდორეს ასულის, გვერდით.

### ბაგრატ სოლადაშვილი

XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისის მოდვაწეობდა ბაგრატ სოლადაშვილი. იგი მოსკოვში არჩილ II-ის კარზე მწიგნობარი და მთარგმნელი

იყო, მან 1692-1706 წლებში ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა „ხრონოლორაფი“, ანუ მსოფლიო ისტორია დასაბამითგან კონსტანტინოპოლის დაცემამდე (1453 წელი) (ქსე, 1985; 458). როდესაც 1700 წელს არჩილის ძე ალექსანდრე შვედებს ჩაუგარდათ ტყველ, არჩილს თავიდან ეგონა მალე გაცვლიდნენ სხვა ტყველებში, მაგრამ ასე არ მოხდა. მან შვედეთის მეფე კარლ XII-ს (1697-1718 წწ.) წერილი მისწერა თხოვნით, რომ იქნებ ალექსანდრე გაეთავისუფლებინა და სხვა ტყველებში გაეცვალა. ეს წერილი სტოკოლმში ათონის მონასტრის ბერმა, ბაგრატ სოლოდაშვილმა, წაიღო. ალექსანდრე მამას სიხარულით ატყობინებდა, რომ „კოროლი თანახმა იყო გაეცვალა ოც კაპიტანზე, ოც პორტიკზე და ოც პრაპორშტიკზე“, მაგრამ საქმე გაცვლამდე რომ მივიდა, შვედებმა უარი თქვეს ქართველი უფლისწულის გათავისუფლებაზე. ალექსანდრე შვედების ტყვეობაში 1711 წელს გარდაიცვალა (ტატიშვილი, 1959: 217).

### გერონტი სოლადაშვილი

საინტერესოა გერონტი სოლადაშვილის ცხოვრება, რომელიც XVIII საუკუნეში მოდგაწეობდა შიომდგიმეში (იოსელიანი, 1845;). მოგვიანებით, XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებში, ერეკლე II-ის კარის არქიმანდრიტულფილი მდვდელმონაზონი გერონტი სოლადაშვილი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის „ბერთა კრებულს შემატებია“ (მენაბდე, 1962: 195) წყაროების მონაცემების მიხედვით, გერონტი გარეჯში 1788-1796 წლებს შორის უნდა დამკვიდრებულიყო (მენაბდე, 1962: 195). იგი არამარტო კალიგრაფი, არამედ მწერალიც ყოფილა. ცნობილია მისი იამბიკოები; აღსანიშნავია 1801 წელს დაწერილი თხზულება „ნაცვალსიტყვაობა“, რომელიც ავტორს მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „განათლების საქმეში მცირეოდენი წვლილის შეტანის მიზნით“ დაუწერია. გერონტი სოლადაშვილი, პ. კარ-ბელაშვილის აზრით, 1813 წელს გარდაცვლილა (კარბელაშვილი, 1898: 80).

## § 6. თავად სოლადაშვილების გერბი

თავად სოლადაშვილების გერბი სხვა ფეოდალური საგვარეულოების გერბების მსგავსად, გვიან პერიოდში XIX საუკუნეები უნდა იყოს შექმნილი. იგი, ისევე როგორც მელიქიშვილების გერბი, შეტანილია 1922 წელს პ. ციხინსკის მიერ გავკასიური წარმოშობის წარჩინებული საგვარეულოების გერბების ხელნაწერ კრებულში «Кавказский Гербовник» (ასათიანი, 2010: 8-9).

### გერბის აღწერილობა:

გადაკვეთილი ფარის ქვედა ნაწილი ორად არის გაკვეთილი. ფარის ზედა ნახევარში – შეფოთლილი ხე და ჯოხზე თუ ხმალზე დაყრდნობილი მამაკაცის ფიგურა, ქვედა მარჯვენა ნაწილში – დია ჭიშკრიანი ციხე-კოშკი, ქვედა მარცხენაში კი – შემართული აღმოსავლური ხმლის მპყრობელი აღმოსავლურადვე შემოსილი მამაკაცი; ფარს გარს აკრავს სათავადო გვირგვინიანი სათავადო მოსასხამი“ (ციხინსკი, 1922). იხ. დანართი. გერბის გადამუშავებულ და გაფერადებულ ვარიანტს გვთავაზობენ გიორგი ზაგაშვილი და მალხაზ ციბაძე (ზაგაშვილი, ციბაძე, 2006: 83) იხ. დანართი.

## თავი IV

### დოლენჯიშვილების სათავადო

#### § 1. გვარის წარმომავლობა

დოლენჯიშვილების სათავადოს ისტორიაც, კვლევის საგანი არ გამხდარა. დოლენჯიშვილების სათავადო ქვემო ქართლში XVI-XVIII საუკუნეებში არსებობდა. თავადი დოლენჯიშვილი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ქართველ თავადთა სიებში მე-15 ადგილზე მოიხსენიება (სამართლის ძეგლები, 1965: 11). იოანე დოლენჯიშვილის გარდაცვალების (XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი) შემდეგ, დოლენჯიშვილების სათავადო ფაქტობრივად გაუქმდა, სათავადო მამულები და შემოსავალი საგინაშვილმა მიიღო, ნაწილი სიძეს – ნინია ამილახვარს დარჩა (ბოჭიშვილი, 2007: 465-474). დოლენჯიშვილები წარმოშობით მესხეთიდან იყვნენ. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „დოლენჯიშვილი აწესმოსულნი მესხიდამ“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 34) იოანე ბაგრატიონიც ამასვე ადასტურებს, იგი აღნიშნავს, რომ „ესენიც არიან ძირით სომხითის (გულისხმობს ქვემო ქართლს. ა.ბ.) თავადნი და მიიღეს გვარად სახელისა გამო დოლენჯისა მეფობასა ვახტანგისასა ქრისტეს აქეთ 1703 წელს<sup>1</sup> და მუნიდგან იწოდებიან დოლენჯის შვილებად. ამათნი წინაპარნი ცნობილნი იყვნენ დროსა მეფისა სვიმონისასა<sup>2</sup> წელსა ქრისტეს აქეთ 1624 და მათი გვარი, რომელნიმე არიან ახალციხის ნაწილთა შინა“ (იოანე ბაგრატიონი, 1997, გვ. 35).

დოლენჯიშვილების მესხურ წარმოშობას ადასტურებს „პარიზის ქონიკა“ და „ახალი ქართლის ცხოვრება“, სადაც 1576 წელს მესხეთში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება დოლენჯიშვილი ყანდურალი (შარაშიძე, 1961: 43;

<sup>1</sup> 1703-1712 წლებში ვახტანგი ქართლის ჯანიშინი იყო, იგი მეფე 1716-1724 წლებში იყო.

<sup>2</sup> იგულისხმება ქართლის სიმონ II (1619-1630 წწ.), იგივე სიმონ-ხანი.

პარიზის ქრონიკა, 1980: 46; პარიზის ქრონიკა, 1991: 97. ახალი ქართლის ცხოვრება მესამე ტექსტი, 1959)

სამცხეში XVI საუკუნეში ერთმანეთის ადგილობრივი თავადები და მთავრები, ჯაყელები დაუპირისპირდნენ. ათაბაგ ქაიხოსრო II-ის (1545-1574 წწ.) გარდაცვალების შემდეგ, მთავარი მისი შვილი უვარეულებელი IV (1574-1581 წწ.) გახდა, მაგრამ სამთავროს, ფაქტობრივად, დედამისი, დედისიმედი განაგებდა. ჯაყელების შემდეგ პირველები შალიკაშვილები იყვნენ, დედისიმედი შალიკაშვილების ძლიერებას ვერ ურიგდებოდა, ამიტომ 1574 წელს ვარაზა ოთარის ძე შალიკაშვილი მოაკვლევინა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ათაბაგსა და შალიკაშვილებს შორის. მალე შეთქმულებამ იჩინა თავი, შეთქმულები კი 1576 წლის ივნისში აჯანყდნენ (გუჩა, 1973: 125-126.).

დოლენჯიშვილები ჯაყელების მხარეს იბრძოდნენ, ყანდურალი დოლენჯიშვილმა ჯაყელებს ამ დაპირისპირების დროს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია. ერთხელ აჯანყებულმა – დიასამიძეებმა, ამატაკისშვილებმა, ბედანისშვილებმა და იობიძეებმა, განიზრახეს ჯაყელებს დასცემოდნენ და ერთიანად ამოეწყვეტათ. მათი ამ განზრახვის შესახებ ფანასკერტელმა შეიტყო და უგუბოში მყოფ ყანდურალი დოლენჯიშვილს შეატყობინა. „წარმოვიდა ყანდურალი და აცნობა ბატონებსა“, ჯაყელებმა თავდამსხმელებს გაასწრეს (ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი).

აჯანყებულებსა და ათაბაგებს შორის წარმოებულმა, თითქმის ოცოვიანმა ომმა, დიდი ზიანი მიაყენა მესხეთს, ამას ისიც დაემატა, რომ სამცხის მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალეთმა დაიპყრო და 1579 წელს ახალციხის (ახისხის, ჩილდირის) საფაშო დაარსა (სვანიძე, 1971: 133). ადგილობრივი დიდებულების ნაწილი (ზოგი ოსმალების, ზოგიც ჯაყელების წინააღმდეგ მებრძოლნი) იძულებული გახდნენ, სამცხე-საათაბაგო დაეტოვებინათ და აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსულიყვნენ, სადაც ახალი საგვარეულოები და სათავადოები დაარსეს. ქართული ფეოდალური ტრადიციის მიხედვით, თუ თავადი სხვა ქართულ სამეფოში, ან სამთავროში გადავიდოდა ერთი რანგით დაბლა აღმოჩნდებოდა. როგორც ჩანს, მესხეთიდან გადმოსული თავადები (შალიკაშვილები, დიასამიძეები, დოლენჯიშვილები და სხვ.) ამ კანონის „მსხვერპლნი“ გახდნენ. უფრო ადრე, XV საუკუნეში, გადმოდიან მესხეთიდან ფანასკერტელ-ციციშვილები. კერძოდ ზაზა ფანასკერტელის დროს, რომელიც უვარეულებელი II-ს (1451-1498 წწ.) ებრძოდა.

საინტერესოა 1520-იანი წლებში შედგენილი ერთი ოსმალურ დოკუმენტი, სადაც საქართველოზე გამავალი სამხედრო გზაა აღწერილი. სამარშრუტო ცენტრებს, მიმდებარე ციხეებსა და დასახლებებს შორის ყანდურალის მამულიც არის აღწერილი.

„გზა საქართველოს ქვეყნისკენ ბინგიოლის სახელით ცნობილი იალალიდან გადის ბასიანის დაბლობზე... როგორც კი საქართველოს ტერიტორიაზე ფეხს დაადგამ, მარჯვენა მხარეს საზღვარი გასდევს უსჯულო ყვარყვარებს<sup>3</sup> აზნაურთაგან<sup>4</sup> ყანდურალად წოდებულის მამულს. ის ადგილები მისი მამულია. 200 სოფელია ქუფის ციხიდან<sup>5</sup> ვიდრე საფნიქის სახელით ცნობილი ადგილის გასწვრივ მიაღწევდე. ის ქუფი პატარა ციხეა. აქვს რამდენიმე ციცაბო საბრძოლო ადგილი, მაგრამ ძლიერი დარტყმის გადამტანი კი არ არის. აქ მდებარე სოფლების კი აზონის შვილებად ცნობილი აზნაურებისაა.<sup>6</sup> ზოგიერთი კი ყვარყვარებს სახასოა. ყანდურალიც მხოლოდ შობილი როდია. მას რამდენიმე მმა უნდა ჰყავდეს (თურქული წყაროები, 1983: 54).

არზრუმის 1539 წლის იჯმალ (მოკლე) დაგთარში რეგისტრირებული ყოფილა ზიმი (ქრისტიანი) ყანდურალი, სოფ. მაწალახეთში (ზიგინის ნაპიე, მდებარეობს სარიყამიშის ჩრდ. ნაწილში, ბარდუსის ხეობაში) (თურქული წყაროები, 1983: 43-44).

XVI საუკუნის 60-იან წლებში კი ოლთისის მკვიდრი ზიმი ყანდურალი საქართველოს და ირანის ამბებს ატყობინებდა სულთანს და ამგვარი სამსახურის სანაცვლოდ მას 300 ახჩა შემოსავლიანი მიწა უბოძეს (თურქული წყაროები, 1983: 44).

1595 წელს შედგენილ გურჯისატანის ვილაიეთის დიდ დაგთარში იხსენიება აზნაური ყანდურალი, იგი ფანაკისა და ფანასკერტის რაიონში ფლობს საყანე, საიონჯე, საბამბე მიწას, ვენახსა და წისქვილს (გურჯისტანის დაგთარი, 1941: 337,

<sup>3</sup> ყვარყვარე III სამცხის ათაბაგი (1516-1535 წწ.).

<sup>4</sup> საბუთში სოციალური ტერმინებიდან მირითადად სწორედ აზნაური იხმარება, თუმცა დოკუმენტში მოხსენიებული ყანდურალი, სურხანი, როსტომი თუ ელიზარი ყველანი იმ ფერდალული სახლების შვილები არიან, რომლებიც შემდეგ მცხეთის საკათალიკოსო მამულებში თავადებად არიან დასახლებული (იხ. თურქული წყაროები, 1983: 45).

<sup>5</sup> პროფ. ჯ. ბაქუ-გრამონი ვარაუდობს, რომ ეს ციხე არზრუმის ადმოსავლეთით მდებარე Künbüük-ია, მის აზრს იზიარებს პროფ. ცისანა აბულაძე (იხ. თურქული წყაროები, 1983: 65 შენ. 69). საინტერესოა ეს ხომ არ არის ქართულ საისტორი წყაროებში დასახლებული ტოპონიმ უგუბოს დამახინჯებული ვარიანტი? „აცნობა უგუბოს დოლენჯის-შვილს ყანდურალის“.

<sup>6</sup> ცისანა აბულაძის აზრით, ავტორი – აქ შეიძლება გულისხმობდეს ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის ერისთავად დადგენილ აზონს, იარდოსის ძეს, რომელიც მივიდა კლარჯეთს და გამაგრდა სიმაგრეთა შინა კლარჯეთისასა. (თურქული წყაროები, 1983: გვ. 65 შენ. 71).

378, 381, 387).

როგორც ჩანს, ყანდურალი დოლენჯიშვილების საგვარეულო სახელი უნდა იყოს. ზემოთ მოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით, პროფ. ცისანა აბულაძე ვარაუდობს, რომ „იმ ფეოდალური სახლის შვილთაგან, რომლის საგვარეულო სახელი ყანდურალი იყო, ნაწილი ოსმალთა სამსახურში ჩამდგარა, ნაწილი კი გადასახლებულა ქართლში (თურქული წყაროები, 1983: 44). ამიტომ წერს ვახუშტი ბატონიშვილი – „დოლენჯიშვილი აწ ჩამოსულნი მესხიდამ“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: გვ. 34).

იოანე ბატონიშვილს თუ დავუჯერებთ, დოლენჯიშვილები ქართლში XVII საუკუნის 20-იან წლებში, სიმონ II-ის მეფობის (1619-1630 წწ.) დროს უნდა გადმოსულიყვნენ. ეს დრო მესხეთში ოსმალების გაბატონებას ემთხვევა. საგარაუდოდ, როდესაც მანუჩარ III-მ (1607-1626 წწ.), მესხეთი დატოვა და თავისი მცირე რაზმით 1624 წელს ქართლში გადმოვიდა, თანმხლებ მესხ დიდებულებს შორის იყო დოლენჯიშვილიც. სწორედ ამიტომ, იოანე ბატონიშვილი დოლენჯიშვილების ქართლში გადმოსვლის თარიღად 1624 წელს ასახელებს. ჩანს იოანე ბატონიშვილი სარგებლობს სათანადო წყაროებით და ამდენად, მისი მოსაზრება სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს, მან ზუსტად იცის, რომ დოლენჯიშვილის გადმოსვლა მანუჩარ III-ს უკავშირდება. მოგვიანებით, ვახტანგ VI-ის ჯანიშნობის დროს (1703-1712 წწ.), 1703 წელს დოლენჯიშვილებს თავადობა მიუღიათ (იოანე ბაგრატიონი, 1997: 35.). ხოლო, მათი დაწინაურება და მამულების სამკვიდროდ მიღება, 1645 წელს, როსტომ ხანის (1633-1658 წწ.), დროს უნდა მომხდარიყო. ეს ჩანს იოანე დოლენჯიშვილის 1778 წლის ერთი არზიდან, სადაც იოანე აღნიშნავს, რომ დოლენჯიშვილებს ქვემო ქართლში მამულები უკვე „ასოცდაცამეტი წელიწადია, მამით და პაპით მკვიდრად და მამულად გვიჭირავს“<sup>7</sup> (ხევ. Hd 2241), იქვე აღნიშნავს, რომ – მამულები „ჩვენთვის როსტომ მეფეს უბოძებია და შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან დამტკიცებული გვაქვს“ (ხევ. Hd 2241). ისტორიულ საბუთებში დოლენჯიშვილები, XVII საუკუნის საბუთებში ჩნდებიან და უცრო მეტად, XVIII საუკუნის დოკუმენტებში აქტიურობენ.

ამრიგად დოლენჯიშვილები მესხეთიდან 1624 წელს მანუჩარ III-სთან ერთად

<sup>7</sup> ანუ 1778-133=1645.

გადმოდიან ქვემო ქართლში, სადაც მოგვიანებით თავადობა და მამულები მეტკვიდრეობით მიიღეს.

## § 2. დოლენჯიშვილების სათავადოს ისტორია

დოლენჯიშვილების სათავადოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ, სათანადო წყაროები არცთუ მრავლად მოგვეპოვება. სიგელებში, სადაც ჩანან, უმეტესად მოწმეებად მოიხსენიებიან. მაგ., 1703 წელს ორბელიანთა ნასყიდობის წიგნს ამოწმებს დოლენჯიშვილი დურმიშხანი (სიძველენი, II, 1909: 205), 1730 წელს დემეტრე ყაფლანიშვილის ნასყიდობის წიგნის მოწმეა გახტანგ დოლენჯიშვილი (სიძველენი, II, 1909: 395) და ა. შ.

დოლენჯიშვილებს სამამულე დავა ჰქონდათ იოთამიშვილებთან. საიოთამიშვილო მათი მოსაზღვრე სათავადო იყო. 1676 წელს ბერ დოლენჯიშვილს სახლის წინ მიწა შეუდობავს, რის გამოც იოთამიშვილებმა დავა დაუწეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბერს გზის ზევით ტერიტორია გადაეცა, ხოლო გზის ქვევით – იოთამიშვილებს დარჩათ (პირთა ლექსიკონი, II, 1993: 86). იმავე წლებში იოთამიშვილებს, დოლენჯი და მისი სახლიკაცი ზაალიც ედავებოდნენ საზღვრებს (პირთა ლექსიკონი, II, 1993: 86-87).

ქართლის სამეფო კარზე დოლენჯიშვილები უმნიშვნელო სახელოებს ფლობდნენ. 1686 წელს მეფე გიორგი XI-მ (1675-1688; 1703-1709 წწ.) ზაალ დოლენჯიშვილს ყაიყულის<sup>8</sup> მებალახეობა<sup>9</sup> უბობა. „შეგიწყალეთ და გიბოძეთ ამასალათ ყაიყულის საბალახოს მკრეფელობა“ (სიძველენი, II, 1909: 103; სამართლის ბეგლები, II, 1965: 230).

ყაიყული ქართლის სამეფოს დასავლეთ, და ახალციხის საფაშოსთან მოსაზღვრე პროვინციას წარმოადგენდა, ყაიყულის დასავლეთით უკვე ჩილდირის მხარე

<sup>8</sup> ყაიყული ქვემო ქართლის ერთ-ერთი მხარეა, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით ყაიყული შეესაბამება აბოცს, რომელსაც ძველად პალაკაციოსაც ეძახდენ. იგი „გამოხვეულია სრულიად მთითა და შუაში ვაკეა“. (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973). აბოცს ტაშირისაგან იმგვარადვე, როგორც ბერდუჯს, ანუ დებედას ბამბაკისაგან ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული (ჯავახიშვილი, 1919)

<sup>9</sup> მებალახე გადასახადის ამკრეფი მოხელე იყო, ეჭვემდებარებოდა სახლთუხუცესს (გაბაშვილი, 1942: 165-169).

იყო, რომელიც დოლენჯიშვილების მესხეთში ყოფნის დროს მათი სამკვიდრო მამული იყო. სავარაუდოდ ამიტომ, თავისი მამულთან ახლოს, იღებდნენ სამოხელე-ოდ ტერიტორიებს. სწორედ დოლენჯიშვილების ხელში იყო ამ მხარეში, გადასახადების აკრეფა, და სავარაუდოდ მოურავობაც.

ვახტანგ V-ის გარდაცვალების შემდეგ კახეთში ყიზილბაში ბეჭან-ხანი დასვეს. ამის შემდეგ კახეთს ყიზილბაში ხანები ჩაუდგნენ სათავეში. ვახტანგის მიერ ფაქტობრივად გაერთიანებული აღმოსავლეთ საქართველო დაიშალა, ქართლში მისი ძე გიორგი XI (შაჰნავაზ II) გამევდა. ეს უკანასკნელი შაჰისადმი დიდ მორჩილებას არ იჩენდა, ამიტომ შაჰმა იგი გადააყენა და მის მაგიერ რუსეთიდან დაბრუნებული და ახლად გამუსლიმებული ერეკლე I ანუ ნაზარალი ხანი (1688-1703 წწ.) დანიშნა. ნაზარალი ხანმა ჩამოართვა დოლენჯიშვილს ყაიყულის მოურავობა და ქაიხოსრო საგინაშვილს გადასცა (ხუბუა, 1949: 26).

შემდგომში, როგორც ერთ-ერთ საბუთშია აღნიშნული, ქაიხოსრო საგინაშვილს მეფისთვის უდალატია, ამიტომ „ჩამოერთვა ხასადრობა ხსენებული (ყაიყულისა) მხარისა და ტარულობა სოფლებისა ყიზილქილისისა და ურთულისა და ბოძებულია შეწყნარების თანაგრძნობით წარჩინებულთა შორის რჩეულ ოთარ ბეგისადმი, სიდიადის საფარველ ასლან ბეგ ბარათაშვილის ძისადმი (ხუბუა, 1949: 26). თუმცა ნაზარალი ხანმა დოლენჯიშვილები ამ მხარეს სულ არ მოაშორა, 1692 წელს ყაიყულში ერთი სოფლის, ბეთლემის მოურავობა იასე დოლენჯიშვილს უბობა (სიძველენი, II, 1909: 359).

გიორგი XI რამდენიმე წლის განმავლობაში განაგრძობდა ტახტისთვის ბრძოლას, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ, იგი თანამოაზრებითან ერთად, რომელთა შორის იასე დოლენჯიშვილის ერთ-ერთი ვაჟი არსენიც იყო, ირანში წავიდა. სპარსეთში გიორგი ყანდაარის ბეგლარბეგად დაინიშნა გურგენ-ბეგის სახელით. მას საუკვიდ მოეწვენა გილზაების ტომის ბელადისა და ქალაქ ყანდაარის მემკვიდრეობითი ქალანთარის – მირვეისის საქმიანობა და გავლენა ხალხზე, ამიტომ ავდანეთში შაჰის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით მირვეისი დააპატიმრა და გასასამართლებლად შაჰთან გაგზავნა (კაციტაძე, 2001: 409). მირვეისმა შაჰის კარზე ყველა მოქრთამა, მათ შორის, გურგენ-ხანის ძმა ირანის მდივანბეგი ლევანიც. ამ უკანასკნელმა ძმას წერილი მისწერა, რომელშიც ცდილობდა დაესაბუთებინა მისთვის მირვეისის უდანაშაულობა. ამას დაემატა 1708 წელს სომეხი დიპლომატის

ისრაელ ორის რუსეთის ოფიციალური ელჩის სახით ირანში ჩასვლა, რის გამოც შაპს ქართველებისა და სომხების ერთგულების მიმართ ადრე გაჩენილი ეჭვი კიდევ უფრო გაუძლიერდა. ამით ისარგებლა მირვეისმა და თავისუფლებას ადვილად მიაღწია.

მირვეისმა მალე, 1707 წელს, აჯანყება დაიწყო მისმა ჯარებმა დაიკავეს ყანდაარი, ამოწყვიტეს შაპის გარნიზონი, მოკლეს ბეგლარბეგი გურგენ-ხანიც (კაციტაძე, 2001: 409-410). დამარცხებული ქართველები გირშების ციხეში იყვნენ, აჯანყებულებმა ციხე ალყაში მოაქციეს, მირვეისი ალყაში მოქცეულების მოსყიდვას ცდილობდა და ამიტომ არსენ დოლენჯიშვილს ფქვილს უგზავნიდა. „აქა იხილე ზაკულება, რამეთუ მირვეისი არსენს დოლენჯიშვილს უვლინებდა საკმაოსა ფქვილსა“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 487). 1711 წელს მირვეისთან ბრძოლას შეეწირა გიორგი XI-ის ძმა, სპარსეთის ამირსპასალარი ქაიხოსრო და ბატონიშვილი ალექსანდრე. საბოლოოდ მირვეისი შაპმა და მისმა მოხელეებმა ვერ დაამარცხეს, იგი სიკვდილამდე (1715 წ.) დამოუკიდებელ მმართველად დარჩა (კაციტაძე, 2001: 409-410).

გიორგი მეფესთან სამსახური მოგვიანებით გაიხსენა თვითონ არსენ დოლენჯიშვილმა, რომელიც ავდანეთიდან დაბრუნების შემდეგ მანგლისის ეპისკოპოსი გახდა. 1713 წლის 29 მარტის დალის ამოკვეთის წიგნში არსენი ასე ახასიათებს თავის თავს: „დიდად სახელოვნის და წამებულის მეფეთ-მეფის გიორგის ნამსახურმა და ყანდაარს თან ნაახლმა საჭეომპყრობელ მმართებელმან, მანგლელ მთავარეპისკოპოზმა დოლენჯიშვილმა ბატონმა არსენ ესე საბოლოოთ სითარხნის წიგნი გიბოძე თქვენ – მანგლისელებს მოყალნების“ (სამართლის ძეგლები, III, 1970: 694; ხახანაშვილი, 1891: 24-25; ფურცელაძე, 1882: 10; ფურცელაძე, 1881: 10).

მანგლისის ეპისკოპოსმა, არსენ დოლენჯიშვილმა, 1721 წელს საჯავახოში მანგლისის მამულების, ზაგვის, ფიცესის, კრკონის და ქვენადრისის მოურავობა გეგუბაშვილებს უბობა (სამართლის ძეგლები, III, 1970: 701).

დოლენჯიშვილების ძირითადი სამფლობელოები დმანისის ხეობაში იყო. 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერის მიხედვით, მებატონებად არსენ დოლენჯიშვილის სახლიკაცები ზაალ და იოთამ დოლენჯიშვილები ჩანან.

ზაალ დოლენჯიშვილს ყმები პყავდა სამდერეთსა და აკაურთაში, სულ 14 კომლი, ორი ბოგანო და ერთი აზნაური (აკაურთაში) შიომ ბუში მოლაშქრე

(აღწერა..., 1907: 71-72.).

იოთამ დოლენჯიშვილს უმები ჰყავდა სამდერეთში, ახალშენსა და აბულმაგში, სულ 6 კომლი და ერთი ბოგანო.

მთლიანობაში, სულ რაღაც ოთხ სოფელში, კერძოდ: აბულმაგში, აკაურთაში, ახალშენსა და სამდერეთში – დოლენჯიშვილებს 20 კომლი გლეხი, 3 ბოგანო, 1 მოლაშქრე და 1 აზნაური ჰყავდათ (აღწერა..., 1907: 71-72). მეტინავე სადროშოს აღწერაში შეცდომა ნაკლებად სავარაუდოა, არადა ასეთი მცირე რაოდენობით უმები სათავადოსთვის საეჭვოდ ჩანს. შესაძლოა დოლენჯიშვილებს მამულები უმების ნაწილი მათ სამკვიდრო ყაიყულშიც ყოფილიყო.

1729 წელს იოთამ დოლენჯიშვილმა და მისმა ძმებმა გივი და დოლენჯისთან ერთად „ებყას ვენაჭის ნახევარი“, ბოლნისი და „ნაზარაშვილის მიწა ბანს უკან“ თავიანთ მამას იობს მიჟყიდეს (სიძველენი, II, 1909: 349). 1733 წელს გივიმ იობ დოლენჯიშვილს „საყდარის ერთი დღის მიწა“ მიჟყიდა (ხევ. სd 2002). 1737 წელს იობისთვის მიჟყიდული მამული და სხვებიც ელიზბარ ყაფლანიშვილისთვის მიუყიდიათ, „თავისის მამის ბაღი, იობის ნასახლარი; ებყას წილი ვენახი; მამაგორის მიწა; ებყას ბოლნისის ერთი დღის მიწა და მაზმანისშვილის ვენაჭი. ესები... იობ დოლენჯიშვილისთვის მიეცათ, მერე სხვა რაც მამული პქონდათ, მე ელიზბარს მომყიდეს (სიძველენი, II, 1909: 395).

იოთამ დოლენჯიშვილმა, 1736 წელს შენარაშვილ ოთარს და მის ძმას ასლანს ვენახი, თავისი საწნახელით, მიჟყიდა. „მოგყიდე ჩემი მკვიდრი მამული ვენაჭი სარუხანაშვილისა ზეით. სტეფანის შვილის სამზღვრამდი. ზეით გზის პირამდი თავის საწნახლითა შესავლითა და გასავლითა“ (ხევ. სd 14271). 1737 წელს იოთამმა ელიზბარ ყაფლანიშვილს აბულმაგის მამულები გაუცვალა (ხევ. სd 2287).

1750 წლის პირობის წიგნი, რომელსაც ზაზა ზაზუნაშვილი დავით გოსტაშაბიშვილს აძლევს, დეკანოზ მიქელ დოლენჯიშვილს დაუწერია (სიძველენი, I, 1920: 143). 1780 წლის 31 იანვარს გერმანოზიშვილი ერასტი უჩიოდა ყაფლანიშვილ ზაალს და ზურაბს. ერასტის ბიძას პაატას ყაფლანაანთვის მიწა მიუყიდია. ნახევარი ერასტის ბებიას გუქას გამოუსყიდია, მაგრამ მოგვიანებით გაუქარცვავთ და სხვა ნივთებთან ერთად ეს საბუთიც დაუკარგავთ. მოწმედ ყოფილა დეკანოზი მიქელ დოლენჯიშვილი. ამ უკანასკნელმა დაიფიცა, რომ აღნიშნული საბუთი

მართლაც არსებობდა და ქალბატონი გუქა მისი დაკარგვის გამო დიდად სწუხდათ (სიძველენი, I, 1920: 147-148; სამართლის ძეგლები, V, 1974: 100).

1728 წლის რამაზაშვილის მიერ ზურაბ ზურაბიშვილისთვის მიცემული თავდახსნილობის წიგნში მოწმედ მოიხსენიება იოანე დოლენჯისშვილი მოლარეთუხუცესი (სიძველენი, III, 1910: 21).

1741 წელს ვახტანგ დოლენჯიშვილი თავის ყმას, ლასურს, ახალშენის ვენაჭს ედავებოდა, „შენ, რომ ტფილელს მიგყიდე... ახალშენი, შენი სამკვიდრო არ იყო და ამიტომ არც გამიტანებიაო“. სასამართლომ იმსჯელა და ახალშენი ვახტანგს მიაკუთვნა (სამართლის ძეგლები, 1974: 352).

1750 წლის ერთ სიგელში მოიხსენიება ანჩის კანდელაკი დოლენჯი (ჟორდანია, 1903: 272). საბუთში არ არის მითითებული, რომ ეს დოლენჯი დოლენჯიშვილია, მაგრამ სახელი საგვარეულოა და, გარდა ამისა, ამ პერიოდში ორი დოლენჯი ჩანს საგვარეულოში. 1681-1721 წლების საბუთებში მოიხსენიება დოლენჯი, რომელიც ყაიყულის მებალახე ზაალის სახლიკაცი იყო (სიძველენი, II, 1909: 103; სამართლის ძეგლები, II, 1965: 230) და მეორე, რომელსაც ჰყავს მამა იობი, მმები გივი და იოთამ დოლენჯიშვილები (სიძველენი, II, 1909: 349).

ასე რომ, საერო თუ სასულიერო თანამდებობები (ყაიყულის მებალახეობა, მოლარეთუხუცესი, მანგლისის მთავარეპისკოპოსი, კარის დეკანოზი...) სხვადასხვა დროს საგვარეულოს ცალკეულ წარმომადგენლებს ეკავათ და ისინი მემკვიდრეობით არასოდეს გადასულა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დოლენჯიშვილების საგვარეულოს სათავეში იოანე ჩანს, იგი იოთამ დოლენჯიშვილის ძე იყო, და მოლარეთუხუცესის თანამდებობა ეკავა.

1773 წელს, ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა თავიანთი კავშირი აღადგინეს, და ხელშეკრულების ტექსტის ასლი რუსეთში გაგზავნეს, ხელშეკრულება რუსეთის საიმპერატორო კარზე თავადმა დოლენჯიშვილმა წაიღო (ლორთქიფანიძე, 1940: 93). ეს თავადი სწორედ იოანე დოლენჯიშვილი უნდა ყოფილიყო, რადგან, იგი 1778 წლის ერთ საბუთში აღნიშნავს, რომ „რუსეთიდამ პირველად, რომ მოვალ ჯელმწიფესთან მივეღო“, საგარაუდოდ 1773 წლის მოგზაურობას უნდა გულისხმობდეს (ხევ. Hd 2241).

1778 წელს მოლარეთუხუცესი იოანე დოლენჯიშვილი მეფეს არზით მიმარ-

თავს, რომ გურჯი-რევაზიშვილი ბოქოულიშვილი კიკოლა გარდაცვლილი გოგია დოლენჯიშვილის მამულზე ედავებოდა. გოგია და იოანე ბიძაშვილები ყოფილან და არც გაყრილან. მეფეს ამ მამულების წყალობა რამდენიმე წლის წინ განუახლებია კიდეც. ამიტომ მეფემ „განაჩინა“: „აკაურთა თავეთი წილი დოლენჯიშვილს დარჩა, ამისთვის, რომ ბოქოულისშვილს არაფერი წიგნი არა ჰქონდა“ (ხევ. Hd 2241; სამართლის ძეგლები, V, 1974: 61-62.).

1783 წლისათვის იოანე დოლენჯიშვილი გარდაცვლილი ჩანს, რადგან მისი ყოფილი ყმები იულონ ბატონიშვილს მიმართავენ, „გაუცემელი ჩვენ დავრჩომილვართ... თქვენი ყმობა გვაღირსეთ, გვიშველეთ რამე და ნურავის მიგვცემთო“ (სამართლის ძეგლები, VII, 1981: 659). იოანეს მეუღლე მახია (რომელიც მოგვიანებით 1801 წ. სიძეს ომან ამილახვრის ძეს, ნინიას, უჩიოდა მზითვის თაობაზე (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 740) და ორი ასული დარჩა.

რადგან იოვანე დოლენჯიშვილს მემკვიდრე არ ჰყავდა, იოანეს ოჯახის მოვლა-პატრონობა თავის თავზე პაპუნა საგინაშვილმა აიღო. პაპუნა 1785 წლის 31 დეკემბრს ერეკლე II-ს არზით მიმართა.

„ორმოცდათი თუმანი ვალი დარჩა და ორი ქალი, ერთი ამილახორისშვილს ნათხოვნია და ჯერ უქორწინოა და მეორე ძიძასა ჰყავს. ამ ვალის და ობლებისთვის იმისი (იოვანე დოლენჯიშვილის ა.ბ.) ყმა და მამული მე მომაბარეთ ოქმითა... ახლა კი ...ციციშვილი ამილდამბარ მომედავა“.

ერეკლემ საჩივარზე მკაცრი ოქმი გამოიტანა: – დოლენჯიშვილს იოანეს ყმა და მამული რაც დარჩა, იმაზე სიტყვა არავის აქვს... თუ სიტყვა ჰქონდა ვისმე, იმის სიცოცხლეში უნდა ედავნათ, გლახა ციციშვილი ვის ჰქვიან ან ვინ არის...“. ერეკლე II-მ საგინაშვილს „ნება და ბრძანება“ მისცა ძველებურად განეკარგა დოლენჯიშვილის მამულები და ქონება (სიძველენი, I, 1899: 401). პაპუნამ 1786 წელს მამულის ნაწილის გაყიდვის უფლება ითხოვა, რათა „ობლებს გზა მისცეს“ (სამართლის ძეგლები, VIII, 1985: 776-777; სიძველენი, I, 1899: 401-402). 1787 წელს მან მართლაც გაყიდა იოანეს გლეხები, „ასე რომ, მისის უმაღლესობისაგან მებძანა იმისი ყმისა და მამულის გასყიდვა და იმის ვალებში მიცემა“ (სიძველენი, I, 1899: 402), იმავე წელს საგინაშვილმა მიღახვარ ბაბანაშვილს იოვანე დოლენჯიშვილის სამკვიდრო ლალაფეროზაშვილი ნასყიდა და ბერუა მიჰყიდა (სიძველენი, I, 1899: 402).

იოანე დოლენჯიშვილის გარდაცვალების (XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი) შემდეგ, დოლენჯიშვილების სათავადო ფაქტობრივად გაუქმდა, სათავადო მამულები და შემოსავალი საგინაშვილმა მიიღო, ნაწილი სიძეს – ნინია ამილახვარს დარჩა.<sup>10</sup>

---

<sup>10</sup> შემორჩენილია იოანე დოლენჯიშვილის ასულის – ანას მზითვის წიგნი, სადაც უამრავი ნივთია ჩამოთვლილი (სიძველენი, I, 1899: 403-408).

## დასკვნა

ბოლო პერიოდამდე, ქვემო ქართლის სათავადოების კვლევაში ძირითადი ადგილი, მხოლოდ ბარათაშვილების და მისი შტო-გვარების შესწავლით შემოიფარგლებოდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილების გარდა ქვემო ქართლში სხვა სათავადოებიც არსებობდა, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში დაწინაურდნენ.

ნაშრომში „ქვემო ქართლის მცირე სათავადოები (მელიქიშვილი, სოლადაშვილი, დოლენჯიშვილი)“ სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორების მცდელობას წარმოადგენს. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად გამოკვლეულია ქვემო ქართლის სამი ისეთი სათავადოს ისტორია, რომლებიც ბარათაშვილების შტოს არ წარმოადგენენ. მათი საკითხი აქამდე მეცნიერეულად არ ყოფილა შესწავლილი.

განხილული სამივე სათავადო მცირე სათავადოა, მაგრამ, მათ შორის არ-სებული განსხვავების გამო პირობითად, სათავადოების დაყოფა მაინც შეიძლება. მათგან შედარებით დიდია – მელიქიშვილების, საშუალო – სოლადაშვილების, და მცირე – დოლენჯიშვილების სათავადო.

მელიქიშვილოების საგვარეულოს შესწავლისას გვერდი ვერ ავუარეთ სამხრეთ კავკასიაში მელიქის თანამდებობის შესწავლას. როგორც კვლევისას აღმოჩნდა მელიქის სახელომ, სხვადასხვა მნიშვნელობით, სხვადასხვა მდგომარეობით და სხვადასხვა უფლებით კავკასიაში, გვიან ფეოდალურ ხანაში მოიკიდა ფეხი და ყველგან ირანის გავლენით გაჩნდა.

XVII-XVIII საუკუნეებში ყარაბაღში არსებობდა მელიქების ხუთი სახლი, მათ პქონდათ გარკვეული სახელმწიფოებრივი ელემენტები. ყარაბაღის სამელიქოებს გააჩნდათ გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი „ხამსა“, რაც არაბულად ხუთეულს ნიშნავს. ხამსას სამელიქოებს თავისი ჯარიც პყავდათ, პქონდათ გარკვეული საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ყარაბაღში „მელიქი“ შაპისაგან ადგილობრივი ფეოდალებისათვის მიცემული ტიტული და გარკვეული სახის ავტონომიურობა იყო. აღნიშნული სამელიქოები ყარაბაღის სახანოში მდებარეობდა და ადგილობრივი, ყარაბაღის, ხანის ხების ამსრულებელი იყო.

ხამსაში გაერთიანებული იყვნენ: მელიქ ბეგლარიანი (გულისტანის პატრონები); მელიქ ისრაელიანი (ჯრაბერდის პატრონები); მელიქ ჰასან-ჯალალიანი (ხაჩენის პატრონები, ხამსას საბჭოს ხელმძღვანელი); მელიქ შაჰნაზარიანი (ვარანდის პატრონები); მელიქ ავანიანი (დიძაკის პატრონები).

XVIII საუკუნის ბოლოს ყარაბაღის სამელიქოები კიდევ უფრო დაემცრო და მათი უფლებები ხანის მიერ უფრო შეიზღუდა. ყარაბაღის მელიქების ნაწილი, ქართლ-კახეთის მეფის მფარველობის ქვეშ შესვლას ცდილობდა. სწორედ XVIII საუკუნის ბოლოს ყარაბაღიდან ქართლ-კახეთში თავისი ხალხით გადმოსახლდნენ მელიქი აბოვი, მელიქი ჯემშიდი, მელიქი ფრიდონი და სხვ. ქართველმა მეფებმა ისინი სათანადო პატივით მიიღეს, მამულები და ზოგიერთს თავადობაც უბოძეს.

საქართველოში ყველაზე ადრე, XVI ს. შუახანებში, თბილისის მოხელეებს შორის გაჩნდა ახალი თანამდებობა, ქალაქის მელიქის სახელო. მაგრამ აქ საქმე გვაქს ტერმინ „მელიქის“ გამოჩენასთან, თორემ ის ფუნქცია რაც ქალაქის ცხოვრებაში მელიქს ეკისრებოდა (ვაჭრობაში, საქონელზე ნიხირის დაწესებაში მონაწილეობა; ნასყიდობის საბუთების დამოწმება; ვაჭრის მსუბუქი სამართალი), მანამდე სხვა მოხელეს ჰქონდა.

მელიქის თანამდებობა საქართველოს სამოხელეო წყობაშიც მუსლიმური აღმოსავლეთის გავლენით, იყო დამკვიდრებული. თბილისის მელიქი დარჩია ბებუთაშვილიც აღნიშნავს, რომ „მელიქება აზიელთაგან არის დაწესებულიო“ (მასალები..., 1948: 95). მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც მელიქი, მეფეს ან მაღალ ხელისუფალს აღნიშნავდა, საქართველოში და განსაკუთრებით ქალაქის სამოხელეო წყობაში, მანამდე არსებულ მოხელეს, მამასახლისს, შეესაბამებოდა.

პროფ. შოთა მესხიას არასწორად მიაჩნია მოსაზრება, რომ თითქოს „XVII-XVIII სს. ტფილისის მოქალაქე სომხებს ჰქონდათ ცალკე თავისი მმართველობა და მათ საქმეებს მართავდა მელიქი“. იგი აღნიშნავს, რომ XVII-XVIII საუკუნეებში მელიქი, მხოლოდ სომებს მოქალაქეთა ხელისუფალი კი არ იყო, არამედ საერთოდ, ქალაქში მეფის მიერ დანიშნული მოხელე, რომელიც XVIII საუკუნიდან მაინც, თანაბრად განაგებდა ქალაქის მოსახლეობის ყველა ეროვნების წარმომადგენელთა საქმეებს (მესხია, 1983: 431).

ამ აზრის გასამყარებლად ჩვენ შეიძლება ისიც დავამატოთ, რომ მელიქები

ხშირად, ჯერ ქალაქის სხვა სახელოებს ფლობდნენ (მამასახლისი, ნაცვალი) და შემდეგ ხდებოდნენ მელიქები. მაგ. მელიქი გიორგი და მელიქი აშხარბეგი მელიქობამდე მამასახლისები იყვნენ, ხოლო მელიქი შერმაზან ივანგულაშვილი დაწინაურებამდე ქალაქის ნაცვალი იყო (დოკუმენტები, 1962: 19-24, 38-53, 95-96). ჩვენამდე მოღწეულ არცერთ საბუთში არ ჩანს, რომ მეფე, თანამდებობაზე დასანიშნავად, ვინმეს ეროვნების მიხედვით არჩევდეს (ბოჭიშვილი, 2011: 57). ამ ლოგიკით, მაშინ თავისი მოხელე უნდა ჰყოლოდათ თბილისში მცხოვრებ მუსლიმებს და სავაჭრო ურთიერთობებში, ასევე აქტიურად ჩართულ ებრაელებს, რაც წყაროებით ნამდვილად არ დასტურდება.

მელიქს და მამასახლისს მეფე ქალაქის მოსახლეობის ზედაფენებიდან, ან მსხვილი ვაჭრების წრიდან ირჩევდა და მათ ნიშნავდა თანამდებობაზე. მამასახლისების და მელიქების მოვალეობაში შედიოდა: ქალაქში – დუქნის, სახლის თუ სხვა „მამულის“ ყიდვა-გაყიდვის დამოწმება, ქალაქში რაც გაიყიდებოდა „ნასყიდობის წიგნზე“ მელიქის, მამასახლისის, მელიქ-მამასახლისის დამოწმება აუცილებელი იყო. მათ მოვალეობაში იყო აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგება, ქალაქში საქონელზე ნიხრის დაწესება, „ვაჭრის მსუბუქი სამართალი“ და სხვ.

თბილისის მელიქი და შემდგომში მელიქ-მამასახლისი ქალაქის მოურავს ექვემდებარებოდა. მელიქი ვაჭრების წრიდან ირჩეოდა, ხოლო ქალაქის მოურავი რომელიმე ფეოდალური საგვარულოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

ამასთან XVII საუკუნეში ქალაქში ერთდროულად ერთმანეთის პარალელურად რამდენიმე მელიქი იყო. 1672 წლის ნასყიდობის წიგნს ამოწმებენ მელიქი ენალა და მელიქი შერმაზანა (დოკუმენტები, 1962: 29). 1696 წ. 26 სექტემბრის ნასყიდობის წიგნსაც მელიქი ავთანდილი და მელიქი ყაზანთ ავთანდილი ამოწმებენ (დოკუმენტები, 1962: 56), ამავე პერიოდში მელიქი ყოფილა ბეჭბუდაც.

თბილისის მელიქები, ამ სახელოს არსებობის მანძილზე, მთლიანად მეფის ბრძანებების და სურვილების შემსრულებლები იყვნენ. ექვემდებარებოდნენ ქალაქის მოურავს. სახელოს, დამსახურების მიხედვით და ხანაც მემკვიდრეობით იღებდნენ ქალაქის მოსახლეობის ზედაფენების წარმომადგენლები, განურჩევლად მათი ეროვნული წარმომავლობისა. რათქმა უნდა არანაირად არ შეიძლება მამასახლისის ქართულ, ხოლო მელიქის სომხურ თანამდებობებად გამიჯვნა, რადგან, როგორც ერთ, ისე მეორე თანამდებობას ორივე ეროვნების წარმომადგენლები იკავებდნენ.

მელიქის სახელო გორში „ყიზილბაშობის“ (1735-1749 წწ.) დროს ჩნდება და შემდეგ ირანელთა ბატონობის თანდათან გაქრობასთან ერთად ქრება.

XVII საუკუნის დასაწყისში ლორეში დაწინაურდნენ ლორის მელიქების საგვარეულო, თუმცა ეს მათი წინაპარი ქართლში ლუარსაბ I-ის დროს გამოჩნდა. ლორის მელიქები შაჰის ერთგული ადგილობრივი აზნაურის და შაჰ-აბასთან დაახლოვებული პირის ქაიხოსროს შვილის დაის შთამომავლები არიან. დაის ძმა იყო მირიმანი. ორივე ძმამ შაჰ-აბასისგან მიიღეს მელიქობა და მამულები. მირიმანი სომხითის მელიქი გახდა, დაი ლორის მელიქი. ორივემ, მამული ერევნის ომის (1604 წ.) შემდეგ ქართლის სამეფოსთვის ჩამოჭრილი სახასო მიწებისგან მიიღეს.

ორივე მელიქი მუსლიმი იყო, და შაჰმაც სწორედ მუსლიმობის გამო მიანიჭა მათ განსაკუთრებული პრივილეგიები. შაჰის ფირმანის ძალით ლორის მელიქმა ლორე სამკვიდროდ და შეუვალად მიიღო. შაჰისგან ნაბოძები აქ ნახსენები და სხვა ფირმანები ლორის მელიქის შვილებმა, 1795 წელს აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს დაკარგეს (სცსა. 1450, 18/60). მოგვიანებით, ლორის მელიქებმა მონოფიზიტური ქრისტიანობა მიიღეს და სამსახური ქართლის სამეფოში, ლორეს მხარის ბოქაულის თანამდებობაზე განაგრძეს. ისინი ქართლის სამეფო აზნაურები იყვნენ, და მელიქად და ბოქაულად ქართლ-კახეთის მეფე ამტკიცებდა. ამ დროს გაჩნდა ორმაგი გვარიც, რომელშიც გაერთიანებული იყო თანამდებობა და მოდვაწეობის ადგილი. გვარი – ლორის მელიქი შვილი, XIX საუკუნეში, რუსული ადმინისტრაციის დამყარების დროს, რუსული ვარიანტით, ლორის-მელიქოვი, შეიცვალა. უფრო გვიან, 1877-1878 წლებში ოსმალეთთან ომში თავის გამოჩენისთვის, 1878 წლის 16 აპრილს, იმპერატორმა ალექსანდრე II-მ, მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვს გრაფობა და ახალი გერბი უბოძა.

მირიმანიძეების საგვარეულოს სამფლობელო, ანუ სომხითის მელიქის მამული, მუსლიმი მელიქით სათავეში, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში XVII საუკუნეში ჩამოყალიბდა. სომხითში პირველი მელიქი მირიმანი იყო, რომლის სახელის გამო მისი შთამომავლობა XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში მირიმანიძეებად ან მირიმანიშვილებად მოიხსენიებიან (პირთა ლექსიკონი, III, 2004: 180-189).

სომხითის მელიქი მირიმანი და მის შემდეგაც მელიქებად, მუსლიმი ყორხმაზ-ბეგი, ათაბეგი, ქამარბეგი იყვნენ. მირმანიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ ასევე ირანის ყულარალასი თამაზყული ხანი და მისი ძმისწული ყოლმარის

და ალაშქერის ბეგლარბეგი სეფი-ყული ხანი მირიმანიძე.

მელიქიშვილების ფეოდალური სახლის წარმატება თავიდანვე ირანის შაპის ერთგულ სამსახურზე იყო დამოკიდებული. ყველა მელიქი ცდილობდა შაპისთვის ერთგული დასაყრდენი ყოფილიყო, რათა მეტი წარმატებისთვის მიეღწიათ. ირანში, მათი საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელი სხვადასხვა მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იყო დანიშნული. მირიმანიძები, როგორც ქვემო ქართლის მელიქები, საუკუნეთა განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდნენ ამ ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის ხელმწიფის განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ქართლის სამეფო კარზე, ქართველ თავადთა რიცხვში ითვლებოდნენ.

სომხითის მელიქის მამული ანუ „მელიქის საულდარი“, განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა, მისი აღწერის და დაბეგვრის უფლება ქართლის მეფეს დიდხანს არ ჰქონდა, ამასთან სომხითში სხვა ქართველი ფეოდალების ყმები მელიქის სასარგებლოდ სპეციალურ „სამელიქო“ გადასახადს იხდიდნენ.

XVIII საუკუნის დასაწყისში, ქართლის მეფებსა და თავად მელიქიშვილებს შორის ურთიერთობა შედარებით დასტაბილურდა. მელიქებმა ირანიდან მხარდაჭერა საბოლოოდ დაკარგეს. ეს დრო ემთხვევა ვახტანგ VI-ის მეფობის პერიოდს. ვახტანგმა მელიქი ავთანდილი ურჩობის გამო მოაკვლევინა, და მელიქად მისი ბიძაშვილი ლევანი დაადგინა. ვახტანგის შემდეგ ქართლში ჯერ „ოსმალობა“ შემდეგ კი „ყიზილბაშობაა“, რამაც ფაქტობრივად ყველანაირი საგარეო ფაქტორის გავლენა მოუსპოვა მელიქს და საქმე სამელიქოს ფაქტობრივ გაუქმებამდე მივიდა. მათ იმუნიტეტის და მამულების ნაწილის დათმობა მოუწიათ. 1728 წლის ოსმალური აღწერის მიხედვით მელიქის მამულის დიდი ნაწილი, მათ შორის ახტალა სახასოდ გამოცხადდა. ამიტომ მელიქისთვისაც ისლამი პრიორიტეტს აღარ წარმოადგენდა, მირიმანიძეთათვის უფრო ხელსაყრელი ქართველი მეფის სამსახური გახდა, ამიტომ, თავისი მდგომარეობის დაბრუნების მიზნით იღებენ გადაწყვეტილებას მიიღონ მართლმადიდებლობა, რათა ამით, მათ, როგორც ქართლის თავადებმა მამულებზე უფრო მყარი იურიდიული უფლება მოიპოვონ.

მელიქების საკითხი საბოლოოდ ერეკლე II-მ გადაწყვიტა, როდესაც 1763 წელს, მათ მამულებში სპილენძის და ვერცხლის მომპოვებელი ქარხნები ააშენა, და მელიქიშვილები იძულებული გახდნენ საკუთარი მამულები დაეთმოთ, რის სა-

ნაცვლოდაც ერეკლემ მელიქიშვილებს ქარხნების ზედამხედველობა და სომხითის მინბაშობა დაავალა, შესაბამისი ხელფასით. ამავე დროს მირიმანიძეთა ერთი შტო ცენტრალურ ხელისუფლებაში დაწინაურდა (კახეთის ლაშქარნივისი, სომხით-საბარათიანოს ლაშქარნივისი, სალაროს მუშრიბი).

ლევან მელიქის შემდეგ, კი მელიქობა ფაქტობრივად გაუქმებული იყო, მათი მამული სახასოდ იყო გადაქცეული და ქართველი მეფის საკუთრებას წარმოადგენდა. თუმცა, ლევანის შთამომავლობა ქვემო ქართლში გარკვეულ მდგომარეობას და ტერიტორიებს მაინც ინარჩუნებდა. ლევანის შვილი იყო იესე, რომელსაც მოლგაწეობა „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ დროს მოუწია. იესეს შვილი იყო ავთანდილი, ეს ავთანდილი, საბუთებში თავისთავს მელიქად მოიხსენიებს. თუმცა მას, ოფიციალურად მინბაშის თანამდებობა ეკავა და ამიტომ სამეფო კანცელარიის საბუთებში, ყველგან, ავთანდილ მინაბაშად, ან ავთანდილ მელიქიშვილად მოიხსენიება. ბოლო მინბაში იყო ავთანდილის შვილი იესე. მელიქიშვილების საფლავები შემორჩენილია ახტალაში, თუმცა XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის საფლავები, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მუსლიმი მელიქები ალბათ სხვაგან არიან დაკრძალული.

კაგასიის მელიქებზე (ყარაბაღის, თბილისის, გორის, ლორის) დაკვირვება იმის მტკიცების უფლებას თამამად გვაძლევს, რომ ეს არ იყო სომხური და, მითუმეტეს, არც ქართული მოვლენა. მათთვის საერთო, მხოლოდ სახელოების დამთხვევაა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მელიქის ინსტიტუტი ყველგან შემოღებული იყო გარედან, აღმოსავლეთის გავლენით, ინიცირებული ძალების (სეფიანთა ირანიდან) მიერ, ქვეყნის დაშლის და დასუსტების მიზნით. ყარაბაღის სამელიქოებო გარკვეულწილად სომხური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები იყო, კაგასიაში მნიშვნელოვანი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებში თბილისსა და გორში მელქები, მეფის და ქალაქის მოურავის მოხელეები იყვნენ, რომლებიც სავაჭრო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ, ლორის მელიქი მემამულე აზნაური იყო. ხოლო სომხითის მელიქი თავადი მელიქიშვილი იყო, მისი მამული კი სათავადოს წარმოადგენდა.

რაც შეეხება სოლადაშვილების ფეოდალური საგვარეულოს და მათი სათავადოს ისტორიას. როგორც წყაროებიდან ჩანს, სოლადაშვილები წარმოშობით მესხეთიდან არიან, იოანე ბატონიშვილის ვერსიით, ისინი XI საუკუნის

მოვლენებთან დაკავშირებით მოხსენიებულ სულა კალმახელის შთამომავლები იყვნენ. „სოლადაშვილის არიან ძველადვე ახალციხელი, კალმახის ადგილის ერისთავის გვარისანი... ამათი (სოლადაშვილების) წინაპარი ვინმე გათათრდა და უწოდეს სულადად“ (იოანე ბაგრატიონი, 1997: 35).

სწორედ სახელ სულას ისლამიზირებული ვარიანტი შეიძლება იყოს სულა+ალა, ანუ სოლადა, იოანე ბაგრატიონიც აღნიშნავს, რომ სოლადაშვილების წინაპარს გათათრების გამო უწოდეს სოლადაო. „ო“ და „უ“ ნიშანთა მონაცემება კი ქართულში სხვა შემთხვევებშიც გვხვდება (რუსი-მროველი).

კალმახელებში XVI საუკუნის დასაწყისში მესხეთში კალმახელების მამული უზნაძეს უკავია, ამავე პერიდს ემთხვევა სოლადაშვილების გამოჩენა ქართლში.

საკითხის შესწავლისას, სოლადაშვილების წარმომავლობის შესახებ, კიდევ ერთი ვერსია გამოიკვეთა, რომელიც ჯავახიშვილებს შეიძლება, რომ დაუკავშირდეს.

ცნობილია, რომ 1338 წელს გიორგი V ბრწყინვალემ (1299, 1318-1346 წწ.) ივანე თორელ-ჯავახიშვილს „კოურისა ძირისა მონასტერი ათენაგუენი მიუბოძა...“ (სამართლის ძეგლები, II, 1965: 97). მანამდე კოჯორი და მისი მიდამოები სამეფო სახასო მიწები იყო. და ჯავახიშვილებისთვის მისი გადაცემა სიმპტომატურია. ჯავახიშვილებისთვის ნაბოძები „კოურის ძირის მონასტერი ათენაგუენი“ შეიძლება ვივარაუდოდ, რომ კაბენია, რომელიც მოგიანებით სწორედ, რომ სოლადაშვილების „სამკვიდრო სასაფლაო“ იყო (პირთა ლექსიკონი, IV, 2007: 183). ხოლო თვითონ კოჯორის ციხე, რომელიც სამეფო საკუთრება იყო, XV საუკუნეში უკვე სოლადაშვილების სათავადოს მთავარი ციხე-სიმაგრე იყო.

სოლადაშვილების ჯავახიშვილებიდან მომდინარეობის მთავარ საბუთად შეიძლება ჩაითვალოს ასევე 1440 წელს ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) მიერ გაცემული მამულის წყალობის წიგნი, რომელიც ალექსანდრე მეფემ გამრეკელ ჯავახიშვილს და მის შვილებს – ზაქარიას, კახას, ზაზას და სოდას, უბოძა. თუ ამ სოდა ჯავახიშვილს სოლადაშვილების წინაპარ სოლადასთან გავაიგივებთ, მაშინ უფრო ნათელი ჩანს ვერსია, სოლადაშვილების თორელებისგან მომდინარეობის შესახებ. 1440 წლის სიგელი ერთადერთია, რომელშიც სოლა/სოლადა(?) ჯავახიშვილი მოიხსენიება. მომდევნო წლებში გაცემულ დოკუმენტებში მხოლოდ ზაქარია, კახა და ზაზა გამრეკელ-ჯავახიშვილები ჩანან. სოდას სახელის გაქრობა შეიძლება სოლადაშვი-

ლების გამოჩენას დაფუკავშიროთ. ამ სიგელის გაცემიდან მალე, 1490 წელს, კოჯ-რის ციხიდან იაყუბ ყაენის სარდალს, ხალილ ბეგს, ებრძოდნენ სოლადაშვილები. 1490 წელს კოჯ-რის ციხეში გამაგრებული „სოლადაშვილი“ შეიძლება სწორედ სო-და/სოლადა(?) ჯავახიშვილის შვილები არიან. მისი ერთ-ერთი შვილი, ან შვილიშ-ვილი იყო შალვა, ხოლო შალვას მე იყო ივანე სოლადაშვილი, რომელსაც დავით X-ის (1505-1525 წწ.) კარზე სახლთუხუცესის და მწიგნობართამთვარის თანამდებობა ეკავა. პროფ. ნოდარ შოშიაშვილმა თორელების საგვარეულო დაწვრილებით შეის-წავლა, დაადგინა მათი გენეალოგიები და საგვარეულო შტოები, მაგრამ ნაშრომში სამწუხაროდ სოდას შესახებ არაფერია აღნიშნული (შოშიაშვილი, 1966: 7-77).

რომელი ვერსიაც არ უნდა გავიზიაროთ, ერთი, რაც ცხადია, სოლადაშვილები წარმოშობით მესხეთიდან არიან. ისინი ქართლში XV საუკუნიდან დაწინაურდნენ. მათ, სამეფო კარზე სხვადასხვა სახელო ეკავათ, მათ შორის – მეფის სახლთუხუცესის, მწიგნობართუხუცესის, მოლარეთუხუცესის, ხოლო სამეგრელო დედოფლის სახლთუხუცესობა იყო. სოლადაშვილების სათავადო მამული ძირითადად ალ-გეთის ხეობის სოფლებს მოიცავდა. სათავადოს მთავარი ციხეები კოჯ-რის და ჭაპალას ციხეები იყო, ხოლო სასახლეები ჰქონდათ გუდელისში, ტაგნაგეთში და ბორ-ბალოში, სოლადაშვილების საძვალე კაბენის მონასტერი იყო.

XV-XVI საუკუნეებში ჩამოყალიბებული სოლადაშვილების სათავადო, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კრიზისს განიცდიდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი საბო-ლოოდ დაიშალა. საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენლები ყიდიან და აგირავე-ბენ მამულებს. სოლადაანთ მამულების ძირითადი ნაწილი ბარათაშვილ-ორბელია-ნების ხელში გადავიდა. სასოლადაშვილოს მნიშვნელოვანი ნაწილი იქსე ოსეს ძემ შეიძინა, იგი მეფის სამსახურში დაწინაურებული მოხელე იყო, რომელიც ბარათა-შვილი გახდა. ფულთან ერთად მან შესაბამისი მდგომარეობაც შეიძინა, რაც დამა-ტებით უფლებას აძლევდა, რომ, როგორც ქვემო ქართლის მთავარი საგვარეულოს – ბარათაშვილების – წარმომადგენელს, სამკვიდროდ შეეძინა ქვემო ქართლში მა-მულები. იქსე ოსეს ძემ მამულები სწორედ სასოლადაშვილოს ხარჯზე შეაგროვა. მათი მამულების ნაწილი ყორდანაშვილმა შეიძინა, ამის გამო წარმოქმნილი უთანხ-მოება ხშირად ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. დროს სასო-ლადაშვილო, ფაქტობრივად, სათავადოს უკვე აღარც წარმოადგენდა. სოლადაშვი-ლებს – მცირე თავადებს კიდევ უფრო შემცირებული მამულები ჰქონდათ, არც სა-

მეფო კარზე ეკავათ სამოხელეო თანამდებობები

ჩვენი კვლევის შემდეგ საკითხს წარმოადგენს დოლენჯიშვილების სათავადო. დოლენჯიშვილები, სოლადაშვილების მსგავსად მესხეთიდან არიან ქვემო ქართლში გადმოსული. დოლენჯიშვილები XVI საუკუნეში, სამცხეში შექმნილი რთული ვითარების გამო, სხვა დამარცხებულ თავადებთან (ზოგი ოსმალების, ზოგიც ჯაფელების წინააღმდეგ მებრძოლნი) ერთად გადმოვიდნენ. მათი ერთი შტო თხმალების სამსახურში ჩამდგარა და მესხეთში დარჩენილა.

დოლენჯიშვილების სათავადო ქვემო ქართლში XVII საუკუნეში გამოჩნდა. მანამდე ქართულ საბუთებში ისინი იშვიათად მოიხსენიებიან. მათ ქართლის სამეფოს კარზე სხვადასხვა საერო თუ სასულიერო თანამდებობები (ყაიულის მებალახეობა, ყაიულის მოურავი, მოლარეთუხუცესი, მანგლისის მთავარეპისკოპოსი, კარის დეკანოზი...) ეკავათ. თანამდებობები მემკვიდრეობით არ გადადიოდა. მათ შორის საინტერესოა, ყაიულის მოურავობა და ყაიულის სოფლების მებალახეობა.

ყაიული ქართლის სამეფოს დასავლეთ, და ახალციხის საფაშოსთან მოსაზღვრე პროვინციას წარმოადგენდა, ყაიულის დასავლეთით უკვე ჩილდირის მხარე იყო, რომელიც დოლენჯიშვილების მესხეთში ყოფნის დროს მათი სამკვიდრო მამული იყო. სავარაუდოდ ამიტომ, თავის მამულში და მამულთან ახლოს იდებდნენ ქართლის მეფისგან სამოხელეოდ ტერიტორიებს. სწორედ მამულების მემკვიდრეობის გამო იყო მათ ხელში ყაიულში გადასახადების აკრეფა და მოურავობა.

1728 წლისთვის დოლენჯიშვილების მფლობელობა ოთხ სოფელზე ვრცელდებოდა, (აბულმაგი, აკაურთა, ახალშენი და სამდერეთი) მათ სულ 20 კომლი გლეხი, 3 ბოგანო, 1 მოლაშქრე და 1 აზნაური ჰყავდათ (აღწერა..., 1907: 71-72). მეწინავე სადროშოს აღწერაში შეცდომა ნაკლებად სავარაუდოა, არადა ასეთი მცირე რაოდენობით ყმები სათავადოსთვის საეჭვოდ ჩანს. შესაძლოა დოლენჯიშვილებს მამულები ყმების ნაწილი მათ სამკვიდრო ყაიულშიც ყოფილიყო

XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იოანე დოლენჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ, დოლენჯიშვილების სათავადო ფაქტობრივად გაუქმდა, მისი მამულები და შემოსავალი საგინაშვილმა მიიღო, ნაწილი სიძეს – ნინია ამილახვარს დარჩა. თავადი დოლენჯიშვილი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ქართველ თავადთა სიებში მე-15 ადგილზე მოიხსენიება.

ამრიგად, ვფიქრობთ, მელიქიშვილების, სოლადაშვილების და დოლენჯიშვი-

ლების დღემდე შეუსწავლელი საგვარეულოების ისტორიის შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში და მომავალში დიდ დახმარებას გაუწევს, აღნიშნული საგვარეულოების და სათავადოების, ქვემო ქართლის, და ზოგადად შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს და მკითხველებს.

## **დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა**

### **ა) წყაროები**

1. 1728 წლის დავთარი, I. 2009; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, წ. I. თბ. 2009.
2. 1728 წლის დავთარი, II. 2010. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, წ. II. თბ. 2010.
3. აღწერა..., 1907; აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა, ე. თაყაიშვილის გამოც., თბ., 1907.
4. ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, 1959; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხეჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
5. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944; ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბ., 1944,
6. ბერი ეგნატაშვილი, 1959; ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
7. ბერძნიშვილი, 1965; მ. ბერძნიშვილი, მასალები XVIII საუკუნის ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა), ქართული წყაროთმცოდნეობა, კრებული I. თბ., 1965.
8. გეორგიევსკის ტრაქტატი 1983; გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1983.
9. გიულდენშტედტი, I, 1962; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962.

- 10.** გურჯისტანის დავთარი, 1941; გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და წინასიტყვაობა ქართულ რუსულ ენებზე დაურთო სერგი ჯიქიამ, ტ. II, თბ., 1941.
- 11.** დავითის ისტორიკოსი, 1955; დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხეჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955.
- 12.** დოკუმენტები, 1962; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.) წიგნი I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962.
- 13.** დოკუმენტები, 1940; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I. ნ. ბერძენიშვილის გამოც., თბ., 1940.
- 14.** ლამბერტი, 1991; დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ილ. ანთელავამ, თბ., 1991.
- 15.** ესაი პასან ჯალალიანცი, 1971; ესაი პასან ჯალალიანცი, ალვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო კარლო კუციამ, თბ., 1971.
- 16.** ვახუშტი ბაგრატიონი, 1973; ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
- 17.** ვახუშტი ბაგრატიონი, 1997; ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი, XVIII ს., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბ., 1997.
- 18.** თურქული წყაროები, 1983; თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1983.
- 19.** იესე ბარათაშვილი, 1950; იესე ბარათაშვილის ცხოვრება ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით აგთანდილ იოსელიანმა. უკრნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკვ. 28. თბ. 1950.
- 20.** იოანე ბაგრატიონი, 1986; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბ., 1986.

- 21.** იოანე ბაგრატიონი, 1997; იოანე ბაგრატიონი, შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, მასალა ისტორიისათვის, რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი, თბ., 1997.
- 22.** იოსელიანი, 1936; პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილები, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936.
- 23.** იოსელიანი, 1980; საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბ., 1980.
- 24.** ისქანდერ მუნში, 1969; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969.
- 25.** კაკაბაძე, 1913<sup>o</sup>; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, ტ. II, თბ., 1913.
- 26.** კაკაბაძე, 1913<sup>δ</sup>; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, ტ. III, თბ., 1913.
- 27.** ლაპიდარული წარწერები, I, 1980; ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა 6. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
- 28.** მატიანე ქართლისავ, 1955; მატიანე ქართლისავ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხეჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955.
- 29.** მასალები..., 1948; მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, ჟურნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი), ნაკვ. 1(26), თბ., 1948.
- 30.** მიმოწერა, 1861; Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г. СПб. 1861.
- 31.** მოჰამედ თაჰერი, 1954; მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმანი და შენიშვნები ვლადიმერ ფუთურიძისა, ჟურნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი), ნაკვ. 30, თბ., 1954.
- 32.** ნიკო დადიანი, 1962; ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.

- 33.** ომან ხერხეულიძე, 1981; ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, დღ. მიქიაშვილის გამოც., თბ., 1981.
- 34.** ორბელიანი, 1937; გრ. ორბელიანი, წერილები ტ. II, 1851-1859 წწ. აკაკი გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1937.
- 35.** პაპუნა ორბელიანი, 1981; პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
- 36.** პარიზის ქრონიკა, 1980; ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980.
- 37.** პარიზის ქრონიკა, 1991; Парижская хроника. Текст подготовила к изданию, предисловием, примечаниями и указателем снабдила Г. Г. Аласания, Тб., 1991.
- 38.** პირთა ლექსიკონი, I, 1991; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, ტ. I, თბ., 1991.
- 39.** პირთა ლექსიკონი, II, 1993; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. II, თბ., 1993.
- 40.** პირთა ლექსიკონი, III, 2004; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გ. ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2004.
- 41.** პირთა ლექსიკონი, IV, 2007; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს, გ. ოთხმეზურმა, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, დ. ულენტმა, ა. ბაქრაძემ, თ. ენექიძემ, დ. კლდიაშვილმა. ტ. IV, თბ. 2007.
- 42.** ჟორდანია, 1903; ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903.
- 43.** სამართლის ძეგლები, I, 1963; ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. I, თბ., 1963.

- 44.** სამართლის ძეგლები, II, 1965; ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965.
- 45.** სამართლის ძეგლები, III, 1970; ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970.
- 46.** სამართლის ძეგლები, IV, 1972; ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. IV, თბ., 1972.
- 47.** სამართლის ძეგლები, V, 1974; ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974.
- 48.** სამართლის ძეგლები, VI, 1977; ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VI, თბ., 1977.
- 49.** სამართლის ძეგლები, VII, 1981; ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო არზა ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981.
- 50.** სამართლის ძეგლები, VIII, 1985; ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო არზა ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985.
- 51.** სიძელენი, I, 1899; საქართველოს სიძელენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I, ტფ., 1899.
- 52.** სიძელენი, I, 1920; საქართველოს სიძელენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I, ტფ., 1920.
- 53.** სიძელენი, II, 1909; საქართველოს სიძელენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, ტფ., 1909.
- 54.** სიძელენი, III, 1910; საქართველოს სიძელენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. III, ტფ., 1910.
- 55.** სტეფანოს ორბელიანი, 1958; სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება

ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბ. 1958.

- 56.** სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო იღ. აბულაძემ, თბ., 1991.
- 57.** სულხან-საბა ორბელიანი, II, 1993; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო იღ. აბულაძემ, თბ., 1993.
- 58.** ფარსადან გორგიჯანიძე, 1925; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, ტ. II, თბ., 1925.
- 59.** ფურცელაძე, 1881; Грузинские церковные гуджари (грамоты), составитель Д. П. Пурцеладзе, Тбл., 1881.
- 60.** ფურცელაძე, 1882; Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные акты, составитель Д. П. Пурцеладзе, Тбл., 1882.
- 61.** ქართლ-კახეთის..., 2005; ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპიური გამოცემა. ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 2005.
- 62.** ქართულ-სპარსული, 1955; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1955.
- 63.** ქრონიკები, I, 1892; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ქორდანიას მიერ, ტ. I, ტფ., 1892.
- 64.** ქრონიკები, II, 1897; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ქორდანიას მიერ, ტ. II, ტფ. 1897.
- 65.** ქრონიკები, III, 1967; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ქორდანიას მიერ, ტ. III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გ. ქორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967.
- 66.** შარაშიძე, 1961; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები ქ. შარაშიძისა, ნაწ. I,

თბ., 1961.

67. ხახანაშვილი, 1891; ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891.
68. ხახანოვი, 1893; Грузинские дворянские акты и родословные росписи (материалы для истории Грузии), изданные с предисловием и примечаниями А. С. Хаханова, М., 1893.
69. ხუბუა, 1949; მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, I, თბ., 1949.
70. ჯავახიშვილი, 1967; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. I, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბ., 1967.

## ბ) ლიტერატურა

71. აბულაძე...; ც. აბულაძე, ისაყ/ისაკ ფაშა (1701–1748), [http://qim.ge/isak\\_fasha.html](http://qim.ge/isak_fasha.html)
72. აბულაძე 2010; ც. აბულაძე, „სოლადაშვილთა სათავადოს ისტორიისათვის“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის სემინარზე წაკითხული მოხსენება, თბილისი, 27.01.2010. (<http://www.manuscript.ge/index.php?m=747>) 2012.
73. ანთაძე, 1914; ი. ანთაძე, საქართველოს შესანიშნავი ადგილები, ქურნ.: „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1914 წელი, ივნისი, №6.
74. აკოფაშვილი, 1973; გ. აკოფაშვილი, ვაჭრობის, მრეწველობის და საქალაქო ცხოვრების განვითარება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გ. IV, თბ., 1973.
75. ათაბეგიანი...; Мелик Вреж Атабекян, Армянские княжества Арцаха, Краткий обзор происхождения, институтов и традиций карабахских меликств, [www.bravah.comArmenianWaeAVNNobilityMeliqs\\_of\\_Artsakh.html](http://www.bravah.comArmenianWaeAVNNobilityMeliqs_of_Artsakh.html)
76. ანთელავა, 1980; ი. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980.
77. არლუთინსკი, 1877; თ. იოსებ არლუთინსკი, ავარიელი ომარ-ხანის დარბევა ახტალის მადნისა, გაზ. „დროება“, თბ., 1877, 4 თებერვალი, № 14.
78. ასათიანი, 2002; თ. ასათიანი, ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), თბ., 2002.

- 79.** аსათიანი, 2010; თ. ასათიანი, ქართული გერბთმცოდნეობა (პერალდიკა), თბ., 2010.
- 80.** ასათიანი, 1959; ნ. ასათიანი, საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVIII საუკუნეების ქახეთის სამეფოში, თსუ შრომები, ტ. 77, თბ., 1959.
- 81.** ბაქრაძე, 1875; დ. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, «Записки Общества любителей Кавказской Археологии», кн. I, изданная под редакцию помощника председателя Общества Ад. Берже и члена комитета Общества Дм. Бакрадзе, Тбл., 1875.
- 82.** ბაქრაძე, 1978; ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, ნაწ. I, თბ., 1978.
- 83.** ბაქრაძე, 1988; ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, ნაწ. II, თბ., 1988.
- 84.** ბახტაძე, 2001; გ. ბახტაძე, პიტიახშის ინსტიტუტი ქართლის სამეფოში, (ტერმინ პიტიახშის წარმოშობისა და პიტიახშთა გენეალოგიის დადგენის საკითხები I-VI სს.), თსუ შრომები (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), ტ. 338, თბ., 2001, გვ. 5-21.
- 85.** ბახტაძე, 2003; გ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.
- 86.** ბახტაძე, 2005; გ. ბახტაძე, არაგვის ერისთავთა ქრონოლოგია (XVI-XVIII საუკუნეები), თბ., 2005.
- 87.** ბახტაძე, 2006; გ. ბახტაძე, სურამელთა ფეოდალური საგვარეულო, თბ., 2006.
- 88.** ბახტაძე, 2008<sup>ა</sup>; გ. ბახტაძე, დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან, თბ., 2008.
- 89.** ბახტაძე, 2008<sup>ბ</sup>; გ. ბახტაძე, კახეთ-პერეთის ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან (XII-XIII საუკუნეები), თბ., 2008.
- 90.** ბახტაძე, 2008<sup>ბ</sup>; გ. ბახტაძე, ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია, XI-XV საუკუნეებში, თბ., 2008.
- 91.** ბედოშვილი, 2002; გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2002.
- 92.** ბერძენიშვილი, 1964; დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ტ. II, თბ., 1964.

- 93.** ბერძენიშვილი, 1979; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979.
- 94.** ბერძენიშვილი, 1998; დ. ბერძენიშვილი, ახტალის მონასტერი, ქურნა: „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1998, №2.
- 95.** ბერძენიშვილი, 2006; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2006.
- 96.** ბერძენიშვილი, 1965<sup>ა</sup>; 6. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), საქართველოს ისტორიის საკითხები, ისტორიული გეოგრაფია, წ. I, თბ., 1965.
- 97.** ბერძენიშვილი, 1965<sup>ბ</sup>; 6. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ. 1955.
- 98.** ბერძენიშვილი, 1965<sup>გ</sup>; 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII-XIV საუკუნეებში (კონსპექტი), საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965.
- 99.** ბერძენიშვილი, 1965<sup>დ</sup>; 6. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965.
- 100.** ბერძენიშვილი, 1965<sup>ა</sup>; Н. А. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (в XIII-XVI вв.), საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965..
- 101.** ბერძენიშვილი, 1966; 6. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
- 102.** ბერძენიშვილი, 1973; 6. ბერძენიშვილი, საქართველო XI-XVIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VI, თბ., 1973.
- 103.** ბოშიშვილი, 2003; ალ. ბოშიშვილი, ნასოფლარი გუდელისი, შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, II კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2003.
- 104.** ბოშიშვილი, 2004; ალ. ბოშიშვილი, ქვემო ქართლის მცირე სათავადოები (სოლოდაშვილები), „სტუდენტთა 64-ე სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენციის გამარჯვებულ სტუდენტთა სამეცნიერო შრომები“, თბ., 2004
- 105.** ბოშიშვილი, 2008<sup>ა</sup>; ალ. ბოშიშვილი, კაბენის მონასტერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ტბელობა“, მასალები, სხალთა, 2008.
- 106.** ბოშიშვილი, 2008<sup>ბ</sup>; ალ. ბოშიშვილი, სოლადაშვილების საგვარეულოს წარმომავლობა, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია – „შალვა ნუცუბიძე 120“, (თეზისები), თბ. 2008.

- 107.** ბოშიშვილი, 2010; ალ. ბოშიშვილი, თბილისის გარეუბნების ისტორია – კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, წავისი, წყნეთი, თბ., 2010.
- 108.** ბოშიშვილი, 2011<sup>a</sup>; ალ. ბოშიშვილი, გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისთვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 2011.
- 109.** ბოშიშვილი, 2011<sup>b</sup>; ალ. ბოშიშვილი, „ოსმალობის“ გავლენა სოლადაშვილების სამფლობელო სოფლების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე (1721 წლის მეწინაგე სადროშოს აღწერისა და 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 2011.
- 110.** ბოშიშვილი, 2011<sup>c</sup>; ალ. ბოშიშვილი, თბილისის მელიქის სახელოს და ქრონოლოგიის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 2011.
- 111.** ბოშიშვილი, 2011<sup>d</sup>; ალ. ბოშიშვილი, დავის სამართლებრივი და სოციალური ასპექტები XVIII საუკუნის საქართველოში (სოლოდაშვილებისა და იქსე ოსეს ძის შვილების დაპირისპირების ნარატივი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბ., 2011.
- 112.** ბოშიშვილი, 2011<sup>e</sup>; ალ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, მეექვსე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2011.
- 113.** ბოშიშვილი, 2012<sup>f</sup>; ალ. ბოშიშვილი, ლორე. ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების სპეციალური გამოშვება „დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“, თბ., 2012.
- 114.** ბოშიშვილი, 2012<sup>g</sup>; ალ. ბოშიშვილი, სიმონ სოლადაშვილი, რუსეთში გადახვეწილი ქართველი გენერალი, ქურნ. „ისტორიანი“, №15, 2012.
- 115.** ბროსე, 1850; M. Brosset, Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, Rap. I. SPb., 1850.

- 116.** ბროსე, 1856; M. Brosset, *Mélanges Asiatiques*, T. II, 1856.
- 117.** გაბაშვილი, 1942; ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლა-  
მალის მიხედვით, ჟურნ.: „ენიმკის მოამბე“, XIII, 1942.
- 118.** გაბაშვილი, 1958; ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წეობილება XVI-  
XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958.
- 119.** გაბაშვილი, 1941; ვ. გაბაშვილი, ქართლის სამეფოს სახელმწიფო წეო-  
ბილება დასტურლამალის მიხედვით, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომა, ტფ., 1941.
- 120.** გაგოშიძე, ჩანტლაძე, 2009; გ. გაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე, მონოფიზიტური  
ძეგლები საქართველოში, თბ., 2009.
- 121.** გეგეშიძე, 1966; მ. გეგეშიძე, კოჯორი (ტოპონიმიკური დაკვირვება), კრებ.:  
„კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966.
- 122.** გეგუჩაძე, 1996; მ. გეგუჩაძე, საქართველო-სომხეთის ურთიერთობა XVIII  
საუკუნის I ნახევარში და რუსეთი, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა  
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1996.
- 123.** გვასალია, 1970; ჯ. გვასალია, ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან (ქსნის  
საერისთავო), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1970.
- 124.** გვრიტიშვილი, 1955; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოცია-  
ლური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლის სათავადოები, თბ., 1955.
- 125.** გოგიტიძე, 2006; მ. გოგიტიძე, ქართველი ოფიცრები რუსეთის იმპერიის  
არმიაში XVIII-XX სს., დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2006.
- 126.** გოგოლაძე, 1966; დ. გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა  
საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX  
სს.), თბ., 1966.
- 127.** გოგოლაძე, 1980; დ. გოგოლაძე, საქართველოს ისტორიის გვიანფეოდალური  
პერიოდი, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, კრებ.:  
საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1980.
- 128.** გონიაშვილი, 1937; Т. Гониашвили, К истории одного звука в грузинском  
языке, ჟურн.: „ენიმკის მოამბე“, ტ. III, თბ., 1937.
- 129.** გუჩუა 1973; ვ. გუჩუა, საქართველო XVI-ის 50-70-იან წლებში, საქართველოს  
ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

- 130.** დუმბაძე, 1973; გ. დუმბაძე, პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახითო კვანძი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
- 131.** დუმბაძე, ცქიტიშვილი, 1973; გ. დუმბაძე, ზ. ცქიტიშვილი, საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ირანელთა შემოსევა 1795 წელს, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
- 132.** დუმბაძე, 2004; ს. დუმბაძე, გვარი ქვეყნის ისტორიული ნაწილი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 2004, 14-20 მაისი.
- 133.** დუმინი, გრებელსკი, 1998; С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, С. Думин и князь Ю. Чиковани, под редакцией С. Думина, М., 1998.
- 134.** ერმერინი, 1859; R. I. Ermerin. Annuaire de la Noblesse de Russie, contenant les prince de l' Empire, augmenté d'un grand nombre de notices sur les familles alliées. SPb., 1899.
- 135.** ზაგაშვილი, ციბაძე, 2006; გ. ზაგაშვილი, გ. ციბაძე, ჰერალდიკის საფუძვლები, თბ., 2006.
- 136.** ზალიკანოვი, 1880; გ. ზალიკანოვი, ბ. რედაქტორო [V საუკუნის ძეგლი კაბენის მონასტერი], გაზ. „დროება“, თბ., 1880, 17 აგვისტო, № 137.
- 137.** ზარდალიშვილი, 1978; გრ. ზარდალიშვილი, თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, თბ., 1978.
- 138.** ზაქარაია, 1990; პ. ზაქარაია, ქსოვრისი, ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და ქულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები), ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, ტ. V, თბ., 1990.
- 139.** თაბუაშვილი, 2010; აპ. თაბუაშვილი, ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, თბ., 2010.
- 140.** თაყაიშვილი, 1991; ექ. თაყაიშვილი, დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო, „დაბრუნება“, მრავალტომეული გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ. I, თბ., 1991.
- 141.** თოფჩიშვილი, 2011, საქართველოს თავადაზნაურობა, თბ. 2011.
- 142.** თუმანოვი, 1963; C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, Washington, Georgetown University, 1963.

- 143.** ივერია, 1904; გაზ.: „ივერია“, 1904 წელი, №199.
- 144.** იოსელიანი, 1845; П. Иоселиани, Описание Шиомгвимской пустыни в Грузии. 1845.
- 145.** იოსელიანი, 1854; П. Иоселиани, Кабенский монастырь, «Кавказский Календарь», 1854.
